



არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები

ავტორი: ვლადიმერ წითლაური

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი, გიორგი თუმანიშვილი

თბილისი

2022

წინასიტყვაობა

მადლიერება მინდა გამოვხატო ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელის, პროფესორ გიორგი თუმანიშვილის მიმართ, რომლის აქტიური მონაწილეობისა და ფასდაუდებელი დახმარების გარეშე, სადისერტაციო კვლევა ვერ შესრულდებოდა. მისი რჩევები, რეკომენდაციები და შენიშვნები, გადამწყვეტი აღმოჩნდა სადოქტორო თემატიკის ჩამოყალიბებასა და კვლევის პროცესში. მადლობელი ვარ ჩემი ოჯახის წევრების, რომლებიც წლების განმავლობაში მიქმნიდნენ კვლევის შესაფერის გარემოს და მამხნეებდნენ. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდის, ჩემს ძვირფას მშობლებს და მეუღლეს, რომელთაგან მუდმივად ვგრძნობდი თანადგომასა და მორალურ მხარდაჭერას.

*დისერტაცია ეძღვნება ჩემი მეუღლის,
(მარიამ გოგლიძის) მზრუნველი მშობლების,
დამსახურებული იურისტების, მაია ოშხარელისა
და ბადრი გოგლიძის, ნათელ ხსოვნას.*

მიმოხილვა

მოგახსენებთ, რომ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ეხება არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების არსებობის საკითხს. დისერტაციაში გადმოცემული საკითხების კვლევის მიზანი გახლავთ, სიღრმისეულად იქნეს გამოკვლეული, არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების არსი, მნიშვნელობა და ფარგლები.

ასევე კვლევის მიზანია, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის ფარგლებში, ძირეულად იქნეს დამუშავებული, არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამის კუთხით პროკურატურის და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში არსებული გამოწვევები. ტრადიციული და ალტერნატიული მართლმსაჯულების ურთიერთგამიჯვნით, არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის ფარგლების, წინაპირობების და თავისებურებების, ამ პროგრამაში ჩართვაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილების, საუკეთესო და საჯარო ინტერესთა ბალანსის სიღრმისეული კვლევის შედეგად, გაკეთდება რელევანტური დასკვნები და გაიცემა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები. ვიმედოვნებთ, დისერტაციაში წარმოჩენილი თეზისები და შეხედულებები ხელს შეუწყობს, როგორც თეორიტიკოსს, ისე პრაქტიკოსს იურისტებს, აღნიშნული საკითხის ახლებურად დანახვა-შეფასებაში.

სარჩევი	
წინასიტყვაობა.....	2
მიმოხილვა.....	3
სარჩევი.....	4
გამოყენებული აბრევიატურა.....	6
შესავალი.....	7
თავი1.აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და ფორმები.....	13
1.1.არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების ისტორიული ექსკურსი.....	13
1.2.არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ძველი ქართული სამართლის მიხედვით.....	18
1.2.1.არასრულწლოვანი სვანურ და ხევსურულ ჩვეულებით სამართალში.....	21
1.2.2.შერიგება ქართულ ჩვეულებით სამართალში, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილი.....	23
1.3.არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და მნიშვნელობა.....	27
1.3.1.არასრულწლოვანთა ტრადიციული და მართლმსაჯულების მოდელების ურთიერთგამიჯვნა.....	32
1.4. არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულება საერთაშორისო სამართლებრივ ჭრილში.....	35
1.5.აღდგენითი მართლმსაჯულების ეკონომიკური ანალიზი.....	38
1.6.შეჯამება.....	41
თავი2. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები ანგლოსაქსური და რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნებში	43
2.1. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები აშშ-ში.....	43
2.2. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები გერმანიაში.....	47
2.3. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები ინგლისში.....	52
2.4. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები ბელგიაში	56
2.5. შეჯამება.....	58
თავი3. არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები.....	61
3.1.არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის ჩამოყალიბების ეტაპები საქართველოში.....	61
3.2.განრიდების და მედიაციის პროგრამის მიზანი და მნიშვნელობა.....	66
3.2.1.არასრულწლოვნის ბიო-ფსიქოლოგიური მდგომარეობა.....	69
3.2.2.სისხლისსამართლებრივი დევნის გავლენა არასრულწლოვანზე.....	72
3.2.3.სიგარეტის ჯიხურში შეღწევით ქურდობის მცდელობის საქმე.....	80
3.2.4.ჯინსების ქურდობის საქმე	82
3.2.5.ტელეფონის ქურდობის საქმე.....	84
3.2.6.ინტერესთა ბალანსი.....	86
3.3.განრიდების ღონისძიებები	91
3.3.1.არასრულწლოვნის წერილობითი გაფრთხილება	93
3.3.2.აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება	95
3.3.3.არასრულწლოვნისთვის მოვალეობის დაკისრება	97
3.3.4. არასრულწლოვნის მინდობით აღზრდა	100
3.4. განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება.....	102

3.4.1. განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობა	106
3.5. შეჯამება.....	107
თავი 4. არასრულწლოვანთა განრიდების თავისებურებანი.....	109
4.1. განრიდების და მედიაციის გამოყენების წინაპირობები	109
4.1.2. ნასამართლობა, როგორც არასრულწლოვნის განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვის დამაბრკოლებელი გარემოება.....	110
4.1.3. განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვა, როგორც არასრულწლოვნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი შანსი.....	113
4.1.4. არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა განრიდების წინაპირობების თანაფარდობა.....	115
4.2. სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა აღდგენით მართლმსაჯულებაში	118
4.2.1. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან პირველი კონტაქტი	122
4.2.2. განრიდების გადაწყვეტილების მიმღები ორგანო და მისი უფლებამოსილება.....	127
4.2.3. ყაჩაღობის საქმე	133
4.3. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის არსი და მისი მნიშვნელობა განრიდების ღონისძიების ფარგლებში	136
4.3.1. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების სტანდარტი განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას	138
4.4. არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის განხორციელება პანდემიის პირობებში.....	142
4.5. შეჯამება.....	146
თავი 5. არასრულწლოვანთა მედიაცია	152
5.1. მედიაციის არსი და იდეა	152
5.1.1. მედიაცია, როგორც კონფლიქტის მოგვარების საუკეთესო საშუალება	155
5.1.2. არასრულწლოვანთა მედიაციის და სასჯელის მიზნების თანაფარდობა.....	157
5.2. ნებაყოფლობითობის პრინციპი მედიაციის პროცესში	163
5.2.1. მედიაციაზე უარი.....	165
5.2.2. მოსამზადებელი ეტაპი	166
5.2.3. წინასაკონფერენციო ეტაპი	167
5.2.4. მედიაციის კონფერენცია	168
5.3. მედიატორი არასრულწლოვანთა მედიაციის პროცესში	171
5.4. შეჯამება	172
თავი 6. დაზარალებული არასრულწლოვანთა განრიდება/მედიაციის პროგრამის ფარგლებში.....	174
6.1. დაზარალებულის სტატუსი	174
6.1.1. დაზარალებულის ჩართულობა არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროცესში	177
6.1.2. დაზარალებულის საჭიროებები აღდგენით მართლმსაჯულებაში	179
6.2. მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორი არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში	182
6.3. დაზარალებულის საერთაშორისო სტანდარტები არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების ჭრილში.....	185
დასკვნა.....	188
გამოყენებული ლიტერატურა.....	197

გამოყენებული აბრევიატურა

ქართული

ა.შ. - ასე შემდეგ

შსს. - შინაგან საქმეთა სამინისტრო

ამკ. - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

გვ. - გვერდი

დასახ. ნაშრ. - დასახელებული ნაშრომი

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

ე.ი. - ესე იგი

ზოგადი ნაწილი - სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი

იხ. - იხილეთ

ლათ. - ლათინურად

მაგ. - მაგალითად

რედ. - გამოცემის რედაქტორი

სსკ. - სისხლის სამართლის კოდექსი

სსსკ. - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

სხვ. - სხვა

შეად. - შეადარეთ

ინგლისური

COVID-19 – Coronavirus Disease

EU – European Union

UNICEF - United Nations Children’s Funds

UN – United Nations

U.S.A. - The United States of America

შესავალი

კვლევის აქტუალობა

თანამედროვე სახელმწიფოები, ცდილობენ არსებითი ყურადღება გაამახვილონ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან ურთიერთობის სტილზე და მეთოდებზე. შესაბამისად, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების არსებობა, იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენადაც, ყოველივე ეს, პირდაპირ მიმართებაშია სისხლის სამართლის მართებულ პოლიტიკასთან და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან. საკითხი აქტუალურია, იმითაც, რომ სისტემური თვალსაზრისით არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების ორი განსხვავებული ტიპი უნდა განვიხილოთ, ერთია აღდგენითი მართლმსაჯულების ისეთი ფორმები, რომლებიც შეიცავს პროკურატურის მიერ დაკისრებულ ნებაყოფლობით ანაზღაურებას, ან რეპარაციას, ანუ განრიდებას. ხოლო, მეორე არის დაზარალებულის-დამნაშავეს მედიაცია, რომელიც შეიცავს ინტერპერსონალურ მოლაპარაკებების პროცესს, დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის, რაც ტიპურად მედიატორის მიერ წარიმართება. შესაბამისად, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა წარმოადგენს იმას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ისტორიული მიზნები, როგორცაა დამნაშავეს დასჯა, იცვლება რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების ნიშნებით. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც მნიშვნელოვანი პრინციპი, წითელ ზოლად გასდევს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს.¹ აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებიდან გამომდინარე, რესტიტუციას, გარკვეულწილად, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მნიშვნელობა ენიჭება, რაც ერთის მხრივ, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანსა და დანაშაულის მსხვერპლს შორის დარღვეული სოციალური ურთიერთობების აღდგენას და, მეორეს მხრივ, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას გულისხმობს.² აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე, ყურადღებას ამახვილებენ ასევე ევროპის საბჭო და გაერო, რომლებმაც მიიღეს სისხლის სამართლის სფეროში განრიდება/მედიაციასთან მიმართებაში, საერთაშორისო

¹ იხ. ვარძელაშვილი, ი., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, 2017, გვ. 72.

² იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N N1/8/594 გადაწყვეტილება.

რეგულაციები და ამით აღდგენით მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით, შექმნეს საერთაშორისო სტანდარტები. ცნობილია, რომ ტრადიციულ მართლმსაჯულებაში, მოიაზრება დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯის სახელმწიფო მონოპოლიის პრინციპი, მაშინ როცა, აღდგენითი მართლმსაჯულების ჩარჩოებში, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, სახელმწიფო მისი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული სიფრთხილით ეპყრობა.

აღდგენითი მართლმსაჯულება გამოიყენება განურჩევლად ყველა ასაკის მქონე ადამიანის მიმართ, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ახალგაზრდებთან მიმართებაში, რადგან, ის უზრუნველყოფს, მათ ემოციურ, მორალურ და სოციალურ განვითარებაზე გარკვეულ გრძელვადიან ზეგავლენას.³ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ყოველთვის თავს იჩენს ინტერესთა კონფლიქტი, როდესაც სახეზეა ორი დაპირისპირებული მხარის, ერთის მხრივ, დაზარალებულის, მეორეს მხრივ, არასრულწლოვანის ინტერესი. თუმცა, აქედან გამომდინარე, წარმოიშვება კონფლიქტში მართლმსაჯულების, სამართლიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების და არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებს შორის. სადაც პირველ ადგილზე დგას, დემოკრატიული სახელმწიფოს როლი, ინტერესთა ბალანსის დაცვის მიმართულებით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან მიმართებაში, წამყვანი ქვეყნების კანონმდებლობა, სისხლის სამართლის ჰუმანური პოლიტიკის გატარების კუთხით, ამჟამად, გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. აღსანიშნავია, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, იკლო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელმა,⁴ ვინაიდან, სისხლის სამართლის კანონმდებლობა ვითარდება გარკვეულწილად ლიბერალიზაციის, მიმართულებით. აქედან გამომდინარე, კაცობრიობა ეძებს სრულიად ახალ მიმართულებებს და ამ შემთხვევაში, უარს ამბობს, სისხლის სამართლის უკვე დრომოჭმულ, მკაცრ პოლიტიკაზე.⁵

ფაქტია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები, თავისი არსიდან და ფარგლებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის პროცესს, მატებს ჰუმანურ

³ იხ. Liebmann, M., Restorative Justice, 2007, გვ. 34.

⁴ იხ. განრიდება-მედიაციის პროგრამა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <http://ganrideba.ge/?action=page&pid=52&lang=geo>

⁵ იხ. მჭედლიშვილი-ჭედრიძი, ქ., საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016, გვ. 665.

ხასიათს, რაც მნიშვნელოვანია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში თანამედროვე სახელმწიფოს გამოწვევებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყნის სასამართლოსა და პროკურატურის პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როცა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ, სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართულებით, ტარდებოდა მაქსიმალურად მკაცრი ზომები, მაგ: რამდენიმე ხის ფიცრის ქურდობის, 2-3 კილო ფერადი ლითონის და სხვადასხვა მცირე ღირებულების მქონე ნივთების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების ფაქტებზე,⁶ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი უმკაცრესად ისჯებოდა. ბუნებრივია, რომ აღნიშნული ხორციელდებოდა სისხლის სამართლის მკაცრი პოლიტიკის გატარების შედეგად, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობდა საზოგადოებაში არასრულწლოვანთა კრიმინალის ზრდას. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ, სამეცნიერო და სამოქალაქო საზოგადოებებთან აქტიური კონსულტაციების შემდგომ, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პოლიტიკის ჰუმანური ხასიათის შექმნის კუთხით, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, რადგან აღნიშნულის შედეგად, საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.⁷

აღნიშნული კოდექსის მიზანია, მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა, მეორეული ვიქტიმიზაციისა და ხელახალი ვიქტიმიზაციის, ასევე, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.⁸ კანონმდებელმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, არსებითი ყურადღება გაამახვილა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესზე, განხვავებული ფორმით შემოგვთავაზა არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები, თუმცა გაჩნდა გარკვეული ორაზროვნება, საჯარო და საუკეთესო ინტერესთა ბალანსთან მიმართებაში. შესაბამისად, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები აქტუალურია, თუმცა ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ კვლევას, თეორიულის გარდა, დიდი

⁶ იხ. შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, 2013, გვ. 143.

⁷ იხ. ივანიძე, მ., სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, 2017, გვ.5.

⁸ იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განმარტებითი ზარათი, საქართველოს პარლამენტი, <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/245462>.

პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს და სათანადო გაანალიზებას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, დისერტაციაში განიხილება არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების წარმომავლობა და განვითარების ისტორია, როგორც ქართული ჩვეულებითი სამართლის, ისე სხვადასხვა თანამედროვე ქვეყნების სამართლის მიხედვით. ასევე განიხილება ტრადიციული და აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელები, მათი განმასხვავებელი ნიშნები, გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება, არასრულწლოვანთა განრიდება/მედიაციის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის თავისებურებებზე, მიზანზე, სტრუქტურასა და ამოცანებზე. გაანალიზდება სპეციალიზაციის სტანდარტი, ასევე ერთის მხრივ, არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამაში ჩართვის წინაპირობები, განრიდების ღონისძიებები, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის არსი, ფარგლები და მეორეს მხრივ, მედიაციის იდეა და მიზნები. ამ კუთხით განიხილება საერთაშორისო რეგულაციები და სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო მიდგომები, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში წარმოქმნილ ერთიან კლიმატზე მიუთითებს. დეტალურად იქნება განხილული, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ სასამართლო-პროკურატურის ორგანოების პრაქტიკა, სტატისტიკური მონაცემები და გარკვეული ტენდენციები, რომელთა საფუძველზეც განვსაზღვრავთ კონკრეტული სახის საკანონმდებლო ხარვეზებს და აღნიშნული მიმართულებით კანონმდებელს, ისევე როგორც, დაინტერესებულ პირთა წრეს, შევთავაზებთ საკანონმდებლო ნოვაციებს.

დისერტაციაში წარმოჩენილი თეზისები, შეხედულებები და რეკომენდაციები ერთგვარად დაეხმარება და ხელს შეუწყობს როგორც თეორიტიკოსს, ისე პრაქტიკოსს იურისტებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების არსის, მიზნების და ფარგლების უფრო მკაფიოდ, ახლებურად დანახვაში, ასევე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემების ნათლად იდენტიფიცირებასა და გადაწყვეტაში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ახალი სამეცნიერო-თეორიული და სასამართლო/საგამომძიებო ორგანოების პრაქტიკული პრობლემების გათვალისწინებით, თემა მეტად აქტუალურია სისხლის სამართლის პროცესისთვის. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების ჭრილში, თითოეული საკითხის ცალკეული განხილვა, ერთი დისერტაციის კვლევის ფარგლებში გარკვეულწილად შეუძლებელია,

თუმცა, კვლევის შედეგად, წარმოდგენილი პრობლემების სამეცნიერო ანალიზი, მნიშვნელოვნად გაუადვილებს მოცემული საკითხით დაინტერესებულ პირს, უფრო სიღრმისეულად წარმართოს სამეცნიერო საქმიანობა.

კვლევის მიზანი

სადისერტაციო კვლევის მიზანია, იურიდიული, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლისა და სასამართლო-საგამომძიებო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, ავხსნათ არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების არსი, მიზანი, მნიშვნელობა და ამოცანები. ამასთანავე, მოვახდინოთ ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრობლემების გაანალიზება და გადაჭრა, ქართული და საზღვარგარეთის ქვეყნების მართლმსაჯულებაში არსებული სადავო საკითხების შესწავლის საფუძველზე. კვლევა წარმართება რამდენიმე მიმართულებით, აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გაანალიზდება არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები, არასრულწლოვანთა განრიდება/მედიაციის პროგრამის ფარგლები, ამოცანები და დადებით მხარეები, რასთან თანაფარდობაშიც შევხებით არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის რისკებსა და ზეგავლენის შედეგებს. გარდა ამისა, კვლევის მიზანია, სასამართლო და საგამომძიებო ორგანოების პრაქტიკის, ასევე დემოკრატიული ქვეყნების მართლმსაჯულების ტენდეციების შესწავლის შედეგად, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების განხორციელების დადებითი და უარყოფით მხარეების განსაზღვრა და შესაბამისი დასკვნების გაკეთება. მითითებული საკითხების სრულად და ობიექტურად გაანალიზება-შესწავლის შედეგად, წარმოჩინდება არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ხარვეზები და სასამართლო/საგამომძიებო ორგანოების პრაქტიკაში არსებული გარკვეულწილად გაუმართლებელი მიდგომები.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი

ცნობილია, რომ საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად, კვლევის მეთოდოლოგია შეისწავლის, თუ როგორ უნდა მოხდეს, საკითხის მეცნიერულად წარმართვა და გაანალიზება. ნაშრომში, საკვლევი პრობლემური საკითხები განხილულია, ერთის მხრივ, ისტორიული და მეორეს მხრივ, შედარებით-სამართლებრივი თვალსაზრისით, საზღვარგარეთის თანამედროვე ქვეყნების სამართლებრივი ტრადიციებისა და გამოცდილების ფონზე, იგი შესაძლებლობას იძლევა, წარმოჩინდეს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების, კერძოდ, კი განრიდება/მედიაციის არსი, მიზანი და თავისებურებანი. კვლევის დროს გამოყენებულია, როგორც ფილოსოფიის და სამართლის თეორიის, ისე ლოგიკის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში არსებული საკვანძო საკითხები, ასევე აღნიშნული მიმართულებებით ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს საკვლევი საკითხების ყოველმხრივ, სიღრმისეულ შესწავლასა და ნაშრომის ზემოთ დასახელებული მიზნების მიღწევას. ასევე, ნაშრომში ძრითადად მოცემული შედარებით-სამართლებრივი მეთოდების გარდა, გამოყენებულია, დოგმატური, ფორმალურ-ლოგიკური და ასევე სხვა მეთოდები.

ნაშრომის სავარაუდო შედეგი

აღნიშნული ნაშრომი, ხელს შეუწყობს ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების კვლევას. მოცემული საკითხის გაანალიზებას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის პოლიტიკის სწორად და სამართლიანად განსაზღვრისთვის, რომელიც მნიშვნელოვანია, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ეს სამეცნიერო დოქტრინალური კვლევა-ძევა, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის მეცნიერული წინადადებების შემუშავებას.

თავი 1. აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და ფორმები

1.1. აღდგენითი მართლმსაჯულების ისტორიული ექსკურსი

დანაშაული, საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე, ნორმალური მოვლენაა და ვერც ერთი სახელმწიფო, მას საბოლოოდ ვერ მოიშორებს თავიდან.⁹ შესაბამისად, ყველა თანამედროვე ქვეყანა, ინდივიდუალურად ცდილობს ამ გამოწვევასთან ბრძოლის გზების მოძიებას. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სახელმწიფოებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემები დაცვასა და რეპრესიას შორის ლავირებს. ზოგმა სახელმწიფომ შექმნა სისტემა, რომელიც ეფუძნება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას, რომელსაც კეთილდღეობის მოდელი ეწოდება. სხვა სახელმწიფოებში კი, მნიშვნელოვანი ადგილი არასრულწლოვანთა დასჯას უკავია. ამ ორი ერთმანეთისგან განსხვავებული კონცეფციის გამოყენების შედეგად, შეიქმნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მესამე, მნიშვნელოვანი მოდელი, რომელიც აერთიანებს ორივე კონცეფციის ნიშნებს და რომელსაც აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელს უწოდებენ.¹⁰ არასრულწლოვანთა თანამედროვე მართლმსაჯულების სისტემის მთავარ არსს, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სრულწლოვნისგან განსხვავებული მოპყრობა წარმოადგენს.¹¹

იურიდიულ ლიტერატურაში, აღნიშნული საკითხი, სხვადასხვანაირად არის განმარტებული. სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის პროცესის მეცნიერებების მნიშვნელოვან მიმართულებას, აღდგენითი მართლმსაჯულება წარმოადგენს, რომელიც მოიცავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამივე ელემენტის: დანაშაულის ჩამდენი პირის, მსხვერპლისა და საზოგადოების ინტეგრირებას.¹²

ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, რომ ტრადიციული სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, ალტერნატიული მიდგომების ძიების პროცესში, აღდგენითი მართლმსაჯულება ხელახლა წარმოჩინდა, რომელიც ანტიკურ ხანაში მოქმედებდა, და მრავალი საუკუნის განმავლობაში აღარ ფუნქციონირებდა.¹³

⁹ იხ. Clinard, B., Marshall, R., Quinney, J., Wildeman, Criminal behavior systems, 2014, გვ.13.

¹⁰ იხ. შავოვიჩი, ნ., დოეკი, ი., ცერმატენი, ჟ. ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, 2012, გვ. 347.

¹¹ იხ. ქვრივიშვილი, თ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, 2022, გვ.13.

¹² იხ. ერცენი, ი., ჯავახიშვილი, ჯ., ჯავახიშვილი, ლ., აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, 2020, გვ.14.

¹³ იხ. Kasper, J., Schlickum, G., Weiler, E., Der Täter-Opfer-Ausgleich, München, 2014, გვ.6.

მნიშვნელოვანია აღდგენითი მართლმსაჯულების წარმოშობის ისტორია,¹⁴ აღდგენითი მართლმსაჯულება სამართლებრივ სისტემებში, განვითარდა ე.წ. „ქოლგა“ კონცეფციისა და გარკვეული საზოგადოებრივი მოძრაობის სახით. აღდგენითი მართლმსაჯულება მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყებს განვითარებას.¹⁵

აღსანიშნავია, რომ ინიციატივები და პოლიტიკური გამოწვევები აღდგენითი-იუვენალური მართლმსაჯულების თანამედროვე ფორმების ჩამოყალიბების გზაზე, მსოფლიოს მასშტაბით, შეიქმნა მრავალი პროგრამა, რომლებიც დღეს თავისუფლად შეიძლება იწოდებოდეს აღდგენითი მართლმსაჯულებისათვის განკუთვნილად.¹⁶ თავდაპირველად ყურადღება კონცენტრირებული იყო სამართალდამრღვევისა და მსხვერპლის შეხვედრებსა და შერიგებაზე.¹⁷ ეს გამოცდილება მთლიანად ადაპტირდა და გაზიარდა მოგვიანებით განვითარებულ საშუამავლო-მომრიგებლობით მოდელებში. უფრო გვიან ასეთ შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ ორივე მხარის ოჯახის წევრები და მეგობრებიც, ასევე პროფესიონალი იურისტები და საზოგადოებაში გავლენის მქონე სხვა ადამიანები. აღდგენითი მართლმსაჯულების თანამედროვე დარგი წარმოიშვა 1970-იან წლებში, ჩატარებული საქმის კვლევების შედეგად, გარკვეულ საზოგადოებრივ თემებში, რომელშიც მენონიტი მოსახლეობა მნიშვნელოვანი პროპორციით იყო წარმოდგენილი. მენონიტები და სხვა რელიგიური ჯგუფები აქტიურად ცდიდნენ დამნაშავეს და დაზარალებულის შეხვედრის ეფექტურ მეთოდებს, რის შედეგადაც ხსენებულ თემებში ჩამოყალიბდა გარკვეული პროგრამები, რომლებიც შემდგომ მსოფლიო მასშტაბით ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა.¹⁸ სწორედ, აღნიშნული ცდების შედეგად წარმოიშვა, აღდგენითი მართლმსაჯულების თეორია. აღსანიშნავია, რომ ამ მოძრაობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის სხვადასხვა

¹⁴ ისტორიული კვლევები ადასტურებს, რომ ადრეულ რომის სამართალში, არსებობდა სწავლება არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის შესახებ. მოგვიანებით კი, ინკვიზიციურ მართლმსაჯულებაში არასრულწლოვანთა მდგომარეობა სრულწლოვანთა მდგომარეობას გაუთანაბრდა და ბავშვების მიმართ გამოიყენებოდა, როგორც წამება, ასევე უფროსებისათვის განკუთვნილი სხვა სასჯელებიც, მათ შორის, სიკვდილით დასჯაც. არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის შემსუბუქება და არასრულწლოვანთა აღზრდა-გამოსწორებისათვის სპეციალური დაწესებულებების შექმნის პერიოდი მიიჩნევა იუვენალური მართლმსაჯულების წინასტორიულ ეტაპად. სისხლისსამართლებრივ წარმოებაში იუვენალური მართლმსაჯულების მიმართ ინტერესი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIX საუკუნეში ახალი ძალით წარმოიშვა და შემდეგ პერიოდში კიდევ უფრო ფართო განვითარება ჰპოვა. XX საუკუნე ინდუსტრიალიზაციისა და „ბოლოქარი კაპიტალიზმის“ განვითარების ეპოქად მიიჩნევა. სწორედ ამ სწრაფი და უკონტროლო განვითარების პირობებში, არასრულწლოვნების დიდი ნაწილი არასახარბიელო გარემოში აღმოჩნდა. ზოგიერთმა მათგანმა „ქუჩას“ შეაფარა თავი. ამან არასრულწლოვანთა მხრიდან ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების რიცხვი ერთიორად გაზარდა. ბავშვთა შრომის გამოყენება, უქონლობა, შიმშილი, საშინელი საცხოვრებელი პირობები, ალკოჰოლიზმი, მაწანწალობა, მათხოვრობა და პროსტიტუცია საფუძველი გახდა იმისა, რომ საზოგადოებას ბავშვთა პრობლემების მიმართ განსაკუთრებული ყურადღება გამოეჩინა. იხ. Чарыхов, Х.М., Отношение действующего уголовно процесс 1956, გვ.24.

¹⁵ იხ. Sobie, M., The Juvenile Offender act: Effectiveness and impact on the New York Juvenile justice system, 1981 გვ. 34.

¹⁶ იხ. Braithwaite, J., Principles of restorative justice, 2003, გვ. 55.

¹⁷ იხ. Bentham, J., The Principles of Morals and Legislation, 1994, გვ. 47.

¹⁸ იხ. ზეჭრი, ჰ., აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი, 2013, გვ. 32.

კულტურულ, სოციალურ, თუ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, განსაკუთრებით კი, ჩრდილოეთ ამერიკისა და ახალი ზელანდიის მკვიდრ ხალხებს.¹⁹ იურიდიულ ლიტერატურაში მოცემულია, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების ფესვები, ბევრად უფრო ისეთორიულია და შორეული წარსულიდან იღებს დასაბამს, ვიდრე 1980-იან წლებში მენონიტთა საზოგადოებაში განვითარებული ინიციატივები.²⁰

რაც შეეხება, აღდგენითი მართლმსაჯულების პირველ შემთხვევას, კანადაში 1974 წელს დაფიქსირდა, სადაც უფლებამოსილმა პროზაციის წარმომადგენელმა მოსამართლესთან დააყენა გარკვეული შუამდგომლობა იმასთან დაკავშირებით, რომ ვანდალიზმის დანაშაულის ჩამდენი ორი მოზარდი ამ დანაშაულის მსხვერპლთან შეხვედრებინათ, რათა აღნიშნულ მოზარედებს, გარკვეულწილად გაეცნობიერებინათ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმე.²¹

აღდგენითი მართლმსაჯულებაში, ისტორიულად ცნობილ შემთხვევას ახალი ზელანდიიდან, წარმოადგენს ე.წ. „ოჯახის ჯგუფური კონფერენცია,“ რომელიც კონფლიქტის შეთანხმებით მოგვარების პრინციპს ეფუძნება.²² აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელის, მაგალითს წარმოადგენს ასევე ე.წ. „მშვიდობის წრეები,“ რომლებიც დაფუძნებულია ჩრდილოეთ ამერიკის ისტორიული მართლმსაჯულების ტრადიციებზე.²³

პრაქტიკი კომპონენტის განვითარებასთან ერთად, ამ პროცესში ჩაერთო, როგორც დაზარალებულის, ისე ბრალდებულის ოჯახის წევრები, ასევე მათი ახლო მეგობრებიც,²⁴ რამაც შედეგზე უფრო მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია.

აღსანიშნავია, რომ ბრალდებულისა და დაზარალებულის მედიაცია, 1980-იანი წლებიდან ჩნდება დიდ ბრიტანეთში, ასევე სკანდინავიისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. მედიაცია, განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. მაგ: 1989 წლიდან ახალი ზელანდია, აღდგენითი მართლმსაჯულების მნიშვნელოვან პრინციპებზე აფუძნებს არასრულწლოვანთა

¹⁹ იხ. Kasper, J., Schlickum, G., Weiler, E., Der Täter-Opfer-Ausgleich, München, 2014, გვ. 6, Zehr H., The Little Book of Restorative Justice, 2015, გვ. 19.

²⁰ იხ. Bazemore, G., Umbreit, M., Rethinking the Sanctioning Function in Juvenile Court: Retributive or Restorative Responses to Youth Crime, Journal of Crime and Delinquency, 1995, გვ. 132.

²¹ იხ. ხერხელიძე, ი., არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი იუვენალური იუსტიციის სისტემაში, სამართლის ჟურნალი, N2, 2012, გვ. 289.

²² იხ. Braithwaite, J., Principles of restorative justice, 2003, გვ. 56.

²³ იხ. იქვე, გვ. 56.

²⁴ იხ. Kilchling, M., Opferschutz und der Strafanspruch des Staates, Fragen und Antworten Zum Jugendstrafrecht, 2002, გვ. 34.

მართლმსაჯულებას.²⁵ აღსანიშნავია, რომ ქ. ჩიკაგოში პირველი საბავშვო სასამართლო დაარსდა 1899 წელს. სასამართლოს ჩამოყალიბების ერთ-ერთი საფუძველი გახდა არასრულწლოვანთა დანაშაულის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც გარკვეულწილად დაკავშირებული იყო იმ პერიოდის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობასთან.²⁶

1931 წელს ილინოისის შტატში მიიღეს კანონი, რომლის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ არასრულწლოვნის და სრულწლოვანის სასჯელები განსხვავებული უნდა ყოფილიყო ერთმანეთისგან.²⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე, „ბავშვობა,“ ადამიანის ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპი, გახდა ე.წ. „განვითარების სტადია,“ როცა მოზარდი ერწყმის სოციალურ, საზოგადოებრივ გარემოს, შესაბამისად, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის ერთპიროვნული დასჯა ჩაანაცვლა, აღზრდისა და გამოსწორების იეოლოგიამ.²⁸

წარსულში ბავშვი არ აღიქმებოდა, როგორც სრულფასოვანი ადამიანი, მხოლოდ XIX საუკუნეში დაიწყო საუბარი ბავშვის სრულფასოვან ცხოვრებაზე, ბავშვის პიროვნებაზე, აღზრდის მნიშვნელობაზე. იურისტები, ფილოსოფოსები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, სულ უფრო ფართოდ გამოთქვამდნენ მოსაზრებებს პედაგოგიური კონცეფციების შესახებ.²⁹

რაც შეეხება აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართულებით სასამართლოთა სპეციფიკას, მეოცე საუკუნის დასაწყისში, აშშ-ის რამდენიმე შტატში ჩამოყალიბდა არასრულწლოვანთა სპეციალური სასამართლოები, ხოლო 1945 წლის მდგომარეობით მთლიანად აშშ-ში იწყებს ფუნქციონირებას.³⁰

რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რევოლუციამდე რუსეთში აღნიშნული მიმართულებით, არასრულწლოვანთა საქმეების განმხილვლი პირველი სასამართლო ჩამოყალიბდა 1910 წელის 22 იანვარს ქალაქ სანქტ-პეტერბურგში. თუმცა ოქტომბრის რევოლუციამდე, მსგავსი სასამართლოები ფუნქციონირებდა რუსეთის სხვა ქალაქებშიც, მაგ: ხარკოვში და მოსკოვში.³¹ აქვე აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა პირველი სასამართლო საფრანგეთში ჩამოყალიბდა 1914 წელს, ხოლო სასჯელის

²⁵ იხ. იქვე, გვ.34.

²⁶ იხ. Sobie, M., The Juvenile Offender act: Effectiveness and impact on the Nev York Juvenile justice system, 1981, გვ.677.

²⁷ იხ. იქვე, გვ.678.

²⁸ იხ. Davis, S. M., Children's Rights Under and the Law, Oxford University Press, 2011, გვ.62.

²⁹ იხ. Woods, Ph., Ashley, M., Findings from the survey and case studies, 2005, გვ.206.

³⁰ იხ. იქვე, გვ. 207.

³¹ იხ. Лубенский, А.И., Предварительное расследование по законодательству капиталистических государств, 1977, გვ.45.

ალტერნატიულ სახეობად განისაზღვრა, კონტროლი და დაკვირვება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ.³²

აღსანიშნავია, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების გარკვეული ფორმით დაინერგა, ასევე ტაილანდში, გაერთიანებულ სამეფოში და ახალ ზელანდიაში.³³ აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში დამნაშავე და დაზარალებული, აქტიურად მონაწილეობენ დანაშაულის შედეგად წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებაში.³⁴ აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში შესაძლებელია სხვადასხვა პროგრამის გამოყენება, მაგ: დამნაშავეს და მსხვერპლის შერიგება, ოჯახის და საზოგადოებრივი ჯგუფის კონფერენცია და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.³⁵ იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება თავდაპირველად, იყო გარკვეული მცდელობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან გასამკლავებლად. ხოლო შედგომში აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომები გამოიყენებოდა მძიმე კატეგორიის დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის შემთხვევებშიც, მაგ: ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვა, რამაც ადამიანის გარდაცვალება გამოიწვია, ასევე სხვა ძალადობრივ ქმედებების ჩამდენ პირებთან მიმართებაშიც.³⁶ აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, 1987 წლის 17 სექტემბერს, ევროსაბჭოს შემადგენლობაში მყოფ სახელმწიფოებს რეკომენდაციით მიმართა, რაც ითვალისწინებდა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში „დისკრეციული სასამართლო დევნის,” ფართოდ დანერგვას. ასევე, 2003 წლის 24 სექტემბერს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, მონაწილე სახელმწიფოების მიმართ რეკომენდაცია მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ახალი მეთოდების გამოყენების თაობაზე.³⁷ აღნიშნული რეკომენდაციის მიღებით, ხაზი გაესვა იმ საკითხს, რომ ტრადიციული სისხლის სამართლის მიდგომები, მოზარდ დამნაშავეებთან დაკავშირებით, გარკვეულწილად აღარ იძლეოდა ეფექტურ შედეგს აღდგენითი მართლმსაჯულების ინსტიტუტს ახასიათებს სხვადასხვა, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მიდგომები და მეთოდები, რომელთა მთლიანობაც ამ სახის მართლმსაჯულების პოპულარობას განაპირობებს.³⁸

³² იხ. ნოზაძე, ლ., იუვენალური იუსტიციის განვითარების ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები, 2017, გვ.107.

³³ იხ. იქვე, გვ.107.

³⁴ იხ. ჰამილტონი, ე., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო, 2010, გვ.14.

³⁵ იხ. ზეჰრი, ჰ., აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი, 2013, გვ. 38.

³⁶ იხ. Kilchling, M., Opferschutz und der Strafanspruch des Staates, Fragen und Antworten Zum Jugendstrafrecht, 2002, გვ.47.

³⁷ იხ. იქვე, გვ. 47.

³⁸ იხ. გორგოძე, მ., იუვენალური იუსტიციის ორგანიზაციულ სამართლებრივი მოდულები და ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი პრობლემატური საკითხი ამ მოდელთა ჭრილში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, 2017, გვ.90.

აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართულებით გარკვეულწილად სპეციფიკურია და სამართალგანვითარების მაღალ საფეხურზე დგას ქართული ჩვეულებითი სამართლი, რომელშიც ვხდებით არასრულწლოვნის განვითარებულ ინსტიტუტს და ლიბერალურ პოლიტიკას. ამ კუთხით ვფიქრობთ, საინტერესოა, აღდგენითი მართლმსაჯულების ჭრილში განვიხილოთ ქართული ჩვეულებითი სამართლის მიდგომები.

1.2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ძველი ქართული სამართლის მიხედვით

ქართული სამართლის ისტორიაში არასრულწლოვანს მისი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ვ.მეტრეველი აღნიშნავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წარმომავლობა რომაული სამართლიდან მომდინარეობს, რომელიც ორი მიმართულებაა დომინანტი: პირველი სადამსჯელოა, ხოლო მეორე გარკვეულწილად მხარდამჭერი და საზედამხედველო. სადამსჯელო მიმართულება გულისხმობს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებას მოზარდებისთვის.³⁹ აღსანიშნავია, რომ ორივე მიმართულება, რომელიც ეხება არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ძირითადად არის განხილული ქართული სამართლის, ისტორიულ წყაროებში.

ძველი ქართული სამართალი, იცნობს არასრულწლოვანთა დამნაშავეობის განვითარების სხვადასხვა სტადიებს. აღნიშნულის ნათელსაყოფად იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია, რომ ქართული სისხლის სამართლის ისტორიაში სასჯელების გამოყენების ფარგლები, მისი მიზნები და ამოცანები მრავალ მნიშვნელოვან ფაქტორზე იყო ორიენტირებული. ამ კუთხით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვეყნის, როგორც სოციალური და ეკონომიკური, ისე პოლიტიკური განვითარების დონე.⁴⁰ ქართული სამართლებრივი კულტურის დადასტურებაა, ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში, ბრალის, როგორც პასუხისმგებლობის საკითხის დამუშავება, რომელიც მაღალ დონეზე იყო განსაზღვრული. ლაპარაკია იმაზე, რომ პასუხისმგებლობა განისაზღვრება, არა მხოლოდ, იმის მიხედვით, რომ დანაშაულებრივი ქმედება სახეზეა, არამედ იმითაც, თუ როგორ ფსიქიკურ დამოკიდებულებაშია პირი მის მიერ ჩადენილ ქმედებისათან.⁴¹ ჭკუასუსტებს, სულით ავადმყოფებსა და სათანადო ასაკს მიუღწევლებს, არ ეკისრებოდათ

³⁹ იხ. მეტრეველი, ვ., ქართული სამართლის ისტორია, 2009, გვ. 43.

⁴⁰ იხ. ნადარეიშვილი, გ., ქართული სახელმწიფოს და სამართლის ისტორია, 2002, გვ. 46.

⁴¹ იხ. დავითაშვილი, გ., დანაშაულის სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში, 2017, გვ.58

პასუხისმგებლობა. ეს მაშინ, როცა ევროპის ქვეყნებში ასამართლებდნენ ცხოველებს, მწერებს და უსულო საგნებსაც კი. სამართლის ისტორიაში მოცემულია ასეთი ფაქტიც: მარჩენალი თხა გაასამართლეს რუსეთში და სასჯელად ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. ამავე ქვეყანაში, ყური ჩამოტეხეს ეკლესიის ზარს და გააციმბირეს.⁴² საერო კანონმდებლობაში, ნათლად ჩანს, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებელი, სასჯელის მიზანს, განიხილავს, როგორც დანაშაულის წინასწარ აღკვეთას.⁴³ ქართული საისტორიო წყაროებიდან დასტურდება, XI-XII საუკუნეებში ქართული სამართლის ჰუმანური ხასიათი. რაც დაკავშირებული იყო, არა რომელიმე მეფის თუ მთავრის ზნეკეთილობაზე, არამედ, განპირობებული იყო ქართული სახელმწიფოებრიობის და კულტურის აღმავლობით.⁴⁴

სამაგიეროს მიზღვა, ძველ ქართულ სამართალში წარმოდგენილია, როგორც სასჯელის ერთგვარი მიზანი. თუმცა, აღსანიშნავია, ასევე ისიც, რომ სასჯელს პრევენციული დანიშნულებაც ჰქონდა. საინტერესოა საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ ამ პერიოდისთვის ვინ შეიძლება ყოფილიყო დანაშაულის ამსრულებელი და ასევე სისხლის სამართლის რა ღონისძიებების გამოყენებით ხდებოდა ამ უკანასკნელის დასჯა. როგორც ქართული სამართლის ისტორიიდან ჩანს დანაშაულის სუბიექტის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო ქმედების ჩამდენის სათანადო ასაკი.⁴⁵

ი. ჯავახიშვილი საეჭვოდ აყენებს მოსაზრებას, იმის თაობაზე, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწყების საკითხი, 30 წლის ასაკიდან ძველ ქართულ სამართალში არ უნდა ყოფილიყო. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექვთიმე მთაწმინდელს, ნაცვლად 30 წლის ასაკისა, თარგმანში აღუნიშნავს, როგორც „უსუბუქესად დასჯა.“⁴⁶

ისტორიულ წყაროებში, არსებითი ყურადღება არ არის გამახვილებული არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ დევნაზე, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ აღნიშნულ პერიოდში არასრულწლოვანთან დაკავშირებით ხელისუფლება ატარებდა სისხლის სამართლის მაქსიმალურად ჰუმანურ პოლიტიკას. აქვე დავამატებთ, რომ ქართული სამართლებრივი კულტურა უპირველესად, კანონშემოქმედებაში ვლინდება. ამ ხასიათის ჩვენამდე მოღწეული პირველი ძეგლი ბაგრატ კურაპალატის

⁴² იხ. იქვე, გვ. 59.

⁴³ იხ. ვაჩიშვილი, ა., მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე, 1997, გვ.56.

⁴⁴ იხ. მეტრეველი, ვ., ქართული სამართლის ისტორია, 2009, გვ. 253.

⁴⁵ იხ. იქვე, გვ. 230.

⁴⁶ იხ. ჯავახიშვილი, ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი N8, 1979, გვ. 201.

სამართლის წიგნის ფრაგმენტია, რომელიც IX საუკუნით თარიღდება. შემდეგი პერიოდის ქართული სამართლის ძეგლებიდან აღსანიშნავია: ხელმწიფის კარის გარიგება (XII ს), ბექა-აღბუღას სამართალი (XIII -XIV სს), გიორგი ბრწყინვალეს სამართლის წიგნი (XIV ს), კათალიკოსთა სამართალი (XVI ს), დასტურლამალი (XVIII ს), ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, კოდიკო და სხვა.⁴⁷

აღსანიშნავია, რომ ჰუმანურობა ძველი ქართული სამართლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა, რითაც იგი განსხვავდება ევროპისა და რუსეთის კანონმდებლობისაგან. მართალია, ქართული სამართალი, სხვა ქვეყნებისა და ხალხების მსგავსად, იცნობს ისეთ სასჯელებს, როგორცაა: დასახიჩრება, დაბრმავება, სიკვდილით დასჯა, მაგრამ ვერსად ვერ შევხვდებით ამ სასჯელების ისეთი ველური ფორმით გამოყენებას, როგორც ეს იყო XVII-XVIII საუკუნეების რუსეთში, მაგალითად, ოთხად დაჭრა ან ცოცხლად დამარხვა, ბორბლებზე დაგლეჯა და სხვა.⁴⁸

საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხში, რომელთა ისტორიული განვითარება სპეციფიკურობით გამოირჩევა, ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულებანი და ტრადიციები წარმოდგენას გვიქმნიან ქვეყნის შიგნით არსებულ ცალკეულ სოციალური ფენების ყოფაცხოვრებაზე.⁴⁹ შესაბამისად, არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გარკვეულწილად თავისებურებით გამოირჩეოდა. ამ კუთხით გასაკუთრებით აღსანიშნავია, სვანური და ხევსურული წეს-ჩვეულებები. არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის საკითხი მოცემულია სვანურ და ხევსურულ ადათ-წესებში.⁵⁰ გ. დავითაშვილის განმარტებით, სწორედ ამ ორი კუთხის ჩვეულებითი სამართალი ქმნის ყველაზე სრულყოფილ

⁴⁷ იხ. ნადარეიშვილი, გ., ქართული სახელმწიფოს და სამართლის ისტორია, 2002, გვ. 48.

⁴⁸ იხ. დავითაშვილი, გ., დანაშაულის სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში, 2017, გვ. 59.

⁴⁹ იხ. ცნობილაძე, ნ., ფშავ-ხევსურეთში ძველად გავრცელებული სისხლისსამართლებრივი ურთიერთობები, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N3, 2018, გვ. 29.

⁵⁰ ადათ-წესები, ჩვეულებები დაუწერელი ქვეყის წესებია, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ხალხთა მასების ყოველდღიური ცხოვრების საფუძველზე. ისინი აწესრიგებენ ცალკეულ საზოგადოებათა ჯგუფებში წარმოქმნილ სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს. აღსანიშნავია, რომ ჩვეულებითი სამართლის ნორმები, როგორც წესი, ხორციელდება უმრავლეს შემთხვევაში. მხოლოდ განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში, მაგალითად, ფშავში არსებული ჩვეულებითი სამართლის ნორმები, შეიძლება არ ვრცელდებოდეს საქართველოს სხვა ტერიტორიაზე. მასასადაძე, ჩვეულებითი სამართლის ნორმები, როგორც წესი, ადგილობრივი ხასიათის მატარებელი ქვეყის წესებია. საუკუნის განმავლობაში საქართველოში მოქმედი წეს-ჩვეულებების შესწავლის მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ, ჩვენამდე მოღწეული უცხოური და ქართული წერილობითი ძეგლები. სხვადასხვა ავტორის მიერ გამოქვეყნებული ეთნოგრაფიული ხასიათის მასალები. გარდა ამისა, საქართველოში მოქმედ წეს- ჩვეულებებზე წარმოდგენას გვიქმნის ქართველ მწერალთა მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც გადმოცემულია ის ნორმები, რომლებიც მოქმედებდნენ ადრე და ამ ნაწარმოების დაწერის პერიოდში. იხ. იქვე, გვ. 29.

წარმოდგენას, ზოგადად ქართულ ჩვეულებით სამართალზე. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

1.2.1. არასრულწლოვანი სვანურ და ხევსურულ ჩვეულებით სამართალში

სვანური და ხევსურული ჩვეულებითი სამართალი მდიდარია არასრულწლოვნის მიმართ მოპყრობის სპეციფიკური ხასიათით. სვანურ ჩვეულებით სამართალში ფიქსირდება სამართალ განვითარების ის ეტაპი,⁵¹ როდესაც მცირეწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენა, ჩვეულებრივ, იწვევს პასუხისმგებლობას, ხოლო დამნაშავის განსაზღვრული ასაკი და შერაცხადობა, პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელი პირობა არაა. იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია, რომ როგორც სვანურ, ასევე ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, მცირეწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მისი ოჯახი თუ ნათესაობა ითვლება დანაშაულის სუბიექტად, პასუხისმგებლად ამ დანაშაულისათვის, როგორც ეს სრულწლოვანი, შერაცხადი პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში იქნებოდა.⁵² იურიდიულ ლიტერატურაში განხილულია, რომ სამართალ განვითარების გარკვეულ ეტაპზე, სვანური და თავის მხრივ ხევსურული ჩვეულებითი სამართალი ითვალისწინებდა არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ცალკეულ ჰუმანურ მიდგომებს. ასევე სუბიექტური შერაცხვის პრინციპიდან გამომდინარე, არასრულწლოვანი მოხსენიებულია სულით ავადმყოფთან ერთად. თუ სულით ავადმყოფი ან მცირეწლოვანი მოკლავდა ვინმეს „წორი“-ის⁵³ საზღაურის გადახდა გარკვეული შეღავათით ხდებოდა და შესაძლოა გადასახადი ნახევარ წორამდეც შეემცირებინათ.⁵⁴

⁵¹ სამართალ განვითარების მოძველებულ ეტაპზე, ქართულ ჩვეულებით სამართალში დანაშაულის სუბიექტად, ნათესაური ჯგუფის გარდა, ტერიტორიული ერთეულიც მიიჩნევა, კერძოდ, თემი და სოფელი. ამ ტერიტორიული ერთეულების მცხოვრებთა ერთობლივი პასუხისმგებლობა შესაძლოა დამდგარიყო მათ მიერ როგორც ერთობლივად, ასევე, ამ ტერიტორიული ერთეულის ცალკეული მცხოვრების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. ტერიტორიული ერთეულის, როგორც ერთიანი კორპორაციის პასუხისმგებლობა მის წევრთა მიერ ჩადენილი ერთობლივი დანაშაულისათვის ქართულ ჩვეულებით სამართალში, კონკრეტული ფაქტებით დასტურდება. იხ. დავითაშვილი გ., მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, გვ.6.
⁵² იხ. დავითაშვილი, გ., დანაშაულის სუბიექტი ქართულ ჩვეულებით სამართალში, სამართლის ჟურნალი, N1,2010,გვ. 8.

⁵³ მკვლელობისთვის გათვალისწინებულ სისხლის ფასს სვანეთში ერქვა „წორი“. ტერმინი „წორი“, მომდინარეობს სიტყვიდან სწორი და ფასის გადახდა-მიღებით გასწორებას ნიშნავს. თუ „ლიწვრი“, მოწინააღმდეგისადმი ფიზიკურ გასწორებას ნიშნავს, „სწორ“ საურავის მიღებით გასწორებას გულისხმობს. იხ. გასვიანი, გ., დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, 1973, გვ.169.

⁵⁴ იხ. დავითაშვილი, გ., დანაშაულის სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში, 2017, გვ.33.

სამართალგანვითარების ახალ ეტაპზე, გ.ჟორდანიას დაკვირვებით, ქართლის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, სულით ავადმყოფები და მცირეწლოვნები არანაირ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ ექვემდებარებიან. მცირეწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანისათვის პასუხს აგებს მისი მშობელი, ანუ მას ეკისრება მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა და არა სისხლისსამართლებრივი.⁵⁵ აქედან გამომდინარე, გონივრულ აზრს მოკლებულია სულით ავადმყოფისა, თუ მცირეწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მის ნაცვლად რომელიმე მოგვარის პასუხისმგებლობა.

მ.კეკელიას მიერ სვანეთში, მეოცე საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ჩაწერილი მასალებით დასტურდება, რომ სულით ავადმყოფის და მცირეწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენას, ჩვეულებრივ მოყვება ამ დანაშაულისთვის დაწესებული პასუხისმგებლობა.⁵⁶ თუმცა აღსანიშნავია, რომ სვანი ინფორმატორები ბავშვის ან სულით ავადმყოფის მიერ მკვლელობის, თუ დაჭრის შემთხვევაში, ხაზს უსვამენ, რომ ამ დროს იშვიათია შურისძიება, ძირითადად ხდება დამნაშავის ოჯახის მიერ ქონებრივი საზღაურის ანუ „წორის“ გადახდა და შურისძიებისთვის თავის არიდება.⁵⁷ ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ჩვეულებით სამართალში მოცემული შურისძიების ინსტიტუტი იშვიათად მოქმედებს, თუმცა, აქტიურად გამოყენებოდა შერიგების მექანიზმი. სვანი ინფორმატორის თქმით, პატარა ბიჭის მიერ მისი თანატოლის მოკვლის შემთხვევაში იშვიათად ისისხლებენ, ამ დროს მკვლელის მშობლებს „წორს“ გადაახდებინებენ და ასევე შერიგდებიან დაჭრის დროსაც.⁵⁸ მსგავსია, ასევე შერიგების მექანიზმი ხევსურულ ჩვეულებით სამართალში არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. საერთოდ არასრულწლოვნის მიერ ვინმეს დაჭრის შემთხვევაში, შერიგება შედარებით გაიოლებული იყო, ვინაიდან მას დაზარალებული მხარე ფაქტიურად არ ემტერებოდა.⁵⁹ შერიგება, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ქართულ ჩვეულებით სამართალში, საქართველოს მაღალმთიანი კუთხეების მიხედვით სპეციფიკურობით გამოირჩევა და ცალკე თავში განვიხილავთ.

⁵⁵ იხ. ჟორდანია, გ., სისხლის სამართალი ქართლის სოფლებში, 1908, გვ.184.

⁵⁶ იხ. კეკელია, მ., მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, N6, 1969, გვ.4

⁵⁷ იხ. იქვე, გვ.4.

⁵⁸ იხ. კეკელია, მ., მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული N2, 1968, გვ.43.

⁵⁹ იხ. დავითაშვილი, გ., შურისძიება და შერიგება ქართულ ჩვეულებით სამართალში, 2021, გვ. 479.

1.2.2. შერიგება ქართულ ჩვეულებით სამართალში, როგორც ადდგენითი მართლმსაჯულების ნაწილი

საქართველოს ყველა მთიან კუთხეში, მნიშვნელოვნად კი სვანეთში, ადგილობრივი ჩვეულებითი სამართალი გვთავაზობს შერიგების ჩამოყალიბებულ მექანიზმს, რომელიც გათვალისწინებული იყო ნებისმიერი ხასიათის კონფლიქტის მოსაგვარებლად, ეს იქნება უბრალო სამეზობლო დავა, თუ მკვლელობის შედეგად გამოწვეული სასტიკი მტრობა. შერიგების მიზანს წარმოადგენდა, ნებისმიერი სიმწვავის დაპირისპირებისას მხარეთა შორის კონფლიქტამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა.⁶⁰ სვანური ჩვეულებითი სამართლის წყაროების მიხედვით, აღსანიშნავია, ხალხური წესით დადგენილი შერიგების მექანიზმი.⁶¹ მისი ძირითადი არსი იყო საზოგადოებაში ჩამოგდებული შუღლის თუ კონფლიქტის ირგვლივ, თემის უხუცესი წევრების მიერ მცირე კონფლიქტზეც კი გარკვეული ზომების მიღება, რათა მომხდარი ინციდენტი არ გადაზრდილიყო უფრო მძიმე დაპირისპირებაში. ამ კუთხით შერიგების მიზანს წარმოადგენდა, ნებისმიერი სიმწვავის დაპირისპირებისას მხარეთა შორის კონფლიქტამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა.⁶² ქართული ჩვეულებითი სამართლის განვითარების ასპექტებზე მეტყველებს აგრეთვე ისიც, რომ სვანეთის რეგიონში, იქ სადაც შურისძიების და სისხლის აღების შემთხვევები საკმაოდ მრავლად მოიძებნება, შერიგების მექანიზმის არსებობას და მის გამოყენებას დიდი ყურადღება ექცეოდა. აღსანიშნავია, რომ შურისძიების, სისხლის აღების შემთხვევაშიც მხარეთა შორის კონფლიქტის აღმოფხვრა უპირატესად შერიგებით იყო შესაძლებელი, რადგანაც შურისძიებას, თუ შერიგება არ მოჰყვებოდა სრულიად შესაძლებელი იყო საპასუხო დანაშაულთა მთელი ჯაჭვი.⁶³ აღსანიშნავია, სვანურ ჩვეულებით სამართალში შუაკაცობის, ანუ შუამავლობის ინსტიტუტი. შუამავლების ფუნქციას ასრულებდნენ საზოგადოების ავტორიტეტული, თავისი პატიოსნებით, წესიერებით გამორჩეული პიროვნებები, რომელთაც ჰქონდათ ცხოვრებისეული გამოცდილება და დაზარალებულის დარწმუნების უნარი, კარგად იცოდნენ ჩვეულებითი

⁶⁰ იხ. დავითაშვილი, გ., დანაშაულის სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში, 2017, გვ.36.

⁶¹ როდესაც ხელისუფლება ხედავდა, რომ საზოგადოებაში მშვიდობის დასამყარებლად უფრო ეფექტური შერიგების ხალხური მექანიზმის გამოყენება იყო, იგი ხელს უწყობდა კიდევ მას. მაგ: სვანეთში ორი გვარის (გირგვლიანების და ფარჯიანების) ხანგრძლივი მტრობა ლატალის საზოგადოებას ორ ნაწილად ყოფდა და მასში შფოთი და არეულობა შეჰქონდა. შერიგების ყოველმა მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა. 1908 წელს ლატალის სკოლის მასწავლებელთან მივიდა ლატალის მამასახლისი დ. წერედიანი და სთხოვა მას, ჩართულიყო გირგვლიანებისა და ფარჯიანების შერიგების საქმეში. ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს შესაძლებლობას სახელმწიფო ხელისუფლებამ საზოგადოებაში მშვიდობიანობის დასამყარებლად და მკვლელობათა ჯაჭვის შესაწყვეტად, საკუთარი უძღვრობის პირობებში გამოიყენოს შერიგების ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული მექანიზმი. იხ. გაბლიანი, ე., თავისუფალი სვანეთი, 1927, გვ.99.

⁶² იხ. დავითაშვილი, გ., შურისძიება და შერიგება ქართულ ჩვეულებით სამართალში, 2021, გვ. 251.

⁶³ იხ. იქვე, გვ. 251.

სამართალი.⁶⁴ ეს პიროვნებები ასრულებდნენ ჩვეულებრივ მედიატორის როლს კონფლიქტის მონაწილე მხარეთა, ან დაზარალებულს და დამნაშავეს შორის. სვანური ჩვეულებითი სამართალი, განვითარების იმ ეტაპზეა, რომ იცნობს დამნაშავე/დაზარალებულს შორის შერიგების პროცესის გარკვეულ სტადიებს:⁶⁵ შუამავლის ჩართვა შერიგების პროცესში, შუამავლის მოლაპარაკება დაზარალებულთან, დამნაშავეს და დაზარალებული მხარის პოზიციების შეჯერება და ბოლო ეტაპი იყო შერიგება, რაც ასევე შესაძლებელია გარკვეული სუფრითაც აღნიშნულიყო. შერიგების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საკმაოდ რეგლამენტირებული სახე იყო შერიგება სამედიატორო სასამართლოს მიერ.⁶⁶ სვანეთში მედიატორებს მორვებს უწოდებდნენ, რომლებიც დიდ როლს თამაშობდნენ დამნაშავეს და დაზარალებულის მხარეთა შერიგებაში.⁶⁷ სამედიატორო სასამართლოს სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით სპეციალურ ტერმინს „ტოლობის ფიცის“ ამ ფიცს დებდნენ მორვები მხარეთა წინაშე და აღუთქვამდნენ სამართლიანი განჩენის გამოტანას. ასევე ტოლობის ფიცს დებდა დამნაშავე მხარე დაზარალებულის მოთხოვნით. ტოლობის ფიცის ფორმულა ასე გამოიყურებოდა „შენს ადგილას მე, რომ ვყოფილიყავი, გაპატიებდიო.“⁶⁸ როცა დამნაშავე დაზარალებულ მხარეს ფიცით დაუდასტურებდა, რომ დაზარალებულის ადგილას, რომ ყოფილიყო ისიც უარს იტყოდა შურისძიებაზე და შერიგებას დათანხმდებოდა, ცხადია, ეს დაზარალებულს შეაძლებინებდა გადაედგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი შერიგებისკენ. საბოლოოდ შერიგების დაწყება ტოლობის ფიცის მეშვეობით, სვანური ჩვეულებითი სამართლის განვითარების გარკვეულ ეტაპზე შედარებით მსუბუქ საქმებზე ხდებოდა, შედარებით გვიანდელ პერიოდში, ტოლობის ფიცით საბოლოო შერიგება მომხდარა მკვლელობის ჩადენის დროსაც.⁶⁹ სვანური ჩვეულებითი სამართლის მსგავსად შერიგების სპეციალური წესები გვხვდება ასევე ფშავ-ხევსურეთში. სადაც საუკუნეების განმავლობაში, შერიგების საკმაოდ ცნობილი მექანიზმი იყო „რიგის ყენება“,⁷⁰ როგორც სისხლის აღების ალტერნატიული მექანიზმი.⁷¹

⁶⁴ იხ. მერაბიშვილი, ჯ., მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, 1989, გვ.10.

⁶⁵ იხ. კედელიძე, მ., ლეჩხუმის მასალა, პირადი არქივი, 1951, გვ.6.

⁶⁶ იხ. დავითაშვილი, გ., სამედიატორო სასამართლო სვანეთში, 2002, გვ.56.

⁶⁷ იხ. იქვე, გვ. 56.

⁶⁸ იხ. დავითაშვილი, გ., ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, 2016, გვ.143.

⁶⁹ იხ. კეკელია, მ., მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე. ეთნოგრაფიული რვეული NI, 1967, გვ.54.

⁷⁰ ხევსურული სამართალი იცნობს რიგის ყენების ცალკეულ სახეობებს: საქალო რიგი, სახლის რიგი, სადედო რიგი, საგვარო რიგი, სამძო რიგი, რაც ნათლად ადასტურებს, ხევსურული ჩვეულებითი სამართალი იყო გარკვეულწილად პროგრესული, თუმცა მათი დეტალური განხილვაც სცილდება საკვლევი თემის ფარგლებს.

⁷¹ იხ. დავითაშვილი, გ., შურისძიება და შერიგება ქართულ ჩვეულებით სამართალში, 2021, გვ. 361.

იურიდიულ ლიტერატურაში ბ. გოგოჭური განმარტავს, რომ რიგის ყენება პირველ რიგში მოკლულის სულის პატივისცემაა, რელიგიური და სამართლებრივი რიტუალია. მკვლელობის ჩამდენი მხარე პატივს მიაგებს რა მის მიერ მოკლულის სულს, ინანიებს და მკვლელობისთვის მთელ პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს, მზად არის შერიგების შემთხვევაში ქონებრივად აგოს პასუხი ჩადენილი დანაშაულისთვის.⁷² რიგის ყენება გულისხმობს ყოველწლიურად დათქმულ დღეს მოკლულის ოჯახისთვის მკვლელის მიერ საკლავის გაგზავნას და დაკვლას მოკლულის სულის მოსახსენიებლად, სანამ არ მოხდება მხარეთა საბოლოო შერიგება, თუმცა ეს პროცესი იწყება, მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაზარალებული მხარე დათანხმდება რიგის ყენებას.⁷³ აქედან ირკვევა, რომ ხევსურული სამართალი კარგად იცნობს ასევე დაზარალებულის ინსტიტუტს და შერიგების პროცესის დასაწყებად მნიშვნელობა ენიჭება დაზარალებულის გადაწყვეტილებას. რიგის ყენებაზე ზრუნვას მკვლელის ოჯახი დასაფლავებიდან დაახლოებით ორ კვირაში დაიწყებდა.⁷⁴ შუაკაცებს მოკლულის ოჯახში აუცილებლად უნდა მიეყვანათ „ასამტეხლო საკლავი,“ რაც რიგის შერიგებაზე მოლაპარაკების დასაწყებად დაწესებულ საკლავს წარმოადგენდა.⁷⁵ აღსანიშნავია, რომ დაზარალებულის დათანხმებას რიგის ყენებაზე უმრავლეს შემთხვევაში შუაკაცების არაერთი მისვლა და გარკვეული აქტიურობა სჭირდებოდა. შერიგების პროცესში ხევსურული სამართლის მიხედვით ჩართული იყვნენ ასევე მკვლელის და მოკლულის ახლო ნათესავები და მათი უშუალო მონაწილეობით ხდებოდა შერიგების პროცესის წარმართვა. აღსანიშნავია, რომ სვანური ჩვეულებითი სამართლის მსგავსად, შერიგების პროცესში ხევსურული წესის მიხედვით, ასევე მონაწილეობდნენ შუა-კაცები ანუ შუამავლები. შუაკაცები უნდა ყოფილიყვნენ ავტორიტეტი ხალხი, ხევსურული რჯულ-სამართლის, ძველად მომხდარი პრეცედენტების მცოდნე პირები, რომელთაც კარგი კომუნიკაციის და დარწმუნების უნარი ჰქონდათ.⁷⁶ ხევსურული სამართლის მიხედვით შუა-კაცები შერიგების პროცესში მეტი დამაჯერებლობისთვის, ასევე იმის ნათელსაყოფად, რომ ამ კონკრეტული საქმის ირგვლივ სისხლის აღებაზე უარის თქმა სირცხვილი არ იყო, სხვა პრეცედენტებსაც იშველიებდნენ, რათა მათი ჩართულობა წარმატებით ანუ მხარეთა შერიგებით დასრულებულიყო. შუამავლები დაზარალებულ მხარეს განუმარტავდნენ, რომ მსგავსი შემთხვევები ხევსურეთის თემში ადრეც მომხდარა

⁷² იხ. გოგოჭური, ბ., ხევსურული რჯულ-სამართალი, 2012, გვ.68.

⁷³ იხ. დავითაშვილი, გ., დანაშაულის სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში, 2017, გვ.14.

⁷⁴ იხ. იქვე, გვ.14.

⁷⁵ იხ. ჯალაბაძე, დ., მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, გვ. 41.

⁷⁶ იხ. კეკელია, მ., მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული N3, 1977, გვ.34.

და შერიგებით დასრულებულა, ისინიც, ანუ დაზარალებული და დამნაშავეს მხარეც ანალოგიურად უნდა მოიქცნენ.⁷⁷

შერიგების ინსტიტუტთან დაკავშირებით, საინტერესოა ასევე ფშავში მოქმედი წესი, რომელსაც „ჭდის ამოგდება“-ს უწოდებდნენ. ეს წესი გამოიყენებოდა არა მარტო დამნაშავესა და დაზარალებულის, არამედ მოკვეთილის თემთან შესარიგებლადაც. ძველი ჩვეულებითი სამართლის ერთ-ერთი დადებითი ელემენტია, იმისთვის რომ მოკვეთილი შერიგებოდა თემს. მას გარკვეული წესი უნდა შეესრულებინა: ხატში მიეყვანა საკლავი, მოებოდიშა სოფლის წინაშე და ფიცი დაედო, რომ აღარ განმეორდებოდა კონკრეტული დანაშაული. ამის შემდეგ, მოკვეთილი ხალხის წინაშე ხეზე ამოთლიდა ნაფოტს. ამ წესს ფშავში ვაჟა-ფშაველას გადმოცემით ეწოდებოდა „ჭდის ამოგდება.“ იგი აუცილებელი ატრიბუტი იყო მოკვეთილის თემთან შერიგებისათვის.⁷⁸ აღსანიშნავია, რომ ძველად ფშავ-ხევსურეთში ყოველგვარი საქმის წარმოება ხდებოდა არა რომელიმე ოფიციალური სასამართლო დაწესებულების მიერ, არამედ მედიატორული სასამართლოს წესით. მომჩივანი და მოპასუხე საქმის გასარჩევად არც მეფის და არც სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებს არ მიმართავდნენ. საქმე განიხილებოდა თვითონ იმ სოფელში, იმ თემში, სადაც კონკრეტული დანაშაული მოხდებოდა, სადაც მომჩივანი და მოპასუხე ცხოვრობდნენ. ერთობ დამახასიათებელია, რომ ფშავ-ხევსურები უპირატესობას მედიატორულ სასამართლოებს ანიჭებდნენ. მათ სწამდათ, რომ მედიატორებმა უფრო კარგად იცოდნენ მომხდარი ამბავი, ვინ იყო მართალი, ვინ მტყუანი, რამეთუ, ყველაფერი მათ თვალწინ ხდებოდა.⁷⁹ ვაჟა-ფშაველა გადმოგვცემს, სასამართლო პროცესს საჯარო და შეჯიბრებითი ხასიათი ჰქონდა, ე.ი. საქმის გარჩევასა და განაჩენის გამოტანას ესწრებოდა მთელი სოფელი, თემი. ადამიანებს შეეძლოთ საკუთარი აზრის გამოთქმა, წინადადებების წამოჭრა, ამა თუ იმ ამბის დამატება, რაც საქმეს მეტ სინათლეს მოჰყვანდა.⁸⁰ საინტერესოა, რომ სასამართლოს პროცესში მონაწილეობდნენ არა მარტო უხუცესები, არამედ ახალგაზრდა თემის წევრებიც. მაშასადამე, პროცესის მონაწილეთათვის ასაკოვანი ცენზი არ იყო დაწესებული. ხანდაზმულთა ცხოვრებისეული გამოცდილება და სიბრძნე ახალგაზრდულ გონება გამჭრიახობასა და აზრის სილალეს ერწყმოდა და ავსებდა. თანაც,

⁷⁷ იხ. იქვე, გვ. 35.

⁷⁸ იხ. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, 1964, გვ.72.

⁷⁹ იხ. ცნობილამე, ნ., ფშავ-ხევსურეთში ძველად გავრცელებული სისხლისსამართლებრივი ურთიერთობები, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N3, 2018, გვ.32.

⁸⁰ იხ. ბენაშვილი, დ., ვაჟა-ფშაველა შემოქმედი და მოაზროვნე, 1989, გვ.390.

ეს არა მარტო დიდი ნდობა იყო, არამედ მათი აღზრდის კარგი სკოლაც.⁸¹ ჩვეულებით სამართალში მოცემულ შერიგების მოდელთან და სამედიატორო სასამართლოსთან დაკავშირებით, გ.დავითაშვილი აღნიშნავს, რომ თანამედროვე კანონმდებლობაში ეროვნული ღირებულებების და სულისკვეთების ასახვისათვის სრულიად შესაძლებელია გამოყენებული იყოს ქართული ჩვეულებითი სამართლის გარკვეული კომპონენტები, განსაკუთრებით მედიაციის, კონფლიქტში მონაწილე მხარეების შერიგების, სამეზობლო დავების გადაწყვეტის თვალსაზრისით.⁸² აღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ საქართველოს მაღალმთიან კუთხეებში კარგად იცნობდნენ აღიარება-მონანიების, შერიგების, მედიატორის და მედიატორულ სასამართლო ინსტიტუტებს, რაც თავის მხრივ ქართული ჩვეულებითი სამართლის პროგრესულ ხასიათს უსვამს ხაზს.⁸³ ვინაიდან, ქართულ ჩვეულებით სამართალში საუკუნეების წინ მოქმედი ხსენებული ინსტიტუტები, დღესაც სახელმწიფოს დემოკრატიულობის შემადგენელი ელემენტებია და გარკვეულწილად აღდგენითი მართლმსაჯულების საწყის წერტილად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

1.3. არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და მნიშვნელობა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას საკუთარი ფილოსოფია აქვს, რომლის მთავარი ორიენტირი არასრულწლოვნის რეაბილიტაციაა.⁸⁴ მრავალი თანამედროვე ქვეყნის ზრუნვის საგანს, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და დანაშაულობა წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას, დიდი ყურადღება ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში ექცევა. თუმცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემების შესწავლა, ნათლად გვიჩვენებს, რომ ხსენებულ პრობლემას ვერც ერთი თანამედროვე სახელმწიფო ვერ გაექცა.⁸⁵

აღსანიშნავია, რომ 21-ე საუკუნემ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, მოიტანა სამეცნიერო ღირებულებებზე და ბავშვთა უფლებებზე ორიენტირებული

⁸¹ იხ. ვაჟა-ფშაველა, თხოულებათა სრული კრებული, ტ. IX, 1964, გვ.20.

⁸² იხ. დავითაშვილი, გ., შურისძიება და შერიგება ქართულ ჩვეულებით სამართალში, 2021, გვ. 556.

⁸³ იხ. იქვე, გვ. 556.

⁸⁴ იხ. Belair, R., Criminal justice information Policy: Privacy and juvenile Records, 1982, გვ.12.

⁸⁵ იხ. ხერხეულიძე, ი., არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი იუვენალური იუსტიციის სისტემაში, სამართლის ჟურნალი, N2, 2012, გვ. 28.

კანონმდებლობის აუცილებლობა. ვინაიდან, დღეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება მნიშვნელოვნად საყურადღებოა.⁸⁶

იურიდიულ ლიტერატურაში საერთაშორისოდ აღიარებული ტერმინია იუვენალური იუსტიცია. ასევე, სიტყვა „იუსტიცია,” მრავალი მნიშვნელობით გამოიყენება, უპირველესად იგი განიმარტება, როგორც მართლმსაჯულება. შესაბამისად, იუვენალური იუსტიცია ითარგმნება, როგორც არასრულწლოვანთა (მოზარდთა) მართლმსაჯულება.⁸⁷

საინტერესოა, რომ იუვენალური იუსტიციის ისტორია 100 წელზე მეტს ითვლის. იგი იქმნებოდა, როგორც მართლმსაჯულების ორბიტაში მოხვედრილ ბავშვთა და მოზარდთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი ინსტიტუტი. მასში მოიაზრებიან, ერთის მხრივ, დანაშაულთა ჩამდენი და, მეორეს მხრივ კი, მსხვერპლი არასრულწლოვნები.⁸⁸

აღდგენითი მართლმსაჯულების მეთოდები და გარკვეული მიდგომები, ასევე, ვრცელდება საგანმანათლებლო სკოლებში, ასევე სამუშაო ადგილებსა და გარკვეულ რელიგიურ ორგანიზაციებში, როგორც კონფლიქტური სიტუაციის დარეგულირების მნიშვნელოვანი საშუალება.⁸⁹ აღდგენითი მართლმსაჯულების მხარდამჭერი, ქ. ფრანისი, მონაწილეობითი დემოკრატიის ერთ-ერთ ფორმას უწოდებს, „წრების“ მეთოდს. აღსანიშნავია, რომ „აღდგენითი მართლმსაჯულება,“ როგორც ტერმინი, მოიცავს მრავალ პროგრამასა და პრაქტიკას, რომელიც თავისი ფარგლებიდან გამომდინარე, დანაშაულებრივ ქმედებაზე ფიქრისას, ქმნის ალტერნატიულ მექანიზმს.⁹⁰ აღდგენითი მართლმსაჯულება, ამ მიმართულებით წარმოადგენს მრავლისმომცველ კონცეფციას. იგი უფრო მეტს მოიცავს, ვიდრე მხოლოდ მედიაციის ზოგადი ცნება და არსი. ერთი შეხედვით, აღდგენითი მართლმსაჯულება წარმოადგენს დანაშაულზე რეაგირების ზოგად მიდგომას, რომელიც ეფუძნება გარკვეული ღირებულებებისა და პრინციპების ერთობლიობას.⁹¹ აღნიშნულის მიუხედავად, ჩნდება კითხვა, თუ როგორ განიმარტება აღდგენითი მართლმსაჯულება? იურიდიულ ლიტერატურაში, აღდგენითი მართლმსაჯულების არსთან და ფარგლებთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული.⁹² აღდგენითი

⁸⁶ იხ. ივანიძე, მ., თოდუა, ნ., ვარძელაშვილის, ი., მახარობლიძე, თ., არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, 2017, გვ. 140.

⁸⁷ იხ. ბოხაშვილი, ი., ბენიძე, მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები, სამართლის ჟურნალი, N2, 2009, გვ. 35.

⁸⁸ იხ. გაბისონია ი., სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში, 2002, გვ. 482.

⁸⁹ იხ. მეფარიშვილი, გ., ჩხეიძე ი., სამეცნიერო შრომების კრებული, დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში, 2010, გვ. 234.

⁹⁰ იხ. ზეპრი, ჰ., აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი, 2013, გვ. 35.

⁹¹ იხ. ერცენი, ი., ჯავახიშვილი, ჯ., ჯავახიშვილი, ლ., აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, 2020, გვ. 22.

⁹² იხ. იქვე, გვ. 23.

მართლმსაჯულება, ანუ რესტორაციული სამართალი, როგორც ამას მ.შალიკაშვილი განმარტავს: მოიცავს, რომ არასრულწლოვანი თავის არასამართლებრივ საქციელზე იღებს პასუხისმგებლობას. შესაბამისად, თავად დამნაშავე, ოჯახი და საზოგადოება ერთად არიან ჩართული ხსენებულ პროცესში. თავად შეუძლია არასრულწლოვანს მიიღოს მონაწილეობა ე.წ. „დასჯითი ზომები“-ს შერჩევაში.⁹³

აღდგენითი მართლმსაჯულება მოიცავს, დანაშაულის ფენომენისა და დანაშაულზე რეაგირების არსებულ მიდგომებს, ხოლო რაც შეეხება მედიაციას, წარმოადგენს ერთ-ერთ პრაქტიკულ მეთოდს და ინსტრუმენტს აღდგენითი მართლმსაჯულებაში. ამასთანავე, აღდგენითი მართლმსაჯულებაში გარკვეული პროგრამები ითვალისწინებენ მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის, ასევე საზოგადოების წევრების, მოულოდნელი შეხვედრის ხელშეწყობას. აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომი გარკვეულწილად მნიშვნელოვანია იმ დროსაც, როცა დამნაშავე არ არის დაპატიმრებული, ან იმ შემთხვევაშიც, როდესაც რომელიმე მხარე შეხვედრაზე უარს აცხადებს.⁹⁴

აღდგენითი მართლმსაჯულება მოიცავს ერთგვარ პრევენციას, განრიდების ღონისძიებებს, რეაბილიტაციას და დაკავების ალტერნატივებს, ასევე დაპატიმრების ან დაკავების მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებს. აღდგენითი მართლმსაჯულების მიზანია ერთის მხრივ, დამნაშავესა და მსხვერპლს, და ასევე, საზოგადოებას და დამნაშავეს შორის, არსებული დაზიანებული ურთიერთობის აღდგენა.⁹⁵

აღდგენით მართლმსაჯულებაში ეს მეთოდი გარკვეულწილად ხელს უწყობს ზიანის ანაზღაურებას, კონფლიქტის მონაწილე მხარეების შერიგებასა და საზოგადოებაში დარღვეული ბალანსის აღდგენას.⁹⁶

ამერიკელი ფსიქოლოგი სტენლი ჰოლი, ადამიანის ცხოვრებაში, მოზარდობის პერიოდს და ასაკს განიხილავდა, როგორც გარკვეულ გარდამავალ პერიოდს ბავშვობიდან, ზრდასრულ, სრულყოფილ ადამიანად ჩამოყალიბების გზაზე. ს.ჰოლი განმარტავდა, რომ ამ პერიოდს ახასიათებს, როგორც ძალადობრივი იმპულსები, ისე გარკვეულწილად გაუაზრებელი ქმედებები.⁹⁷ აღდგენითი მართლმსაჯულება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე

⁹³ იხ. შალიკაშვილი მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, (სახელმძღვანელო) 2016, გვ. 91.

⁹⁴ იხ. ჰამილტონი, ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო, 2010, გვ.32.

⁹⁵ იხ. Brunk, C., Restorative Justice and the Philosophical Theories of Criminal Punishment” in The Spiritual Roots of Restorative Justice, 2001, გვ.56.

⁹⁶ იხ. ზეჰრი, ჰ., აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი, 2013, გვ. 44.

⁹⁷ იხ. Hartinger-Saunders, R., The History of Defining Youth: Current Implications for Identifying and Treating Delinquent Youth, 2008, გვ. 92.

მას პრაქტიკული თვალსაზრისიდან გამომდინარე განმარტავენ.⁹⁸ ყოველივე ზემოაღნიშნული, განაპირობებს მართლმსაჯულების არსებული სისტემის დახვეწის მიზნით, საზოგადოების მოთხოვნილებების შესაბამისი საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ მიმართული გზების მუდმივ ძიებას. ამ გზების ძიებამ მრავალ ალტერნატივამდე მიგვიყვანა. ერთ-ერთი საინტერესო გზა, რომელიც მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მიერ იქნა არჩეული, რათა დანაშაულის ჩამდენს მიუხედავად ჩადენილი შეცდომისა, ცხოვრების ნორმალურ რიტმში გაგრძელების საშუალება მიეცეს, გახლავთ აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტების დამკვიდრება სამართალწარმოების პროცესში.⁹⁹

როგორც ვხედავთ, სამართალწარმოების ფარგლებში, აღდგენითი მართლმსაჯულება, მისი არსიდან და ფარგლებიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ჭრილში განსხვავებული რეალობის წინაშე გვაყენებს. ვინაიდან, სასამართლო სისტემა, რომელიც ეფუძნება აღდგენით მართლმსაჯულებას, მიზნად ისახავს არა მოზარდის დასჯას, არამედ მის მიმართ ჰუმანურ მიდგომებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, აღდგენითი მართლმსაჯულების მიმდევრები განმარტავენ, რომ სისხლის სამართლის თანამედროვე მართლმსაჯულება უპირველესად, დამნაშავეს, დაზარალებულის და მთლიანად საზოგადოების, გარკვეულწილად მკურნალობას უნდა ისახავდეს მიზნად.¹⁰⁰

ამერიკელი პროფესორი ჰ. ზეჰრი, აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომებს მისი ფართო სპექტრიდან გამომდინარე, ადარებს ე.წ. „ლინზების შეცვლა“-ს. მისი აზრით, მართლმსაჯულება განსხვავებულად აღიქმება იმის მიხედვით, თუ რომელ ლინზას დავაყენებთ კამერაზე.¹⁰¹ აღიარებულია, რომ სისხლის სამართლის ძირითადი მიზანია, პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. შესაბამისად სისხლის სამართალში წამყვანი ადგილი, ყოველთვის პასუხისმგებლობის აუცდენლობის, ანუ გარდაუვალობის პრინციპს ეკავა.¹⁰² აღსანიშნავია, რომ დაუსჯელობის სინდრომის გაძლიერების გარკვეული შიში, მნიშვნელოვნად სახიფათოა სოციალური მართლწესრიგის რღვევის მიმართულებით. შესაბამისად, მართლმსაჯულებაში მკაცრი სასჯელები

⁹⁸ იხ. შაპოვიჩი, ნ., დოვიკი, ი., ცერმატენი, ჟ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, 2012, გვ. 345.

⁹⁹ იხ. იქვე, გვ. 346.

¹⁰⁰ იხ. Weitekamp, E. G. M., Mediation in Europe: Paradoxes and Promises. Restorative Justice For Juveniles: Conferencing, Mediation, and Circles, 2001, გვ. 110.

¹⁰¹ იხ. ზეჰრი, ჰ., აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი, 2013, გვ. 49.

¹⁰² იხ. თანდილაშილი, ხ., აღდგენითი მართლმსაჯულების მოწესრიგება ევროკავშირში და მისი მნიშვნელობა საქართველოში დანაშაულის მსხვერპლის სამართლებრივი მდგომარეობის გაძლიერებისთვის, სამართლის ჟურნალი, N1. 2019, გვ. 139.

გარკვეულწილად წარმოადგენს ერთვარ შემაკავებელ ბერკეტს, რათა პოტენციურმა დამნაშავემ თავი შეიკავოს და უარი თქვას დანაშაულებრივი ქმედების სისრულეში მოყვანაზე.¹⁰³ აღნიშნულთან დაკავშირებით, ამერიკის სისხლის სამართლის ფილოსოფია, ავითარებს ე.წ. „დამსჯელობითი მართლმსაჯულების,“ იდეას, რომლის მიზანია, დანაშაულის ჩამდენი პირი პროპორციული სასჯელის გამოყენებით დასაჯოს. დამნაშავე უნდა დაისაჯოს, არა სასჯელის პრაგმატული და მატერიალური მიზნების გამო, არამედ იმისთვის, რომ მომავალში, სხვა დანაშაულებრივი ქმედება, თავიდან იქნეს აცილებული.¹⁰⁴ თუმცა, დღეს უკვე გარკვეულწილად ნათლად ჩანს, რომ იმ უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად, რაც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას, თავისუფლების აღკვეთას ან პატიმრობის გამოყენებას მოჰყვება, აუცილებელია სრულიად განსხვავებული მიდგომების განხორციელება.¹⁰⁵

აღდგენითი მართლმსაჯულების არსის და მიზნის მართებულად განცობიერებისთვის, საზოგადოებაში გარკვეული ჯგუფებისთვის აუცილებელია, აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ სწორი ინფორმირება. საზოგადოებას არ უნდა ჰქონდეს წარმოდგენა, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება, თითქოს დამნაშავეს დაუსჯელობას ნიშნავს. ასეთი, მცდარი წარმოდგენების შედეგად, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს, დაზარალებულის უნდობლობის განცდა აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართ.¹⁰⁶ არის შემთხვევები, როცა დაზარალებულის მსგავსად დანაშაულის ჩამდენი პირიც ვერ იაზრებს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებას. გამომდინარე აქედან, აუცილებელია, საზოგადოება საფუძვლიანად აცნობიერებდეს, რომ პიროვნების საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობებს, გვაძლევს აღდგენითი მართლმსაჯულება, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.¹⁰⁷ სისხლის სამართლის საქმეში, აღდგენითი მართლმსაჯულების დადებით მხარეს, ბრალდებულის გარდა, სხვა უფლებამოსილ პირთა აქტიური ჩართვა და მათი ინტერესების გათვალისწინება წარმოადგენს. რაშიც მნიშვნელოვანია დაზარალებულის აქტიური ჩართულობა.¹⁰⁸ აღდგენითი მართლმსაჯულება მისი არსიდან გამომდინარე,

¹⁰³ იხ. Béal, C., Justice Restaurative et Justice Pénale, 2018, გვ.56.

¹⁰⁴ იხ. Johnstone, B., Discourse analysis, 2008, გვ. 27.

¹⁰⁵ იხ. იქვე, გვ. 28.

¹⁰⁶ იხ. შაპოვიჩი, ნ., დოეკი, ი., ცერმატენი, ჟ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, 2012, გვ. 348.

¹⁰⁷ იხ. იქვე, გვ. 348.

¹⁰⁸ იხ. თანდილაშვილი, ხ., აღდგენითი მართლმსაჯულების მოწესრიგება და მისი მნიშვნელობა საქართველოში დანაშაულის მსხვერპლის სამართლებრივი მდგომარეობის გაძლიერებისთვის, სამართლის ჟურნალი, N1, 2019, გვ. 136.

თანაბრად არის მიმართული, როგორც ბრალდებულისა, ისე დაზარალებულის ინტერესებზე და არც ერთ შემთხვევაში მოიაზრებს, რომელიმე მათგანის უფლებების უგულებელყოფას.

სწორედ ამიტომ, აღდგენითი მართლმსაჯულების პოპულარობა, დღითი-დღე უფრო იზრდება თანამედროვე მსოფლიოში და იგი დაზარალებულის გარკვეული ინტერესების დაკმაყოფილების ჭრილშიც, მნიშვნელოვანი მექანიზმი ხდება.¹⁰⁹ მოცემული მიმართულებით ვითარდება ქართული სისხლის სამართალწარმოებაც და აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა, დღეს უკვე, კარგად იცნობს სისხლის სამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმებს.¹¹⁰ 2009 წელს, საქართველოში სსსკ-ს მიღებასთან ერთად, კანონმდებელმა სისხლის სამართალწარმოებაში დაამკვიდრა ისეთი ინტერნაციონალური ინსტიტუტები, როგორცაა: პროკურორის დისკრეცია და არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა განრიდება. ასევე კანონმდებლობაში გაჩნდა ტერმინი ე.წ. „საჯარო ინტერესი“ და განისაზღვა სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო ერთგვარი პრინციპები, რასაც დეტალურად სხვა თავებში განვიხილავთ.

1.3.1. არასრულწლოვანთა აღდგენითი და ტრადიციული მართლმსაჯულების მოდელების ურთიერთგამიჯვნა

პირობითად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულება შეიძლება დაიყოს დამსჯელობით, სარეაბილიტაციო და აღდგენით მართლმსაჯულებად.¹¹¹ იურიდიულ ლიტერატურაში, აღნიშნულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორიული წარსული, შეიძლება, გარკვეულწილად შეფასდეს, როგორც უსამართლო.¹¹² ვინაიდან ტრადიციული მართლმსაჯულების ფარგლებში, არ ხდებოდა არასრულწლოვნის მნიშვნელოვანი ინტერესების გათვალისწინება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს მართლმსაჯულების ფილოსოფიურმა მოდელებმა, რომელთაგან ყველაზე გავრცელებული და ისტორიულად დომინანტური „კეთილდღეობის“ და

¹⁰⁹ იხ. იქვე, გვ.136.

¹¹⁰ იხ. ჩხეიძე, ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მიღწევები და გამოწვევები, 2015, გვ.108.

¹¹¹ იხ. გორგოძე, მ., იუვენალური იუსტიციის ორგანიზაციულ სამართლებრივი მოდელები და ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი პრობლემატური საკითხი ამ მოდელთა ჭრილში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, 2017, გვ.92.

¹¹² იხ. მინაშვილი, ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის კომენტარები, 2017, გვ. 7.

„მართლმსაჯულების” მოდელებია. შესაბამისად, დღეისათვის დამკვიდრებული ყველა სხვა მოდელი ამ ორი ძირითადი მიდგომის საფუძველზე განვითარდა.¹¹³ სწორედ ეს მოდელები დაედო საფუძვლად ტრადიციულ და ადდგენითი მართლმსაჯულებას შორის ოქროს შუალედის განსაზღვრას.¹¹⁴

კეთილდღეობის მოდელი სახელმწიფოს აკისრებს პასუხისმგებლობას, იზრუნოს ბავშვის კეთილდღეობაზე და მოითხოვს, რომ არასრულწლოვანი არ დაისაჯოს, არამედ უზრუნველყოფილ იქნეს, მისი რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია. მის ფუნდამენტურ მიდგომას წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან, ე.წ. „დაცვითი ფუნქციის“ განხორციელება. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანმა ჩაიდინა კანონსაწინააღმდეგო ქმედება, იგი უნდა განიხილებოდეს, როგორც გარემოს მსხვერპლი და ხელი შეეწყოს, მის კანონმორჩილ ადამიანად ჩამოყალიბებას.¹¹⁵ აქედან გამომდინარე, აღნიშნული მოდელი, სადამსჯელო ღონისძიებების გვერდის ავლით მიდის მხოლოდ და მხოლოდ არასრულწლოვნის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მიმართულებით. კეთილდღეობის მოდელი ძირითადად საჭიროებებზე ორიენტირებულ მიდგომას ეფუძნება და განიცდის სამართლიანი პროცესის ელემენტების ნაკლებობას.¹¹⁶

განსხვავებით კეთილდღეობის მოდელისგან, მართლმსაჯულების მოდელი მიმართულია არა არასრულწლოვნის ინტერესებსა და საჭიროებებზე, არამედ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაზე, რის საფუძველზეც დანაშაულის ჩამდენი იმსახურებს სათანადო სასჯელს.¹¹⁷ აქედან გამომდინარე, იგი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის დასჯის მიმართულებით მიდის, თუმცა მაქსიმალურად მოიცავს არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშნვის სამართლიანობის და პროპორციულობის პრინციპებს. ადდგენითი მართლმსაჯულებაში დანაშაული განიხილება, როგორც ურთიერთობების არსებითი ხელყოფა, რომელიც თავის მხრივ, იწვევს, არა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, არამედ გარკვეული ვალდებულებების დაკისრებას.¹¹⁸

მართლმსაჯულების მოდელის ჩარჩოებში მოიაზრება ასევე ტრადიციულ მართლმსაჯულება, რომელიც პირდაპირ მიმართებაშია არასრულწლოვნის დასჯისკენ,

¹¹³ იხ. Hazel, N., Cross-National Comparison of Youth Justice, Report for the Youth Justice Board of England and Wales, 2008, გვ. 23.

¹¹⁴ იხ. იქვე, გვ. 23.

¹¹⁵ იხ. Kratcoski, P. C., Juvenile Justice Administration, 2012, გვ. 16.

¹¹⁶ იხ. Yeckel, J.F., Violent Juvenile Offenders: Rethinking Federal Intervention in Juvenile Justice, 1997, გვ. 331.

¹¹⁷ იხ. Archard, D., Children's Rights and Juvenile Justice, 2007, გვ. 53.

¹¹⁸ იხ. თანდილაშვილი, ხ., ადდგენითი მართლმსაჯულების მოწესრიგება და მისი მნიშვნელობა საქართველოში დანაშაულის მსხვერპლის სამართლებრივი მდგომარეობის გაძლიერებისთვის, სამართლის ჟურნალი, N1, 2019, გვ. 139.

ხოლო არასრულწლოვანთა კეთილდღეობის მოდელი, ფართო გაგებით მოიცავს აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტებს. მართლმსაჯულებაში, ტრადიციული სისხლის სამართლის მიდგომებს სახელმწიფო ახორციელებს, რაც მიმართულია დანაშაულის ჩამდენი პირის მსჯავრდებისკენ, ხოლო აღდგენითი მართლმსაჯულება, თავის მხრივ მიმართულია ზიანის გამოსწორებისკენ და დანაშაულის ჩამდენი მოზარდის რესოციალიზაციისკენ.¹¹⁹

თუ ტრადიციულ სისხლის სამართალში გარკვეული მიდგომები მიმართულია იმისკენ, რომ დამნაშაულის ჩამდენმა მოზარდმა მიიღოს ის, რაც მან დაიმსახურა, მეორე შემხვევაში აღდგენითი მართლმსაჯულება დაზარალებულის საჭიროებებსა და დამნაშავის მიერ პასუხისმგებლობის აღებაზე აკეთებს აქცენტებს.¹²⁰ აქედან გამომდინარე, აღდგენითი მართლმსაჯულებაში მნიშვნელოვანია ისეთი ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა, მონაწილეობა, ნებაყოფლობითობა, პასუხისმგებლობის აღება და რეპარაცია.¹²¹

აღდგენითი მართლმსაჯულების მიმდევრების აზრით, მოზარდთა საჭიროებები არ კმაყოფილდება ტრადიციულ-სამართლებრივ სისტემებში. თუმცა, აღდგენითი მართლმსაჯულების მოძრაობა თავდაპირველად დაიწყო, როგორც დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის და საზოგადოებაში ნდობის ჩამოყალიბების მცდელობა.¹²²

ტრადიციული მართლმსაჯულებისგან განსხვავებით, აღდგენითი მართლმსაჯულება, მიზნად ისახავს გარკვეულ გზებს, თუ როგორ უნდა ჩავრთოთ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მშვიდობის დამყარებაში.¹²³

თანამედროვე კვლევებით დასტურდება აღდგენითი მართლმსაჯულების დადებითი გავლენა დანაშაულის მსხვერპლის მიმართ, ვინაიდან პროცესის შემდეგ დანაშაულის მსხვერპლებს უმცირდებათ, ან უქრებათ შიში, უბრუნდებათ უსაფრთხოებისა და დაცულობის განცდა, გრძნობენ მხარდაჭერას, ეცვლებათ წარმოდგენა საკუთარ თავზე, ასევე აქვთ კმაყოფილებისა და სამართლიანობის განცდა. შესაბამისად, ისინი უფრო

¹¹⁹ ob. Kilchling, M., Opferrechte und Restorative Justice, Opferrechte in europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, 2017, გვ.64.

¹²⁰ ob. იქვე, გვ. 64.

¹²¹ ob. Béal, C., Justice Restaurative et Justice Pénale, 2018, გვ.60.

¹²² ob. ჩხეიძე, ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მიღწევები და გამოწვევები, 2015, გვ.106.

¹²³ ob. იქვე, გვ. 107.

ძლიერდებიან და გარკვეულწილად უმარტივდებათ დანაშაულის შედეგად მიღებული ტრავმების დაძლევა.¹²⁴

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ყველა თანამედროვე სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის განვითარების მიმართულებით, ირჩევს არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელს და ნაწილობრივ უარს ამბობს ტრადიციულ-დამსჯელობით მიდგომებზე. ვინაიდან აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელის აქტიური განხორციელებით, სამოქალაქო საზოგადოებაში ბევრად უფრო დიდი ღირებულებების და სოციალური დოვლათის შექმნაა შესაძლებელი.

1.4. არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულება საერთაშორისო სამართლებრივ კრილში

საერთაშორისო დოკუმენტებში აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ პირველი ჩანაწერი ჩნდება 1985 წელს, გაეროს დეკლარაციაში.¹²⁵ ამის შემდეგ არაერთი რეზოლუცია, თუ რეკომენდაცია იქნა მიღებული. აღსანიშნავია, სისხლის სამართლის საქმეებში აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების ძირითადი პრინციპების შესახებ, გაეროს 2002 წლის რეზოლუცია და სისხლის სამართლის საქმეებში მედიაციის შესახებ, ევროპის საბჭოს 1999 წლის რეკომენდაცია.¹²⁶ გაეროსა და ევროპის საბჭოს აქტებისგან აღნიშნული რეკომენდაცია, იმით განსხვავდებოდა, რომ მას შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი ჰქონდა. სწორედ ამიტომ, ამ რეკომენდაციის მიღება საერთაშორისო დონეზე მიიჩნევა მნიშვნელოვან ნაბიჯად.¹²⁷

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა,¹²⁸ როგორც კონვენციის საზედამხედველო ორგანომ, 1993 წელს მოახდინა ადამიანის უფლებების მსოფლიო კონფერენციის რეკომენდაციების იმპლემენტაცია და აღიარა ადამიანის ყველა კატეგორიის უფლების ურთიერთ გადაჯაჭვულობა. შესაბამისად, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა გადაწყვიტა ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის ფართოდ განმარტება.

¹²⁴ იხ. Bolívar, D., Aersten, I., Victims and Restorative Justice, Abingdon, 2017, გვ.54.

¹²⁵ იხ. United Nation, Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, 1985.

¹²⁶ იხ. ECOSOC Resolution Basic Principles on the Use of Restorative Justice Programms in Criminal Matters, 2012.

¹²⁷ იხ. Lauwaert, K., European Criminal Justice Policies on Victims and Restorative Justice, Victims and Restorative Justice, 2015, გვ.245.

¹²⁸ იხ. ბავშვის უფლებათა კონვენცია, საქართველოს უზენაესი სასამართლო, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl3>.

კონვენციამ აღიარა ისეთი ახალი უფლება, როგორცაა ბავშვის უფლება, შეინარჩუნოს საკუთარი იდენტობა და გამოხატოს მოსაზრება. აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებულია, რომ ბავშვის უფლებათა, იყოს დაცული ნებისმიერი შეურაცხყოფისა თუ ექსპლოატაციისაგან. ამ შემთხვევაში მოიაზრება, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ზრუნვისა და განვითარების უფლებაც.¹²⁹

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია პირველი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელმაც ადამიანის უფლებების დაცვისა და განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების როლი აღიარა.¹³⁰ საერთაშორისო და ევროპულ დონეზე კონვენცია ასევე არის ბავშვის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საბაზისო დოკუმენტი, რომელიც პრეამბულისა და სამი ნაწილისაგან შედგება. პრეამბულა ადამიანის უფლებების ყველა ძირითად პრინციპს მოიცავს და აღიარებს ადამიანისა და ბავშვის ღირსებას. პრეამბულაში განმტკიცებულია ბავშვის უფლებების სამართლებრივი და სხვა სახის დაცვის საჭიროება და აღიარებულია საერთაშორისო თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი როლი.¹³¹

მართალია, გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია არასრულწლოვანთა, მართლმსაჯულების სფეროში, იურიდიულად სავალდებულო ერთადერთი საერთაშორისო დოკუმენტია, მაგრამ, ასევე არსებობს სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტები, რომლებიც ცნობილია, როგორც საერთაშორისოდ აღიარებული მინიმალური სტანდარტები.¹³² ეს დოკუმენტებია: ა) გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის შესახებ (რიადის პრინციპები); ბ) გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ (პეკინის წესები); გ) გაეროს წესები თავისუფლებადკვეთილი არასრულწლოვნების დასაცავად (ჰავანის წესები) დ) სახელმძღვანელო პრინციპები სისხლის სამართლის სისტემაში ბავშვებთან დაკავშირებით მოქმედების შესახებ (ვენის პრინციპები). აღნიშნული დოკუმენტები მნიშვნელოვანია კონვენციის წევრი სახელმწიფოებისათვის არასრულწლოვანთა სპეციალური მართლმსაჯულების შესაქმნელად.

¹²⁹ იხ. Lauwaert, K., European Criminal Justice Policies on Victims and Restorative Justice, Victims and Restorative Justice, 2015, გვ. 244.

¹³⁰ იხ. იმერლიშვილი, ი., ადამიანის უფლებათა დაცვისა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოში და საერთაშორისო სტანდარტები, 2020, გვ. 67.

¹³¹ იხ. იქვე, გვ. 68.

¹³² იხ. ვუჩკოვიჩ შაპოვიჩი, ნ., დოევი, ე., ცერმატენი, ჟ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, 2012, გვ. 45.

აღსანიშნავია, გაეროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონის მოდელი, რომლის კომენტარის მიხედვითაც, აღიარებულია ყველაზე მსუბუქი მიდგომებისა და ალტერნატიული ზომის პრიორიტეტულობის პრინციპი. შესაბამისად, არასრულწლოვნის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაშიც უნდა განიხილებოდეს განრიდების, ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა.¹³³

რაც შეეხება, აღნიშნული მიმართულებით ევროკავშირის როლს, 2001 წლის ჩარჩო გადაწყვეტილებაში გაჩნდა, აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ პირველი ჩანაწერი.¹³⁴ ხსენებულ ჩარჩო გადაწყვეტილებაში, პირველი ათი მუხლი აღდგენით მართლმსაჯულებას მიეძღვნა. აღსანიშნავია, რომ პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტში მოცემული იყო აღდგენითი მართლმსაჯულების განმარტება, ხოლო მე-10 მუხლში, განმტკიცდა მის განხორციელებასთან დაკავშირებული ძირითადი დებულებები.

ჩარჩო გადაწყვეტილების პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტში განმარტებული იყო აღდგენითი მართლმსაჯულება, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლის საქმეებში მედიაცია გაგებულ უნდა იქნეს, როგორც სისხლის სამართლის პროცესამდე, ან პროცესის ეტაპზე, დაზარალებულის და დამნაშავეს სწრაფვა, მესამე კომპეტენტური პირის შუამავლობით, მოლაპარაკების გზით მიაღწიონ გარკვეულ შეთანხმებას.¹³⁵ ასევე ხსენებულ ჩარჩო გადაწყვეტილებაში განმარტებულია, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება არის ნებისმიერი პროცესი, სადაც დაზარალებულს და დამნაშავეს შეუძლიათ, მესამე, მიუკერძოებელი მხარის დახმარებით, სისხლის სამართლის საქმის მოგვარებაში აქტიურად მიიღონ მონაწილეობა.¹³⁶

ამ შემთხვევაში, ჩარჩო გადაწყვეტილება არ განსაზღვრავს აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის დროის კონკრეტულ ფარგლებს, შესაბამისად, იძლევა საშუალებას, რომ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე განხორციელდეს აღდგენითი მართლმსაჯულება. ევროკომისიის სახელმძღვანელო დოკუმენტშიც ასევე აღნიშნულია, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება აერთიანებს

¹³³ იხ. იქვე, გვ. 46.

¹³⁴ იხ. ერცენი, ი., ჯავახიშვილი, ჯ., ჯავახიშვილი, ლ., აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, 2020, გვ.19.

¹³⁵ იხ. Lauwaert, K., European Criminal Justice Policies on Victims and Restorative Justice, 2015, გვ. 246.

¹³⁶ იხ. Brunilda, P., European Forum for Restorative Justice, Briefing Paper about the Regulation of Restorative Justice in the Directive, 2016. გვ.43.

სხვადასხვა ინდივიდუალურ პროგრამებს, რომელიც შეიძლება გარკვეულწილად მიზნულია სისხლის სამართლის პროცესზე.¹³⁷

იურიდიულ ლიტერატურაში მიიჩნევა, რომ ჩარჩო გადაწყვეტილება გარკვეული ნაკლოვანებით ხასიათდებოდა. პირველ ამდგვარ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ჩარჩო გადაწყვეტილება ერთმნიშვნელოვნად ფოკუსირებული იყო სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში მედიაციაზე. აღდგენითი მართლმსაჯულების სხვა ფორმები კი, როგორც არის მაგ: კონფერენციები არ იყო მასში მოაზრებული.¹³⁸

მომდევნო ნაკლს წარმოადგენდა ის, რომ მედიაციის გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესამდე ან პროცესის ეტაპზე, შესაბამისად, იგი არ უშვებდა სასჯელის აღსრულების ეტაპზე მედიაციის განხორციელების შესაძლებლობას, მესამე ნაკლი იყო კი, ის იყო, რომ ჩარჩო გადაწყვეტილება მედიაციას განმარტავდა, როგორც მხოლოდ მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიღწევისკენ სწრაფვას.¹³⁹

1.5. აღდგენითი მართლმსაჯულების ეკონომიკური ანალიზი

არასრულწლოვანთა აღდგენით მართლმსაჯულებაზე მსჯელობისას, აუცილებლად უნდა შევეხოთ მის ეკონომიკურ ანალიზს. იურიდიულ ლიტერატურაში, ზოგადად, განმარტებულია სამართლის ეკონომიკური თვისებები, რომელიც გარკვეულწილად დაკავშირებულია აღდგენითი მართლმსაჯულების ეკონომიკურ ხასიათთან. აღიარებულია, რომ სამართლის ეკონომიკური ანალიზის მიზანია, შეისწავლოს ქვეყნის ეკონომიკაზე სამართლის ნორმების ზემოქმედების ერთგვარი პირობები.¹⁴⁰ ანუ სამართლის ეკონომიკური ანალიზი მოიცავს სამართლის ნორმების შემოწმებას ეკონომიკურ შედეგების მიმართულებით. მისი მიზანია, იმის გარკვევა, თუ რამდენად შესაძლებელია, მართლმსაჯულება განხორციელება მაქსიმალურად ნაკლები ხარჯით.¹⁴¹ ეკონომიკური ანალიზის ფარგლებიდან გამომდინარე, ირკვევა, თუ რამდენად ხდება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, გარკვეული რესურსის გაფლანგვის

¹³⁷ იხ. იქვე, გვ.43.

¹³⁸ იხ. თანდილაშვილი, ხ., აღდგენითი მართლმსაჯულების მოწესრიგება და მისი მნიშვნელობა საქართველოში დანაშაულის მსხვერპლის სამართლებრივი მდგომარეობის გაძლიერებისთვის, სამართლის ჟურნალი, N1, 2019, გვ. 141.

¹³⁹ იხ. Lauwaert, K., European Criminal Justice Policies on Victims and Restorative Justice, 2015, გვ.248.

¹⁴⁰ იხ. ხუბუა, გ., სამართლის თეორია, 2004, გვ.111.

¹⁴¹ იხ. იქვე, გვ. 112.

თავიდან არიდება და მათი ეფექტური გამოყენება. მეორეს მხრივ, არსებული სამართლებრივი სტრუქტურის განხორციელება და ეფექტური სამართლებრივი სტრუქტურის ჩამოყალიბების ფაქტობრივი წინაპირობებიც ეკონომიკური ანალიზის განხილვის სფეროა.¹⁴²

დღეს, მნიშვნელოვნად დიდია მართლმსაჯულების ხარჯები, საზოგადოების კონფლიქტის გადაჭრის ალტერნატიულ გზების განსაზღვრისას და ეს ტენდენცია შეიძლება ითქვას, მზარდია მართლმსაჯულების თითქმის ყველა მიმართულებით.¹⁴³

მ.შალიკაშვილი განმარტავს, რომ პიროვნების დასჯა, ფინანსური თვალსაზრისით წარმოადგენს ე.წ. „ანტიდოვლათს.“ ვინაიდან კრიმინალის მიმართ ცნობილი ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გამოყენება პირდაპირ მიმართებაშია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდასთან.¹⁴⁴

განრიდების და მედიაციის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების დასასაბუთებლად, საინტერესოა მსჯავრდებულთა არსებული რაოდენობის პრობლემის განხილვა ქვეყნის ეკონომიკასთან მიმართებით, ანუ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების განხილვა სამართლის ეკონომიკური ანალიზის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონაცემებით, ერთი ბრალდებული/ მსჯავრდებულის შენახვის სახელმწიფო წლიური ხარჯი, 2020 წლის მდგომარეობით 13 494,6 ლარს წარმოადგენდა, შესაბამისად ერთი თვის ხარჯი კი, 1124, 55 ლარს შეადგენს. ხოლო 2021 წლის მდგომარეობით წლიური ხარჯი იყო თითოეულ ბრალდებულზე/მსჯავრდებულზე 14798,52 ლარი, შესაბამისად, თვის ხარჯი იყო 1233,21 ლარი.¹⁴⁵ აქედან გამომდინარე, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, დღეში საშუალოდ თითოეულ ბრალდებულზე/მსჯავრდებულზე განსაზღვრულია საშუალოდ 35-ლარიდან 40-ლარამდე. ამ თანხაში არ შედის სამედიცინო მომსახურება, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ თანხებთან არის დაკავშირებული.

¹⁴² იხ. მუთჰორსტი, ო., სამართალმცოდნეობის საფუძვლები, მიუნხენი, 2011, გვ. 25.

¹⁴³ იხ. რენატე, ვ., გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის სახელმძღვანელო, 2020, გვ.7.

¹⁴⁴ იხ. შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, 2013, გვ.162.

¹⁴⁵ იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2022 წლის 12 აპრილის N103863/01 წერილი.

ამასთანავე, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №388N⁰¹-18/ნ ბრძანების¹⁴⁶ შესაბამისად, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და ჰიგიენურ-სანიტარული ნორმები და პირობები მკაცრად არის გაწერილი და უნდა შეესაბამებოდეს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

სამართლის ეკონომიკური ანალიზი ნათლად წარმოაჩენს, რომ თავისუფლების აღკვეთა, როგორც სასჯელის ყველაზე მკაცრი სახე, დიდ ეკონომიკურ ხარჯებთან არის დაკავშირებული და მნიშვნელოვნად წინააღმდეგობაში მოდის სასჯელის მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯით აღსრულების პრინციპთან.¹⁴⁷

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირება და არსებული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია, თუ სისხლის სამართლის პოლიტიკა გახდება უფრო ლიბერალური, აქტიურად ამოქმედდება სასჯელის ალტერნატიული ფორმები და აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში მოხდება განრიდების და მედიაციის პროგრამის ხელშეწყობა და გაფართოება.

აღდგენითი მართლმსაჯულების ეკონომიკური ხასიათი, თავის მხრივ დაკავშირებულია სახელმწიფო უწყებებში ადამიანური რესურსის დაზოგვასთან. აღსანიშნავია, რომ ადამიანური რესურსის არასათანადოდ გადანაწილება, იწვევს ყველა კატეგორიის დანაშაულზე და საქმეზე მსგავსი ძალისხმევით კონცენტრირებას, თანაბარი დროის და ენერჯის დახარჯვას, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება, საქმეში გარკვეული მოქმედებების, როგორც სრულყოფილად განხორციელებაზე, ასევე, დიდი რაოდენობით საქმეების დაგროვებაზე.¹⁴⁸ მაშასადამე, აღდგენითი მართლმსაჯულება, მისი ქმედითი ხასიათიდან გამომდინარე, პირდაპირ დაკავშირებულია სამართლის ეკონომიკურ ანალიზთან, რომ აღარაფერი ვთქვათ, ადამიანური რესურსების გამოყენებაზე. ვფიქრობთ, არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების ეკონომიკურ ხასიათზე მსჯელობისას, ყოველთვის აქტუალური იქნება მ. ლეკვიშვილის სიტყვები: კაცობრიობას,

¹⁴⁶ იხ. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ ბრძანება, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4499245?publication>.

¹⁴⁷ იხ. Muncie, J., Goldson, B., Comparative Youth Justice, 2006, გვ. 59.

¹⁴⁸ იხ. არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესი საქართველოს პროზაკის და პენიტენციურ სისტემებში, 2020, გვ. 57.

დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, ჯერ არ ძალუძს უარი თქვას თავისუფლების აღკვეთაზე, როგორც სასჯელის ღონისძიებაზე, მაგრამ, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად უნდა შესუსტდეს სასჯელის ნეგატიური თვისებები.¹⁴⁹

1.6. შეჯამება

გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვანი ყოველთვის იყო თანამედროვე სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში. ამავე დროს, სამართლებრივ სისტემებში დამკვიდრდა მოსაზრება, რომ არასრულწლოვანს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება, მით უფრო, როცა, საქმე ეხება, კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდს. ამ ჭრილში, ვფიქრობთ, განსაკუთრებით აღსანიშნავია აღდგენითი მართლმსაჯულების როლი, რომელსაც დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, არსებითი ყურადღება უნდა მიექცეს. ვინაიდან დიდი ხანია, რაც ჩვენმა ქვეყანამ აირჩია თანამედროვე, ევროპული გზა და, შესაბამისად, ინტენსიურად უნდა განხორციელდეს ქართული კანონმდებლობის მორგება საერთაშორისო სტანდარტებზე. აუცილებელია საქართველოში თანმიმდევრული ნაბიჯები გადაიდგას, არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში, საკანონმდებლო ბაზისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის, ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციასთან, უფრო მეტად შესაბამისობაში მოყვანის გზით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ტრადიციული სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პარალელურად, აღდგენითი მართლმსაჯულების დანერგვასა და განვითარებას გააჩნია, როგორც მნიშვნელოვანი კრიმინალურ-პოლიტიკური, ისე თეორიული საფუძვლები. შესაბამისად, ერთის მხრივ, აღდგენითი მართლმსაჯულება პასუხობს დანაშაულის მსხვერპლის ძირითად მოთხოვნებსა და საჭიროებებს, აუმჯობესებს მის სამართლებრივ მდგომარეობას და ამით აქცევს ამ უკანასკნელს პროცესის აქტიურ სუბიექტად. გარდა ამისა, აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელი არის ეფექტური გზა დანაშაულის შედეგების გამოსწორებისთვის. იგი ეხმარება დანაშაულის ჩამდენსა და დაზარალებულს დანაშაულის შედეგად დარღვეული ადამიანური ურთიერთობების აღდგენაში. მეორეს მხრივ, ზემოთ განხილული სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი,

¹⁴⁹ იხ. ლეკვეიშვილი, მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, სამეცნიერო ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N4,2014, გვ.18.

აძლევს სახელმწიფოს შესაძლებლობას, რეაგირების გარეშე არ დატოვოს დანაშაულის ფაქტი და იზრუნოს დანაშაულის ჩამდენის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე.

აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელი, მისი არსიდან და ფარგლებიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს უცხო ელემენტს, ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რამდენადაც იგი შესაძლებელს ხდის მიღწეულ იქნეს იმაზე უფრო მეტი შედეგი, რომელიც მიიღწევა ტრადიციული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მეშვეობით.

ყოველივე ზემოთ ხსენებულის მიხედვით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროში პოლიტიკის განსაზღვრას. ეს ისევე მნიშვნელოვანია, როგორც კანონმდებლობა, ტრენინგი და რესურსები. ხშირად, პროგრამების განხორციელებისას, ერთგვარად გარკვეული სიცარიელე ჩნდება, რაც ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი სერვისები და პროგრამები არ არის სრულფასოვნად გამოყენებული. თანამედროვე სახელმწიფოს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების პოლიტიკის განსაზღვრის მიმართულებით. ვინაიდან დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, თითოეული სახელმწიფო უწყებისთვის, მნიშვნელოვანი ამოცანაა, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მრავალ საერთაშორისო დოკუმენტში, მკაცრად არის განსაზღვრული არასრულწლოვანის სტატუსი და მისი უფლებრივი მდგომარეობა. ამავე დროს, თითოეული საერთაშორისო დოკუმენტში მოცემული ძირითადი არსი, რომელიც გარკვეულწილად შეიცავს არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების ასპექტებს, თუ არ იქნა, ყველა თანამედროვე ქვეყნის სასამართლო და საგამომიებო ორგანოების პრაქტიკაში გათვალისწინებული, ბუნებრივია, რომ ამ უკანასკნელის არსებობას აზრი ეკარგება. სწორედ ამიტომ, არსებითი ყურადღება უნდა გამახვილდეს აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებიდან გამომდინარე, წამყვანი ქვეყნების მართლმსაჯულებაში არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევაზე.

თავი 2. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები ანგლოსაქსური და რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნებში

2.1. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული

მექანიზმები აშშ-ში

აშშ-ში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით, იუვენალური იუსტიციის კონცეფციის განხორციელება მე-20 საუკუნის დასაწყისში დაიწყო, ფაქტია, რომ ამ დრომდე, მოზარდების გასამართლება ჩვეულებრივ სასამართლოებში¹⁵⁰ ხდებოდა.¹⁵¹ აშშ-ის დენვერის შტატის, არასრულწლოვანთა სასამართლოს მოსამართლე, ბენ ლინდსეი განმარტავდა, რომ არ არსებობს ცუდი ბავშვი, არსებობს მხოლოდ ცუდი გარემო-პირობები, რომლებსაც მოჰყვება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა.¹⁵² არასრულწლოვანთა საქმის განმხილველი სასამართლოების შექმნის შემდეგ, აშშ-ში დადგა საკითხი იუვენალური იუსტიციის კომპეტენციის ფარგლებში, რა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების გადაცემა იყო შესაძლებელი არასრულწლოვანთა სასამართლოებისთვის. არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის ასაკი სხვადასხვა შტატში სპეციფიკურად არის განსაზღვრული, ზოგადად 12-დან 18-წლამდე მოზარდები მიჰყავთ იუვენალურ სასამართლოებში.¹⁵³ აშშ-ში ბრალდებულის და დაზარალებულის ინტერესებზე ორიენტირებული პროგრამები მაშინ იწყებს მოქმედებას, როცა ტერმინი „აღდგენითი მართლმსაჯულება,“ საერთოდ არ იყო ცნობილი. აღნიშნული ტერმინი, მოგვიანებით ჩნდება ლიტერატურაში. ერთ-ერთი პირველი პროგრამა, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით დაინერგა, ბრალდებულისა და დაზარალებულის ერთგვარი შეხვედრები იყო.¹⁵⁴

აშშ-ში 1967-1979 წლები იწოდება არასრულწლოვანთა უფლებების ერაღ, ვინაიდან ამ დროს, განვითარება დაიწყო არასრულწლოვანთა საპროცესო უფლებებმა. ამ მხრივ,

¹⁵⁰ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით პირველადი სახის მნიშვნელოვანი სიახლეები, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს უკავშირდება. ამ გადაწყვეტილებებმა იუვენალური იუსტიცია და საპროცესო ფორმალობა და შესაბამისად კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სავალდებულო უფლებები შემოიღო. იხ. Dawson, R. O., The Future of Juvenile Justice: Is It Time to Abolish the System, Journal of Criminal Law and Criminology, 1999, გვ.141.

¹⁵¹ იხ. ხერხეულიძე, ი., საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2011, გვ.121.

¹⁵² იხ. Slobogin, C., Fondacar, M. R., Juveniles at risk, A Plea for Preventive justice, Oxford University press, 2014, გვ.43.

¹⁵³ იხ. იქვე, გვ. 43.

¹⁵⁴ იხ. Sobie, M., The Juvenile Offender act: Effectiveness and impact on the New York Juvenile justice system, 1981, გვ. 34.

გარდამტეხი აღმოჩნდა გოლტის საქმე.¹⁵⁵ 15 წლის ჯერალდ გოლტი და მისი მეგობარი პოლიციის მიერ დაკავებულ იქნენ უხამსი სატელეფონო საუბრის განხორციელების ბრალდებით. გოლტის მიმართ განაჩენი გამოიტანა სასამართლომ და გააგზავნა 6 წლის ვადით არიზონას შტატის ინდუსტრიულ სკოლაში. სასამართლომ დაადგინა, რომ არასრულწლოვანს უნდა მისცემოდა გარკვეული საპროცესო უფლებები საქმის განხილვის პროცესში, რაც უზრუნველყოფდა არასრულწლოვნის პროცესის ფუნდამენტურ სამართლიანობას.¹⁵⁶

აშშ-ს არასრულწლოვანთა კანონმდებლობის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ამერიკულ სისხლის სამართლის სისტემას აქვს ცალკე ლექსიკონი არასრულწლოვანთა საქმეებისთვის.¹⁵⁷ ი.ხერხეულიძის აზრით, არასრულწლოვანი დამნაშავეები არ ჩადიან დანაშაულს, არამედ ისინი ჩადიან დელინკვენტურ აქტს და სასამართლოები გამოიყენებენ ტერმინს დელინკვენტური ან არადელინკვენტური, იმის საჩვენებლად, რომ არასრულწლოვანი დამნაშავე განსხვავდება კრიმინალისგან.¹⁵⁸ ბავშვებს არ აქვთ მოზრდილების მსგავსი არც გაგების უნარი და არც დანაშაულის მოტივი. მათ შეიძლება რეალურად ჩაიდინონ დანაშაულებრივი ქმედებები, მაგრამ ისევე როგორც შეურაცხადი პირები, ბავშვები არ უნდა განიხილებოდნენ დამნაშავეებად.¹⁵⁹

ქ.მჭედლიშვილი-ჰედრიხი აღნიშნავს, რომ ნიუ-იორკში არასრულწლოვან სამართლადამრღვევებს თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, სპეციალურ პროგრამებს სთავაზობენ. ეს პროგრამები ოთხ ჯგუფად იყოფა, ესენია: ჩვეულებრივი დამრღვევების (მამაკაცთა), ნარკომანების, ქალების და არასრულწლოვნების. ეს პროგრამები მაღალი წარმატებით ხასიათდება, რადგან მათ მონაწილეთა 60% მომავალში დანაშაულს არ სჩადის. ამერიკის შეერთებულ შტატებში არასრულწლოვანთა კონფლიქტების არა სისხლისსამართლებრივი რეგულირების მრავალი პროექტი მოქმედებს. ერთ-ერთ ამგვარ პროექტს წარმოადგენს რედ ჰუკის საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრი, რომელიც 2000 წელს ნიუ-იორკში, რედ ჰუკის უბანში მდებარეობს. ეს ცენტრი

¹⁵⁵ იხ. ქვრივიშვილი, თ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, 2022, გვ. 30.

¹⁵⁶ იხ. In Re Gault, Supreme Court of the United States, 1967, N116.

¹⁵⁷ იხ. Bradley, R.J., Kolodney, S.E., Criminal Justice information Policy, Privacy and Juvenile Justice Records, 1982, გვ. 34.

¹⁵⁸ იხ. ხერხეულიძე, ი., საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N1, 2011, გვ. 291.

¹⁵⁹ იხ. Blum, A.R., Disclosing the identities of juvenile Felons: introducing Accountability to Juvenile justice, 1996, გვ. 351.

სახელმწიფოს და კერძო სექტორის პარტნიორობის ნაყოფია და მასში ჩართულია ყველა სახელმწიფოებრივი უწყება.¹⁶⁰

არასრულწლოვანთა მიმართ რედ ჰუკის სასამართლოს აქვს, როგორც საგანმანათლებლო, ასევე კულტურული და არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების პროექტები. აღნიშნული სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებში შედის მედიაციის განხორციელებაც, ამას გარდა, ხელმძღვანელობს არასრულწლოვანთა ტრენინგებს, რათა არასრულწლოვნებმა თავად შეძლონ არასრულწლოვანთა საკითხების გადაწყვეტა. რედ ჰუკის საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრის საქმიანობას, მრავალი დადებითი შედეგი სდევს თან. უპირველესად, საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრი სასამართლო საპატიმრო სასჯელს იცილებს თავიდან და მაქსიმალურად ცდილობს არასრულწლოვნის მიმართ გამოიყენოს აღდგენითი მართლმსაჯულების ცალკეული ელემენტები. რედ ჰუკის საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრის სასამართლომ მსოფლიო აღიარება მოიპოვა. იგი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის და როგორც დამრღვევთა, ასევე მსხვერპლთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი მოდელია მსოფლიო მასშტაბით.¹⁶¹ არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართულებით, აშშ-ში მოქმედებს, ასევე სხვა მრავალი პროგრამა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პროცესის მკაცრი ბერკეტების გვერდის ავლით ითვალისწინებს მათ რესოციალიზაციას და საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართულობას.¹⁶² არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულებზე, აშშ-ში გამოიყენება, არა მხოლოდ საპატიმრო სასჯელები, არამედ, აგრეთვე, სხვა ღონისძიებებიც, როგორცაა აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიებები, სპეციალურ ბანაკებში და სპეციალიზებულ სკოლაში, გლენ მილის სკოლაში გადაგზავნაც. არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ამგვარ ბანაკში მოთავსება შესაძლებელია არა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, არამედ არასრულწლოვნების მშობელთა თხოვნით პრევენციულად იმ არასრულწლოვანთა მიმართაც, რომელთაც ამგვარი დარღვევა ჯერ არ ჩაუდენიათ.¹⁶³

აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით, არასრულწლოვანთა საქმის პროკურორს, სისხლის სამართლის საქმეზე შეუძლია შეცვალოს/დააზუსტოს პირველადი კვალიფიკაცია და ამის

¹⁶⁰ იხ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სტატიათა კრებული, 2011, გვ. 735.

¹⁶¹ იხ. იქვე, გვ. 735.

¹⁶² იხ. იქვე, გვ. 736.

¹⁶³ იხ. Cole, F.F., Smith, Ch. E., Criminal Justice in America, 2014, გვ. 44.

მიხედვით, მიიღოს გადაწყვეტილება საქმის შემდგომი ეტაპების შესახებ.¹⁶⁴ აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმე შესაძლებელია გადაეცეს სასამართლოს გამარტივებული წესით განსახილველად. აღნიშნულ შემთხვევაში, არასრულწლოვნის საქმის საბრალდებო მასალები, ეგზავნება პროკურორს, რომელმაც პოლიციის დასკვნის დასაბუთებულობის საფუძვლიანად შემოწმების შემდეგ, უნდა განაგრძოს სისხლის სამართლებრივი დევნა სასამართლოში. მნიშვნელოვანია, რომ ამ ფილტრს გაივლის თითქმის ყველა სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის ის საქმეებიც, რომლებიც გამარტივებული წესით უნდა განიხილებოდეს.¹⁶⁵ აშშ ერთ-ერთი იმ სახელმწიფოთაგანია, რომელსაც აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართულებით, მედიაციის მნიშვნელოვნად დამკვიდრებული კულტურა აქვს.¹⁶⁶

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის, მეცნიერ-პროფესორთა აზრი ერთიანია არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, არა დანაშაულის ამსრულებლის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის, არამედ, პირველ რიგში, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით.¹⁶⁷ ამერიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რაც, მათ შორის, გამოიხატება არასრულწლოვანთა სასამართლოდან იურისდიქციის სრულწლოვანთა სასამართლოში გადაცემის მექანიზმის არსებობაში, რაც გულისხმობს არასრულწლოვნის, როგორც ზრდასრულ პირად გასამართლების შესაძლებლობას.¹⁶⁸ ასევე ამერიკელები დანაშაულებრიობასთან და დელინკვენტურობასთან ბრძოლის მიზნით, უფრო მეტად სადამსჯელო ზომებს ანიჭებენ უპირატესობას, ვიდრე სარეაბილიტაციოს.¹⁶⁹

აქვე აღსანიშნავია, რომ ამერიკის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში აღინიშნება არასრულწლოვანთა დასჯადობის ჰუმანიზაციისა და სისხლის სამართლის ლიბერალიზაციისკენ მიმართული მიდგომები. მაგალითად, სწორედ აშშ-ის

¹⁶⁴ იხ. იქვე, გვ.44.

¹⁶⁵ იხ. ქუთათელაძე, მ., განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, 2017, გვ.93.

¹⁶⁶ იხ. Nehf, J., The impact of mandatory arbitration on the common law regulation of standard terms in consumer contracts, 2017, გვ.85.

¹⁶⁷ იხ. იქვე, გვ. 86.

¹⁶⁸ იხ. Cole, F. F., Smith, Ch. E., Criminal Justice in America, 2014, გვ. 443.

¹⁶⁹ იხ. ხერხეულიძე, ი., საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N1, 2011, გვ.291.

სამართლებრივი გამოცდილების გაზიარებით განხორციელდა საქართველოში განრიდებისა და მედიაციის პროგრამის იმპლემენტაცია.¹⁷⁰

2.2. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული

მექანიზმები გერმანიაში

აშშ-ში არასრულწლოვანთა სასამართლოს დაარსებამ, ევროპის ქვეყნებს მისცა ბიძგი შეექმნათ ცალკეული კანონმდებლობა, სასამართლოები და ინსტიტუციები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით.¹⁷¹ ამ კუთხით გერმანიამ აიღო პასუხისმგებლობა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების მიმართულებით განევიტარებინა სისხლის სამართლის პოლიტიკა, რაც შემდეგში აისახა სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში. გერმანიამ პირველად ფრანკფურტში, ბერლინსა და კიოლნში 1908 წელს დააფუძნა არასრულწლოვანთა სასამართლოები. ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ცალკეული დონის ინსტიტუციონალიზაციის ძირითადი იდეა იყო არასრულწლოვანთა სასჯელის შემუშავების პოლიტიკა საგანმანათლებლო კონცეფციის შესაბამისად, სადაც მოსამართლე შეასრულებდა აღმზრდელობით როლს.¹⁷²

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გერმანიაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება წარმოადგენს კომპრომისულ სისტემას კეთილდღეობასა და მართლმსაჯულებაზე ორიენტირებულ მიდგომებს შორის.¹⁷³

გერმანიაში სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მრავალ საფუძველს, რომლის მიხედვითაც პროკურატურას, როგორც სახელმწიფო უწყებას და ბრალდების მხარეს, უფლება აქვს უარი თქვას სისხლისსამართლებრივ დევნაზე და შეწყვიტოს საქმე.¹⁷⁴

¹⁷⁰ იხ. შევილაძე, ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, 2019 გვ. 45.

¹⁷¹ იხ. Rap, S., The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court A Comparative Study of Juvenile justice Procedures in Europe, 2013, გვ.37.

¹⁷² იხ. Kaiser, G., The juvenile justice system: The case of Germany, 1994, გვ.324.

¹⁷³ იხ. Hatt, A.C., Melo E., Ngugi, L., Suvilaakso, T., Totland, Th., Protecting the Rights of Children in Conflict with the Law, Research on Alternatives to the Deprivation of Liberty in Eight Countries, 2008, გვ.49.

¹⁷⁴ იხ. ქუთათელაძე, მ., განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, 2017, გვ.51.

გერმანიაში ძირითად მიმართულებად მიჩნეულია არასრულწლოვნის არა დასჯა და მის მიმართ სისხლის სამართლის ნორმების მკაცრი ზეგავლენის განხორციელება, არამედ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ, მათი ოჯახის წევრების დახმარებით, ინფორმირება და მათი არასასურველი ქცევის შეცვლა.¹⁷⁵

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის პროცესში სხვადასხვა სახის სამომრიგებლო ან საშუამავლო ინსტიტუტების შემოღების ევროპული მიდგომები, გარკვეულწილად გერმანიასაც შეეხო.¹⁷⁶

გერმანიის არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების განმხილველი სასამართლოს შესახებ კანონის, 45-ე და 47-ე მუხლებით, აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში გათვალისწინებულია, განრიდების შესაძლებლობა. პროკურატურას და სასამართლოს არ აქვს უფლება ვინმეს თავს მოახვიოს იგი. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 155-ა მუხლი გარკვეულწილად ავალდებულებს პროკურორს და ასევე, მოსამართლეს, რომ სამართალწარმოების ყველა ეტაპზე მოახდინონ იმის ანალიზი, უნდა იყოს თუ არა გამოყენებული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განრიდების და მედიაციის მექანიზმი.¹⁷⁷

თუ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი, ცდილობს შეურიგდეს დაზარალებულს, ასევე სრულად, ან ნაწილობრივ აანაზღაურა მიყენებული ზიანი ან გულწრფელად შეეცადა მოეხდინა რესტიტუცია, სასამართლო უფლებამოსილია, ასეთ შემთხვევაში, შეამსუბუქოს სასჯელი 49-ე მუხლის შესაბამისად.¹⁷⁸

აღსანიშნავია, რომ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 46-ა მუხლი, არ შემოიფარგლება კონკრეტული სახის დანაშაულებით. აღნიშნული მუხლი მოიცავს ზოგად წესს, რომელიც ვრცელდება ყველა დანაშაულზე, მათ შორის ისეთ მძიმე დანაშაულებზე, როგორცაა მარცვა და გაუპატიურება. მნიშვნელოვანია, რომ თეორიულად, ის შეიძლება გავრცელდეს თვითმკვლელობის ან მკვლელობის მცდელობაზეც კი. აქვე აღსანიშნავია, რომ გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში, ე.წ. „მოკვლევა,” სრულდება არა საქმის სასამართლოსათვის გადაცემით, არამედ საქმის შეწყვეტით. სისხლის სამართლის აღძრულ

¹⁷⁵ იხ. არსოშვილი, გ., მიქანაძე, გ., შალიკაშვილი, მ., პრობაციის სამართალი, 2015, გვ.107.

¹⁷⁶ იხ. გუცენკო, კ.ფ., გოლოვკო, ლ.ვ., ფილიმონოვი, ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლი სამართლის პროცესი, 2007, გვ.503.

¹⁷⁷ იხ. Heinz, W., Das Deutsche Jugendstrafrecht Ziel, Handhabung, Wirkungen, 2008, გვ.59.

¹⁷⁸ იხ. იქვე, გვ. 60.

საქმეთაგან, დაახლოებით, 60% წყდება პროცესის ამ ეტაპზე, მათი უმეტესობა კი, მედიაციით სრულდება.¹⁷⁹

გერმანიაში სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმა გამოიყენება მცირე მნიშვნელობის დანაშაულებთან მიმართებით. პროკურორი შესთავაზებს ბრალდებულს, რომ არ დაიწყებს დევნას, თუ ის შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, რომელთა შორისაც შესაძლოა იგულისხმებოდეს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. შესაძლოა პროკურორმა არ დაიწყოს დევნა იმ მიზეზით, რომ ბრალდებული გამოთქვამს სურვილს შეხვდეს დაზარალებულს და მიაღწიოს მასთან შეთანხმებას, აუნაზღაუროს ზიანი.¹⁸⁰

გერმანიაში ჩატარებულმა ვიქტიმოლოგიურმა გამოკითხვებმა, დაადასტურა, რომ დაზარალებულის მიზანია, დანაშაულამდე არსებულ მდგომარეობაში დაბრუნება, მისი სურვილი სულაც არ არის დამნაშავის დასჯა.¹⁸¹ აქედან გამომდინარე, დაზარალებულის სურვილი არის მისთვის მიყენებული მატერიალური ხასიათის ზიანის ანაზღაურება, და თუ ეს მოხდება დამნაშავის მიერ, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი უკანონო საქციელის სიმძიმე, ეს შეიძლება ჩაითვალოს დაზარალებულისათვის უმნიშვნელოვანეს ასპექტად. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში, დიდი ხანია ფეხი მოიკიდა დანაშაულის ჩამდენს და მსხვერპლს შორის ურთიერთობის დაბალანსების მიმართულებამ. ზარალის ანაზღაურების და მსხვერპლსა და დამრღვევს შორის ურთიერთობის დაბალანსების იდეა გერმანულ სისხლის სამართალში ჩრდილო ამერიკის, ავსტრალიის და კანადის ხალხთა კულტურიდან წარმოშობილი ინსტიტუტია.¹⁸²

გერმანიის სისხლის სამართალში დამრღვევსა და დაზარალებულს შორის ურთიერთობის დაბალანსებას სისხლის სამართლის სანქციის ახალ კვალად თვლიან და ყურადღებას ანიჭებენ, არა მხოლოდ მატერიალური ზარალის ანაზღაურებას, არამედ პირთა შორის სოციალური ურთიერთობის მოგვარებას სახელმწიფოს მიერ დასჯის უფლებაზე უარის თქმით. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გარდა მედიაციის მექანიზმისა, არასრულწლოვანთა აღმზრდელობით ღონისძიებებზეც არის ყურადღება გამახვილებული

¹⁷⁹ იხ. Keidelberg, K.H., Fragen und Antworten Zum Jugendstrafrecht Laubenthal, 2006, გვ.45.

¹⁸⁰ იხ. აქლბარდია, ი., განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ, პროფ: გ. ნაჭყებიას 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 2016, გვ.61.

¹⁸¹ იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, (სახელმძღვანელო)2016, გვ.111.

¹⁸² იხ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ქ., საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016, გვ.718.

გერმანიის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მეცნიერებაში, უპირველეს ყოვლისა, განიხილება საგანმანათლებლო კონცეფციები, რომლებიც პედაგოგიური, ისტორიული, კრიმინალური პოლიტიკისა და კრიმინალური თეორიის მოსაზრებებს ეფუძნება.¹⁸³

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში, კანონმდებელი არასრულწლოვანთა მიმართ შემდეგ სანქციებს გამოიყენებს: აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი, გამასწორებელი ღონისძიებანი და თავისუფლების აღკვეთა, რომელიც არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებულ სანქციათა შორის, ყველაზე მკაცრია.¹⁸⁴ გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, არასრულწლოვნის მიმართ სანქცია ორ შემთხვევაში შეიძლება დაინიშნოს, პირველი, მაშინ, როდესაც არასრულწლოვანს მავნე ჩვევები ახასიათებს და მეორე მაშინ, როდესაც, დანაშაულის სიმძიმე ამ კატეგორიის სასჯელის საჭიროებაზე მიუთითებს. რაც შეეხება გამასწორებელ ღონისძიებებს, ეს არის გაფრთხილება, ვალდებულების დაკისრება და არასრულწლოვნის თავისუფლების შეზღუდვა, რომელიც არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციული უნდა იყოს.¹⁸⁵ რაც შეეხება აღმზრდელობითი ხასიათის იძულებით ღონისძიებებს, სასამართლოს შეუძლია არასრულწლოვანს მისცეს მითითება მისი ადგილსამყოფელის შესახებ, დაავალდებულოს, რომ მან იცხოვროს განსაზღვრულ ოჯახში ან თავშესაფარში, დაიწყოს სწავლა ან მუშაობა, შეასრულოს რაიმე სამუშაო, გადასცეს იგი საზედამხედველოდ მეთვალყურეს, მონაწილეობა მიიღოს სოციალური ვარჯიშის კურსში, მოურიგდეს დაზარალებულს და იზრუნოს მისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე.¹⁸⁶

საინტერესოა ასევე გერმანულ მართლმსაჯულებაში გაბატონებული აზრი, რომლის მიხედვითაც გერმანიის ფედერალური სასამართლო, ბოლო წლებში არასრულწლოვნის სასჯელის მიზნად მისი აღზრდის გვერდით მის დასჯასა (Sühne) და სამართლიანობის აღდგენას (Schuldausgleich) აღიარებს. თუმცა, თანამედროვე გერმანიის სისხლის სამართლის პროცესის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას გადაწყდება ორი ურთიერთდაპირისპირებული ინტერესთა კონფლიქტი.¹⁸⁷ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციაზეა მსჯელობა: 2008 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად, გერმანიის

¹⁸³ იხ. კნაუერი, ფ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, 2019, გვ.549.

¹⁸⁴ იხ. იქვე, გვ.549.

¹⁸⁵ იხ. Laubenthal, K., Jugschtrafrecht, 2015, გვ.325.

¹⁸⁶ იხ. იქვე, გვ. 325.

¹⁸⁷ იხ. Shaffstein, F., Beulke, W., Jugschtrafreht, 2012, გვ.330.

არასრულწლოვანთა სასამართლოების შესახებ აქტი უპირველეს მიზნად არასრულწლოვანთა მიერ შემდგომი დანაშაულის ჩადენის პრევენციას ასახელებს. ამ მიზნის მისაღწევად კი ინტერვენციული ღონისძიებები ორიენტირებული უნდა იყოს საგანმანათლებლო მიზნებზე.¹⁸⁸

ასევე აღსანიშნავია, რომ გერმანიის კანონმდებლობაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიზნები, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის რეაბილიტაცია და განათლების მიღების უზრუნველყოფაა. ძირითადი აქცენტი გადატანილია არა დანაშაულის სიმძიმეზე, არამედ დამნაშავეზე და მის საჭიროებებზე.¹⁸⁹

საინტერესოა, რომ გერმანიის კანონმდებლობა ყურადღების მიღმა არ ტოვებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესს.¹⁹⁰ 2008 წელს არასრულწლოვანთა სასამართლოების შესახებ აქტს დამატა ე.წ. შემდგომი პრევენციული პატიმრობა, რაც გულისხმობს მძიმე ძალადობრივი დანაშაულის ჩადენ პირთა განუსაზღვრელი ვადით პატიმრობაში დატოვებას, განსაზღვრული საპატიმრო სასჯელის მოხდის შემდეგ, თუ არსებობს მძიმე ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის მაღალი ალბათობა. აღნიშნული რეგულირება კანონგარეშედ გამოაცხადა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და შემდგომ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ. შედეგად, კანონმდებლობამ მოდიფიცირება განიცადა, თუმცა საზოგადოებისათვის სერიოზული საფრთხის შემცველი არასრულწლოვანთათვის კვლავ გათვალისწინებულია პრევენციული პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა, მაგრამ მკაცრად განსაზღვრული პირობების დაცვით.¹⁹¹

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის პროცესი გერმანიაში შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება, მათი საქმეების განსახილველად არსებობს არასრულწლოვანთა სასამართლოები, არასრულწლოვანთა საქმეების პროკურორებს სისხლის სამართლებრივი დევნის დასრულების უფრო მეტი უფლებები აქვთ, ვიდრე ზრდასრულთა საქმეების პროკურორებს.¹⁹²

¹⁸⁸ იხ. Dunkel, F., Heinz, W., Germany, International Handbook of Juvenile Justice, 2017, გვ.306.

¹⁸⁹ იხ. Albrecht, H.J., Youth Justice in Germany, Crime and Justice, 2004, გვ.453.

¹⁹⁰ იხ. შეილაძე, ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, 2019 გვ. 33.

¹⁹¹ იხ. Dunkel, F., Youth Justice in Germany, 2015, გვ.106.

¹⁹² იხ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ქ., სანქციები არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით, სტატიათა კრებული, 2011, გვ. 238.

2.3. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული

მექანიზმები ინგლისში

ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, უმნიშვნელოვანესი ფუნქციის მატარებელია და იგი გარკვეულწილად, სპეციფიკურ მიდგომას საჭიროებს.¹⁹³ აღნიშნული კუთხით, ინგლისის კანონმდებლობაც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება.

ინგლისში, მე-20 საუკუნის დასაწყისში, არასრულწლოვნის კეთილდღეობისა და მისი ინტერესების განსაკუთრებული მნიშვნელობა, საყოველთაოდ იქნა აღიარებული.¹⁹⁴ აღნიშნულს შედეგად მოჰყვა, 1933 წელს, ბავშვებისა და ახალგაზრდების აქტის მიღება. ხსენებული აქტი, სასამართლოს ავალდებულებს გადაწყვეტილების მიღებისას, გაითვალისწინოს არასრულწლოვანი ბრალდებულის კეთილდღეობის ინტერესი.¹⁹⁵

თანამედროვე ინგლისური სამართალწარმოების ამოცანაა, სისხლის სამართლის საქმეში, არა რომელიმე მხარის გამარჯვება, არამედ სინამდვილეში, დამნაშავე პირთა გამოვლენა და მათ მიმართ შესაბამისი რეაგირების გატარება.¹⁹⁶

იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია, რომ ინგლისი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციფიკურობით მიკუთვნება ისეთ ქვეყნებს, სადაც სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეწონილობის პრინციპი აქტიურად მოქმედებს.¹⁹⁷ ამ პრინციპის გათვალისწინებით, ახდენს მოსამართლე არასრულწლოვნის სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას. ინგლისში, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან, სასამართლოში საქმის გადაგზავნამდე პერიოდი, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპი, ცალკეულ ბირთვად არ მოიაზრება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ეტაპი თავისი სპეციფიკით მოიცავს სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყებას, ან უკვე დაწყებული დევნის შეწყვეტას.¹⁹⁸

¹⁹³ იხ. გოგნიანაშვილი, ნ., არასრულწლოვნის დაკითხვის თავისებურება, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, 2017, გვ.23.

¹⁹⁴ იხ. Williams, J., England and Wales, in: Litigating the Rights of the Child, 2017, გვ. 295.

¹⁹⁵ იხ. იქვე, გვ. 295.

¹⁹⁶ იხ. მსხილაძე, ლ. შედეგზე ორიენტირებული მართლმსაჯულება, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N1, 2017, გვ.19.

¹⁹⁷ იხ. Jens, M., Mediation in England and Wales, 2014, გვ.45.

¹⁹⁸ იხ. გვენეტაძე, ნ., კვაჭაძე, მ., წიკლაური-ლამიხი, ე. გაბუნია, მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; განრიდება და მედიაცია, 2012, გვ. 254.

ინგლისის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სისხლისსამართლებრივ დევნაზე უფლებამოსილ პირს, არ მოეთხოვება დაასაბუთოს, თუ კონკრეტული პირის მიმართ, რატომ მიიჩნია საჭიროდ, შეეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა.¹⁹⁹

ინგლისურ კანონმდებლობაში სასამართლო სტადიამდე სისხლისსამართლებრივი დევნა იმაში გამოიხატება, რომ პოლიცია დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღებისას, უფლებამოსილია განახორციელოს ფაქტობრივი ქმედებები მტკიცებულებათა შეკრებისთვის, რასაც შესაძლოა თან ახლდეს პროცესუალური იძულებითი ღონისძიებების გამოყენება. ამასთანავე პოლიციას აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, რომ წაუყენოს პირს ბრალდება, თუ გადასცეს საქმე ზემდგომ ინსტანციას, ან უარი თქვას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე.²⁰⁰ აქედან გამომდინარე, პოლიციას განსხვავებით კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართლებრივი სისტემებისგან, ინგლისის სამართლებრივ სივრცეში აქვს ფართო უფლებამოსილება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებაში.

ინგლისში სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობის საკითხი ფასდება ორჯერ, თავდაპირველად ამას აფასებს პოლიცია, ხოლო შემდგომ სისხლისსამართლებრივი დევნის სამეფო სამსახური. თუმცა პოლიციის ამ მიმართულებით საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს სამეფო გვირგვინის სამსახური.²⁰¹

ბ.მეურმიშვილის განმარტებით, გვირგვინის ბრალმდებლების კოდექსიდან ნათლად ჩანს, რომ გარკვეული კატეგორიის საქმეებზე სისხლისსამართლებრივ დევნას იწყებს და ახორციელებს პოლიცია, რომელიც აღჭურვილია აღნიშნული კოდექსის პრინციპებით.²⁰² ამ შემთხვევაში განსხვავებით გერმანული მოდელისაგან, ინგლისის სამართალდამცავი სისტემა აღჭურვილია გარკვეული კატეგორიის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის უფლებამოსილებით.²⁰³

მეოცე საუკუნის ბოლომდე, ინგლისურ სამართალში, დანაშაულის არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება ტარდებოდა ორი მიმართულებით,

¹⁹⁹ იხ. იქვე, გვ.255.

²⁰⁰ იხ. გაბუნია, მ., ებრალიძე, თ., მედიაციის კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N1, 2013, გვ.61.

²⁰¹ იხ. იქვე, გვ. 62.

²⁰² იხ. მეურმიშვილი, ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, 2015, გვ.174.

²⁰³ იხ. იქვე, გვ.174.

პირველი ეს გახლავთ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, რასაც შედეგად მოყვებოდა პირის დასჯა, ხოლო, მეორე ვარიანტად განიხილებოდა უარი დევნის დაწყებაზე მტკიცებულებათა არ არსებობის გამო. ამ პერიოდში ჩნდება ინგლისურ სამართალში გაფრთხილების ინსტიტუტი, რომელიც საფუძვლად დაედო აღდგენითი მართლმსაჯულების ჩამოყალიბებას.²⁰⁴ ინგლისურ კანონმდებლობაში, გაფრთხილების ინსტიტუტი წარმოადგენს ყველაზე გავრცელებული ფორმას. მოცემულ შემთხვევაში, თუ პოლიცია თვლის, რომ უნდა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, ოფიციალურად აფრთხილებს არასრულწლოვანს და ართმევს მას ხელწერილს, რომელსაც მნიშვნელოვანია, რომ ხელს აწერენ მოზარდის მშობლებიც.²⁰⁵ ინგლისში და უელსში პოლიცია უფლებამოსილია, გამოიყენოს ისეთი ღონისძიებები სასამართლო საქმის წარმოებამდე, როგორცაა: „გაკვიცხვა“ და „ბოლო გაფრთხილება.“²⁰⁶ ინგლისში გაფრთხილების ინსტიტუტი რამდენიმე ფორმით ჩამოყალიბდა. გაფრთხილების ინსტიტუტის პირველი ფორმა არის „არაფორმალური გაფრთხილება,“ რომელიც არ მოიცავს არანაირ სამართლებრივ შედეგს. პოლიცია, მოცემულ შემთხვევაში, აღმოაჩენს ჩადენილ ფაქტს და მხოლოდ სიტყვიერად აფრთხილებს არასრულწლოვანს,

თუ მისი ქმედება უმნიშვნელო დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. გაფრთხილების ინსტიტუტის მეორე ვარიანტის შემთხვევაში, დგება ფორმალური დოკუმენტი გაფრთხილების შესახებ, გაფრთხილების ინსტიტუტის მესამე ნაირსახეობა არის ე.წ. „ოფიციალური გაფრთხილება“.²⁰⁷

ინგლისში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, თუ პირი არ გაითვალისწინებს გაფრთხილების მექანიზმს და კვლავ ჩაიდენს ახალ დანაშაულს, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ვეღარ გაექცევა, რადგან მის მიმართ გაფრთხილება გამოიყენება მხოლოდ ერთხელ.²⁰⁸ თუკი პირმა „ოფიციალური გაფრთხილების,“ მიუხედავად, მაინც ჩაიდინა დანაშაული, არ აქვს მნიშვნელობა ეს იქნება განზრახ, თუ გაუფრთხილებლობით, იწყება სისხლისსამართლებრივ დევნა და საქმეს შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა სასამართლოს.²⁰⁹ აღსანიშნავია, რომ პოლიციის მიერ შეფარდებული „ოფიციალური

²⁰⁴ იხ. იქვე, გვ.175.

²⁰⁵ იხ. ქუთათელაძე, მ., განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, 2017, გვ.78.

²⁰⁶ იხ. ჰამილტონი, ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011, გვ.66.

²⁰⁷ იხ. ხუციშვილი, ი. განრიდების გამოყენების სამართლებრივი მექანიზმი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი, 2022, გვ.133.

²⁰⁸ იხ. Winterdyk, J.A., Juvenile Justice: International Perspectives, Models and Trends, 2015, გვ. 344

²⁰⁹ იხ. Hungerford-Welch, P., Criminal litigation and sentencing, 2000, გვ. 29.

გაფრთხილება,“ პროცედურულ კონტროლს გაივლის მისი სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაშიც.²¹⁰

საინტერესოა, ასევე ინგლისში არასრულწლოვანთა მედიაციის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები. აღნიშნული ინსტიტუტი, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილი, დასაშვებია სისხლის სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. ინგლისურ სამართალში მედიაციის მთავარი იდეა მდგომარეობს შემდეგში: სახელმწიფო ცდილობს, სისხლისსამართლებრივი წარმოების გვერდის ავლით, პროცესის მონაწილე ორივე მხარეს შორის გადაჭრას კონფლიქტი.²¹¹ ეს არის საუკეთესო მესამე გზა, რომ არ დარჩეს დანაშაულებრივი ქმედება რეაგირების გარეშე, ამასთანავე, დაკმაყოფილდეს დაზარალებულის ინტერესი იქნება, ეს მატერიალური თუ მორალური.²¹² არასრულწლოვანთა მედიაციას, ინგლისის კანონმდებლობის მიხედვით აქვს სხვადასხვა მიმართულება, აღდგენითი მართლმსაჯულების ჩარჩოებში საინტერესოა გავანალიზოთ საპოლიციო მედიაცია. აღნიშნულის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პოლიციას არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლის საქმე, შეუძლია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე გადასცეს მედიაციის სამსახურს. რის შემდეგაც მედიატორი ხვდება, როგორც დანაშაულის ჩამდენს, ისე დაზარალებულს და ეძებს კომპრომისის ჰუმანურ გზებს.²¹³ ამ შემთხვევაში თუ მედიაცია წარმატების განხორციელდა, პოლიციის ორგანოები უარს ამბობენ, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე, წყვეტენ გამოძიებას და მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლებიან. ინგლისურ სამართალში აღნიშნული მიდგომა შეფასებულია, როგორც სისხლის სამართლის ჰუმანური პოლიტიკის ნაწილი, რაც ასევე პირდაპირ მიმართებაშია მსოფლიოში არასრულწლოვნებთან დაკავშირებით არსებულ გამოწვევებთან.²¹⁴

²¹⁰ იხ. Wright, M., Victims, mediation and criminal justice, 2005, გვ.67.

²¹¹ იხ. იქვე, გვ.67.

²¹² იხ. Liebmann, M., Community and neighbor mediation, 2003, გვ.324.

²¹³ იხ. გაბუნია, მ., ებრალიძე, თ., მედიაციის კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N1, 2013, გვ.62.

²¹⁴ იხ. Pradel, J., Procedure penale compare dans les systems modernes, 1998, გვ.485.

2.4. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები ბელგიაში

აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის ჩამოყალიბება ბელგიაში, საზოგადოების განვითარების წიაღიდან დაიწყო. ამ პროცესის ორგანიზატორები არაინსტიტუციონალიზებული ორგანიზაციები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები იყვნენ.²¹⁵ მას შემდეგ, რაც ბელგიის სამთავრობო სტრუქტურები და სამოქალაქო საზოგადოება მიხვდა, რომ არასრულწლოვნის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით და მისი მკაცრად დასჯით, სისხლის სამართლის ჰუმანური პოლიტიკის მიზნები ვერ მიიღწეოდა, დადგა საკითხი აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარების. ბელგიაში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა და საზოგადოების დამოკიდებულებამ არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. ჯერ კიდევ 1994 წელს მიღებული კანონი სისხლის სამართლის მედიაციის შესახებ ძირითადად ნაკარნახევი იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში სოციალური ნდობის აღდგენის საჭიროებით.²¹⁶

ბელგიის კანონმდებლობის მიხედვით, არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები, დღეს უკვე, სხვადასხვა მასშტაბითა და საორგანიზაციო მოდელით არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამები სხვადასხვა ტემპით განვითარდა, ამჟამად სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში აღდგენითი მართლმსაჯულების მექანიზმები ყველა კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ გამოიყენება გარკვეული დოზით.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ფარგლებში, არასრულწლოვანთა კეთილდღეობაზე ორიენტირებული მიდგომებით, გამორჩეულია ბელგიის მართლმსაჯულების სისტემა.²¹⁷ ბელგიაში არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების სამართლებრივი ფარგლები რეგულირებულია 2006 წლის მაისის და ივნისის კანონებით, რომელშიც გათვალისწინებულია, როგორც დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნის სამართლებრივი სტატუსი, ისე დაზარალებულის მდგომარეობა და მედიაციის სამართლებრივი ასპექტები.

²¹⁵ იხ. გვენტაძე, ნ., კვაჭაძე, მ., წიკლაური-ლამიხი, ე., გაბუნია, მ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: განრიდება და მედიაცია, 2012, გვ. 381.

²¹⁶ იხ. გუცენკო, კ. ფ., გოლოვკო, ლ. ვ., ფილიმონოვი, ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, 2007, გვ. 149.

²¹⁷ იხ. Dumortier, E., Christiaens J., Nuytiens A., Belgium, in: International Handbook of Juvenile Justice, 2017, გვ. 239.

აღსანიშნავია, რომ 2007 წლის 1 აპრილს ბელგიაში ძალაში შევიდა ახალგაზრდული კანონი, რომელმაც ქვეყნის მასშტაბით საფუძველი ჩაუყარა დაზარალებული-დამნაშავის მედიაციის საქმეების რაოდენობის მნიშვნელოვნად ზრდას.²¹⁸

ბელგიის პარლამენტმა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართულებით, მედიაციის განსავითარებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯები განახორციელა. კანონმდებელმა გააფართოვა სამართალდამრღვევს და დაზარალებულს შორის მედიაციის გამოყენების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, როგორც დაზარალებული, ისე სამართალდამრღვევი, თუ თანახმა არიან, მონაწილეობა მიიღონ მედიაციაში, მისი გამოყენება შეიძლება სამართალწარმოების ყველა ეტაპზე.²¹⁹ კანონმდებელი, ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც კონფიდენციალობის და ნეიტრალობის, ისე აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში თავისუფალი მონაწილეობის პრინციპებს.²²⁰ აღსანიშნავია, რომ სპეციალური მედიატორები არ არიან დაკავშირებულნი სისხლის სამართლის სისტემასთან. ვინაიდან, ისინი მუშაობენ დამოუკიდებელ, არასამთავრობო ორგანიზაციებში და წარმოადგენენ მედიაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების სპეციალისტებს.²²¹

ბელგიაში მოქმედებს არასრულწლოვანთა შესახებ კანონი, რომელიც, მართალია, ემყარება კეთილდღეობის მოდელის ძირითად პრინციპებს, მაგრამ პირველ ადგილზე არ აყენებს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას.²²² თუმცა, არასრულწლოვანთა შესახებ ბელგიის კანონი, უპირველეს პრინციპად ასახელებს დანაშაულის პრევენციას, როგორც უმნიშვნელოვანეს გარემოებას საზოგადოების უსაფრთხოების დასაცავად. ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება მიზნად ისახავს განათლების, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფას.²²³ როგორც ბელგიის, ისე გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთავარი არსი არის დანაშაულის

²¹⁸ იხ. Bram, V. D., Victim Offender Mediation in Severe Crimes in Belgium, 2010, გვ. 47.

²¹⁹ იხ. ქუთათელაძე, მ., განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, 2017, გვ. 59.

²²⁰ იხ. იქვე, გვ. 59.

²²¹ იხ. განრიდება-მედიაციის პროგრამა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, http://ganrideba.ge/res/files/52/Final%20Report_2017_%2012%20month_Diversion%20and%20Mediation.

²²² იხ. Vandenhoe, W., Belgium, The Convention on the Rights of the Child in Belgian Case Law, in: Litigating the Rights of the Child, 2015, გვ. 107.

²²³ იხ. შევილაძე, ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, 2019 გვ. 34.

პრევენცია და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა, ამავე დროს, აღნიშნულ პროცესში არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესის გარკვეული დოზით გათვალისწინება.

ბელგიაში არასრულწლოვანთა მიმართ აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართულებით შესაძლებელია რამდენიმე ჯგუფი გამოვყოთ: 1) მედიაცია, როგორც განრიდებითი ღონისძიება 2) მედიაცია, როგორც სისხლის სამართლის პროცესის დამატებითი ღონისძიება 3) მედიაცია, მცირე დანაშაულისთვის საპოლიციო უფლებამოსილების ფარგლებში.²²⁴ ბელგიის კანონმდებლობით პოლიცია, განსხვავებით ქართული სამართლებრივი სივრცისგან, მედიაციის პროცესში ფართო სპეციფიკური უფლებამოსილებით არის აღჭურვილი. ვინაიდან საქმის პროკურორისთვის არ გადაცემა და პოლიციისგან მედიაციის პროცედურების განხორციელება, დამოკიდებულია იმაზე, დანაშაულის ჩამდენმა დაზარალებულს, თუ აუნაზღაურა ზიანი და თუ გააცნობიერა დანაშაულის შედეგად ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობა.²²⁵

გამომიების დაწყების შემთხვევაში, ბელგიის კანონმდებლობის მიხედვით, პროკურორი მხარეებს სთავაზობს მედიაციის პროგრამაში მონაწილეობას, ხოლო წარმატებული მედიაციის დროს, წყდება სისხლის სამართლის საქმე. მედიაცია არის სერვისი, რომელიც დაკვეთილია სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების მიერ და ხორციელდება მათი ხშირად უშუალო ჩართულობით.²²⁶ ამ კუთხით სამოქალაქო სექტორი ხელს უწყობს და ეხმარება სამთავრობო და სამართალდამცავ ორგანოებს განახორციელონ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ საგანმანათლებლო და დანაშაულის პრევენციული პროგრამები.²²⁷

2.5. შეჯამება

მოცემულ თავში განვიხილეთ ოთხი განვითარებული და დემოკრატიული სახელმწიფოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მოდელი. როგორც ჩანს, აღნიშნული ქვეყნების კანონმდებლობაში სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები,

²²⁴ იხ. გვენეტაძე, ნ., კვაჭაძე, მ., წიკლაური-ლამიხი, ე., გაბუნია, მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; განრიდება და მედიაცია, 2012, გვ. 384.

²²⁵ იხ. იქვე, გვ. 384.

²²⁶ იხ. იქვე, გვ. 385.

²²⁷ იხ. Bram, V. D., Victim Offender Mediation in Severe Crimes in Belgium, 2010, გვ. 54.

თავისი სპეციფიკური ხასიათით გამოირჩევა. ხსენებული სახელმწიფოები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე მსჯელობისას შეიძლება პირობითად დავყოთ სამართლის სისტემის ორ ოჯახად, ისევე როგორც, ეს საჯარო სამართალშია გამიჯნული. განსაკუთრებით სამართლებრივ სისტემებს შორის განსხვავება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით, როგორც ეროვნული კანონმდებლობის სპეციფიკურობაში, ისე სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლების უფლება-მოვალეობებში გამოიხატება. მაგ: საპოლიციო უწყებებს განსხვავებით კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართლებრივი სისტემებისგან, ინგლისის სამართლებრივ სივრცეში, აქვს ფართო უფლებამოსილება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებაში. აღსანიშნავია, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში სისხლის სამართლის სანქციის ნოვაციურ სახეობად მიიჩნევა კანონთან კონფლიქტში მყოფ პირსა და დაზარალებულს შორის ურთიერთობის დაბალანსება, ასევე გერმანიაში სამართალდამცავი უწყებები არსებით ყურადღებას ანიჭებენ, არა მხოლოდ მატერიალური ზარალის ანაზღაურებას, არამედ პირთა შორის სოციალური ურთიერთობის მოგვარებას, სახელმწიფოს მიერ დასჯის უფლებაზე უარის თქმით. შესაბამისად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით აქცენტი გადატანილია არა პირის დასჯაზე, არამედ მის საჭიროებებზე და დანაშაულის პრევენციაზე. ამ მიმართულებით გამორჩეულია პროკურატურის და სასამართლოს როლი. რაც შეეხება, ინგლისურ იურიდიულ ლიტერატურას, არაერთ ნაშრომში მოცემულია, რომ სახელმწიფო ცდილობს საპოლიციო უწყებები, პროკურატურა და სასამართლო აღჭურვის უფრო მეტი უფლებამოსილებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით. პოლიციას და ისევე, როგორც პროკურატურას, საკანონმდებლო დონეზე აქვს უფლებამოსილება სხვადასხვა ალტერნატიული პროგრამების განხორციელებით, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი ჩამოაშორონ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას. მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ანგლო-საქსური სამართლის ოჯახში სახელმწიფოთა საკანონმდებლო ფარგლები, უფრო დატვირთულია სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული პროგრამებით.

ნაშრომში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კუთხით, ერთის მხრივ, აშშ-ს და ინგლისის და მეორეს მხრივ, გერმანიის და ბელგიის საკანონმდებლო მოდელების განხილვის შედეგად, წარმოვაჩინეთ აღნიშნული ქვეყნების კანონმდებლობის

მრავალფეროვანი ხასიათი არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების მიმართულებით. ანგლო-საქსური და რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახების ფარგლებში, სადაც სამართლის განსხვავებული მოდელებია, ჩვენი ქვეყნის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისთვის, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია, აღნიშნული თანამედროვე სახელმწიფოების არასრულწლოვანთა კანონმდებლობის განხილვა და საკანონმდებლო სივრცეში გარკვეულწილად პარალელების გავლება. ვინაიდან თითოეული ეს სახელმწიფო ცდილობს აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობა არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარების მიმართულებით და თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად უარი თქვას სისხლის სამართლის მკაცრ პოლიტიკაზე. ამ კუთხით, აღნიშნული სახელმწიფოების კანონმდებლობის გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა, რომ თითოეული ქვეყნის ერთის მხრივ საკანონმდებლო, მეორეს მხრივ სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოები ცდილობენ დაიცვან ერთგვარი ბალანსი, მართლმსაჯულების ინტერესებს და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებს შორის.

თავი 3. არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები

3.1. არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის ჩამოყალიბების ეტაპები საქართველოში

როგორც მშობლები ფიქრობენ მათი შვილების აღზრდის საუკეთესო მეთოდებზე, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე, ასევე ებრძვიან სახელმწიფოები ახალგაზრდების მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებს და ცდილობენ უპასუხონ არსებულ გამოწვევებს.²²⁸ ქართული კანონმდებლობაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით გარკვეული სპეციფიკურობით გამოირჩევა. საქართველოში არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების ჩამოყალიბებას, ისტორიულად საკმაოდ მკაცრი ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა²²⁹ უძღვოდა წინ. აღნიშნული პოლიტიკის მიზანს წარმოადგენდა, ის რომ არც ერთი დანაშაული, თუნდაც წვრილმანი, არ დარჩენილიყო მკაცრი რეაგირების გარეშე.²³⁰ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ერთ-ერთი ხშირად გამოყენებადი ტერმინია, სისხლის სამართლის რეპრესიული პოლიტიკის განხორციელების კრილში.²³¹ რეპრესიული პოლიტიკის გატარებამ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით, დიდი უარყოფითი ზეგავლენა იქონია.²³² არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორიამ, ასევე ციხეებიდან გამოსული ახალგაზრდებისათვის სასჯელის ხელმეორედ მისჯის მაღალმა მაჩვენებელმა, ცხადყო, დასჯაზე დაფუძნებული სისხლისსამართლებრივი მკაცრი კონტროლის მარცხი.²³³ არასრულწლოვანთა მიმართ

²²⁸ იხ. Doob, A.N., Tonry, M., Varieties of Youth Justice, Youth Crime and Youth Justice: Comparative and Cross-National perspectives, 2004, გვ.2.

²²⁹ იხ. საქართველოში ჯერ კიდევ 2006 წელს გამოცხადდა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა, რომელიც იყო ნიუ-იორკის პოლიციის უფროსის ვილიამ ბრეტონის, მიერ 1994 წელს განხორციელებული მკაცრი პოლიციური სტრატეგიის მსგავსი. აღნიშნული პოლიტიკის მიზანი იყო, რომ ნებისმიერი სახის დანაშაულს სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოჰყოლოდა მყისიერი და მკაცრი რეაქცია. რამაც მოგვიტანა, როგორც სრულწლოვანთა, ისე არასრულწლოვანთა უფლებების და თავისუფლებების არსებითი ხასიათის დარღვევები და საქართველოს საერთაშორისო იმიჯის გაუარესება. ასევე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საქმეების რაოდენობის გაზრდა. იხ. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, <https://socialjustice.org.ge/ka/products/nulovani-tolerantobis-kulturuli-da-simboluri-rezonansi-tanamedrove-siskhlis-samartlis-sistemashi>.

²³⁰ იხ. ნულოვანი ტოლერანტობიდან ლიბერალიზაციისაკენ, ციხის საერთაშორისო რეფორმა, 2011, გვ.3.

²³¹ იხ. ქუჭიშვილი, ხ., სისხლის სამართლის პოლიტიკის გავლენა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, N22, 2022, გვ.102.

²³² იხ. ქარიმ, ი., ნულოვანი ტოლერანტობის კულტურული და სიმბოლური რეზონანსი თანამედროვე სისხლის სამართლის სისტემაში, დანაშაულის და სასჯელის თეორიები, თარგმანი, ნ. კარანაძე, 2022, გვ.192.

²³³ იხ. ფაფიაშვილი, ლ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, N1, 2008, გვ.154.

ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გატარების შემდეგ, ქართულ სამართლებრივ სივრცეში ჩნდება დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტიტუტი, რომელიც პროკურორს ანიჭებს უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ დაიწყოს, არ დაიწყოს ან/და შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და ამ შემთხვევაში იგი, მხოლოდ შეზღუდულია საჯარო ინტერესებით. ასევე, სისხლის სამართლის პოლიტიკის ჰუმანიზაციის მიმართულებით, კანონმდებელს შემოაქვს, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის სახით.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საქართველოში, არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა დაიწყო 2010 წლის 15 ნოემბერს. პროგრამის დაწყება ეფუძნებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეხუთე ნაწილის ჩანაწერს, რომელიც პროკურორს უფლებამოსილებას აძლევდა არასრულწლოვანთან გაეფორმებინა ხელშეკრულება განრიდების და მედიაციის შესახებ.²³⁴ აღსანიშნავია, 2010 წლის 24 სექტემბრის კანონით, ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ კანონმდებლობა იძლევა ადგენითი მართლმსაჯულების გამოყენების შესაძლებლობას და კანონმდებელს შემოაქვს განრიდების და მედიაციის ინსტიტუტი.²³⁵ განრიდების და მედიაციის პროგრამის პრაქტიკაში დანერგვასთან დაკავშირებით, ჩართული იყვნენ უფლებამოსილი სამინისტროები: შესაბამისად მიღებულ იქნა უფლებამოსილი მინისტრების შემდეგი ბრძანებები: 1) 2010 წლის 12 ნოემბრიდან ძალაში შევიდა იუსტიციის მინისტრის N216 ბრძანება,²³⁶ რომელიც განსაზღვრავს განრიდებისა და მედიაციის შესახებ სახელმძღვანელო მითითებებს პროკურორებისთვის და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითად პირობებს.²³⁷ 2) 2010 წლის 7 დეკემბერს გამოქვეყნდა და 2010 წლის 5 ნოემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე გავრცელდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ბრძანება, რომელიც განსაზღვრავს განრიდებისა და მედიაციის შესახებ სახელმძღვანელო მითითებებს

²³⁴ იხ. აქუზარდია, ი., განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ, პროფ: გ. ნაჭყებიას 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 2016, გვ.61.

²³⁵ იხ. გვენტაძე, ნ., კვაჭაძე, მ., წიკლაური-ლამიხი, ქ., გაბუნია, მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, განრიდება და მედიაცია, 2012, გვ. 113.

²³⁶ იხ. იუსტიციის მინისტრის N216 ბრძანება გაუქმდა და 2016 წლის პირველ თებერვალს მიღებულ იქნა იუსტიციის მინისტრის ახალი 120-ე ბრძანება არასრულწლოვანის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე.

²³⁷ იხ. განრიდების ხელშეკრულება, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <http://pog.gov.ge/geo/projects/curr>.

მედიატორებისთვის.²³⁸ 3) 2011 წლის 22 თებერვალს ამოქმედდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება, რომელიც განსაზღვრავს განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლსა და საქმიანობის წესს. 4) არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორების საქმიანობის წესისა და სამუშაო დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ. დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2014 წლის 19 ნოემბრის N129/ს ბრძანება.²³⁹

აღსანიშნავია, რომ 2010 წლის, ივლისში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა მთელი რიგი ცვლილებები. შესაბამისად, აღნიშნულ ცვლილებებთან ერთად ამოქმედდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების განრიდებისა და მედიაციის მექანიზმი, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილი. პროგრამა 2010 წლის 15 ნოემბერს ამოქმედდა აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების ბაზაზე და ამავე წლის 19 ნოემბერს, აღსანიშნავია, რომ განრიდებულ იქნა კანონთან კონფლიქტში მყოფი პირველი არასრულწლოვანი.

აღნიშნული პროგრამა საწყის ეტაპზე იყო საპილოტე, და მოქმედებდა საქართველოს მხოლოდ ოთხ ქალაქში: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი. 2011 წელს დაემატა ორი ქალაქი: გორი და სამტრედია, ხოლო 2013 წლის აგვისტოდან ხსენებული პროგრამა, მოქმედებს მთელი საქართველოს მასშტაბით.²⁴⁰ 2014 წლის ნოემბრამდე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში, ჩართვა შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ჩადენილი ქმედება წარმოადგენდა ნაკლებად მძიმე დანაშაულს. 2014 წლის 11 ნოემბრის შემდგომ ეს პროგრამა გავრცელდა მძიმე კატეგორიის დანაშაულებზეც. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით გარკვეულწილად დაიხვეწა 2010 წლიდან პროგრამის პრაქტიკაში გამოყენებისას იდენტიფიცირებული მთელი რიგი ხარვეზები და სხვადასხვა პროცედურული საკითხები.²⁴¹

²³⁸ იხ. სახელმძღვანელო მითითებები მედიატორისთვის, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1129448?publication>.

²³⁹ იხ. მედიატორთა საქმიანობის წესი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <http://prevention.gov.ge/uploads/files/aqtebi/debuleba29072019>.

²⁴⁰ იხ. ფაფიაშვილი, ლ., თუმანიშვილი, გ., კვაჭანტირაძე, დ., ლიპარტელიანი, ლ., დადეშქელიანი, გ., გუნცაძე, შ., მეზერიშვილი, ნ. თოლორაია, ლ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015, გვ. 488.

²⁴¹ იხ. განრიდების პროგრამა, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/uploads/42f3329b>.

საქართველოს მთავრობამ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში, არასრულწლოვანთა უფლებების დაცვისა და განმტკიცების კუთხით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები განახორციელა. საქართველოში 2009 წლამდე, სამწუხაროდ, არ არსებობდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია, თუმცა მოგვიანებით ამ მიმართულებით მოხდა ძირეული გარდაქმნები. კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის ძირითადი ნაწილი 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. აღნიშნული კოდექსის მიღებით, მიღწეულ იქნა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგით განსაზღვრული ერთ-ერთი მთავარი მიზანი, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსულიყო ეროვნული კანონმდებლობის ის ნაწილი, რომელიც ხელს შეუწყობდა მართლმსაჯულების სიტემაში მოხვედრილ ბავშვთა უფლებების დაცვის გაძლიერებას.²⁴² არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებამ, გააჩინა განცდა, რომ ჩვენმა ქვეყანამ ლიბერალური პოლიტიკისგან აიღო გეზი, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ არასრულწლოვანთა წარმატებულ რესოციალიზაციას, არამედ მთელი საზოგადოების კეთილდღეობასა და უსაფრთხოებას.²⁴³ აღნიშნულ კოდექსში კანონმდებელმა არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის საკითხი ახლებურად დაარეგულირა. კანონმდებელი, ამკ-ის 38-ე მუხლიდან გამომდინარე, პირველ რიგში, განიხილავს განრიდების შესაძლებლობას, თუ არსებობს იმის დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა. ასევე, ამავე მუხლის მოთხოვნაა, რომ გაეცეს პასუხი კითხვას, უზრუნველყოფს, თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას? აღსანიშნავია, რომ პროკურორის მიერ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და ასევე, სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით განრიდების გამოსაყენებლად საქმის განხილვისას ან განრიდების გამოყენების შესახებ მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის განხილვისას, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე, არასრულწლოვნის ასაკი, ბრალეულობის ხარისხი, მოსალოდნელი სასჯელი, არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანი, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, დანაშაულის შემდგომი ქცევა,

²⁴² იხ. ქვრივიშვილი, თ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, 2022, გვ.12.

²⁴³ იხ. ჭანტურია, ლ., არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის ზოგადი პრობლემები, პროფ.გ.ნაჭყებიას - 75 საიუბილეო კრებული, 2016, გვ.216.

არასრულწლოვნის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაული და ინდივიდუალური შეფასების ანგარიში.²⁴⁴

კანონმდებელი, განრიდებას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-7 ქვეპუნქტის თანახმად, განმარტავს შემდეგნაირად: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მიზანია არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. ასევე აღნიშნულ კოდექსში მე-3 მუხლის მე-9 ქვეპუნქტის შესაბამისად განმარტავს მედიაციას, რომელიც არის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესი. ამ პროცესს უძღვება მედიატორი და მისი მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის კონფლიქტის გადაწყვეტა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შეფასებასთან დაკავშირებით, აღნიშნავს ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქართულ სასამართლო და პროკურატურის პრაქტიკაში, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის ინსტიტუტის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის შემოღებით, ჩამოყალიბდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ახალი ფორმა, რომელიც გარკვეულწილად პირდაპირ მიმართებაშია სისხლის სამართლის ჰუმანურ პოლიტიკასთან.²⁴⁵ ი. აქუბარდია, აღნიშნავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა, საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით, დეტალურად ჩამოაყალიბა არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების წინაპირობები, გამოკვეთა განრიდების გამოყენებისათვის გარკვეულ გარემოებათა ერთობლიობის აუცილებლობა და განსაზღვრა არასრულწლოვანის მიმართ გამოსაყენებელი განრიდების ღონისძიებები.²⁴⁶

²⁴⁴ იხ. ფაფიაშვილი, ლ., თუმანიშვილი, გ., კვაჭანტირაძე, დ., ლიპარტელიანი, ლ., დადეშქელიანი, გ., გუნცაძე, შ., მეზერიშვილი, ნ. თოლორაია, ლ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015, გვ. 492.

²⁴⁵ იხ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე, ჟურნალი სამართალი და მსოფიო, N1, 2015, გვ. 59.

²⁴⁶ იხ. აქუბარდია, ი., განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ, პროფ: გ. ნაჭყებიას 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 2016, გვ. 65.

3.2. განრიდების და მედიაციის პროგრამის მიზანი და მნიშვნელობა

განრიდება არის სისხლის სამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმა, რომელიც დანაშაულის ჩამდენ პირს აძლევს შესაძლებლობას განერიდოს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.²⁴⁷ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის განრიდება, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, ემსახურება იმ მიზანს, რომ არასრულწლოვანს მისცეს გამოსწორების შანსი, ასევე თავიდან იქნას აცილებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, მისი კრიმინალად ჩამოყალიბების გარდაუვალი პროცესი.²⁴⁸

არასრულწლოვნის განრიდება, წარმოადგენს დანაშაულის ამსრულებელი პირის მიმართ ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც, სისხლისსამართლებრივ დევნას არ იწყებს პროკურორი, ან თუ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია, იღებს მისი შეწყვეტის გადაწყვეტილებას.²⁴⁹ აღსანიშნავია, რომ პირის მიმართ განრიდების გამოყენება გამორიცხავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებულ ნასამართლობას, ვინაიდან სასამართლო და პროკურატურა არ მსჯელობენ დანაშაულის ჩამდენი პირის ბრალეულობაზე, და გამომდინარე აქედან, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა არ ხდება. განრიდების და მედიაციის პროგრამის არსთან და ფარგლებთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. ამ პროგრამის ძირითადი ამოცანაა, დაამკვიდროს საზოგადოებაში იმ პირების ღირსების პატივისცემა, რომელთაც დანაშაულის შედეგად ზიანი მიაღდათ. ასევე არანაკლებ პრიორიტეტული ამოცანაა დაზარალებულთათვის და დამნაშავეთათვის საკუთარი აზრებისა და გრძნობების ღიად და გულწრფელად გადმოცემის შესაძლებლობის მინიჭება.²⁵⁰

განრიდების, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის არსი და მიზანი მდგომარეობს ფორმალური სახელმწიფო კონტროლის, არაფორმალურ კონტროლზე გარკვეულწილად გადამისამართებაში.²⁵¹ აღსანიშნავია, რომ განრიდება და

²⁴⁷ იხ. იქვე, გვ. 66.

²⁴⁸ იხ. შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, 2013, გვ. 46.

²⁴⁹ იხ. ფაფიაშვილი, ლ., თუმანიშვილი, გ., კვაჭანტირაძე, დ., ლიპარტელიანი, ლ., დადეშქელიანი, გ., გუნცაძე, შ., მეზერიშვილი, ნ., თოლორაია, ლ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015, გვ. 487.

²⁵⁰ იხ. ქუთათელაძე, მ., განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, 2017, გვ. 33.

²⁵¹ იხ. Sommerfeld, S., Schriftenreihe der deutschen vereinigung fur jugendgerichte und jugendgerichtshilfen, 2009, გვ. 56.

მედიაცია, მიზნად ისახავს არსებული კონფლიქტის არასისხლისსამართლებრივი გზებით მოგვარებას.²⁵² ამავე დროს, აღნიშნული პროგრამის არსი მდგომარეობს იმაში, რომ არასრულწლოვანს კანონმორჩილი ცხოვრებისკენ აძლევს მიმართულებას. ხსენებული პროგრამის ფარგლებში, კანონმდებელი საშუალებას აძლევს პროკურორს, სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესის არ არსებობის პირობებში, არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, და ამასთანავე, არ უგულებელყოს დაზარალებულის ინტერესი.²⁵³

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვნისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან შანსს მის ცხოვრებაში, შესაბამისი მოთხოვნების შესრულების სანაცვლოდ ცხოვრება განაგრძოს ნასამართლობის გარეშე. ამასთანავე, აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს გადადგას ნაბიჯი წარმატებული მომავლისკენ და დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება. აქვე დავამატებთ, რომ ეს პროგრამა ეფექტურია მოზარდის რესოციალიზაციისა და დაზარალებულის ინტერესების დაკმაყოფილების თვალსაზრისით. განრიდების იდეა და არსი, ემყარება კონცეფციას, რომლის მიხედვითაც მოზარდს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრამ, შეიძლება ბევრად უფრო მეტი ზიანი მოუტანოს, ვიდრე გარკვეული სიკეთე. რაც შეეხება თვითონ ინსტიტუტს, მასთან დაკავშირებით გ. თუმანიშვილი განმარტავს, რომ განრიდების და მედიაციის პროგრამა, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული საშუალება, წარმოადგენს ალდგენითი მართლმსაჯულების განხორციელების ფორმას.²⁵⁴

აღსანიშნავია, რომ სოციალურ-პედაგოგიურ და იურიდიულ ლიტერატურაში, ხშირად მსჯელობენ სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში, მედიაციისა და განრიდების პროგრამის განვითარების აუცილებლობაზე და გარკვეულწილად ყურადღებას ამახვილებენ ამ ინსტიტუტის დადებით მხარეებზე.²⁵⁵

იურიდიულ ლიტერატურაში მედიაციის²⁵⁶ მნიშვნელობა და არსი განმარტებულია შემდეგნაირად, მედიაციის, როგორც მნიშვნელოვანი სტრუქტურირებული

²⁵² იხ. აქუზარდია, ი., განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ, პროფ: გ. ნაჭყებიას 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 2016, გვ.60.

²⁵³ იხ. გვენეტაძე, ნ., კვაჭაძე, მ., წიკლაური-ლამიხი, ქ., გაბუნია, მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, განრიდება და მედიაცია 2012, გვ. 121.

²⁵⁴ იხ. თუმანიშვილი, გ., სისხლის სამართლის პროცესი, 2014, გვ. 71.

²⁵⁵ იხ. აქუზარდია, ი., განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ, პროფ: გ. ნაჭყებიას 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 2016, გვ. 63.

²⁵⁶ მედიაციაზე ვიმსჯელებთ და საფუძვლიანად განვიხილავთ ცალკე თავში და აქ მხოლოდ ზოგადად შევხებით.

მოლაპარაკების ერთგვარი პროცესის განხორციელების იდეა, მდგომარეობს იმაში, რომ პროფესიონალი მედიატორის აქტიური მონაწილეობით ხდება კონფლიქტის მონაწილე მხარეების შერიგება, შესაბამისად, ეს პროცესი ორივე მხარისთვის გარკვეულწილად დადებითი შედეგების მომტანი უნდა იყოს.²⁵⁷

აღსანიშნავია, რომ მოზარდის განრიდება, არ ნიშნავს, მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების იგნორირებას. აღსანიშნავია, რომ განრიდება-მედიაციის პროგრამა საშუალებას იძლევა, მოზარდის შემდგომი დანაშაულებრივი ქცევის თავიდან ასაცილებლად, იდენტიფიცირდეს მისი საჭიროებები, მოთხოვნილებები და მართლსაწინააღმდეგო ქცევის ძირითადი გამომწვევი მიზეზები.

ბავშვის უფლებათა კონვენცია განრიდების ზომებს მიაკუთვნებს, მეურვეობისა და მეთვალყურეობის განკარგულებებს, გარკვეულ ზრუნვას, საკონსულტაციო მომსახურებას, გამოსაცდელი ვადის დანიშვნას, მინდობით აღზრდას, სწავლებისა და საგანმანათლებლო მომზადების პროგრამებს.²⁵⁸ არასრულწლოვნის მიერ დანაშაულებრივი ქმედების გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყოველივე ეს, შესაძლოა კავშირში იყოს ოჯახური ურთიერთობების მოშლასთან.²⁵⁹ არასრულწლოვნის საჭიროებებზე ორიენტირებული განრიდების პროგრამების მიზანია მუშაობა ბავშვთან და ასევე მის ოჯახთან. მნიშვნელოვანია, განხორციელდეს მოზარდის გარკვეული საჭიროებების მართვა, ვინაიდან მომავალში თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი დანაშაულებრივი ქცევა.²⁶⁰

მოზარდისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართვა, რათა მათ ქუჩაში ყოფნის ალტერნატივა ჰქონდეთ და ასევე მიეცეთ შესაძლებლობა, რომ დაეუფლონ ახალ უნარებს და ცოდნას.²⁶¹ აუცილებელია, რომ ხსენებული პროგრამები იყოს მრავალმხრივი და უშუალოდ გამომდინარეობდეს მოზარდთა საჭიროებებიდან, რათა მათ რეაბილიტაციასა და სოციალურ რეინტეგრაციას მაქსიმალურად შეეწყოს ხელი.²⁶²

²⁵⁷ იხ. Heidelberg, K. H., Fragen und Antworten zum Jugendstafrecht, 2006. გვ. 21.

²⁵⁸ იხ. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი.

²⁵⁹ იხ. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, გაეროს ბავშვთა ფონდი, <https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO>

²⁶⁰ იხ. Koshier, H., Children's Rights and Social Work, Springer Briefs in Rights Based Approaches to Social Work, 2016, გვ. 44.

²⁶¹ იხ. იქვე, გვ. 44.

²⁶² იხ. გულიაშვილი, ს., პრინციპი როგორც საკანონმდებლო ხარვეზის დადგენის საშუალება (იუვენალური იუსტიციის მაგალითზე) ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, N19, 2021, გვ. 145.

როგორც სახელმწიფოებრივი, ისე საზოგადოებრივი თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ განრიდებისა და მედიაციის პროგრამა გარკვეულწილად უზრუნველყოფდეს მოზარდის აღზრდას. ვინაიდან, არასრულწლოვანს, პირველად თავის ცხოვრებაში, უწევს სამართალდამცავ ორგანოებთან ახლო ურთიერთობის დაწყება. არასრულწლოვანის განრიდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, როგორც ამას მ. შალიკაშვილი აღნიშნავს, ემსახურება იმ იდეას, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, მისცეს ცხოვრებაში გამოსწორების მნიშვნელოვანი შანსი.²⁶³ ამ შემთხვევაში, ერთ მხარეს დგას განრიდების ფარგლებში არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესი, ხოლო, მეორე მხარეს, სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესი. ინტერესთა ბალანსის ჭრილში, ვფიქრობთ, საინტერესოა, შეფასდეს განრიდების მნიშვნელობა და როლი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. აქედან გამომდინარე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის მიმართ განრიდების, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის ძირეული ანალიზისთვის, აუცილებელ გარემოებას წარმოადგენს განვიხილოთ არასრულწლოვანის ბიო-ფსიქოლოგიური მდგომარეობა და სისხლისსამართლებრივი დევნის გავლენა მის მიმართ.

3.2.1. არასრულწლოვანის ბიო-ფსიქოლოგიური მდგომარეობა

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვნობის ან მოზარდობის პერიოდი, ადამიანის ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო, ყველაზე „მხურვალე,“ პერიოდია.²⁶⁴ ამასთანავე, არასრულწლოვნების უმრავლესობა მომავალი ცხოვრების დაგეგმვისას, მხოლოდ სასურველი შედეგის მიღწევას იღებს მხედველობაში. თუმცა ნაკლებ ყურადღებას ამახვილებენ იმ საშუალებებსა და შესაძლებლობებზე, რაც საბოლოოდ შედეგის მიღწევასთანაა დაკავშირებული. სწორედ ამ მიზეზით, გარკვეულწილად ხდება იმ დადგენილი ნორმების გვერდის ავლა, რაც მიღებულია ამა თუ იმ საზოგადოებრივ ჯგუფებში.²⁶⁵

²⁶³ იხ. შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, 2013, გვ.165.

²⁶⁴ იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, (სახელმძღვანელო), 2016, გვ.119.

²⁶⁵ იხ. ბობოხიძე, მ., ზავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სამართლებრივი გარანტიები, 2020, გვ.39.

ბავშვთა უფლებების კომიტეტის განმარტებით, ზრდასრული ადამიანებისაგან განსხვავებით, ბავშვებს საკუთარი ინტერესების დაცვის ნაკლები შესაძლებლობა გააჩნიათ.²⁶⁶

მოზარდის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლა, გარდატეხის პერიოდში, გარკვეულწილად დიდ გავლენას ახდენს მის ფსიქოლოგიურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, ფსიქოლოგიის მეცნიერებაში ჩატარებული კვლევებით დასტურდება, რომ ცხოვრების ამ პერიოდში, არასრულწლოვანს უჭირს სურვილების და მოთხოვნების რაციონალური მართვა.²⁶⁷ სწორედ მოზარდობის პერიოდში ხდება ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მძაფრი ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური ცვლილებები, რაც განსაკუთრებულ სიმძნელებს ქმნის.²⁶⁸ იურიდიულ ლიტერატურაში, არასრულწლოვანობის პერიოდს აღნიშნავენ, როგორც გარკვეულ წინააღმდეგობის მეტაფორას, ვინაიდან მოზარდობის ასაკში მომეტებულია დადგენილი ნორმების, ისევე როგორც დისციპლინის დარღვევის სურვილი.²⁶⁹

აღსანიშნავია, რომ ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის გარდამავალ სტადიაზე რთულია ცხოვრების ახალ ასპარეზზე შესვლა და სამართლებრივ წესრიგს შეწყობა.²⁷⁰ შესაბამისად, გარდატეხის პერიოდში, მოზარდის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ბიოლოგიური ცვლა, გარკვეულწილად დიდ გავლენას ახდენს ერთის მხრივ, მის ფსიქიკურ და მეორეს მხრივ, ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. კვლევებით დასტურდება, რომ მოზარდს აღნიშნულ პერიოდში აქვს ხშირი უხასიათობა, ასევე, ამ პერიოდში ვლინდება, სხვადასხვა ფსიქოლოგიური და ფსიქიკური ასპექტები, კერძოდ, სურვილთა ერთგვარი მრავალფეროვნება, მომეტებული ემოციურობა, გულმავიწყობა, ფანტაზიორობა, საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, წინდაუხედაობა და გადაწყვეტილების მიღების გაძნელება. რაც მთავარია, ამ დროს მოზარდები ვერ აკონტროლებენ ემოციებს.²⁷¹ შეიძლება ითქვას, რომ გარდატეხის პერიოდში, საქმე გვაქვს მოზარდის, არა მარტო სექსუალურ განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან,

²⁶⁶ იხ. General Comment, On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013, გვ.37.

²⁶⁷ იხ. Schafstein, F., Beukle, W., Swoboda, S., Jugendstrafrecht Eine systematische Darstellung, 2014, გვ.7.

²⁶⁸ იხ. კავთუაშვილი, ე., ბავშვის უფლება იყოს მოსმენილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, ჟურნალი სამართლის მაცნე N2, 2020, გვ.90.

²⁶⁹ იხ. Finkelhor, D., Korbin J., Child Abuse as an International Issue, Child Abuse and Neglect, 1988, გვ.12.

²⁷⁰ იხ. ცეციტიშვილი, თ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მატერიალურ სისხლისსამართლებრივი საკითხების რეგულირების ცალკეული ასპექტები, სამართლის ჟურნალი, N1, 2019, გვ.193.

²⁷¹ იხ. უზნაძე, დ., ზოგადი ფსიქოლოგია, 2006, გვ.173.

არამედ მის სულიერ ღირებულებათა კონფლიქტთან.²⁷² მოზარდი საკუთარი „მე“-ს წარმოჩენის მიზნით, ხშირად ჩადის ისეთ ქმედებას, რაც სცილდება სოციალური ურთიერთობის ნორმებს და სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. სწორედ იმის გამო, რომ გარდატეხის პერიოდში მოზარდში მიმდინარეობს ბიოლოგიური და ფსიქიკური განვითარება, საუბარია მოზარდის (არასრულწლოვნის) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებზე.²⁷³

სწორედ ამიტომ, ახალგაზრდა დამნაშავეებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას, მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი, გასათვალისწინებელია მათი ფსიქოლოგიური და ემოციური უმწიფრობა და პიროვნების ცვალებადობა, საზოგადოებაში ხელახალი გაწევრიანებისა და შეცვლის უნარი.²⁷⁴

საინტერესოა, ასევე სასამართლო პრაქტიკაში არსებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშებში მოცემული არასრულწლოვანთა ემოციური მდგომარეობა. ერთ შემთხვევაში, არასრულწლოვანი ბავშვურ შეცდომად მიიჩნევს ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას და განმარტავს, რომ ვერ გაანალიზა ქმედების მოსალოდნელი შედეგები.²⁷⁵ მეორე შემთხვევაში კი, არასრულწლოვანი აღიარებს ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაგრამ ასევე ვერ იაზრებს განხორციელებული ქმედების დანაშაულებრიობას.²⁷⁶

აღსანიშნავია, რომ გარდატეხის პერიოდში, არასრულწლოვნის ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური და ფსიქიკური განვითარების გამო, საუბარია მოზარდის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარკვეულ თავისებურებებზე, რაც პირდაპირ კავშირში უნდა იყოს, მის საუკეთესო ინტერესებთან. ეს ის პერიოდია, როდესაც განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს არასრულწლოვანზე სისხლისსამართლებრივი დევნა და მისი შედეგები. სწორედ გამოცდილებისა და განსჯის შესაძლებლობის ნაკლებობით, აიხსნება ზრდასრულთა მიერ არასრულწლოვნების სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების აღიარება.²⁷⁷

²⁷² იხ. იქვე, გვ. 173.

²⁷³ იხ. შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, 2013, გვ. 14.

²⁷⁴ იხ. კნაუერი, ფ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, წიგნში ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართლის საპრცესო სამართალზე, თუმანიშვილი, გ., ჯიშვარიანი, ბ., შრამი, ბ., 2019, გვ. 568.

²⁷⁵ იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 მარტის N1-23/19 განაჩენი.

²⁷⁶ იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 24 აპრილის N1-173/19 განაჩენი.

²⁷⁷ იხ. Sund, L.G., Vackermo, M., The Interest Theory, Children's Rights and Social Authorities, The International Journal of Children's Rights, 2015, გვ. 759.

3.2.2. სისხლისსამართლებრივი დევნის გავლენა არასრულწლოვანზე

სისხლისსამართლებრივი დევნის ზეგავლენის მოხდენა არასრულწლოვანზე მისი სოციალური და სამართლებრივი შედეგებიდან გამომდინარე, უფრო კრიმინოლოგიური მიმართულებაა, თუმცა, ალტერნატიული მექანიზმების და არასრულწლოვნის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის კუთხით მთელი რიგი რისკ-ფაქტორების გასაანალიზებლად, აუცილებელ გარემოებას წარმოადგენს გარკვეული დოზით შევხებით მას.

სისხლისსამართლებრივ დევნის ცნებასთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში გარკვეული აზრთა სხვადასხვა ფიქსირდება. ბ. მეურმიშვილის მოსაზრების მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის არსი და ფარგლები მოიცავს: ერთის მხრივ, სისხლის სამართალწარმოების დაწყებას კონკრეტული ინდივიდის მიმართ, დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირის დაკავებას და მეორეს მხრივ, პირის ბრალდებულად ცნობას, შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას და სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებათა შეგროვების პროცესს.²⁷⁸ კანონმდებელმა პროკურორს მიანიჭა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლებამოსილება. აქედან გამომდინარე, მხოლოდ პროკურორს გააჩნია უფლებამოსილება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის საფუძველზე გამოიტანოს პირის ბრალდების შესახებ დადგენილება ან მტკიცებულებათა სათანადო სტანდარტის არ არსებობის შემთხვევაში, შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა.²⁷⁹

აღსანიშნავია, რომ კანონით დადგენილი წესით გამოძიების მიმდინარეობა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება გარკვეულწილად კომპლექსური პროცესია, რა დროსაც, მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, გამოძიების ინტერესების დაცვა.²⁸⁰ საგამოძიებო ორგანოების დღევანდელი პრაქტიკიდან გამომდინარე, თუ მოზარდის მიმართ იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, ეს ნიშნავს იმას, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის საფუძველზე დაწყებულია უკვე გამოძიება, თუ მას დანაშაულის ჩადენის ფაქტზე არ

²⁷⁸ იხ. მეურმიშვილი, ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, 2014, გვ.88.

²⁷⁹ იხ. ფაფიაშვილი, ლ., თუმანიშვილი, გ., კვაჭანტირაძე, დ., ლიპარტელიანი, ლ., დადეშქელიანი, გ., გუნცაძე, შ., მეზერიშვილი, ნ., თოლორაია, ლ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2015, გვ.478.

²⁸⁰ იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის №1/3/1312 გადაწყვეტილება.

წასწრეს, ან თუ არ დაემთხვა ერთმანეთს, გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისთანავე იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, ამასთანავე, კანონმდებელი ნათლად წარმოაჩენს იმ გარემოებას, რომ პირის ბრალდებულად ცნობით, თუ ის არ დაუკავებიათ, ასევე იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა. აქედან გამომდინარე, თუ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს წასწრეს დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, და ვიცით, რომ ეს დანაშაული არის მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის, შესაძლებელია მოხდეს მისი ბრალდებულის სახით დაკავება. ამკ-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაუმართლებელია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ თავისუფლების შეზღუდვა, თუ კანონით დადგენილი მიზნები მიღწევა, უფრო მსუბუქი ღონისძიების გამოყენებით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად კი, არასრულწლოვნის დაპატიმრება, დაკავება ან მისთვის თავისუფლების აღკვეთა, დასაშვებია, როგორც უკიდურესი ღონისძიება. აუცილებელია, რომ არასრულწლოვნის მიმართ დაკავება ან დაპატიმრება მაქსიმალურად მცირე ვადით იქნეს გამოყენებული. გამომდინარე აქედან, კანონმდებელი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის დაკავებას²⁸¹ აფასებს, როგორც უკიდურესად ყველაზე მკაცრს ღონისძიებას.

მართალია, კანონმდებელმა ნორმის სათაურად განსაზღვრა „პატიმრობა,“ როგორც უკიდურესად მკაცრი ღონისძიება, რომელიც ამ შემთხვევაში გამოყენებულია ფართო გაგებით. რაც მოიცავს თავისუფლების შემზღუდველ ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა არასრულწლოვნის დაკავება, პატიმრობა და თავისუფლების აღკვეთა.²⁸²

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 170-ე მუხლის შესაბამისად, დაკავება წარმოადგენს თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთას. დაკავებული არასრულწლოვანი, დაკავებისთანავე იძენს ბრალდებულის სტატუსს და სარგებლობს

²⁸¹ საინტერესოა, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი განმარტება არასრულწლოვნისთვის პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით, წინასწარი პატიმრობის შეფარდება არასრულწლოვანთა მიმართ უნდა იყოს უკანასკნელი საშუალების სახით დასაშვები და მისი ხანგრძლივობის მიხედვით შემღებებისდაგვარად შეზღუდული არასრულწლოვანთა თავისუფლება შეიძლება აღიკვეთოს კანონით გათვალისწინებული წესით ზედამხედველობითი აღზრდის მიზნით. იხ. EGMR, Korneykova./Ukraine, Urteil vom 19. Januar 2012, N39884/05.

²⁸² იხ. ქვრივიშვილი, თ., არასრულწლოვნის პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, 2017, გვ. 101.

მისთვის განკუთვნილი ყველა კონსტიტუციური უფლებით. ქართული კანონმდებლობით, ბრალდებულის სახით დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა, ხდება ბრალის წაყენება, რა პერიოდსაც არასრულწლოვანი ატარებს დროებითი მოთავსების იზოლატორში, ხოლო, შემდგომ, მომდევნო 24 საათში აღკვეთის ღონისძიება შეეფარდება მას.

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნის დაკავების შემთხვევაში აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს მისი პიროვნული მახასიათებლები, რათა მას, ასეთი მკაცრი ღონისძიების გამოყენებით, არ მიადგეს გარკვეული ზიანი. ამ მხრივ, გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ მოზარდის პიროვნული განვითარების ისტორია და ოჯახური გარემო, არამედ მისი დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან და ღირებულებებისადმი ორიენტაცია.²⁸³

თავისუფლება აღკვეთილ²⁸⁴ არასრულწლოვნის მდგომარეობასთან დაკავშირებით, დასაბუთებულად აღნიშნავს გაეროს ბავშვთა კომიტეტის თავმჯდომარე რ.ვინტერი მოზარდის ყველა ფუნდამენტური უფლება დაიცვა და განახორციელო, ძალიან რთულია მაშინ, როდესაც იგი თავისუფლება აღკვეთილია და იმყოფება დროებითი მოთავსების იზოლატორში ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. ვინაიდან, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ბავშვის მოთავსებამ, შესაძლოა ისეთი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მის მიმართ, რომელიც არსებითად აღიბეჭდება მოზარდის მეხსიერებაზე.²⁸⁵

იურიდიულ ლიტერატურაში მოცემულია, რომ ბავშვისთვის თავისუფლების წართმევა ზრდის მის აგრესიულობას.²⁸⁶ ცნობილია, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნა პირდაპირ მიმართებაშია გარკვეულ სტრესთან, რომელიც განსაკუთრებულ კვალს

²⁸³ იხ. Meier, B-D., Rössner, D. Schöch, H., Jugendstrafrecht, 2013, გვ. 280.

²⁸⁴ დღესდღეობით, თავისუფლების აღკვეთა ადამიანის ძირითად უფლებას, მის თავისუფლებას, ყველაზე უფრო მკაცრად ზღუდავს, ამიტომაც თანამედროვე სისხლის სამართალში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სასჯელის ამ სახის გამოყენება ultima ratio ანუ უკანასკნელი საშუალება უნდა იყოს. პირს საპატიმრო სასჯელი, მხოლოდ მაშინ უნდა მიესაჯოს, როდესაც სასჯელის სხვა, უფრო მსუბუქი სახე სასჯელის მიზნებს (კერძო და გენერალური პრევენცია) ვერ შეასრულებს. სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დასჯა არ მოქმედებს და პირიქით, დასჯა უფრო ამაღლებს დანაშაულის ჩადენილი ალბათობას. პირის მიმართ თავისუფლების აღკვეთის სახით სისხლის სამართლის სანქციის გამოყენება მის მარგინალიზაციას და სტიგმატიზაციას იწვევს. რადგან საპატიმრო სასჯელი პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ალბათობაზე მიუთითებს, მისი მის მიერ ლეგალურ სექტორში დასაქმების შესაძლებლობა მწელებდა და შესაბამისად „ნაცხარი“-ს სტიგმა პირის ეკონომიური და სოციალური მდგომარეობის გაუარესებას იწვევს. გარდა ამისა, საპატიმროსასჯელი არა რესოციალიზაციის მიღწევის, არამედ დამნაშავედ ჩამოყალიბების საშუალებაა. იხ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, 2016, გვ. 665.

²⁸⁵ იხ. ვინტერი, რ., სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, 2015, გვ. 230.

²⁸⁶ იხ. Hammarberg, T., Georgia in transition, Report on the Human Rights Dimension: Background, Steps Taken and Remaining Challenges, 2013, გვ. 19.

ტოვებს მოზარდის ფსიქიკაზე.²⁸⁷ განსაკუთრებული უარყოფითი გვერდითი მოვლენები აქვს, თავისუფლების აღკვეთას, რა დროსაც ხშირ შემთხვევაში, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ცხოვრებაში იწყება დანაშაულებრივი კარიერა.²⁸⁸ ამასთანავე, დაკავების და შემდგომ უკვე პატიმრობის პერიოდში, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისთვის დიდი ტვირთია ბრალდებულის სტატუსის ტარება, ვინაიდან, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, თავისუფლების აღკვეთით იზღუდება, ერთის მხრივ, პიროვნების გადაადგილების ფუნდამენტური თავისუფლება და მეორეს მხრივ, თავისუფალი ნება, აწარმოოს ურთიერთობები ახლობლებთან და ოჯახის წევრებთან. ნათელია, რომ თავისუფლების აღკვეთის, როგორც სასჯელის სახის გამოყენებით ავტომატურად იზღუდება პატიმრობაში მყოფი ადამიანის კავშირი გარე სამყაროსთან მიმართებაში.²⁸⁹ აქედან გამომდინარე, სწორად უნდა განისაზღვროს არასრულწლოვნის თავისუფლების და მისი თავისუფლების აღკვეთის ინტერესთა თანაფარდობა. სწორედ თანაფარდობის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლიანად აღნიშნავს მ.შალიკაშვილი, რომ ამ პრინციპის შესაბამისად უნდა დადგინდეს, არასრულწლოვანი ბრალდებულის თავისუფლებაში დარჩენის ინტერესი, უფრო დიდი უპირატესობით სარგებლობს, თუ მისი დაკავების ან პატიმრობის ღონისძიებები.²⁹⁰ აღიარებულია, არასრულწლოვნისთვის თავისუფლების აღკვეთას, როგორც სასჯელის სახეს, იმდენად ცუდი შედეგები მოაქვს, რომ ამერიკელ მეცნიერ გრინვუდს, ერთგვარი მათემატიკური ფორმულაც აქვს დაწერილი აღნიშნულთან დაკავშირებით. კერძოდ, თავისუფლების აღკვეთაზე გამრავლებული დანაშაული, ასევე უდრის დანაშაულს.²⁹¹

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 10 მარტის განჩინება,²⁹² სადაც მოსამართლე განმარტავს, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის დაკავება ან პატიმრობის შეფარდება ძალზედ სენსიტიური საკითხია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მის საუკეთესო ინტერესებს, ყველა შემთხვევაში უნდა მიენიჭოს უპირატესობა სხვა სიკეთებთან მიმართებაში.²⁹³ ხსენებული

²⁸⁷ იხ. მახარობლიძე, თ., არასრულწლოვანთა სასჯელების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები, 2021, გვ.225.

²⁸⁸ იხ. ბიორგო, ტ., დანაშაულის პრევენცია, ყოვლისმომცველი მიდგომა, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, 2016, გვ. 134.

²⁸⁹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 12 ივნისის N1/2/458, 2009, გადაწყვეტილება, გვ.34.

²⁹⁰ იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, (სახელმძღვანელო)2016, გვ.169.

²⁹¹ იხ. Levitt, S. D., Juvenile Crime and Punishment, Journal Political Economy, 1998, გვ.162.

²⁹² იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის განჩინება.

²⁹³ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 10 ოქტომბრის 1გ/346-17, განჩინება.

მოსაზრება, ასევე აღნიშნულია საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის ანგარიშში,²⁹⁴ სადაც საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი არასრულწლოვან ბრალდებულთა სისხლის სამართლის საქმეების ანალიზის შედეგად განმარტავს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენების პრიორიტეტულობის მიუხედავად, არის შემთხვევები, როცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ბრალდების მხარე იძულებულია, 14-დან 18 წლამდე ასაკის პირების მიმართ, დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა.


აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის სახით დაკავებამ ან დაპატიმრებამ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს არ უნდა მიაყენოს იმაზე მეტი ზიანი, რაც შეეძლო მისთვის, რგორც მოზარდისთვის, თავისუფლებაში ყოფნას გამოეწვია. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ პატიმრობა, ისევე როგორც თავისუფლების აღკვეთა, მოზარდისათვის, ისეთი შოკის მომგვრელი და თავზარდამცემია, რამდენადაც, ეს ღონისძიებები არსებითად დიდ ზეგავლენას ახდენს მოზარდის ფსიქიკაზე.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, პირდაპირ მიმართებაშია თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება, სადაც სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებელმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა არასრულწლოვნის თავისუფლების ინტერესებს, აღნიშნული არ გულისხმობს მის თავისუფლად გადაადგილებას ქუჩაში და სასწავლო დაწესებულებებში, აქ იგულისხმება მისი ცნობიერების საბოლოო ჩამოყალიბება თავისუფლების პირობებში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი ინტეგრაცია, განათლების მიღების შესაძლებლობა და ა.შ. სწორედ ამ ყველაფერს უნდა აღემატებოდეს ის მიზანი, რისთვისაც ხდება არასრულწლოვანი ბრალდებულის დაპატიმრება. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი აქვს სახელმწიფოსაც. ბრალდებულის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსება ვერ უზრუნველყოფს სასურველი შედეგის მიღებას ბავშვის ფსიქოლოგიის ნორმალურ განვითარებაზე.²⁹⁵ აქედან გამომდინარე, არასრულწლოვნის თავისუფლების ინტერესს, ხაზს უსვამს კანონმდებელი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის დათქმით, სადაც განმარტებულია, რომ არასრულწლოვნის მიმართ, პირველ რიგში, განიხილება განრიდების, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების

²⁹⁴ იხ. განრიდების პროგრამის ანგარიში, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/uploads/f67fal1c7-angarishi>.

²⁹⁵ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2016 წლის 25 ოქტომბრის N1გ/1635-16, განჩინება.

შესაძლებლობა და განისაზღვრება სასჯელის გამოყენებაზე უკეთ უზრუნველყოფს თუ არა განრიდება, არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ასევე, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. არასრულწლოვანზე სისხლისსამართლებრივი დევნის დამსჯელობითი ზეგავლენის და განრიდების, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის თანაფარდობის შედეგების ნათელსაყოფად განვიხილავთ ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს.²⁹⁶ 2012-2020 წლებში არასრულწლოვანთა განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თანაფარდობა ასე გამოიყურება:



სტატისტიკურ დიაგრამაზე ნათლად ჩანს, რომ საქართველოში არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის დანერგვიდან მოყოლებული, თუ როგორ კლებულობს სისხლისსამართლებრივი დევნის, ხოლო მატულობს, განრიდების მაჩვენებელი. ასევე აშკარაა, რომ საქართველოში სამართალდამცავი ორგანოების არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, როგორ განმტკიცდა განრიდების მექანიზმების გამოყენების პრიორიტეტულობა.

იმ პირობებშიც, კი როდესაც 2020 წლის პირველ ნახევარში საქართველოს პროკურატურა და სასამართლო განრიდება-მედიაციის პროგრამას, შეიძლება ითქვას, მხოლოდ

²⁹⁶ იხ. განრიდების პროგრამის სტატისტიკა, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/uploads/429f65a7-ganrideba-2020-weli-converted>.

განსაკუთრებულ შემთხვევებში იყენებდა, აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელი სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელთან მიმართებით 50%-ზე მაღალია. კერძოდ, განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა 2 საერთო რაოდენობიდან განრიდების მაჩვენებელი 54%-ს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 46%-ს წარმოადგენს.²⁹⁷

საგამოძიებო ორგანოების პრაქტიკასთან ერთად, ვფიქრობთ, საკითხის მეტი სიცხადისთვის ორი სიტყვით შევხვით სასამართლო სტატისტიკურ მონაცემებსაც, სადაც ნათლად ჩანს, რომ სასამართლო პრაქტიკაში 2016 წლის შემდგომ არასრულწლოვნის მიმართ პატიმრობის გამოყენება, მართლაც ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში ხდება. სტატისტიკური მონაცემებით დასტურდება, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით, არასრულწლოვანი ბრადებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების თაობაზე, 2016 წელს, 9 თვეში სასამართლომ სულ განიხილა 73 საქმე, შესაბამისად სისხლის სამართლის 16 საქმეში მოხდა არასრულწლოვნისთვის პატიმრობის გამოყენება, ხოლო 42 საქმეზე გამოყენებულ იქნა გირაოს.²⁹⁸

საინტერესოა, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 25 თებერვლის განჩინება, სადაც მოსამართლე აღნიშნავს, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა და ასევე სასამართლომ ყოველთვის უნდა მიიღონ მხედველობაში ის, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენს და მისი, როგორც მოზარდის განვითარება პირდაპირ მიმართებაშია ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებასთან. მოსამართლე, ამავე გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ არასრულწლოვანი მის გარშემო არსებული ემოციური კლიმატის მიმართ ძალიან მგრძობიარეა.²⁹⁹

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების პრიორიტეტულობას ხაზს უსვამს გაეროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონის მოდელი და მისი კომენტარები. სადაც აღნიშნულია, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების პრიორიტეტულობა, რადგან

²⁹⁷ იხ. განრიდების პროგრამის სტატისტიკა, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/uploads/c6b2843d-braldebuli-arasrulwlovnebi-2019-converted>

²⁹⁸ იხ. აღკვეთის ღონისძიების სტატისტიკა, თბილისის საქალაქო სასამართლო, <https://tcc.court.ge/ka/Statistics>

²⁹⁹ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 25 თებერვლის განჩინება, საქმე №1გ/178-15.

მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის მიმართ მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული სარეაბილიტაციო ღონისძიებები, რამაც გარკვეულწილად ხელი უნდა შეუწყოს არასრულწლოვნის დევნიაციური ქცევის დაძლევის.³⁰⁰

კრიმინოლოგიაში ჩატარებული კვლევებით, დასტურდება, რომ თავისუფლების აღკვეთას, თანს სდევს ნორმალური ცხოვრების დანაკლისი და ერთგვარი განსაცდელი, რომელიც გარკვეულწილად აახლოებს ბრალდებულს ან მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ნორმებთან და დანაშაულებრივ სამყაროსთან, რის შემდეგაც, ხშირია შემთხვევები, როცა ხდება საყოველთაოდ აღიარებული სოციალური ღირებულებების და ფასეულობების უარყოფა.³⁰¹ აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა შემთხვევაში არასრულწლოვნის პიროვნებაზე თავისუფლების აღკვეთა უარყოფით ზეგავლენას ახდენს და მოზარდს, ეს უკანასკნელი ცვლის საუარესოდ.³⁰²

საბოლოოდ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს თავიდან არიდებული. შესაბამისად, მაქსიმალური ძალისხმევა უნდა იქნეს გამოყენებული, რათა ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში მოხდეს არასრულწლოვნის ბრალდებულის სახით დაკავება, მის მიმართ მკაცრი აღკვეთის ღონისძიების შეფარდება, მაგრამ არ დაირღვეს ის ოქროს ბალანსი, რასაც გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის ნებისმიერ ეტაპზე, მის საუკეთესო ინტერესების დაცვას ვუწოდებთ და სწორედ მსგავსი შუალედური მიდგომიდან გამომდინარე, არ უნდა დაიჩრდილოს სისხლის სამართლის პროცესის მიზნები.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სისხლისსამართლებრივი დევნის და მისი ალტერნატიული ღონისძიებების მიმართულებით გარკვეული ბალანსის დაცვა სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულებაა,³⁰³ შესაბამისად და ამ ჭრილში საკითხის ნათელსაყოფად, განვიხილავთ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეს სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკიდან.

³⁰⁰ იხ. ჰამილტონი, ქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011, გვ. 67.

³⁰¹ იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელადსრულების სამართალი, 2014, გვ. 470.

³⁰² იხ. მახარობლიძე, თ., არასრულწლოვანთა სასჯელების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები, 2021, გვ. 228.

³⁰³ იხ. გ. უგულავა საქართველოს პარლამეტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=2059>.

3.2.3. სიგარეტის ჯიხურში შეღწევით ქურდობის მცდელობის საქმე

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის დაკავება/პატიმრობის და თავისუფლებაში ყოფნის ინტერესთა თანაფარდობის გასაანალიზებლად, ვფიქრობთ, საინტერესოა, სასამართლოს საქალაქო სასამართლოს პრაქტიკიდან განვიხილოთ სიგარეტის ჯიხურში შეღწევით ქურდობის მცდელობის საქმე.³⁰⁴ ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა,³⁰⁵ რომ 2021 წლის 06 ივნისს ჯგუფურად, სიგარეტის ჯიხურში შეღწევით ქურდობის მცდელობის ჩადენის ფაქტზე ბრალდებულის სახით დაკავებულ იქნა 16 წლის არასრულწლოვანი, პირობითად მ.გ. მისი ბრალდებულის სახით დაკავება გამოწვეული იყო დანაშაულზე წასწრების ფაქტთან, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სადგომში შეღწევით მძიმე კატეგორიის დანაშაულთან, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასევე, ბრალდებული წარსულში საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის 22 ეპიზოდის ჩადენისთვის იყო 3 წლით პირობითი მსჯავრის ქვეშ. იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულს არ ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, დღე-ღამის სრულ დროს, ატარებდა ქუჩაში, მსგავსი წარსულის თანატოლებთან, რომელთა საქმიანობას მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედებები წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ბრალდების მხარემ მიიღო დანაშაულის ფაქტზე წასწრების შემთხვევაში მისი ბრალდებულის სახით დაკავების გადაწყვეტილება, რის შემდეგაც ბრალდებული მთელი რიგი საგამომიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ, შესახლდა დროებითი მოთავსების იზოლატორში. ბრალდებული არასრულწლოვნის მიმართ დაკავების საერთო წესის გათვალისწინებით, მოხდა დაუყოვნებლივ დაკავებისთანავე ყველა კონსტიტუციური უფლების განმარტება და რეალიზება, როგორც საგამომიებო დანაშაულში, ისე დროებითი მოთავსების იზოლატორში მისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, ხოლო შემდეგ დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე წარედგინა ბრალი ადვოკატის თანდასწრებით. პროკურორმა თბილისის საქალაქო სასამართლოში დააყენა აკვეთის ღონისძიების შუამდგომლობა 2000 ლარიანი გირაოს სახით, თუმცა იმ მოტივით, რომ არსებობს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, რომელიც მომდინარეობს ბრალდებულის მიერ ბრალად წარდგენილი ქმედების სპეციფიკიდან, ბრალდებულის სამართლებრივი წარსულიდან და მისი პიროვნებიდან გამომდინარე. პროკურორმა ასევე განმარტა შუამდგომლობაში, რომ სწორედ კანონთან კონფლიქტში მყოფი

³⁰⁴ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 08 ივნისის N10ა/2583 განჩინება.

³⁰⁵ იხ. საქმე, შსს.საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საგამომიებო დანაშაულების 2021 წლის პრაქტიკიდან.

არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების ხასიათის გათვალისწინებით, ბრალდებულის მიმართ სათანადო შემაკავებელი მექანიზმების არარსებობის შემთხვევაში, ვერ იქნება აღკვეთილი მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა. ბრალდებულ მ.გ.-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 08 ივნისის განჩინებით³⁰⁶ შეეფარდა აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო 500 ლარის ოდენობით. სასამართლომ განმარტა, რომ პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაო უნდა შემცირდეს 500 ლარამდე ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობების და მითითებული საფრთხეების შესაბამისად, რაც ამ ეტაპზე იქნება იმის გარანტია, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს გამოძიებასა და სასამართლოს და ხელი არ შეუშალოს სისხლის სამართლის საპროცესო მიზნების მიღწევას.³⁰⁷

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 თებერვლის განჩინება, სადაც მოსამართლე განმარტავს, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფომ (სასამართლომ, პროკურატურამ) პოზიტიური როლი ითამაშოს არასრულწლოვანი დამნაშავე პირების ხელახალი აღზრდისათვის ხელის შეწყობის და მათი რესოციალიზაციის მიზნით.³⁰⁸ მოცემული საქმიდან გამომდინარე, ჩნდება რამდენიმე კითხვა, რამდენად ითამაშა სახელმწიფომ პოზიტიური როლი არასრულწლოვანი მ.გ.-ს ბრალდებულის სახით დაკავებით? არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საუკეთესო ინტერესები, სისხლისსამართლებრივი დევნის გვერდის ავლით არ მიიღწეოდა? ვფიქრობთ, რომ პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის გარდა, მოიაზრება არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე სახელმწიფო რესურსის სწორად გადანაწილებაც. ამ შემთხვევაში ბრალდების მხარე მკაცრად მიუდგა საკითხს, რაც თავისთავად განპირობებულია მ.გ.-ს წარსული ცხოვრების სტილით, მოქმედი პირობითი მსჯავრით და ბრალდებული წარსულში საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის 22 ეპიზოდის ჩადენით, მაგრამ მსგავს შემთხვევაშიც აშკარად უნდა გამოჩნდეს სახელმწიფო პოზიტიური ვალდებულება, არა არასრულწლოვნის დაკავებით და არამედ განრიდების, როგორც სისხლისსამართლებრივი

³⁰⁶ სასამართლომ ხსენებულ განჩინებაში მოიშველია ევროსასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ნეუმისტერი ავსტრიის წინააღმდეგ, და ასევე ივანჩუკი პოლონეთის წინააღმდეგ. აღნიშნული გადაწყვეტილებებში განმარტებულია, რომ პატიმრობა, მისი ხანგრძლივობის მიუხედავად, უნდა იყოს ჯეროვნად დასაბუთებული. იხ. მჭედლიძე, ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, 2017, გვ.30.

³⁰⁷ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 08 ივნისის N10ა/2583 განჩინება.

³⁰⁸ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2015 წლის 25 თებერვლის №1გ/178-15 განჩინება.

დევნის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენებით. შექმნილი მდგომარებიდან გამომდინარე, მ.გ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს 500 ლარის შეფარდებით გარკვეულწილად გამოჩნდა სახელმწიფო პოზიტიური ვალდებულება მ.გ.-ს მიმართ ხელახალი აღზრდისათვის ხელის შეწყობის და მისი რესოციალიზაციის მიზნით. თუმცა, მოცემული საქმიდან გამომდინარე, არასრულწლოვანს, რომელსაც წინათ ჩადენილი ჰქონდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული არაერთი დანაშაულებრივი ქმედება და ასევე არის პირობითი მსჯავრის ქვეშ, ისევე რჩება ქუჩაში, ოჯახური ზრუნვის და სწავლა-განათლების გარეშე, მომეტებული საფრთხის მატარებელ თანატოლებთან, რა პირობებიც ნებისმიერ დროს შესაძლებელია გახდეს სხვა ახალი დანაშაულის ჩადენის შთაგონების წყარო. ამ საკითხის გაანალიზება, ვფიქრობთ სცილდება ნაშრომის სამეცნიერო დამუშავების ფარგლებს, მაგრამ ფაქტია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ სახელმწიფო პოზიტიური ვალდებულება, რაც გამოიხატება მასზედ აქტიურ ზრუნვასა და კანონმორჩილ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში, სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგაც არსებობს.

3.2.4. ჯინსების ქურდობის საქმე

2021 წლის 10 დეკემბერს ქ. თბილისში რუსთაველის ქუჩაზე N4 ში არსებული სავაჭრო ცენტრიდან, ორი ერთეული ჯინსის შარვლის ფარულად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ფაქტზე, სამართალდამცავების მიერ მხილებულ იქნა 15 წლის არასრულწლოვანი, პირობითად გ.კ. და სისხლის სამართლის საქმეზე³⁰⁹ დაიწყო გამოძიება სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით. მოპარული ნივთების ღირებულება სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა, რომ იყო 160 ლარი. არასრულწლოვანი გ.კ.-ს პიროვნების შესწავლისას და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშით დადგინდა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მიაღწია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს, მას ჩადენილი აქვს ქურდობის 18 ფაქტი. ასევე, იგი ცხოვრობს ქუჩაში მეგობრებთან ერთად და არ აქვს ღამის გასათევი.

ბრალდების მხარემ შეისწავლა გ.კ.-ს მიერ ჩადენილი ქურდობის ყველა ფაქტი, საიდანაც დასტურდება, რომ თითოეული დანაშაულებრივი ქმედება თავისი მნიშვნელობით,

³⁰⁹ იხ. საქმე, შსს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საგამომიებო დანაყოფის 2021 წლის პრაქტიკიდან.

საზოგადოებრივი საფრთხის შემცველობით, ჩადენის ხერხით და მეთოდებით ერთმანეთს გავს. ასევე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშით დასტურდება, რომ გ.კ. განიცდის თავისი ცხოვრების სტილს, მას პატარა ასაკიდან სახლის/ღამის გასათევის უქონლობის გამო ქუჩაში მოუწია ცხოვრება. გ.კ-ის მიერ ჩადენილი თითოეული დანაშაულებრივი ქმედება მიმართულია „ლუკმა პურის“-ის შოვნისკენ, რაზეც გააჩნია სინანულის განცდა. აქედან გამომდინარე, ბრალდების მხარემ გაითვალისწინა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, უარი თქვა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე და ქურდობის 19 ფაქტზე მხილებულ პირს შესთავაზა განრიდება. მოცემული საქმიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, გ.კ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმით დაირღვა სახელმწიფო-საჯარო და საზოგადოებრივი ინტერესი? ბრალდების მხარემ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, რომელსაც 19 დანაშაულებრივი ქმედება აქვს ჩადენილი, განრიდების პროგრამაში ჩართვით, ხომ არ წაახალისა? კითხვებზე პასუხების გასაანალიზებლად, უნდა შეფასდეს სასჯელის გამოყენებაზე უკეთ, უზრუნველყოფს თუ არა, განრიდება, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და გარკვეულწილად, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. აუცილებელია შევეხოთ იურიდიულ ლიტერატურაში მოცემულ რამდენიმე საკითხს, კერძოდ, ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ საქმის სასამართლოში განხილვის ნაცვლად გამოიყენება, აუცილებელია, რომ არასრულწლოვნის ფუნდამენტური უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების დაცვას ემსახურებოდეს.³¹⁰ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ განრიდება, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, ამ შემთხვევაში ემსახურება რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზანს, ვინაიდან გ.კ.-ს მიეცა შანსი გააცნობიეროს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების საზოგადოებრივი საშიშროება, ჰქონდეს სინანულის განცდა, შეიცვალოს ცხოვრების სტილი და საზოგადოებაში აღიზარდოს, როგორც კანონმორჩილი მოქალაქე. ვფიქრობთ, მოცემულ სიტუაციაში ბრალდების მხარის გადაწყვეტილება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, გამართლებულია და მსგავს შემთხვევებში, ასევე დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა არ დაზიანდეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების და საჯარო ინტერესები.

³¹⁰ იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, (სახელმძღვანელო), 2016, გვ. 82.

აღსანიშნავია, რომ საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის განხორციელება არ გულისხმობს საზოგადოების ინტერესების მეორეხარისხოვნად განხილვას და საზოგადოებრივი უსაფრთხოების რისკის ქვეშ დაყენებას.³¹¹ აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებმა, ერთის მხრივ, უნდა დააბალანსონ დაუცველ არასრულწლოვანთა ინტერესები და მეორეს მხრივ, უზრუნველყონ საზოგადოების დაცვა სხვებისაგან, სახელმწიფო რესურსების მართებულად გადანაწილების გზით.³¹² აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ არასრულწლოვნის მიმართ შერჩეული საშუალება ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად უნდა იყოს გამოსადეგი.³¹³ არასრულწლოვნის მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა შეფასდეს ინდივიდუალური შეფასების გარემოებები, აუცილებლად გასათვალისწინებელია მისი ასაკი და პიროვნული მახასიათებლები. ასევე, ერთის მხრივ სახელმწიფო და კერძოდ ორგანიზაციები, მეორეს მხრივ, ინდივიდუალური პირები და ოჯახი, ორიენტირებული უნდა იყვნენ, არასრულწლოვნის აღზრდისა და განვითარების ხელშეწყობაზე.³¹⁴

3.2.5. ტელეფონის ქურდობის საქმე

2017 წლის 22 თებერვალს ქ. თბილისში დადიანის ქუჩაზე N8 ში არსებული ტელეფონების მაღაზიიდან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლების ფაქტზე, სამართალდამცველების მიერ ბრალდებულის სახით დაკავებული იქნა 15 წლის პირობითად მ.კ.³¹⁵ ბრალდების მხარემ არასრულწლოვნის ასაკის მიუხედავად, მიიღო გადაწყვეტილება, რომ შემთხვევის ადგილზევე მომხდარიყო მისი ბრალდებულის სახით დაკავება. მ.კ-ს წარედგინა ბრალი სსკ-ის 177-ე მუხლით და პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოში, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე. 2017 წლის 24 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლომ განჩინებით მას, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა. განჩინებაში განიმარტა შემდეგი: ვინაიდან არასრულწლოვანი დიდ დროს ატარებდა ქუჩაში, არაკეთილსაიმედო თანატოლებთან ერთად, სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული ფაქტი ერთიორად ზრდიდა ახალი დანაშაულის ჩადენის რისკებს, რაც

³¹¹ იხ. Manco, E., Protecting the Child's Right to Participate in Criminal Justice Proceedings, 2016, გვ.57.

³¹² იხ. ფაფიაშვილი, ლ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, N1, 2008, გვ.155.

³¹³ იხ. იზორია, ლ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 24.

³¹⁴ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 23 თებერვლის №1/ზ-118-17 განჩინება.

³¹⁵ იხ. საქმე, შსს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საგამომიებო დანაყოფის 2021 წლის პრაქტიკიდან.

შესაბამის რეაგირებას საჭიროებდა. არასრულწლოვნის თავისუფლებაში დატოვებით მისი მხრიდან სხვათა ქონებრივი უფლებების მორიგი ხელყოფა გარდუვალი იქნებოდა.³¹⁶ შესაბამისად სასამართლომ ამ არგუმენტებზე დაყრდნობით მიიღო აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების გადაწყვეტილება. აღნიშნული განჩინება დაცვის მხარემ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში,³¹⁷ რომელმაც ძალაში დატოვა არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება. სასამართლო გადაწყვეტილებაში ნათლად ჩანს, რომ თავისუფლების აღკვეთის ინტერესმა, გადაწონა, არასრულწლოვნის თავისუფლებაში ყოფნის ინტერესი. აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღკვეთის ღონისძიება გამოიყენების მიზნია, ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს შემდგომში მისი დანაშაულებრივი საქმიანობა და რაც მთავარია, განაჩენის აღსრულება იქნეს უზრუნველყოფილი. ამასთან, მიზანი, რომელსაც პატიმრობა ემსახურება, უნდა აღემატებოდეს მისი თავისუფლების ინტერესს. აღნიშნულთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში მ. შალიკაშვილი სვამს ლოგიკურ კითხვას, შეიძლება პატიმრობა არასრულწლოვნის ინტერესს ემსახურებოდეს?³¹⁸ პატიმრობის გამოყენების მიზანთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ იგი ემსახურება მართლმსაჯულების შეუფერხებლად განხორციელების მიზნებს. პატიმრობის მიზანს, გარკვეულწილად სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი განხილვის უზრუნველყოფა წარმოადგენს.³¹⁹ თავისუფლებისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენება, შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, მაშინ როცა, პატიმრობა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის, მნიშვნელოვანი საფრთხის პრევენციის კუთხით, ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს.³²⁰ მოცემული საქმიდან გამომდინარე, შეუძლებელია ვისაუბროთ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დამძლევი ეფექტზე.³²¹ ვინაიდან ორივე ინსტანციის სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია კანონთან კონფლიქტში

³¹⁶ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის 1გ/453-17 განჩინება.

³¹⁷ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიბეო კოლეგიის 2018 წლის 12 მარტის 1გ/346-17 განჩინება.

³¹⁸ იხ. შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, მე-2 გამოცემა, 2016, გვ.25.

³¹⁹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/646, გადაწყვეტილება.

³²⁰ იხ. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2018 წლის 15 აგვისტოს N1341 წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე.

³²¹ იხ. შეყილაძე, ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, 2019, გვ.113.

მყოფი არასრულწლოვნის მიმართ პატიმრობის გამოყენება. ვფიქრობთ, რომ, მაშინ როცა, სასამართლო გადაწყვეტილებაში არასრულწლოვნის თავისუფლებაში ყოფნის ინტერესი გადაფარულია პატიმრობის გამოყენების საჯარო ინტერესით, საჭიროა არა ზოგადად და შაბლონურად საუკეთესო ინტერესებზე მითითება, არამედ შეპირისპირებულ ინტერესთა დეტალური განხილვა და ბალანსის დაცვა, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების ხასიათის გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

3.2.6. ინტერესთა ბალანსი

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე, სასამართლო და საგამოძიებო ორგანოების პრაქტიკის გაანალიზებისას, ხშირად ვხვდებით ერთმანეთთან დაპირისპირებულ სხვადასხვა ინტერესს. ამ შემთხვევაში სახეზეა კერძო და საჯარო ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც არც თუ იშვიათად, არასრულწლოვნის მიმართ როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის ეტაპზე იჩენს ხოლმე თავს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ საჯარო და კერძო ინტერესთა გონივრული დაბალანსება წარმოადგენს, როგორც უფლებით სარგებლობის, ისე კონკრეტული საჯარო მიზნის მიღწევის საშუალებას.³²² ამავე დროს, აუცილებელია, კანონმდებელმა ადამიანის უფლებების ქრილში ჩარევის თანაზომიერი გზა განსაზღვროს, რათა არ მოხდეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების არსებითი დარღვევა. ამ მიზნით, კანონმდებლის მიერ შერჩეული რეგულაცია აუცილებელია იყოს დასაშვები, სამართლიანი და პროპორციული.³²³ ხსენებული რეგულაცია და ჩარევის თანაზომიერი გზა, ეხება კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის ეტაპზე. აღსანიშნავია, რომ სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელება ღირებულ კონსტიტუციურ სიკეთეს წარმოადგენს, რომლის მისაღწევადაც კანონმდებელი უფლებამოსილია დაადგინოს გარკვეული შეზღუდვები.³²⁴ თუმცა, ამ შეზღუდვების და ჩარევის მიუხედავად თანამედროვე და სამართლებრივ სახელმწიფოში, სამართლიანია იმის მოლოდინი, რომ საჯარო და კერძო ხასიათის ინტერესების ურთიერთმიმართება თანაზომიერი იქნება.³²⁵ აღსანიშნავია, რომ

³²² იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557, გადაწყვეტილება.

³²³ იხ. ერემაძე, ქ., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, 2013, გვ.99.

³²⁴ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის N 2/1/631, გადაწყვეტილება.

³²⁵ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 14 ივლისის №1/2/384, გადაწყვეტილება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი კანონმდებლობა ითვალისწინებს არაერთ გარანტიას, რომლებიც უზრუნველყოფენ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინტერესების საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სამართლიანობისა და მართლმსაჯულების სხვა ინტერესებთან სამართლიან დაბალანსებას.³²⁶ აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი უსაფრთხოება და სამართლიანობა, ის ძირითადი ინტერესებია, რომლებიც შესაძლოა, ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების გათვალისწინებით, დაუპირისპირდნენ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინტერესთა დაპირისპირებაზე ობიექტურ საფუძველს მოკლებული იქნება მსჯელობა, თუ გარკვეული დოზით არ განვიხილავთ თითოეული ინტერესის მიზანს და სამართლებრივ ფარგლებს.

პირველი შევხებით სამართლიანობის ინტერესს, რასთან დაკავშირებითაც მ. ლეკვეიშვილი განმარტავს, სამართლიანობა, მისი ფართო გაგებიდან გამომდინარე, მოითხოვს, რომ დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირი, დაუსჯელი არ დარჩეს.³²⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ სამართლიანობის მიზანია აღდგეს პირვანდელი წონასწორობა და მომავალშიც საფრთხის ქვეშ არ დადგეს, ყველას თანაბარი უფლება თავისუფლებაზე. სასჯელით სამართლიანობის აღდგენის მიზანი, სწორედ მართლწესრიგში ბალანსის აღდგენასა და შენარჩუნებას გულისხმობს.³²⁸ სამართლიანობასთან დაკავშირებით, გ. თუმანიშვილის აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო იუსტიცია,“ სჯის დამნაშავეს სწორედ სამართლიანობისა და დარღვეული სამართლებრივი წესრიგის აღსადგენად.³²⁹ იურიდიულ ლიტერატურაში მოცემული მსჯელობის მიხედვით, მართლმსაჯულება სამართლიანობის გარეშე ვერ იქნება ეფექტიანი, მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სასჯელის მიზნების განხორციელებამ საზოგადოებაში სწორედ სამართლიანობის განცდა უნდა

³²⁶ იხ. შევილაძე, ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, 2019, გვ.111.

³²⁷ იხ. ლეკვეიშვილი, მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, ავტორთა კოლექტივი, 2016, გვ. 176.

³²⁸ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592, გადაწყვეტილება.

³²⁹ იხ. თუმანიშვილი, გ., აღდგენითი (რესტორაციული) მართლმსაჯულება და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში, სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, 2013, გვ.254.

დატოვოს.³³⁰ აქედან გამომდინარე, სამართლიანობა და საზოგადოებრივი უსაფრთხოება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად განიხილავს.³³¹ აღსანიშნავია, რომ საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი პირდაპირ არ მიუთითებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზანზე, მაგრამ, როგორც თავად კოდექსის, ისე სასჯელის მიზნად, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას ასახელებს. ეს უკანასკნელი კი სხვა არაფერია თუ არა საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცულობის ინტერესი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონმდებელი მხოლოდ რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მიზნის განსაზღვრით შემოიფარგლებოდა, რადგან იგი თავისთავად ხელს უწყობს ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. ვინაიდან კანონმდებელმა ცალკე, დამოუკიდებელ მიზნად ჩამოაყალიბა ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, ამით ხაზგასმით წარმოჩინდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განუყოფელი ინტერესის მნიშვნელობა.³³² საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესისგან განსხვავებით, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც ფუნდამენტური პრინციპი, გულისხმობს გადაწყვეტილების მიმღები პირის ფართო უფლებამოსილების შეზღუდვას და არასრულწლოვნის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების ვალდებულების დაწესებას.³³³ მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი გადაწყვეტილების მიმღები პირისაგან მოითხოვს, არასრულწლოვნისათვის მხოლოდ საუკეთესო შედეგის მიღებას. გადაწყვეტილება უნდა იყოს, ყველა შესაძლო ალტერნატივიდან, საუკეთესო.³³⁴ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესზე მორგებული გადაწყვეტილების მიღებისას, მნიშვნელოვანია შემდეგი პირობების დაკმაყოფილება: 1) ცნობილი უნდა იყოს მისაღები გადაწყვეტილების ყველა შესაძლო ვარიანტი; 2) ცნობილი უნდა იყოს თითოეული მათგანის შესაძლო შედეგი; 3) უნდა განისაზღვროს თითოეული შედეგის დადგომის ალბათობა და ბოლოს, 4) თითოეულ შედეგს უნდა მიენიჭოს სათანადო ღირებულება

³³⁰ იხ. ივანიძე, მ., სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, 2017, გვ.9.

³³¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/2/503,513, გადაწყვეტილება.

³³² იხ. შევილაძე, ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, 2019, გვ.111.

³³³ იხ. Zermatten, J., The Best Interests of the Child Principle: Literal Analysis and Function, 2010, გვ.485.

³³⁴ იხ. Elliston, S., The Best Interests of the Child in Healthcare, Sheila M.A. Mclean (Ed.), Routledge Cavendish Publishing, 2007, გვ.19.

საბოლოო მიზანთან მიმართებით.³³⁵ ამავე დროს საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა არ გულისხმობს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სისხლის სამართალწარმოების გარკვეულ ფარგლებში გაკიცხვის გარეშე დატოვებას. აქედან გამომდინარე, ერთის მხრივ, სამართლიანობის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ხოლო მეორეს მხრივ, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი ერთმანეთთან აქტიურ კავშირშია. თითოეული ინტერესი ერთიანობაში გამომდინარეობს სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპებიდან.³³⁶ საუკეთესო ინტერესთა პრიორიტეტულობის, სამართლიანობის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესთა თანაფარდობაზე მსჯელობისას, აღსანიშნავია, რომ გარკვეულ შემთხვევებში, დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, შესაძლებელია საუკეთესო ინტერესს აჭარბებდეს სამართლიანობის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები. აღნიშნულის ნათელსაყოფად განვიხილოთ ორი საქმე უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან. უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთი არასრულწლოვნის საქმეში, სადაც მას ბრალად ედებოდა დამამძიმებელ გარემოებებში ძარცვის რამდენიმე ეპიზოდის ჩადენა, არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია სასჯელის სიმკაცრესთან დაკავშირებით და 5 წლითა და 3 თვის ვადით შეფარდებული თავისუფლების აღკვეთა, ჩადენილი დანაშაულის განსაკუთრებით მძიმე ხასიათისა და წარსულში ორჯერ ნასამართლობის გათვალისწინებით, მიიჩნია უკიდურეს ზომად, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე ყოველგვარი მსჯელობის და განმარტებების გარეშე.³³⁷ მსგავს შემთხვევებში სამართლიანობის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესი პირველ ადგილზე დგას, მაგრამ ამ ჭრილში არ უნდა დაირღვეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესთა დაცვის ბალანსი. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლების აღკვეთა, როგორც სასჯელი არის საზოგადოების რეაქცია ჩადენილ დანაშაულზე, რომელსაც სერიოზული გავლენა შეიძლება ჰქონდეს ბავშვის განვითარებასა და მის მომავალზე.³³⁸ სწორედ აქ წარმოჩინდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების და სამართლიანობის ინტერესთა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც გამოიხატა საზოგადოების დამნაშავესაგან დაცვის მიზნით, მოზარდის გარკვეული პერიოდით იზოლირებაში, რათა აღიკვეთოს სხვა დანაშაულებრივი ქმედების

³³⁵ იხ. Herring, J., Farewell Welfare? Journal of Social Welfare and Family Law, 2005, გვ.160.

³³⁶ იხ. იქვე, გვ.160.

³³⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 2 ოქტომბრის N362აპ-17, განაჩენი.

³³⁸ იხ. Schabas, W., Sax, H., A., Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Prohibition of Torture, Death Penalty, Life Imprisonment and Deprivation of Liberty, 2006, გვ.81.

ჩადენა და განხორციელდეს გარკვეული პრევენცია.³³⁹ აღნიშნულისგან განსხვავებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არასრულწლოვნის ერთ-ერთ საქმეში, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქურდობისათვის 4 წლისა და 6 თვის ვადით დანიშნული თავისუფლების აღკვეთა არ მიიჩნია უკიდურეს ზომად და ბავშვის ასაკის, რეინტეგრაციისა და საზოგადოებაში კონსტრუქციული როლის შესრულების ხელშეწყობის მიზნით, ადეკვატურ ღონისძიებად პირობითი მსჯავრი განსაზღვრა.³⁴⁰ ამ შემთხვევაში სასამართლომ გარკვეულ არგუმენტებზე დაყრდნობით, პირველ ადგილზე დააყენა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, მაგრამ ამ გადაწყვეტილებით არ უგულებელყო სამართლიანობის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები. ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესს და მიზანს, რომელსაც არასრულწლოვნის თავისუფლების აღკვეთა ემსახურება, შედეგის კუთხით აღემატება, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის თავისუფლებაში ყოფნის საუკეთესო ინტერესი. რაც შეეხება საუკეთესო ინტერესების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების და სამართლიანობას შორის ბალანსის უზრუნველყოფას, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს თანაზომიერების პრინციპზე, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია.³⁴¹ თანაზომიერების პრინციპს განამტკიცებს, როგორც ამკ-ის მე-7 მუხლი, ისე ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი. ეს უკანასკნელი რეგულაცია სახელმწიფოებს ავალდებულებს, არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ნებისმიერი ღონისძიების შესაბამისობის უზრუნველყოფას ბავშვის კეთილდღეობასთან და პროპორციულობის დაცვას ინდივიდუალური გარემოებებისა და დანაშაულის სიმძიმის მხედველობაში მიღებით.³⁴² მართლმსაჯულებაში სამართლიანობა, სხვა არაფერია თუ არა თანაზომიერების პრინციპის დაცვა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. რამდენადაც დასაბუთებული ან/და კანონიერიც არ უნდა იყოს სასამართლოს განაჩენი, იგი ნაკლებ ეფექტიანია უსამართლო სასჯელის

³³⁹ იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), 2016, გვ. 126.

³⁴⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ივლისის N251აპ-16, განაჩენი.

³⁴¹ იხ. კობახიძე, ი., სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, სამართლის ჟურნალი, N1, 2013, გვ. 319.

³⁴² იხ. შევილაძე, ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, 2019, გვ.115.

პირობებში.³⁴³ ამრიგად, თანაზომიერების პრინციპი ემსახურება სამართლიანობასა და საუკეთესო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვას, მით უფრო, რომ თანაზომიერი სასჯელი თავად არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებსაც ემსახურება იმ თვალსაზრისით, რომ კრძალავს უფლებებში ზომიერ მეტ ჩარევას, სასჯელის აშკარად დისპროპორციულობას და შესაბამისად, გამოირიცხება არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის რისკები.³⁴⁴ არასრულწლოვნის საუკეთესო და სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესთა ჭრილში, საერთო სასამართლოების და პროკურატურის პრაქტიკის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ უწყებებს არ აქვთ ერთიანი მიდგომა საუკეთესო ინტერესების მაღალი სტანდარტის განსასაზღვრად. სასამართლოების პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს წონის სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესი და ეს საკითხი სასამართლოს გადაწყვეტილებებში, მხოლოდ შაბლონური მიდგომით განიმარტება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, სწორედ სამართლიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, თანაზომიერების ინტერესების ჭრილში, უნდა შეფასდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა, რაც, თავის მხრივ, დასაბუთებას საჭიროებს. სასამართლო და სამართალდამცავმა ორგანოებმა არასრულწლოვნის მიმართ ყოველ სისხლის სამართლის საქმეში, ობიექტურად უნდა შეაფასონ თითოეული ინტერესის მნიშვნელობა და თანაფარდობა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან. ვინაიდან, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ დაიცვას ინტერესთა ბალანსი და ამავე დროს, პრიორიტეტი მიანიჭოს საუკეთესო ინტერესების განსაზღვრას.

3.3. განრიდების ღონისძიებები

განრიდების ღონისძიებები მოზარდისათვის იმაზე მძიმე შესასრულებელი არ უნდა იყოს, ვიდრე სასჯელის ღონისძიებები იქნებოდა.³⁴⁵ არასრულწლოვანთა განრიდების ღონისძიებები პირდაპირ მიმართებაშია სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ

³⁴³ იხ. ფაფიაშვილი, ლ., თუმანიშვილი, გ., კვაჭანტირაძე, დ., ლიპარტელიანი, ლ., დადუმქელიანი, გ., გუნცაძე, შ., მეზერიშვილი, ნ., თოლორაია, ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, 2015, გვ. 724.

³⁴⁴ იხ. გოცირიძე, ე., საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის კომენტარი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის უფლებანი და ძირითადი თავისუფლებანი, 2013, გვ. 125.

³⁴⁵ იხ. Diemer, H., Schatz, H., Sonnen, B.-R., Jugendgerichtsgesetz Kommentar, 2011, გვ. 452.

მექანიზმებთან და თავისთავად მათი ბუნება, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის, როგორც აღმზრდელით, ისე სარეაბილიტაციო მიზნებს ემსახურება.³⁴⁶

განრიდების ღონისძიებები განისაზღვრება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე და ერთდროულად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს განრიდების რამდენიმე ღონისძიება. ამავე დროს, განრიდების ღონისძიებების გამოყენებისას უნდა იყოს დაცული თანაზომიერების პრინციპი და მან არ უნდა გამოიწვიოს მოზარდის ღირსებისა და პატივის შელახვა, ნორმალური სასწავლო პროცესის და ძირითადი სამუშაოსაგან მისი მოწყვეტა.³⁴⁷

კანონმდებელი ამკ-ის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილში განსაზღვრავს, რომ განრიდების ღონისძიება ერთის მხრივ, გონივრული და მეორეს მხრივ, ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი უნდა იყოს. ასევე, ამავე მუხლის მე-4 ნაწილით დარეგულირებულია, რომ განრიდების ღონისძიება, ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისთვის, კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ სანქციაზე მკაცრი არ უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ განრიდების ღონისძიებების განსაზღვრა და სწორად შერჩევა არასრულწლოვნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან თოთოეული მათგანი პირდაპირ კავშირშია კანონთან კონფლიქტში არასრულწლოვნის მომავალ ცხოვრებასთან და მართლშეგნების ამალგებასთან.³⁴⁸ აქედან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 42-ე მუხლით გათვალისწინებული თითოეულ ღონისძიება პრაქტიკაში განხორციელების მაჩვენებლით, უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს და ხვალინდელი დღის იმედით, უნდა იყოს არასრულწლოვნისთვის გარკვეული კეთილდღეობის მომტანი.

ამკ-ს 42-ე მუხლი ითვალისწინებს განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების შემდეგ ღონისძიებებს: ა) არასრულწლოვნის წერილობითი გაფრთხილება; ბ) აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება, მათ შორის, განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვა; გ) მიყენებული ზიანის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება; დ) უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა; ე) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის

³⁴⁶ იხ. იქვე, გვ. 452.

³⁴⁷ იხ. იქვე, გვ. 453.

³⁴⁸ იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), 2016, გვ. 100.

სახელმწიფოსთვის გადაცემა; ვ) არასრულწლოვნისთვის მოვალეობის დაკისრება; ზ) არასრულწლოვნის მინდობით აღსაზრდელად განთავსება. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

3.3.1. არასრულწლოვნის წერილობითი გაფრთხილება

ამკ-ს 42-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტი და 43-ე მუხლი ითვალისწინებს არასრულწლოვნის წერილობით გაფრთხილებას, რაც ნიშნავს იმის განმარტებას, თუ რა ზიანი გამოიწვია მის მიერ ჩადენილმა დანაშაულებრივმა ქმედებამ და ასევე რა შედეგი მოჰყვება, აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენას. აუცილებელ გარემოებას წარმოადგენს, არასრულწლოვანს განემარტოს მისი საქციელის, როგორც საზოგადოებრივი გასაკიცხაობის, ასევე, მის მიერ ჩადენილი ქმედებით გამოწვეული ზარალისა და დაზარალებულის მდგომარეობის შესახებ.³⁴⁹

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს, რომ გაფრთხილება წერილობითი ხასიათისაა და მისი გამოყენებით არ ხდება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ცხოვრებაში არსებითი ჩარევა. გაფრთხილებამ სასამართლო და პროკურატურის ორგანოების პრაქტიკაში არ უნდა მიიღოს ბრალის დადგენილების ან განაჩენის ფორმა. გაფრთხილების მიზანი უნდა იყოს მოზარდს გასაგებ ენაზე განემარტოს მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მიმართ საზოგადოებრივი და სახელმწიფოს დამოკიდებულება.³⁵⁰

იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია, რომ გაფრთხილების³⁵¹ მიზანია, მოზარდს გარკვეულწილად შეაგნებინოს, რომ მისი ქცევის შესახებ, ცნობილი გახდა სამართალდამცავი ორგანოსთვის. გაფრთხილება, თავისი არსიდან გამომდინარე, ავალდებულებს არასრულწლოვანს დაიცვას საზოგადოებაში კანონით დადგენილი წესები.³⁵²

აღსანიშნავია, რომ წერილობით გაფრთხილებას აქვს არასრულწლოვნის მიმართ, როგორც სააღმზრდელი, ისე პრევენციული დანიშნულება და პირდაპირ კავშირშია ადამიანურ

³⁴⁹ იხ. Diemer, H.Schoreit, A. Sonnen, B-R., Jugendgerichtsgesetz Kommentar, 2008, გვ.157.

³⁵⁰ იხ. იქვე, გვ.157.

³⁵¹ გაფრთხილების ეს მექანიზმი პირდაპირ კავშირშია გაფრთხილების ინგლისურ მოდელთან, სადაც იგი პოლიციის ფუნქცია-მოვალეობაში შედის. ამ საკითხთან დაკავშირებით დისერტაციის ცალკე თავშია ნამსჯელი „არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები ინგლისში.“

³⁵² იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება,(სახელმძღვანელო), 2016, გვ.101.

გრძნობებთან. ამ საკითხს უფრო ფართო გაგებით თუ შევხედავთ, წერილობითი გაფრთხილება არასრულწლოვნის ცხოვრებაში გარკვეულწილად ფსიქოლოგიური დატვირთვის მატარებელია და მისი ძირითადი აზრი მოზარდის ცხოვრებაში, პიროვნული პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას ემსახურება.

ვერ დავეთანხმებით იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ გაფრთხილება, თავისი ფორმით, არის რეპრესიული ხასიათის, თუმცა, ემსახურება მოზარდის აღზრდას, მისი ღირსების გათვალისწინებით, ამიტომ ხშირია შემთხვევები, როცა გაფრთხილება მიიჩნევა ღირსების სასჯელად.³⁵³

გაფრთხილება, როგორც განრიდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, თავისი არსით და ბუნებით კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისთვის გარკვეულწილად შემაბრკოლებელი გარემოებაა. იგი არასრულწლოვნის მომავალი, კანონმორჩილი ცხოვრებისკენ არის მიმართული. მნიშვნელოვანია, ინგლისის გამოცდილება გაფრთხილების ინსტიტუტთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ინგლისში, საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით, მოქმედებს "ოფიციალური გაფრთხილება," როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების ერთ-ერთი ინსტიტუტი. ი.ხუციშვილის აზრით, ინგლისის პრაქტიკა გაფრთხილების ინსტიტუტთან დაკავშირებით, შესაძლებელია არსებული საკანონმდებლო ბაზის ფარგლებში, დავნერგოთ და განვავითაროთ ჩვენს ქვეყანაში.³⁵⁴

სამწუხაროა, რომ ამ ღონისძიების გამოყენებას ვერ ვხვდებით ქართული სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკაში. სსიპ.დანაშაულის პრევენციის, არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით,³⁵⁵ გაფრთხილება, როგორც განრიდების ღონისძიება, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ არ გამოყენებულა. თუმცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მრავალი წელია უკვე ამის საშაულებას იძლევა.

³⁵³ იხ. Eisenberg, U., Jugendgerichtsgesetzkommentar, 2010, გვ.207.

³⁵⁴ იხ. ხუციშვილი, ი., განრიდების გამოყენების სამართლებრივი მექანიზმი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი, 2022, გვ.136.

³⁵⁵ იხ. განრიდების პროგრამის შესახებ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, http://ganrideba.ge/?action=page&p_id=1061&lang=geohttpfiles/upload-file/pdf/arasrw.

3.3.2. ალდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება

ალდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება გულისხმობს, როგორც დაზარალებულის, ასევე დამნაშავეს და საზოგადოების ურთიერთობის აღდგენას, პირვანდელ მდგომარეობაში. ალდგენითი მართლმსაჯულების მხარეები, ხაზს უსვამენ დაზარალებულის და დამნაშავეს მხარდაჭერის საჭიროებას და სოციალურ ურთიერთობებს.³⁵⁶ ხსენებული ურთიერთობების აღდგენა მხოლოდ და მხოლოდ ალდგენითი მართლმსაჯულების ცალკეული პროგრამების ინდივიდუალური მიდგომებით მიიღწევა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 44-ე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვანს შეიძლება დაეკისროს ალდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება, რომელიც შესაძლებელია მოიცავდეს არასრულწლოვნის განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვას, მის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს ანაზღაურების გარეშე შესრულებას, ასევე სხვა პროგრამებს, რომელიც აქტიურად ხელს უწყობს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგების გამოსწორებას და პრევენციას.

იურიდიულ ლიტერატურაში მ.შალიკაშვილი სვამს დასაბუთებულ კითხვას, რითი განსხვავდება ამკ-ს 71-ე მუხლით გათვალისწინებულ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისაგან, საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს უსასყიდლოდ შესრულება.³⁵⁷ განსხვავება, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ნასამართლობის საკითხიდან გამომდინარეობს, ვინაიდან ერთი ეს არის, როგორც განრიდების ღონისძიება გათვალისწინებული ამკ-ს 44-ე მუხლით, და მეორე, კი ასევე, ამკ-ს 71-ე მუხლში მოცემული სასჯელის ერთ-ერთი სახე. აქედან გამომდინარე, განრიდების ღონისძიებას და სასჯელს შესაძლებელია ნაწილობრივ საერთო მიზანი ჰქონდეთ, მაგრამ თანაბარი დოზით არ ახდენენ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის კონსტიტუციურ უფლებებში ჩარევას.³⁵⁸ ასევე თუ გავითვალისწინებთ, რომ განრიდების ღონისძიება შესაძლებელია მოზარდს დაეკისროს 12 თვის განმავლობაში (ამკ-ს 39-ე მუხლის მესამე ნაწილი), მაშინ თეორიულად ისიც შესაძლებელია, რომ მოზარდს 12 თვე საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს უსასყიდლოდ შესრულება დაეკისროს ამკ-ს 44-ე მუხლის ფარგლებში, რაც ამკ-ს 71-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის აღსრულებაზე უფრო მკაცრ რეგულაციას

³⁵⁶ იხ. გიორგაძე, ა., არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, 2011, გვ. 76.

³⁵⁷ იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, (სახელმძღვანელო), 2016, გვ. 101.

³⁵⁸ იხ. იქვე, გვ. 101.

წარმოადგენს და დაუშვებელია, ვინაიდან გარკვეულწილად არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან მოვა წინააღმდეგობაში.

კანონმდებელი არასრულწლოვნის მიმართ აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებს ამომწურავად ვერ განსაზღვრავს, ვინაიდან თითოეული პროგრამა ინდივიდუალურია და განრიდებულებისთვის შეთავაზებული სერვისები პირობითად რამდენიმე ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: ერთის მხრივ, საგანმანათლებლო, და სოციალურ-ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის და მეორეს მხრივ, საზოგადოებრივად სასარგებლო აქტივობებად. საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებები შეიძლება იყოს: კომპიუტერის ან უცხო ენების შემსწავლელ კურსებზე ჩარიცხვა; აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების ვალდებულების დაკისრება; სხვადასხვა სპორტის სახეობის უფასო წრეზე სიარული. არასრულწლოვანს, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია დაეკისროს კონკრეტულ დანაშაულზე ინფორმაციის მოძიება და ესეს დაწერა, რომლის განხილვა სოციალურ მუშაკთან და ფსიქოლოგთან ერთად ხდება. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიმართულებით კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები ერთვებიან შემდეგი სახის ტრენინგ-კურსებში: „ბრაზის მართვა,“ „დანაშაულის გაცნობიერება,“ „ცხოვრებისეული რისკები და საჭიროებები,“ „ჯანსაღი ცხოვრების წესი.“ ხდება განრიდებულთა ფსიქოლოგთან გადამისამართება და ინდივიდუალური კონსულტაციების, ან ფსიქო-თერაპიის კურსის გავლა სტრესული გამოცდილების, თამაშდამოკიდებულების დაძლევის, სხვა სახის დესტრუქციული ქცევების შემცირების მიზნით. საზოგადოებრივად სასარგებლო აქტივობებიდან განრიდებულები ერთვებიან სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავებისა და გამწვანების აქციებში, სოციალურად დაუცველ ბავშვთა სახლებსა და მოხუცთა დღის ცენტრებში დაგეგმილ აქტივობებში.³⁵⁹ თითოეულმა პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგების გამოსწორებას.³⁶⁰

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ პირველ რიგში, შეესაბამებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს; გრძელვადიანი პერსპექტივით უნდა ახორციელებდეს მოზარდში დისციპლინის მიმართ პატივისცემას და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას; და

³⁵⁹ იხ. ჰამილტონი, ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011, გვ. 87.

³⁶⁰ იხ. იქვე, გვ. 88.

ხელს უნდა უწყობდეს არასრულწლოვნის საგანმანათლებლო-პროფესიულ განვითარებას და შესაბამისად, მართლშეგნების ამადლებას.³⁶¹

3.3.3. არასრულწლოვნისთვის მოვალეობის დაკისრება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 45-ე მუხლში, კანონმდებელი გვთავაზობს არასრულწლოვნისათვის განსაზღვრულ მთელ რიგ მოვალეობებს, რომლებიც გარკვეულწილად ხელს უწყობენ მოზარდის რეზოციალიზაცია-რეზილიტაციას. აღნიშნული მუხლის მოთხოვნებიდან გამდინარე, არასრულწლოვანს შეიძლება აეკრძალოს: ერთის მხრივ, განსაზღვრული ადგილის ასევე პირის/პირების მონახულება, ბინადრობის ადგილის შეცვლა, ამასთანავე, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლა, და მეორეს მხრივ, შესაბამისი ნებართვის გარეშე ქვეყნის ან შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის დატოვება და ზოგადად, სხვა ისეთი ქმედება ან ქმედებები, რომლებიც ხელს შეუშლის მის რესოციალიზაცია-რეზილიტაციას. ამ მუხლის ძირითადი აზრი, მდგომარეობს იმაში, რომ ხაზი გაესვას არასრულწლოვნისთვის მომეტებული საფრთხის შემცველი ცხოვრებისეული გარემო-პირობების არსებობას და კანონმდებელი გვამღევეს იძულებითი ფორმების გამოყენებით, მათგან თავის არიდების საშუალებებს. აქედან გამომდინარე, არასრულწლოვნის მიმართ, ვერც აკრძალვები და ვერც მოვალეობები კანონში ვერ იქნება სრულად და ამომწურავად ასახული, ვინაიდან გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს, უნდა მიეცეს საშუალება არასრულწლოვნის ინდივიდუალური ნიშან-თვისებებიდან გამომდინარე, შეაფასოს და განუსაზღვროს კონკრეტული შეზღუდვა.

იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ აღნიშნული აკრძალვები და შეზღუდვები გარკვეულ დროზე და ადგილზე, ან კონკრეტულ პიროვნებებთან კავშირზეა ორიენტირებული, რომლის მიზანია არასრულწლოვანმა მნიშვნელოვნად შეიცვალოს

³⁶¹ ყველასათვის ნათელია ის საკითხი, რომ მართლშეგნება სამართლებრივი კულტურის ელემენტია, ხოლო სამართლებრივი კულტურა ინდივიდის, თუ საზოგადოების საერთო კულტურის ნაწილია. ინდივიდუალური, თუ საზოგადოებრივი კულტურა, მხოლოდ სულიერ სფეროს როდი ეკუთვნის, იგი სოციალური ფენომენია. მართლშეგნების ამადლება ნიშნავს სამართლებრივი კულტურის დონის ამადლებას, სამართლებრივი აღზრდა სამართლებრივ განათლებაზე უფრო მაღალი ცნებაა, სამართლებრივი აღზრდა გულისხმობს მართლშეგნების ამადლებას. მოზარდი, პირველ რიგში, სამართლებრივ კულტურას ოჯახში ეზიარება, რომელიც ერთ-ერთი ქმედითი გზაა ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდისათვის. სამართლებრივი კულტურიდან გამომდინარე, მოზარდი უნდა იყოს გაცნობიერებული სისხლის სამართლის დარგში, კანონებში უნდა ერკვეოდეს, რათა თავიდან აიცილოს დანაშაულის ჩადენის ფაქტი. იხ. ჭანტურია, ლ., ოჯახის ფაქტორი არასრულწლოვნის სამართლებრივი აღზრდისა და მართლშეგნების ამადლებისათვის, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1,2017, გვ.143.

ცხოვრების წესი და სტილი.³⁶² არასრულწლოვანს შეიძლება აეკრძალოს ისეთი ადგილების მონახულება ან სადმე წასვლა, რომლებიც არასრულწლოვნის განვითარებაზე ცუდად მოქმედებენ,³⁶³ მაგ: ქუჩაში ახალგაზრდების თავშეყრის ადგილი, ასევე სადაც მავნე გავლენის მქონე პირები იკრიბებიან, იმ სკოლის მიმდებარე ტერიტორია, რომელშიც დაზარალებული სწავლობს ან ის ადგილი სადაც იგი დასაქმებულია, ასევე მნიშვნელოვანია დანაშაულის ჩადენის კონრეტული ადგილი, ქუჩა და ა.შ.³⁶⁴ აღსანიშნავია, რომ განსაზღვრული ადგილების მონახულება ასევე აკრძალულია აშშ-ის ორეგონის შტატის კანონმდებლობით, მაგ: არასრულწლოვნებს ეკრძალებათ შეუერთდნენ ან მივიდნენ იმ ადგილებზე, სადაც ნარკოტიკი ან სხვა საშუალებები იყიდება, ასევე ეკრძალებათ მოინახულონ ის ადგილები, რომლებიც წამალდამოკიდებული პირებისთვის არის განსაზღვრული.³⁶⁵ გარკვეული ადგილების მონახულებამ შესაძლოა არასრულწლოვნის მიერ განმეორებით დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას შეუწყოს ხელი.³⁶⁶ გარკვეული შეზღუდვა განსაკუთრებით აქტუალურია ქუჩაში მაცხოვრებელ მიუსაფარ მოზარდებზე, რომლებმაც დანაშაული რამდენჯერმე ჩაიდინეს, მიეცნენ სისხლისსამართლის პასუხისგებაში და დაკავების, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების, თუ საგამომიებო ორგანოს დატოვების შემდეგ, ისევ ქუჩაში, ანუ დანაშაულებრივი ქმედებებისკენ მომეტებული საფრთხის მქონე გარემოში უწყვეტ ისევ ცხოვრების გაგრძელება. თუმცა, ამ საკითხის დეტალური განხილვა გარკვეულწილად სცილდება ნაშრომის ფარგლებს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 45-ე მუხლში საუბარია, ასევე დროის იმ მონაკვეთში, სახლიდან გასვლაზე, რა დროსაც შესაძლებელია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი დაზარალებულს შეხვდეს, რასაც შესაძლებელია გარკვეული დამაბულობა და კონფლიქტი მოყვეს.³⁶⁷

აღსანიშნავია, რომ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლის აკრძალვა გარკვეულწილად შინა პატიმრობის მსგავსია. თუმცა, შინაპატიმრობის მიზანს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, მოზარდის მიმართ საპატიმრო სასჯელის

³⁶² იხ. Eisenberg, U., Jugendgerichtsgesetz kommentar, 2010, გვ.157.

³⁶³ იხ. იქვე, გვ. 158.

³⁶⁴ იხ. Ostendorf, H., Jugendstrafrecht, 2013, გვ.56.

³⁶⁵ იხ. იქვე, გვ. 56.

³⁶⁶ იხ. ჭანტურია, ლ., ოჯახის ფაქტორი არასრულწლოვნის სამართლებრივი აღზრდისა და მართლშეგნების ამაღლებისათვის, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, 2017, გვ.151.

³⁶⁷ იხ. შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, 2011, გვ.149.

უარყოფითი ფსიქიკური ზემოქმედების თავიდან აცილება, ინტეგრაციის გაუმჯობესება და დისციპლინის შეჩვევა წარმოადგენს.

არასრულწლოვანთა შინაპატიმრობის და დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლის აკრძალვის მსგავსება-სხვაობის განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენად აქვს შინაპატიმრობას დამსჯელი, გამასწორებელი და აღმზრდელობითი ხასიათი.³⁶⁸ ეს აკრძალვის ღონისძიებაც აშშ-ის ორეგონის შტატში არსებული პრობაციის პრაქტიკის მსგავსია, ხსენებული შტატის კანონმდებლობით იმპერატიულად გაწერილია, რომ არასრულწლოვანს ეკრძალება გადაადგილდეს ან დატოვოს შტატი პრობაციის ოფიცრის ნებართვის გარეშე.³⁶⁹

რაც შეეხება სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით მოზარდის მიერ მუშაობის დაწყებას,³⁷⁰ მ. შალიკაშვილი მოცემულთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ პრაქტიკაში ყველაზე ხშირად უნდა იყენებდნენ ამ ღონისძიებას. მისივე თქმით, გზას აცდენილი მოზარდების, ქუჩაში მაცხოვრებელი არასრულწლოვნების დასაქმების თაობაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უნდა იღებდნენ პასუხისმგებლობას. აღნიშნულს, გარკვეულწილად ექნებოდა აღმზრდელობითი ხასიათიც და შესაბამისად, ნაკლები შანსი იარსებებდა, მოზარდების სასჯელადსრულების სისტემაში მოხვედრის.³⁷¹ ამასთანავე, აუციელებელია დასაქმების დროს გათვალისწინებულ იქნეს, მოზარდის ფსიქოლოგიური, გონებრივი და ფიზიკური მდგომარეობა. დასაქმების ადგილზე არსებული ვითარება და გარემო-პირობები უნდა იყოს მოზარდის ინტერესების შესაფერისი, ვინაიდან შრომის მიმართ მოზარდის დამოკიდებულება აისახება მის მომავალ ცხოვრებაზე, და იგი საკუთარი თავის, ან ოჯახის

³⁶⁸ იხ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, 2017, გვ. 63.

³⁶⁹ იხ. ხერხეულიძე, ი., არასრულწლოვანთა სასჯელის გამოყენების შედარებითი ანალიზი აშშ-სა და საქართველოში, 2011, გვ. 216.

³⁷⁰ დევიაციური ქცევის მქონე მოზარდის მიერ მუშაობის დაწყებას, თუნდაც სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით, პრაქტიკაში დიდი სირთულეები შეიძლება ჰქონდეს და უსამართლობის გრძნობა გამოიწვიოს. პირველი და უმთავრესი სირთულე მოზარდის დასაქმება, დაკავშირებულია ქვეყანაში არსებულ უმუშევრობასთან. სამუშაო ადგილების სიმცირის გამო თითქმის შეუძლებელია აღმზრდელობითი ხასიათის ამ იძულებითი ღონისძიების გამოყენება. გარდა ამისა, დევიაციური ქცევის მოზარდის დასაქმება მორალურად გაუმართლებელი იქნებოდა იმ უმუშევარ მოზარდთან წინაშე, რომელთაც დანაშაული არ ჩაუდენიათ. აღნიშნული, მხოლოდ მორალურად არის გაუმართლებელი, სამართლებრივად, კერძოდ, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან იმ ადამიანების მიმართ განსაკუთრებულ მიდგომებს, რომელთაც ეს საკუთარი ძალით არ შეუძლიათ. იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, (სახელმძღვანელო), 2016, გვ. 104.

³⁷¹ იხ. იქვე, გვ. 104.

რჩენას შეეცდება, სხვა მეთოდების (დანაშაულის) გამოყენებით. შრომისადმი მოზარდის დადებით თვითშეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი სამომავლო გეგმებისათვის.³⁷²

რაც შეეხება მომდევნო ღონისძიებას ეს არის თავისუფალი დროის განსაზღვრული ფორმით გამოყენება,³⁷³ რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდისათვის, რომელმაც უკვე ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება. აღიარებულია, რომ თავისუფალი დროის ქუჩაში და ე.წ. „ბირჟა“-ზე გატარება უარყოფითად აისახება არასრულწლოვნის მომავალ ცხოვრებაზე, ვინაიდან ხანგრძლივი თავისუფალი დროის ფაქტორის გამო, ეს ის ადგილებია, სადაც მოზარდებს მომეტებული აქვთ სხვადასხვა დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის სურვილი.³⁷⁴

თავისუფალი დროის განსაზღვრული ფორმით გამოყენებასთან პირდაპირ კავშირშია მოზარდის მიერ სოციალური, საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პროგრამის ღონისძიებები, რომელთა გავლის ძირითადი მიზანია სოციალიზაციისათვის აქტიურად ხელის შეწყობა.³⁷⁵

3.3.4. არასრულწლოვნის მინდობით აღზრდა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 46-ე მუხლი ითვალისწინებს არასრულწლოვნის მინდობით აღსაზრდელად განთავსებას, რაც ნიშნავს განსაზღვრული დროით, არასრულწლოვნის მიმღები ოჯახისთვის გადაცემას სახლიდან მოშორებით და მშობლებისაგან განცალკევებით, თუ არასრულწლოვნის ოჯახურ გარემოცვაში დატოვება, გარკვეულწილად ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის რისკებს შეიცავს. განრიდების ამ ღონისძიებაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, შესაძლებელია ასევე არასრულწლოვნის მშობლების ჩართვაც.

აუცილებელია, რომ მოზარდის გამოყვანა ოჯახური გარემოდან და სხვა ოჯახში განთავსება, გამოყენებულ უნდა იქნეს მაქსიმალურად უკიდურეს შემთხვევაში, ყოველივე ეს დასაშვებია, იმ შემთხვევაში, როცა ოჯახურ გარემოში არასრულწლოვნის ყოფნა, დიდ

³⁷² იხ. შვაბე, ი. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2011, გვ.317.

³⁷³ თავისუფალი დროის განსაზღვრული ფორმით გამოყენების მსგავსი ღონისძიება მოქმედებს ასევე აიდაჰოს შტატში, სადაც პროზაციის კანონმდებლობაში მითითებულია, რომ სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ან შეზღუდოს არასრულწლოვანთა სატრანსპორტო საშუალებით თავისუფალი გადაადგილება და მისცეს პირს ამ მოტივით მართვის უფლების აკრძალვა. იხ. ჰამილტონი, ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011, გვ. 84.

³⁷⁴ იხ. იქვე, გვ. 85.

³⁷⁵ იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, (სახელმძღვანელო), 2016, გვ.103.

ზიანს აყენებს მის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას. ნებისმიერი ასეთი ღონისძიება, კარგად უნდა შემოწმოს სახელმწიფო დაწესებულების უფლებამოსილმა პირმა, როგორც მინდობით აღსაზრდელად ბავშვის განთავსებამდე, ისე განთავსების შემდგომ.³⁷⁶ ოჯახური გარემოდან მოზარდის გამოყვანა დიდ რისკებთან არის დაკავშირებული და ამ ყველაფერს უნდა შეეხედოთ არასრულწლოვანთა საუკეთესოს ინტერესების პრინციპის ფართო განმარტებიდან გამომდინარე.

კანონმდებელი არასრულწლოვნის ოჯახიდან გამოყვანის მიზნობრივ საფუძველს მხოლოდ და მხოლოდ მისგან ახალი დანაშაულის ჩადენის რისკით ხსნის. რაც ვფიქრობთ, რომ არის ზოგადი ხასიათის და გარკვეულწილად, მეტ კონკრეტულებს საჭიროებს. ვუბრუნდებით, ისევ იმ მოსაზრებას, რომ კანონით დადგენილი აუცილებლობის გარეშე, მოზარდები არ უნდა განშორდნენ თავიანთ ოჯახებს, ამ შემთხვევაში პირველ ადგილზე უნდა იდგეს მოზარდთა უფლებებსა და მათი საუკეთესო ინტერესები.³⁷⁷ აქ თავისთავად გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს ჩართულობა და აქტიური სამსახური, არის ძალიან მნიშვნელოვანი, რათა სწორად შეფასდეს მოსალოდნელი შედეგი და გარკვეული რისკები, რაც პირდაპირ კავშირშია არასრულწლოვნის მომავალ ცხოვრებასთან და მის მართლშეგნებასთან.

აღნიშნული გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში შემდეგნაირად არის მოცემული: მოზარდის ახალ ოჯახში გადაყვანამ, აუცილებელია, რომ გარკვეულწილად ხელი უნდა შეუწყოს მისთვის დისციპლინის და დაგეგმილი ცხოვრების წესის სწავლას.³⁷⁸

საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც სასამართლო მსჯელობს, რომ ოჯახი მოზარდისთვის წარმოადგენს ბუნებრივ გარემოს მისი კეთილდღეობის, აღზრდისა და ჩამოყალიბებისთვის.³⁷⁹

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამავე გადაწყვეტილებაში ნათლად განმარტა, რომ, უმეტეს შემთხვევაში, დროებით ღონისძიებად უნდა განიხილებოდეს, ბავშვის ალტერნატიული ზრუნვის შესაბამის დაწესებულებაში მოთავსება. მოზარდი აუცილებელია საბოლოოდ შესაფერისი პირობების არსებობის შემთხვევაში დაუბრუნდეს კუთვნილ ოჯახს, რათა არ დაირღვეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8

³⁷⁶ იხ. შაპოვიჩი, ნ.ვ., დოევი, ი.ე., ცერმატენი, ჟ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, 2012, გვ.65.

³⁷⁷ იხ. ბობოხიძე, მ., ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სამართლებრივი გარანტიები, 2020, გვ.89.

³⁷⁸ იხ. Meier, B.-D., Rössner, D., Trüg, G., Wulf, R., Jugendgerichtsgesetz. Handkommentar, 2014, გვ.57.

³⁷⁹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 16 მარტის N 27751/95 გადაწყვეტილება.

მუხლით გათვალისწინებული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებები. მ.შალიკაშვილის განმარტებით მინდობით ბავშვის განთავსების დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს სკოლის საკითხი. აქედან გამომდინარე, ისეთ ახალ ოჯახს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვისთვის იმავე სკოლაში სწავლის გაგრძელებას.³⁸⁰ ბიოლოგიური ოჯახის გარემოსთან ერთად, თუ ბავშვი დაკარგავს სოციალურ გარემოს (სკოლა,სკოლის მეგობრები), ამან შეიძლება მის ფსიქიკაზე და სოციალურ მართლშეგნებაზე ძალიან მძიმე შედეგები იქონიოს.

3.4. განრიდების და მედიაციის ხელშეკრულება

განრიდება-მედიაციის ხელშეკრულება³⁸¹ არის სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს განრიდება მედიაციის ღონისძიებებსა და მხარეთა უფლება-მოვალეობებს. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, დაზარალებული, პროკურორი, მედიატორი და შესაბამის შემთხვევებში ფსიქოლოგი ან/და სხვა პირი, წარმოადგენენ განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების მხარეებს.

იუსტიციის მინისტრის N120 და სსიპ. დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2014 წლის 19 ნოემბრის N129/ს ბრძანებებით განსაზღვრულია განრიდების და განრიდება მედიაციის ღონისძიებები, რომელსაც მხარეები ხელშეკრულების სახით აფორმებენ, შეიძლება იყოს ამკრძალავი ან/და ვალდებულებითი ხასიათის.

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ მოზარდს უნდა დაევალოს ისეთი ღონისძიების განხორციელება, რომელიც არ ლახავს მის პიროვნულ ღირსებას და არ ეწინააღმდეგება მის ჭეშმარიტ ინტერესს.³⁸² ეს ღონისძიება უნდა

³⁸⁰ იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება,(სახელმძღვანელო), 2016, გვ.103.

³⁸¹ პრაქტიკაში ვხვდებით ორი სახის ხელშეკრულებას: 1) განრიდებისა და მედიაციის შესახებ და 2) განრიდების შესახებ განრიდებისა და მედიაციის შესახებ და განრიდების შესახებ ხელშეკრულებების რეალური განსხვავება სწორედ დაზარალებულისა და მედიატორის მონაწილეობა არმონაწილეობაა. თუ ყველა შემთხვევაში დაზარალებული და მედიატორი მონაწილეობას მიიღებენ ხელშეკრულების დადების დროს, მაშინ ყველა ხელშეკრულება იქნება განრიდებისა და მედიაციის და საჭირო არ არის, რომ კანონმდებელმა ცალკე გამოყოფს განრიდების ხელშეკრულებას; განრიდების ხელშეკრულების განსხვავება განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებისაგან არის დაზარალებულის სურვილი შეურიგდეს დამნაშავე არასრულწლოვანს. თუ დაზარალებულის სურვილი, შეურიგდეს თუ არა არასრულწლოვანს, გათვალისწინებული უნდა იქნეს, და თუ მას ამის სურვილი არ გააჩნია, უმჯობესია, არც განრიდების ხელშეკრულების მხარედ იქნას წარმოდგენილი, როცა კანონმდებელი ამის უფლებას იძლევა; იხ. იქვე, გვ.107.

³⁸² იხ. Meier, B.-D., Rössner, D., Trüg, G., Wulf, R., Jugendgerichtsgesetz. Handkommentar, 2014, გვ.55.

გამომდინარეობდეს საუკეთესო ინტერესებიდან და პროპორციულობის პრინციპთანაც აქტიურ კავშირში უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ მედიაციის კონფერენციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში იღება განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება. პროკურორი, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე, სოციალურ მუშაკთან და გარკვეულ შემთხვევაში მედიატორთან ერთად ხელშეკრულების პირობებს განსაზღვრავს. აღნიშნული პირობების ჩამოყალიბებისას აუცილებელ გარემოებას წარმოადგენს დაზარალებულის და არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება.³⁸³ ვფიქრობთ, რომ ამ პირობების შესრულება არ უნდა აღემატებოდეს არასრულწლოვანის შესაძლებლობებს და ასევე არ უნდა გასცდეს საუკეთესო ინტერესების ფარგლებს.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მიღებიდან, პროკურორი, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან, განრიდების ხელშეკრულებას აფორმებს 10 სამუშაო დღის ვადაში. თუ ხელშეკრულება, გარკვეულწილად გონივრული მიზეზით აღნიშნულ ვადაში ვერ გაფორმდა, შესაძლებელია გაგრძელდეს ეს ვადა, ობიექტური მიზეზის აღმოფხვრამდე. განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებას არასრულწლოვანთან აფორმებს

მედიატორი, განრიდებისა და მედიაციის შემთხვევაში, არასრულწლოვანთან აფორმებს ხელშეკრულებას, ხოლო, ამ ხელშეკრულების გაფორმების ვადა და გარკვეული პროცედურები, განსაზღვრულია, „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით.³⁸⁴

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების მხარეთა თანხმობითა და ინიციატივით, ასევე შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აღნიშნული ხელშეკრულების სხვა პირობებიც. აუცილებელია, რომ ხელშეკრულების პირობების ჩამოყალიბებისას უფლებამოსილმა პირმა გაითვალისწინოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, ასევე არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები, მისი ჰობი და მისწრაფებები და ა. შ..

ხელშეკრულების პირობებზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესიდან გამომდინარე, პროკურორი წყვეტს ამ პროცესს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

³⁸³ იხ. განრიდების პროგრამა, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/uploads/429f65a7-ganrideba-2019-weli-converted>.

³⁸⁴ იხ. განრიდების ხელშეკრულება, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <http://prevention.gov.ge/page/28/geo>

ხოლო, ხელშეკრულებაზე მხარეების ხელმოწერისთანავე, სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების, ან შეწყვეტის შესახებ დადგენილება, გამოაქვს პროკურორს. ხსენებული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს თორმეტ თვემდე ვადით. მაგალითისთვის აღსანიშნავია, 2019 წლის სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ ოთხი თვის ვადით გაფორმდა ყველაზე მეტი განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულება. ასევე, მაღალია 3 და 5 თვიანი ხელშეკრულების რიცხვობრივი მაჩვენებელიც. მნიშვნელოვანია, რომ 2019 წლის სტატისტიკურ მონაცემებში არის მინიმალური ვადით გაფორმებული ხელშეკრულებებიც, მაგ: ერთი თვის ვადით, ოთხ არასრულწლოვანს გაუფორმდა ხელშეკრულება.³⁸⁵

საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: განრიდების ხელშეკრულების პირობების დარღვევის ყოველწლიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ არაეფექტურია მცირე ვადიანი ხელშეკრულებები. შესაბამისად, მიღებულ იქნა ხელშეკრულებების ხანგრძლივი ვადით გაფორმების შესახებ, რეკომენდაცია, რათა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შედეგად და სხვადასხვა სფეროს პროფესიონალებთან მუშაობის შემდეგ გარკვეულწილად შეიცვალოს მოზარდის ცნობიერება.

აღსანიშნავია, რომ განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების ვადასა და არასრულწლოვანის მიერ განსახორციელებელ პირობებს შორის უნდა არსებობდეს ისეთი სახის ურთიერთმიმართება, რომ არასრულწლოვანს მოუტანოს სარგებელი გრძელვადიანი პერსპექტივით და არა მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.³⁸⁶

თვეში ერთხელ, სოციალური მუშაკი, პროკურორს წერილობით აწვდის ინფორმაციას ხელშეკრულების შესრულების პროცესის მიმდინარეობის თაობაზე. ხოლო, რაც შეეხება ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევებს, სოციალურ მუშაკთან ერთად, პროკურორი ხვდება არასრულწლოვანს და მის კანონიერ წარმომადგენელს.³⁸⁷ პროკურორი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ გამოძიებას შეწყვეტს სისხლის სამართლის საქმეზე, თუ არასრულწლოვანი ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში,

³⁸⁵ იხ. განრიდების პროგრამა, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/uploads/429f65a7-ganrideba-2020-weli-converted>.

³⁸⁶ იხ. შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, 2013. გვ. 69.

³⁸⁷ იხ. იქვე, გვ.69.

კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და განსაზღვრულ პირობებს.

რაც შეეხება ხელშეკრულების პირობების გარკვეულ ანალიზს, სამწუხაროდ საქართველოში არ არსებობს სერვისების ერთიანი ბაზა, მაგრამ სოციალურ მუშაკთა, პროკურორთა და მედიატორთა ერთობლივი ძალისხმევით შედეგად არასრულწლოვნისთვის, მაინც ხდება შესაბამისი სერვისების შეთავაზება. ხელშეკრულებათა პირობები, შესაძლებელია რამდენიმე ჯგუფად დავყოთ: ესენია ერთის მხრივ სპორტი, განათლება, ხელოვნება და მეორეს მხრივ, საზოგადოებრივად სასარგებლო აქტივობები.

გენერალური პროკურატურის ანალიტიკური სამმართველოს კვლევებით,³⁸⁸ დასტურდება, რომ პრაქტიკაში გარკვეულწილად გართულდა, ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამაში ჩართვა. იყო შემთხვევები, როცა არასრულწლოვნის მიმართ, როცა არ დადგინდა შეურაცხადობა, მიუხედავად ამისა, გაცნობიერებისა და აღქმის პრობლემები გამოიკვეთა შეფასების პროცესში, ასეთ დროს, ვერ გაფორმდა განრიდების/განრიდება მედიაციის ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევებში აღნიშნული არასრულწლოვნების მიმართ ვერ იქნა მოძიებული სათანადო სერვისები. ასევე, გარკვეული პრობლემები გამოვლინდა არასრულწლოვანთან კლინიკური ფსიქოლოგის ჩართვასთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნული სპეციალისტის ამ ჩართვა ამ პროცესში, ვერ მოხერხდა.³⁸⁹

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როცა განრიდების პირობები მიზანშეუწონელი იყო და პროკურორის მიერ საქმეზე გამოძიება შეწყდა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები სათანადო დახმარების გარეშე აღმოჩნდნენ, რაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისთვის, ისე ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების კუთხითაც. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, მოზარდისთვის განსაზღვრული, თითოეული ვალდებულება, აუცილებელია, რომ მისთვის გარკვეული უპირატესობის მომტანი იყოს. ვალდებულებამ არასრულწლოვნის პიროვნებაში უნდა ჩამოაყალიბოს

³⁸⁸ იხ. არასრულწლოვანთა განრიდება, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/page/default/arasrulwlovanTa-marTlmsajuleba>.

³⁸⁹ იხ. არასრულწლოვანთა განრიდების ხარვეზები, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/page/default/arasrulwlovanTa-2020.marTlmsajuleba>.

პასუხისმგებლობის გრძნობა, ასევე, ხელი უნდა შეუწყოს მას, რომ დაეუფლოს გარკვეულ უნარ-ჩვევებს. შესაბამისად, ვალდებულება უნდა იყოს ობიექტურად შერჩეული და მოზარდის მდგომარეობის შესაბამისი. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ განისაზღვრება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის მაღალი სტანდარტი.

3.4.1. განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობა

ამკ-ს 48-ე მუხლის პირველი ნაწილიში კანონმდებელი ნათლად წარმოაჩენს იმ გარემოებას, რომ განრიდების ღონისძიებას არასრულწლოვანი თუ განზრახ არ შეასრულებს, ამის შესახებ პროკურორს აცნობებს უფლებამოსილი სოციალური მუშაკი. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროკურორი ისმენს არასრულწლოვნის, მისი კანონიერი წარმომადგენლის და სოციალური მუშაკის მოსაზრებებს, რის შემდეგაც იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. პროკურორი ასევე უფლებამოსილია სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს ან განაახლოს დასაბუთებული დადგენილების საფუძველზე.

ამკ-ს 48-ე მუხლის მე-3 ნაწილი შესაბამისად, არასრულწლოვნის მიერ განრიდების ღონისძიების შესასრულებლად განხორციელებული მოქმედებები, თუ განრიდების შესახებ გადაწყვეტილება გაუქმდა, გაითვალისწინება სასჯელის დანიშვნის ეტაპზე. განრიდებულ პირთა მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენისა და ხელშეკრულების პირობების დარღვევის დაბალი რიცხვობრივი მაჩვენებელი, განრიდება-მედიაციის პროგრამის წარმატებით განხორციელების, ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.³⁹⁰

ამ კუთხით, აღსანშნავია, გენერალური პროკურატურის ოფიციალური მონაცემები,³⁹¹ რომლის მიხედვითაც, დაბალია განრიდების ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში, არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რიცხვობრივი

³⁹⁰ იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, (სახელმძღვანელო), 2016, გვ.106.

³⁹¹ იხ. არასრულწლოვანთა განრიდების ხელშეკრულება, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/uploads/379733ef-2020-wlis-6-Tve-arasrulwlovanTa-marTlmsajuleba>.

მაჩვენებელი 2020 წლის ექვსი თვის შუალედში. კერძოდ: 101 განრიდებული არასრულწლოვნიდან, განმეორებითი დანაშაული, ჩაიდინა მხოლოდ ორმა პირმა, რაც 2020 წლის საანაგრიშო 6 თვეში, სულ განრიდებულ არასრულწლოვანთა მხოლოდ 2%-ია. ამ მიმართულებით, აღსანიშნავია, 2021 წლის სრული მონაცემები,³⁹² რა პერიოდშიც განრიდებული 363 არასრულწლოვნიდან, განმეორებით დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა რვა პირმა. აქედან გამომდინარე, ბოლო წლების პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში, ყოველწლიურად, არასრულწლოვანთა მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენის რიცხვობრივი მაჩვენებელი 2-3%-ია.

3.5. შეჯამება

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში განრიდება-მედაციის პროგრამის დანერგვას, წინ ნულოვანი ტოლერანტობის მკაცრი პოლიტიკა უძღვოდა. 2010 წლის სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიღებით და განრიდება-მედაციის პროგრამის დანერგვით, გარკვეულწილად სისხლის სამართლის პოლიტიკამ ჰუმანური ხასიათი შეიძინა. ამ კუთხით, საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ფაქტიურად სრულიად ახალ მოდელზე გადავიდა. ვინაიდან, განრიდების და მედაციის პროგრამა მისი არსიდან და ფარგლებიდან გამომდინარე, გარკვეულწილად უზრუნველყოფს არასრულწლოვნის საზოგადოებაში დაბრუნებას და ასევე, მის მიმართ, აღმზერდლობითი ხასიათის მთელ რიგ ღონისძიებებს.

არასრულწლოვანთა განრიდება-მედაციის პროგრამის დადებითი მხარის ნათელსაყოფად, განვიხილეთ არასრულწლოვნის ბიო-ფსიქოლოგიური მდგომარეობა და სისხლისსამართლებრივი დევნის გავლენა მის მიმართ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თავისუფლების აღკვეთა, როგორც სასჯელის ყველაზე მკაცრი სახე, განსაკუთრებულ უარყოფით ზეგავლენას ახდენს არასრულწლოვანთა მიმართ. ვინაიდან, თავისუფლების აღკვეთა, ყველა შემთხვევაში, პირდაპირ ზღუდავს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი პირის ურთიერთობას გარე სამყაროსთან და ასევე სოციუმთან. შესაბამისად, დაკავების და

³⁹² იხ. არასრულწლოვანთა განრიდების სტატისტიკური მონაცემები, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/uploads/379733ef-2021-wlis-6-Tve-arasrulwlovanTa-marTlmsajuleba>.

შემდგომ უკვე პატიმრობის პერიოდში, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისთვის, დიდი ტვირთია ბრალდებულის სტატუსის ტარება. ამ კუთხით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ერთმანეთის საპირწონედ დგას არასრულწლოვნის საუკეთესო და სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესები, რომელთა შორის ბალანსის დაცვა, თანამედროვე სახელმწიფოსთვის გარკვეულ ვალდებულებას წარმოადგენს.

ინტერესთა ბალანსის ნათელსაყოფად განვიხილეთ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე საგამომიებო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკიდან, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ თითოეულ სისხლის სამართლის საქმეში უფლებამოსილმა სახელმწიფო უწყებებმა ობიექტურად უნდა განსაზღვრონ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესი და ყოველივე ეს არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს. ამ კუთხით არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, პირდაპირ კავშირშია განრიდება-მედიაციის პროგრამასთან.

განრიდების ღონისძიებების განხილვისას გამოიკვეთა, რომ განრიდების ღონისძიებები მათი ბუნებიდან გამომდინარე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის, როგორც აღმზრდელით, ისე სარეაბილიტაციო მიზნებს უნდა ემსახურებოდეს. მიუხედავად ამისა, გაფრთხილება, როგორც ერთ-ერთი ღონისძიება, საქართველოში განრიდება-მედიაციის პროგრამის ამოქმედებიდან, დღემდე, საგამომიებო და პროკურატურის ორგანოების პრაქტიკაში არ გამოყენებულა.

კვლევის შედეგად, დასტურდება, რომ დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, ამკ-ის 43-ე მუხლი, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ ითვალისწინებს წერილობით გაფრთხილებას, როგორც განრიდების ღონისძიება, წარმოადგენს „გაყინულ ნორმა“-ს. ვფიქრობთ, ამ საკითხს ყველა შესაბამისმა სახელმწიფო უწყებამ ყურადღება უნდა მიაქციოს. წერილობითი გაფრთხილების პრაქტიკაში გამოყენებით, სახელმწიფო უფლებამოსილი ინსტიტუტები, პირველ რიგში დაზოგავდნენ, როგორც ადამიანურ, ისე მარტერიალურ რესურსს და, რაც ყველაზე მთავარია, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნისთვის, მას ექნებოდა ერთის მხრივ, გამაფრთხილებელი და მეორეს მხრივ, აღმზრდელითი დანიშნულება.

თავი 4. არასრულწლოვანთა განრიდების თავისებურებანი

4.1. განრიდების გამოყენების წინაპირობები

საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებამდე განრიდების და მედიაციის გამოყენების წინაპირობები რეგულირდებოდა იუსტიციის მინისტრის N216 ბრძანებით.³⁹³ დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, კანონმდებელმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, გარკვეულწილად განსხვავებულად შემოგვთავაზა განრიდების გამოყენების წინაპირობები. ამკ-ს 40-ე მუხლის მიხედვით, განრიდების გამოყენება შესაძლებელია, თუ სახეზე გვაქვს შემდეგი გარემოების ერთობლიობა: პირველ წინაპირობას წარმოადგენს ის გარემოება, როცა არსებობს დასაბუთებული ვარაუდისთვის საკმარისი მტკიცებულებები, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე, ან მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩაიდინა. აღნიშნულ მუხლში კანონმდებელი, წარმოაჩენს იმ მოთხოვნას, რომ განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში, არასრულწლოვანი, არ უნდა იყოს ნასამართლევ, ასევე, არასრულწლოვანი, ამ პროგრამაში, სხვა დროს ჩართული არ უნდა იყოს. ამასთანავე განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვის წინაპირობაა, რომ არასრულწლოვანი დანაშაულს აღიარებდეს და პროკურორის/სასამართლოს შინაგანი რწმენით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი არ უნდა არსებობს. აღნიშნულ მუხლში კანონმდებელი, განრიდების გამოყენების თაობაზე, არასრულწლოვნის და მისი კანონიერი წარმომადგენლის წერილობით თანხმობას, ამ პროგრამაში ჩართვის ერთ-ერთ წინაპირობად განიხილავს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, კანონმდებელი, პროკურორს ავალდებულებს, რომ თუ სისხლის სამართლის კონრეტული საქმე, აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, პირველ რიგში განიხილოს 21 წლამდე ასაკის პირის განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა.

³⁹³ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის N120 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216 ბრძანება.

ამკ-ს 40-ე მუხლით გათვალისწინებული განრიდების გამოყენების წინაპირობები აუცილებელია პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების დასაკონკრეტებლად. განრიდების გამოყენების დროს, პროკურორი მხედველობაში იღებს, არის თუ არა სახეზე, აღნიშნული წინაპირობების ერთობლიობა. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა აღნიშნული გარემოების არარსებობის გამო, პროკურორი კანონმდებლობით დადგენილი წესით, უარს ამბობს განრიდების გამოყენებაზე.³⁹⁴

არასრულწლოვანთა განრიდების წინაპირობების ცალ-ცალკე განხილვისგან თავს შევიკავებთ, ვინაიდან თოთოეული მათგანი გაწერილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, თუმცა, ყურადღებას გავამახვილებთ, არასრულწლოვნის ნასამართლობაზე და არასრულწლოვნის წინათ განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართულობაზე, როგორც განრიდების გამოყენების დამაბრკოლებელ ელემენტებზე.

4.1.2. ნასამართლობა, როგორც არასრულწლოვნის განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვის დამაბრკოლებელი გარემოება

არასრულწლოვნის ნასამართლობის ინსტიტუტთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია, რომ ნასამართლობა მისი არსიდან და ფარგლებიდან გამომდინარე, კრიმინოლოგიური თვალსაზრისით წარმოადგენს საკანონმდებლო დონეზე მოზარდის ეტიკეტირებას, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს სამართალდამცავი ორგანოებისაგან მისი მკაცრი კონტროლი და საზოგადოებისაგან გარიყვა.³⁹⁵ ნასამართლობა ითვლება სასჯელის მოხდის შემდეგ დაწესებულ დამატებით გამოსაცდელ ვადად, რომლის განმავლობაშიც პირის მიმართ საზოგადოების ნდობა უნდა აღდგეს.³⁹⁶ აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდებისათვის ციხის სისტემებში გატარებული ხანგრძლივი პერიოდი, განსაკუთრებით აძნელებს მათ რეაბილიტაციას საზოგადოებაში და ნასამართლობაც აბრკოლებს ამ ყველაფერს.³⁹⁷

ნასამართლობა მისი არსიდან გამომდინარე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ წარმოადგენს განრიდების პროგრამაში ჩართვის გარკვეულწილად დამაბრკოლებელ გარემოებას. თუმცა, ამკ-ს 40-ე მუხლის ჩანაწერი

³⁹⁴ იხ. არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამის შესახებ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <http://prevention.gov.ge/page/28/geo>.

³⁹⁵ იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი, 2013, გვ. 105.

³⁹⁶ იხ. ბიჭია, შ., ხადაზმულობა სისხლის სამართალში, 2010, გვ.122.

³⁹⁷ იხ. მინაშვილი, ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის კომენტარები, 2017, გვ. 186.

შესაძლებელია გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ არასრულწლოვანმა, იმის მიუხედავად იყო თუ არა ადრე გასამართლებული, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს განრიდების პროგრამაში. მ. შალიკაშვილი არასრულწლოვანის ნასამართლობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ამკ-ს 40-ე მუხლის პირობა არასრულწლოვანი ნასამართლევი არ არის, გაგებულ უნდა იქნეს, რომ ნასამართლობა გაქარწყლებულია ამკ-ს მე-12 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით. ცნება არასრულწლოვანის ნასამართლობა, თუ მოიცავს საკითხს, რაც გულისხმობს, რომ ერთხელ არასრულწლოვანის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, ნიშნავს არასრულწლოვანის ნასამართლობას, მაშინ ეს განმარტება შეუსაბამოა ადამიანის ღირსებასთან და თავისუფალი განვითარების უფლებასთან, რადგან საშუალებას არ აძლევს მოზარდს გათავისუფლდეს ბავშვობაში ჩადენილი შეცდომისაგან.³⁹⁸

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ი. ვარძელაშვილს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ნორმის არასრულწლოვანის საზიანოდ განმარტება დაუშვებელია, ვინაიდან ნორმის განმარტებისას ყურადღება უნდა იქნეს გადატანილი არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობაზე.³⁹⁹ ეს მოსაზრება პირდაპირ მიმართებაშია საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილებასთან, სადაც განმარტებულია, რომ ამგვარი მოპყრობა, მსხვერპლში აღძრავს შიშს, ტკივილსა და არასრულფასოვნების განცდას, შესაბამისად ეს განცდა აკნინებს და ამცირებს მას, ასევე ტებს, როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად.⁴⁰⁰

ამკ-ს მე-12 მუხლის მიხედვით, მნიშვნელოვანია, რომ ნასამართლობა სასჯელის მოხდისთანავე გაქარწყლებულად ეთვლება არასრულწლოვანს, ასევე პირობითი მსჯავრის არსებობის შემთხვევაში, გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე. კანონმდებელი ასევე წარმოაჩენს, იმ გარემოებას, რომ თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს, ამკ-ს მე-12 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შედავათი არ მოქმედებს. ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, არასრულწლოვანმა თუ პირველად ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება, სასჯელის მოხდისთანავე ნასამართლობა გაქარწყლებულად ჩაეთვლება, მაგრამ თუ სახეზეა განმეორებითი დანაშაულის ჩადენა, ნასამართლობის

³⁹⁸ იხ. შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, 2013, გვ.99.

³⁹⁹ იხ. ვარძელაშვილი, ი., არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1.2017, გვ. 74.

⁴⁰⁰ იხ. მ.ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=301>.

გაქარწყლება მოხდება ამკ-ს მე-12 მუხლით გათვალისწინებული ვადების მიხედვით. თუ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა დანაშაული, ეს უკვე გვადლევს მისი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, განრიდების განხორციელების შესაძლებლობას, მაგრამ თუ მის მიმართ განრიდების გამოყენების საფუძვლების არარსებობით, ან პროკურორის გადაწყვეტილებით, დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა, რის შედეგადაც მან მოიხადა სასჯელი და არასრულწლოვნის მიერ ისევ აქვს დანაშაულის ჩადენის რეციდივს ადგილი, ამ შემთხვევაშიც კანონმდებელი არ კრძალავს განრიდების გამოყენებას. მაშასადამე, ამკ-ს მე-12 მუხლში კანონმდებელი ყრადღებას ამახვილეს არასრულწლოვნის მიმდინარე ნასამართლობაზე და არა გაქარწყლებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის განაჩენი, სადაც პალატა განმარტავს, რომ თუ არასრულწლოვანს ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს, წარსულში მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, არ უნდა მივიღოთ მხედველობაში.⁴⁰¹ უზენაესი სასამართლო ამ განაჩენით განმარტავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ნორმის ბუნდოვანების შემთხვევაში, ნორმა უნდა განიმარტოს არასრულწლოვნის საუკეთესო (ჭეშმარიტი) ინტერესების სასარგებლოდ, მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

განვიხილოთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 18 თებერვლის განაჩენი,⁴⁰² რომლის მიხედვითაც სსკ-ს 177-ე მუხლით მსჯავრდებული არასრულწლოვანი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 01 მაისის გადაწყვეტილებით, გათავისუფლდა სასჯელის შემდგომი მოხდისგან. ამავე არასრულწლოვანმა გათავისუფლებიდან რამდენიმე თვეში, კერძოდ კი, 2014 წლის 8 აგვისტოს ჩაიდინა ახალი დანაშაული, აქედან გამომდინარე, მისი ქმედება დაკვალიფიცირდა 19,177-ე მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. თბილისის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულ არასრულწლოვანს, იმ მოტივით, რომ ნასამართლობა გაქარწყლებული ჰქონდა, მსჯავრდებულს, მაკვალიფიცირებელი ნიშანი ქურდობის ჩადენა არაერთგზის, ამოურიცხა. არასრულწლოვნის მიერ პირველად ჩადენილი დანაშაული არავითარ შედეგს არ

⁴⁰¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის N172აგ.განაჩენი.

⁴⁰² იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 18 თებერვლის №1ა/გ-143-16, განაჩენი.

წარმოშობს. მეორედ ჩადენილი დანაშაული, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება არაერთგზის, თუ არასრულწლოვანმა ჩაიდინა სასჯელის მოხდის პერიოდში.

არასრულწლოვნის ნასამართლობასთან მიმართებაში საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ნ. თოდუა, რომლის მიხედვითაც, უპირობოა არაა ნასამართლობის გაქარწყლებასთან დაკავშირებული შედეგითი, იგი პირობადადებულია იმით, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ, არასრულწლოვანმა აღარ უნდა ჩაიდინოს დანაშაულებრივი ქმედება, ხოლო, თუ ჩაიდენს, დადგენილ ვადაში გაქარწყლება ნასამართლობა.⁴⁰³

საქართველოს სისხლის სამართლის და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსების შესაბამისად, მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული, მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა. აღნიშნულ საკითხს, სწორედ ამ კუთხით უნდა მივუდგეთ, რათა არ მოხდეს, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ფუნდამენტური უფლებებისა და საუკეთესო ინტერესის, გვერდის ავლა. ვფიქრობთ, რომ დაუშვებელია, ნორმის არასრულწლოვნის საწინააღმდეგოდ განმარტება. ვინაიდან, კანონმდებელი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ძირითად აქცენტებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე აკეთებს.

4.1.3. განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვა, როგორც არასრულწლოვნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი შანსი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, როგორც აღვნიშნეთ, კრძალავს კანონთან კონფლიქტში მყოფი იმ არასრულწლოვნის განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვას, რომელიც ხსენებულ პროგრამაში იყო უკვე ჩართული. ნორმის შინაარსიდან ჩანს, რომ კანონმდებელი კრძალავს არასრულწლოვნის განრიდება-მედიაციის პროგრამაში ერთზე მეტჯერ ჩართვას.

ამ საკითხთან დაკავშირებით საგამომიებო ორგანოების პრაქტიკიდან,⁴⁰⁴ საინტერესოა გავანალიზოთ ერთ-ერთი საქმე: 17 წლის ბ.გ-მ, რომელსაც მართვის მოწმობა კანონმდებლობით დადგენილი წესით⁴⁰⁵ ჰქონდა აღებული, ფხიზელ მდგომარეობაში

⁴⁰³ იხ. თოდუა, ნ., არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, 2016, გვ. 632.

⁴⁰⁴ იხ. საქმე, შსს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საგამომიებო ორგანოების 2021 წლის პრაქტიკიდან.

⁴⁰⁵ იხ. შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 01 აგვისტოს N598 ბრძანება.

მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება (სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილი). საქმეზე გამოძიების მსვლელობისას გაირკვა, რომ ბ.გ. 15 წლის ასაკში ჩადენილი ჰქონდა ქურდობა, რაზეც იყო ჩართული განრიდება-მედიაციის პროგრამაში. აქედან გამომდინარე, ვინაიდან ბ.გ. ერთხელ უკვე ჩართული იყო განრიდება-მედიაციის პროგრამაში, ამკ-ის 40-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროკურორს არ ჰქონდა უფლება, ხსენებული არასრულწლოვანი, გაუფრთხილებელი დანაშაულისთვის ჩაერთო ამ პროგრამაში და შესაბამისად, მის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.

ამ შემთხვევაში, მართალია არასრულწლოვანს ცხოვრებაში მიეცა ერთ შანსი და იგი ჩართული იყო განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის განრიდება-მედიაციის პროგრამაში, მაგრამ მასვე კანონმდებელი უკრძალავს გაუფრთხილებელი, ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის ამ პროგრამაში ჩართვას. ყოველივე ეს კავშირშია არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესის გარკვეულწილად შეზღუდვასთან. ამკ-ის 40-ე მუხლის „ბ“ (არასრულწლოვანი არ არის ნასამართლევია) და „გ“ (არასრულწლოვანი ჩართული არ ყოფილა განრიდება-მედიაციის პროგრამაში) ქვეპუნქტებს თუ თანაფარდობაში გავანალიზებთ, ვნახავთ, რომ წარსულში განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლევია არასრულწლოვანი, შესაძლებელია ისევ განზრახი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ჩაერთოს განრიდება-მედიაციის პროგრამაში, ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში მეტია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის რისკი, დასჯის საჯარო ინტერესი და არასრულწლოვანის გარკვეულწილად წახალისების მომენტი, მიუხედავად ამისა, კანონმდებელი არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების ფარგლებში პროკურორს აძლევს ამის უფლებას.

იურიდიულ ლიტერატურაში, გავრცელებულია მოსაზრება, რომ განრიდება-მედიაციის პროგრამა წარმოადგენს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანისთვის ცხოვრებაში ერთი შანსის მიცემის იდეას.⁴⁰⁶ აღნიშნული მოსაზრება, მართალია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან გამომდინარეობს, მაგრამ საკითხს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა შევხედოთ ფართო სამართლებრივ კრილში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონმდებელი არ კრძალავს წარსულში ნასამართლევია არასრულწლოვანისთვის განრიდების პროგრამაში ჩართვას,

⁴⁰⁶ იხ. შუად. გვენეტაძე, ნ., კვაჭაძე, მ., წიკლაური-ლამიხი, ქ., გაბუნია, მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, განრიდება და მედიაცია, 2012, გვ.121.

ხოლო ერთხელ უკვე ამ პროგრამაში ჩართულ არასრულწლოვანს, მეორე შანსს აღარ აძლევს. ვფიქრობთ, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვის იდეა და არსი, ერთი შანსის მიცემის პრინციპზე არ დაიყვანება. ვინაიდან არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, მოიცავს არასრულწლოვნისთვის ზრუნვის მუდმივ პროცესს და მოქმედებათა ერთობლიობას.⁴⁰⁷ შესაბამისად, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც პრინციპი, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს იარაღს ღირსებითა და უფლებებით აღჭურვილი არასრულწლოვნის პატივისცემისა და ძირითადი ყურადღების საგნად განხილვის თვალსაზრისით.⁴⁰⁸ აქედან გამომდინარე, არასრულწლოვნის მიმართ განრიდების, როგორც ცხოვრებაში ერთი შანსის მიცემის იდეის საკითხი, ცილდება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის ფარგლებს. შესაბამისად, ის შეფასება, რომ ამ კუთხით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, გარკვეულწილად პასუხობს საუკეთესო ინტერესის დაცვის მაღალ სტანდარტს, ვფიქრობთ, რომ გონივრულ აზრს მოკლებულია.

4.1.4. არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა განრიდების წინაპირობების თანაფარდობა

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, განრიდების პროგრამაში ჩართვისას არასრულწლოვანი და სრულწლოვანი არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან.⁴⁰⁹ აღნიშნული წინადადების ნათელსაყოფად აუცილებელია განვიხილოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები სრულწლოვანთა განრიდების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით.

სსსკ-ის 168¹-ე მუხლიდან გამომდინარე, პროკურორი უფლებამოსილია პირის მიმართ ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა. კანონმდებელი ამავე მუხლში განსაზღვრავს განრიდების გამოყენების წინაპირობებს, სადანაც ერთი ან რამდენიმე უნდა შეასრულოს განრიდების სუბიექტმა.⁴¹⁰ კერძოდ: სახელწიფოს უნდა გადაეცეს უკანონოდ მოპოვებული

⁴⁰⁷ იხ. Lorens, J. C., Presentation of General Comment No. 14: Strengthens and Limitations, Points of Consensus and Dissent Emerging in its Drafting, in: The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe, 2016, გვ. 57

⁴⁰⁸ იხ. Zermatten, J., Best Interests of the Child, in: Child-Friendly Justice: A Quarter of a Century of the UN Convention on the Rights of the Child, Said Madmoudi, Pernila Leviner, Anna Kaldal, Katrin Lainpelto (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2015, გვ. 42.

⁴⁰⁹ იხ. აქუზარდია, ი., განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ, პროფ. გ. ნაჭყებიას 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 2016, გვ. 69.

⁴¹⁰ იხ. იქვე, გვ. 70.

ქონება, ასევე დანაშაულის იარაღი ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტი, ამასთანავე, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის სრულად ან ნაწილობრივ უნდა ანაზღაურდეს. ამავე მუხლში, კანონმდებელი განრიდების ერთ-ერთ წინაპირობად განიხილავს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდას, რომლის მინიმალური ოდენობა წარმოადგენს 500 ლარს. განრიდების წინაპირობად განიხილება, ასევე უსასყიდლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე ვადით. ამავე მუხლში განრიდების წინაპირობად, ასევე წარმოდგენილია, ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში, ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა.

რაც შეეხება, არასრულწლოვნის მიმართ განრიდების წინაპირობებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ არასრულწლოვანს ჩადენილი ჰქონდეს ნაკლებად მძიმე, ან მძიმე დანაშაული, არასრულწლოვანი არ უნდა იყოს ნასამართლევ. არასრულწლოვანი არ უნდა იყოს ჩართული განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში, იგი უნდა აღიარებდეს დანაშაულს და ამასთანავე, პროკურორის შინაგანი რწმენით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების ან უკვე დაწყებული დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი, არ უნდა არსებობდეს.⁴¹¹ სსკ-ის 168¹-ე და ამკ-ის 40-ე მუხლების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ კანონმდებელი გარკვეულწილად განსხვავებულად აყალიბებს სრულწლოვნის და არასრულწლოვნის მიმართ განრიდების პროგრამის წინაპირობებს. არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა განრიდების წინაპირობებზე მსჯელობისას, ყურადღება უნდა მივაქციოთ, შემდეგი სახის განმასხვავებელ ნიშნებს: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად, განრიდების გამოყენების დამაბრკოლებელი გარემოებაა, არასრულწლოვნის ნასამართლობა, მაშინ, როცა, სრულწლოვანთა განრიდების ხელის შემშლელ ფაქტორად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, აღნიშნული, არ არის გათვალისწინებული. ასევე, თუ განრიდება არასრულწლოვნის მიმართ ადრე იყო გამოყენებული, დაუშვებელია ხელმეორედ მისი გამოყენება, ხოლო კანონმდებელი არ კრძალავს განმეორებით, განრიდების გამოყენებას, სრულწლოვან ბრალდებულთან მიმართებაში. ასევე აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გამოყენების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს დანაშაულის აღიარება, ხოლო

⁴¹¹ იხ. იქვე, გვ. 71.

სრულწლოვანთან მიმართებაში, ასეთ მოთხოვნას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.⁴¹²

სრულწლოვანთა მიმართ განრიდება არ გამოიყენება ტრეფიკინგის, მძევლად ხელში ჩაგდების, წამების, წამების მუქარის და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის (სისხლის სამართლის კოდექსის 143¹-ე, 143²-ე, 143³-ე, 144-ე, 144¹-ე, 144²-ე, 144³-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში) დანაშაულთა, ასევე, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებიდან გამომდინარე არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე, ხოლო არასრულწლოვანებთან მიმართებაში, ასეთი შეზღუდვა არ მოიძებნება, არც საპროცესო და არც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, ასევე არც სხვა კანონქვემდებარე აქტებში.⁴¹³

ვეთანხმებით, იურიდულ ლიტერატურაში მოცემულ ი.აქუზარდიას მოსაზრებას მასთან დაკავშირებით, რომ არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა განრიდების საპროცესო წესი, არის შემთხვევები, როცა, არ მოდის ერთმანეთთან თანხვედრაში. არასრულწლოვანი და სრულწლოვანი ბრალდებული, განრიდების პროგრამაში ჩართვისას, არათანაბარ მდგომარეობაში არ უნდა იმყოფებოდნენ. ამ კუთხით, არასრულწლოვანთან შედარებით, სრულწლოვანისათვის უფრო მეტი პრივილეგიის მინიჭება, შესაბამისად, არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ განრიდების უფრო მკაცრი წინაპირობების განსაზღვა, ყოვლად გაუმართლებელია.⁴¹⁴ ბუნებრივია, რომ კანონმდებლის ასეთი მიდგომა გარკვეულწილად წინააღმდეგობაში მოდის არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპთან.⁴¹⁵ დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, სამწუხაროა, რომ ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს განრიდების მეორადად გამოყენებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, სხვადასხვა ტერიტორიაზე ან რაიონში ჩადენილი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ ერთი და იგივე სრულწლოვანი პირი, რამდენჯერმე იქნას განრიდებული.⁴¹⁶ თავის მხრივ, ეს საკითხი პროკურატურის და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში იწვევს გარკვეულწილად

⁴¹² იხ. ფავიაშვილი, ლ., თუმანიშვილი, გ., კვაჭანტირაძე, დ., ლიპარტელიანი, ლ., დადეშქელიანი, გ., გუნცაძე, შ., მეზერიშვილი, ნ., თოლორაია, ლ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2015, გვ. 489.

⁴¹³ იხ. იქვე, გვ. 489.

⁴¹⁴ იხ. აქუზარდია, ი., განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ, პროფ. გ. ნაჭყებიას 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 2016, გვ. 70.

⁴¹⁵ იხ. ხუციშვილი, ი., განრიდების განმეორებით გამოყენების სამართლებრივი მექანიზმი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი, 2022, გვ. 134.

⁴¹⁶ იხ. იქვე, გვ. 135.

უსამართლობის განცდას, ვინაიდან, კანონმდებელი სრულწლოვანს უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაში ამყოფებს, ვიდრე არასრულწლოვანს.

აქედან გამომდინარე, ფაქტია, რომ განრიდების წინაპირობების განსაზღვრისას არასრულწლოვანთან და სრულწლოვანთან მიმართებაში კანონმდებლობაში არარსებობს ერთიანი სტანდარტი, რაც, თავის მხრივ, ვერ პასუხობს საუკეთესო ინტერესების დაცვის ფარგლებში არსებულ გამოწვევებს.

4.2. სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა აღდგენით მართლმსაჯულებაში

იურიდიულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში აღიარებულია, რომ სამართალწარმოების პროცესში განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან ბავშვები, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ინფორმაციის მიღება, არასრულწლოვნისთვის მოხდეს სპეციალური წესების დაცვით. თ. ლალიაშვილის განმარტებით, აღნიშნული წესები უზრუნველყოფს, საგამოძიებო მოქმედებებში ბრალდებულის სახით მონაწილეობისას, მოზარდის სტრესის მინიმუმადე დაყვანას.⁴¹⁷ კანონმდებელი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში აწესებს განსხვავებულ მიდგომებს და სხვადასხვა მიმართულებით ადგენს გაცილებით მაღალ სტანდარტებს, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მოხვედრილ მოზარდთან მომუშავე პირების სპეციალიზაციის მიმართულებით.⁴¹⁸ საკითხის განხილვის დასაწყისშივე ჩნდება კითხვა, რატომ არის სპეციალიზაცია ასეთი მნიშვნელოვანი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში? ამ კითხვას უნდა ვუპასუხოთ ფართო გაგებით, არასრულწლოვნის სტატუსის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვინაიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მთელი რიგი ინდივიდუალური მიდგომებია საჭირო.⁴¹⁹ საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესის სირთულისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალიზაციას.⁴²⁰ სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ეს ის მიმართულება, სადაც უამრავი სპეციფიკაა

⁴¹⁷ იხ. ლალიაშვილი, თ., არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის პრობლემატური საკითხები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კონფერენციის შრომები, 2021, გვ. 48.

⁴¹⁸ იხ. ჩხეიძე, ი., არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებები მართლმსაჯულების პროცესში, სამართლის ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N3, 2021, გვ.92.

⁴¹⁹ იხ. ივანძე, მ., სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, 2017, გვ. 10.

⁴²⁰ იხ. შეყილაძე, ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, 2019, გვ.192.

გასათვალისწინებელი.⁴²¹ დავიწყოთ იმით, რომ არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესების (პეკინის წესები) დათქმა,⁴²² ეხება არასრულწლოვანთა საქმის განმხილველ პირთა მომზადების აუცილებლობასა და პროფესიონალიზმს. აღნიშნულ დათქმაში განმარტებულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მონაწილე ყველა უფლებამოსილ პირს, ესაჭიროება პროფესიონალური კომპეტენტურობის უზრუნველყოფა, მნიშვნელოვანი პროფესიული მომზადება, უშუალოდ მუშაობის პროცესში სწავლების, გადამზადების კურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების გავლა.⁴²³ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების საკითხებში გამოცდილების მქონე კვალიფიციურ პროფესიონალთა არსებობა, სწორედ თითოეული არასრულწლოვნისათვის დამახასიათებელი თავისებურებებისა და საჭიროებების ადეკვატურად შეფასების, აგრეთვე, საუკეთესო ინტერესების მხედველობაში მიღებისა და დაცულობის აუცილებლობით აიხსნება.⁴²⁴ პეკინის მე-12 წესის⁴²⁵ მიხედვით, აუცილებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში უფლებამოსილი ყველა თანამდებობრივი რგოლის სპეციალური მომზადება. პოლიციის თანამშრომლები, თავისი ფუნქცია-მოვალეობების ობიექტურად განხორციელების მიზნით, სისტემატურად უნდა გადიოდნენ საგანმანათლებლო ტრენინგებს და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალურ მომზადებას. სპეციალიზაციის საკითხის სწორად განსაზღვრა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ფაქიზი თემაა.⁴²⁶ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაცია გარკვეულწილად პირდაპირ მიმართებაშია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან. ვინაიდან არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და ზოგადად ბავშვის უფლებები არასრულწლოვნებთან მომუშავე თითოეული უფლებამოსილი პირის ძირითადი ყურადღების საგანს წარმოადგენს.⁴²⁷ აღნიშნულთან დაკავშირებით, ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი მიანიშნებს

⁴²¹ იხ. Cipriani, D., Children's Rights and the Minimum Age of Criminal Responsibility A Global Perspective, 2009, გვ. 38.

⁴²² იხ. პეკინის წესები, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, <https://idsdge.files.wordpress.com/2017/06/e1839ee18394e18399e18398e1839c>.

⁴²³ იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), 2016, გვ. 180.

⁴²⁴ იხ. Handbook for Professionals and Policymakers on Justice in Matters Involving Child Victims and Witnesses of Crime, United Nations Office on Drugs and Crime, New-York, 2009, გვ.108

⁴²⁵ იხ. პეკინის წესები, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, <https://idsdge.files.wordpress.com/2017/06/e1839ee18394e18399e18398e1839c>.

⁴²⁶ იხ. ჩხეიძე, ი., სპეციალიზაციის სტანდარტი არასრულწლოვანთა ქართულ მართლმსაჯულებაში, მართლმსაჯულება და კანონი, N3, 2018, გვ.86.

⁴²⁷ იხ. Martins, C., How Can We Ensure that the Best Interests of the Child Are a Primary Consideration in Social Work?, in: The Best Interests of the Child Dialogue Between Theory and Practice, 2016, გვ. 117.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრინციპის შესრულების ვალდებულების დაკისრების საკითხს, ბავშვებთან მომუშავე პირებთან მიმართებაში.⁴²⁸ აღსანიშნავია, რომ საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე პროცესის განმახორციელებელ მოსამართლეთა, პროკურორთა და გამომძიებელთა მიერ პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში სპეციალური მომზადების გავლის ვალდებულებას.⁴²⁹ სპეციალიზაცია საქართველოს კანონმდებლობისათვის სიახლეს არ წარმოადგენს, თუმცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა, უფრო მეტი დეტალიზება შესძინა აღნიშნულ საკითხს, დაადგინა უფრო მაღალი სტანდარტები, ასევე მნიშვნელოვნად გააფართოვა რა სპეციალიზებულ პირთა წრე, მოიცვა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი/მონაწილე ყველა პირი. განსაკუთრებით ეს ეხება ადვოკატთა სპეციალიზაციას, ვინაიდან კანონმდებელმა ადვოკატის თავისუფალ პროფესიაზე მაღლა არასრულწლოვნის ჭეშმარიტი, საუკეთესო ინტერესი დააყენა. სპეციალიზაცია ხელს უწყობს მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე პირების ცნობიერებისა და პატივისცემის ამაღლებას, ბავშვის უფლებათა სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტების ფარგლებში.⁴³⁰ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების საკითხებში გამოცდილების მქონე კვალიფიციურ პროფესიონალთა არსებობა, სწორედ თითოეული არასრულწლოვნისათვის დამახასიათებელი თავისებურებებისა და საჭიროებების ადეკვატურად შეფასების, აგრეთვე საუკეთესო ინტერესების მხედველობაში მიღებისა და დაცულობის აუცილებლობით აიხსნება.⁴³¹

მართალია, საქართველოში არ მოქმედებს სპეციალიზებული სასამართლო, თუმცა, ამ მხრივ, მყარი სამართლებრივი საფუძველი მოამზადა ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ, 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციურმა კანონმა და კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტში პირდაპირ განისაზღვრა სპეციალიზებულ სასამართლოთა შექმნის შესაძლებლობა, განსხვავებით მანამდე მოქმედი

⁴²⁸ იხ. Zermatten, J., The Best Interests of the Child: Literal Analysis, Function and Implementation, Working Report, Institut international des droits de l'enfant, 2010, გვ.152.

⁴²⁹ იხ. შეილაძე, ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, 2019, გვ.192.

⁴³⁰ იხ. General Comment No. Children's Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child, Forty-fourth Session (15 January-2 February), CRC/C/GC/10, Geneva, 2007, გვ.13.

⁴³¹ იხ. Hooijdonk, E., Children's Best Interests: A Discussion of Commonly Encountered Tensions, in: The Best Interests of the Child, 2016, გვ.41.

რედაქციისაგან.⁴³² იურიდიულ ლიტერატურაში მოცემულია, რომ არასრულწლოვანთა სასამართლო იმთავითვე ჩამოყალიბდა, როგორც სრულწლოვანთა სასამართლოს ალტერნატივა.⁴³³ აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან ოც მათგანში არსებობს სპეციალიზებული სასამართლო. ზოგ შემთხვევაში ცალკე ერთეულის სახით (ბელგია, გერმანია, საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, ხორვატია, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, მალტა, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, გაერთიანებული სამეფო (ინგლისი და უელსი, ჩრდილოეთ ირლანდია), ხოლო ზოგ სახელმწიფოში ჩვეულებრივი სასამართლო ადაპტირებულია ბავშვების საჭიროებებისათვის, მათ შორის, სპეციალიზებულ მოსამართლეთა მონაწილეობის თვალსაზრისით.⁴³⁴ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალური სისტემა მოითხოვს, სპეციალიზებული ერთეულების შექმნას და გადამზადებას, როგორც სამართალდამცავი ორგანოების, სასამართლოსა და პროკურატურის, ისე იურიდიული დახმარების და ყველა უფლებამოსილი სამსახურის, იმ თანამშრომლების, რომლებსაც უშუალოდ, პირველი კონტაქტი უწევთ მოზარდთან.⁴³⁵ ქართულ რეალობაში, საინტერესოა, თუ როგორ განიმარტება, სპეციალიზაციის სტანდარტი, ასევე ჩნდება კითხვა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით, რა ნორმატიული ბაზა არსებობს, რომელიც სპეციალიზაციის სტანდარტს განსაზღვრავს? აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში პროცესის მწარმოებელ პირთა სპეციალიზაციის სტანდარტი და წესი, განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N668 დადგენილებით,⁴³⁶ ხოლო მოსამართლის სპეციალიზაციის შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.⁴³⁷ მთავრობის აღნიშნული დადგენილებით, დამტკიცებულია ის სავალდებულო მოდულები, რომელთა გავლა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მონაწილე ყველა უფლებამოსილი პირისთვის სავალდებულოა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციასთან დაკავშირებით, საინტერესოა 2016 წლის 29 იანვრის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება ერთ-ერთ სისხლის სამართლის

⁴³² იხ. საგანგებო მდგომარეობის შესახებ ვენეციის კომისიის მოსაზრებები, ევროკავშირი, <https://rm.coe.int/compilation-venice-commission-covid19-geo-2/16809e6513>

⁴³³ იხ. ადლერი, ფ., მიულერი, გ.ო., ლაუფერი, ვ.ს., შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში. 2012, გვ.55.

⁴³⁴ იხ. Summary of Contextual Overviews on Children's Involvement in Criminal Judicial Proceedings in the 28 Member States of the European Union, European Union, European Commission – Directorate-General for Justice, 2014, გვ. 8.

⁴³⁵ იხ. კავთუაშვილი, ე., სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, 2016, გვ.36

⁴³⁶ იხ. სპეციალიზაციის სტანდარტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3143176?publication>.

⁴³⁷ იხ. მოსამართლეთა სპეციალიზაცია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, <http://hcoj.gov.ge/files/pdf/%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/56>.

საქმეზე, სადაც განმარტებულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოთხოვნების ეფექტური იმპლემენტაცია პირდაპირ მიმართებაშია სპეციალიზებული უფლებამოსილი ინსტიტუტების დროულ გადამზადებასა და მათ ეფექტურ მუშაობასთან.⁴³⁸ ამავე განჩინებაში სასამართლო განმარტავს, რომ სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, წარმოადგენს მოზარდის საუკეთესო ინტერესზე დაფუძნებულ ინდივიდუალურ მიდგომას. ეს იმას ნიშნავს, რომ ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით უნდა მოეპყრან მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ყველა არასრულწლოვანს. მნიშვნელოვანია, აღნიშნული საჭიროებები იყოს ნებისმიერ ეტაპზე კარგად შესწავლილი და გაანალიზებული. აღსანიშნავია, რომ ამკ-ს მოთხოვნებიდან გამომდინარე, სავალდებულო გახდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მონაწილე უფლებამოსილ პირთა სპეციალიზაცია. ამ კუთხით, საინტერესოა გავაანალიზოთ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან პირველადი კონტაქტის უფლებამოსილი თანამდებობის პირების სპეციალიზაცია და მისი არსი.

4.2.1. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან პირველი კონტაქტი

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში, არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ, სისხლის სამართლის პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა.⁴³⁹ გარკვეულწილად სისხლის სამართლის პოლიტიკის შეცვლის და ამ მიმართულებით მთელი რიგი რეფორმების გატარების შედეგია პოლიციელთა/გამომძიებელთა, პროკურორთა და ზოგადად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ყველა უფლებამოსილ პირთა გადამზადება მოზარდთა პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში. ამკ-ის მე-18 და მე-19 მუხლი ითვალისწინებს სპეციალიზებული პოლიციელის/გამომძიებლის და პროკურორის ინსტიტუტს. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთან მუშაობა, დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მოითხოვს განსაკუთრებული სპეციალური უნარ-ჩვევების ფლობის აუცილებლობას.⁴⁴⁰ მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით პირველადი რეაგირების გატარებისას პოლიციელი/გამომძიებელი და

⁴³⁸ იხ. განჩინება, ბათუმის საქალაქო სასამართლო, https://www.court.ge/courts/baTumis_saqalago_sasamarTlo/?page=25&id=2765.

⁴³⁹ იხ. შალიკაშვილი მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), 2016, გვ. 173.

⁴⁴⁰ იხ. ჩხეიძე, ი., სპეციალიზაციის სტანდარტი არასრულწლოვანთა ქართულ მართლმსაჯულებაში, მართლმსაჯულება და კანონი, N3, 2018, გვ.87.

პროკურორი აქტიურ როლს ასრულებენ, საინტერესოა ეს ორი უწყება განვიხილოთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის მიმართულებით. როგორც აღვნიშნეთ, პერსონალის სათანადო კვალიფიკაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.⁴⁴¹ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს სწორედ პირველი მოქმედებისა და შემხებლობის დროს, არასრულწლოვანთა მიმართ გარკვეული სიფაქიზე მართებთ.⁴⁴² ვინაიდან, კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, დასტურდება, რომ უმრავლეს შემთხვევებში მოზარდებს უჭირთ გამოძიებასთან თანამშრომლობა, რადგან ისინი გარკვეულწილად ჩამოუყალიბებელი ადამიანები არიან.⁴⁴³

კანონმდებელი ამკ-ის მე-18 მუხლის პირველი ნაწილში იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული გამომძიებელი იძიებს არასრულწლოვნის საქმეს. ამკ-ს მე-16 მუხლით განსაზღვრულია სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, რომლის თანახმადაც, თუ არასპეციალიზებულმა პირმა არასრულწლოვნის მიმართ საპროცესო მოქმედება ჩაატარა, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ უფლებამოსილ პირს, რომელიც ვალდებულია რომ უშალოდ განაგრძოს აღნიშნული პროცესი, ხოლო, რაც შეეხება არასპეციალიზებულ პირს, არასრულწლოვნის მართლმსაჯულების პროცესს, დაუყოვნებლივ უნდა ჩამოშორდეს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებები, თუ როდიდან გახდა ცნობილი უფლებამოსილი პირისთვის არასრულწლოვნის სტატუსის თაობაზე და მის შემდეგ რა ღონისძიებები გატარდა.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ის მე-19 მუხლის პირველ ნაწილს აყალიბებს შემდეგნაირად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პოლიციელი აწარმოებს არასრულწლოვნის საქმეს. ხოლო, ამავე მუხლის მეორე ნაწილი გრძელდება შემდეგი შინაარსით, არასრულწლოვნის მიმართ „პოლიციის შესახებ,“ საქართველოს კანონით⁴⁴⁴ გათვალისწინებულ მოქმედებებს ატარებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელიც სპეციალიზებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. ამ შემთხვევაში

⁴⁴¹ იხ. კავთუაშვილი, ე., სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, სამართლის ჟურნალი, სამართალი და მსოფლიო, 2016, გვ.37.

⁴⁴² იხ. ზოხაშვილი, ი., ბენიძე მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები, სამართლის ჟურნალი, N2, 2009, გვ.44.

⁴⁴³ იხ. Ostendorf, H., Jugendgerichtsgesetzkommentar, Baden-Baden, 2009, გვ.146.

⁴⁴⁴ იხ. პოლიციის შესახებ საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტი, 2013.

კანონმდებელი ხაზს უსვამს, რომ საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტრო არის სამართალდამცავი უწყება, რომელსაც მნიშვნელოვანი ფუნქციები აქვს, როგორც მართლწესრიგის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის, ისე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით.⁴⁴⁵ ასევე, პირველი შემხებლობა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან, აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ პირს, იქნება ეს სისხლის სამართლის საქმე, თუ ადმინისტრაციული საქმის წარმოების ფარგლები.⁴⁴⁶ კანონმდებელი ამ შემთხვევაში ამოდის პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლიდან, სადაც განმარტებულია, რომ საქართველოს პოლიცია არის სამინისტროს სისტემაში შემავალი, აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი დაწესებულებების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ მკაცრად განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად, ახორციელებს ერთის მხრივ, პრევენციულ და მეორეს მხრივ, სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს. ვინაიდან პოლიციელს ან გამომძიებელს პირველი შეხება აქვს კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდთან, მას უყალიბდება გარკვეული წარმოდგენა სახელმწიფო სტრუქტურებზე.⁴⁴⁷ თავის მხრივ, ეს კონტაქტი განაპირობებს შემდგომში, როგორც სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობას, ასევე სახელმწიფო ოფიციალური სტრუქტურებისადმი გარკვეული ნდობის ჩამოყალიბების საკითხს.⁴⁴⁸ უფრო მეტიც, კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ან გამომძიებელთან პირველი ურთიერთობა, (კომუნიკაცია) შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობის თვალსაზრისით. მოზარდისთვის არასასიამოვნო დამოკიდებულების შემთხვევაში, ბუნებრივია, გარკვეულწილად შემცირდება მისი მხრიდან გამოძიებასთან თანამშრომლობის ალბათობა, ასევე იგი დაკარგავს ნდობას სახელმწიფო სტრუქტურებისადმი, რაც თავის მხრივ გამოიწვევს არასრულწლოვნის,

⁴⁴⁵ იხ. ტურავა, პ., საქართველოს პოლიციის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, 2014, გვ. 120.

⁴⁴⁶ იხ. ყურაშვილი, ვ., პოლიციის პრევენციული და ადმინისტრაციული სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამოჯვანა, 2018, გვ.24.

⁴⁴⁷ იხ. პოლიციის ფუნქციები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, <https://police.ge/files/pdf/etikis%20kodeqsi/Georgian%20Police%20Code%20of%20Ethics%20Georgian%20fin>.

⁴⁴⁸ იხ. აქუზარდია, ი. პოლიციის პრევენციული და რეპრესიული ღონისძიებების გამოიწვევის პრობლემები, ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხის საიუბილეო კრებული, 2021, გვ. 64.

როგორც სახელმწიფოს და ისე საზოგადოებისაგან გაუცხოებას.⁴⁴⁹ არასრულწლოვანი დამნაშავეის აღზრდაზე აქცენტის გასაკეთებლად, კრიმინოლოგები გვთავაზობენ, რომ არასრულწლოვანთან პირველი კონაქტიდანვე, საქმეებში სამართალდამცავი სისტემიდან ძირითადად ქალებმა მიიღონ მონაწილეობა, ვინაიდან, მდედობითი სქესის წარმომადგენლები აღზრდის ისეთ მნიშვნელოვან თვისებებს ფლობენ, რომელთა გამოყენებაც ხელს შეუწყობს მოზარდი დამნაშავეის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას.⁴⁵⁰

არასრულწლოვანთან პირველი კონტაქტი, მის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სწორედ პოლიციელს/გამომძიებელს და პროკურორს უწევს. ისინი წარმართავენ გამოძიებას, სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში წარმართვამდე და შესაბამისად, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მოზარდის მომავლის განსაზღვრაში.⁴⁵¹ აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არ ითვალისწინებს შსს-ს ორგანოების მხრიდან აღმზრდელობითი ხასიათის პრევენციული ღონისძიებების განხორციელების საკითხს. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სასურველი იქნებოდა თუ პოლიცია აღმზრდელობითი ხასიათის საუბრებს განხორციელებდა, მეორე დონის პრევენციის ფარგლებში, ანუ დანაშაულზე, სავარაუდო სამართლებრივ შედეგზე და ა.შ. გაესაუბრებოდა იმ მოზარდებს, რომლებიც მაღალი რისკის ქვეშ დგანან, რომ დანაშაული ჩაიდინონ.⁴⁵²

პოლიცია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად ახორციელებს პრევენციული ხასიათის ღონისძიებებს, რომლებიც განსაზღვრულია პოლიციის შესახებ კანონით.⁴⁵³

უდავოა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან პირველად შემხებლობაშია შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო დანაყოფები, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვასა და პრევენციის განხორციელებაზე.⁴⁵⁴ შესაბამისად, ხსენებული სამინისტროს თითოეულ

⁴⁴⁹ იხ. ჩხეიძე, ი., სპეციალიზაციის სტანდარტი არასრულწლოვანთა ქართულ მართლმსაჯულებაში, მართლმსაჯულება და კანონი, N3, 2018, გვ.88.

⁴⁵⁰ იხ. Eisenberg, U., Kriminologie, München 2010, გვ. 172.

⁴⁵¹ იხ. იქვე, გვ. 173.

⁴⁵² იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), 2016, გვ. 173.

⁴⁵³ იხ. ტურავა, პ., საქართველოს პოლიციის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, 2014, გვ. 119.

⁴⁵⁴ იხ. შალიკაშვილი, მ., თანდილაშვილი, ხ., პოლიციელი, როგორც მსხვერპლი, პროფ.რ.გოგშელიძის საიუბილეო კრებული, 2022, გვ.291.

წარმომადგენელს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის მიმართულებით.

რაც შეეხება პროკურორის სპეციალიზაციას, კანონმდებელი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრავს შემდეგს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში საპროკურორო ფუნქცია-მოვალეობებს ახორციელებს სპეციალიზებული პროკურორი. აქედან გამომდინარე, კარგი მომზადება არასრულწლოვნის პედაგოგიკასა და ფისოქლოგიაში, ხელს შეუწყობს პროკურორს კანონით დადგენილი წესით დისკრეციული უფლების სწორად და სამართლიანად განსაზღვრისთვის. საქართველოს მთავარი პროკურორის 2014 წლის 30 დეკემბრის N201-მ ბრძანებით, დადგენილია, რომ 2015 წლის პირველი იანვრიდან, მხოლოდ ის სპეციალიზებული პროკურორები ახორციელებენ არასრულწლოვანი ბრალდებულის სისხლის სამართლის საქმეზე უფლებამოსილებას, რომლებმაც გავლილი აქვთ დამატებითი მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ასევე პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში⁴⁵⁵.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე პროკურორები და გამომძიებლები ინტენსიურად გადიან გადამზადების ტრენინგებს. მათ გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები და უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ არასრულწლოვანთა საქმეების განხილვაში. პროკურორებისა და გამომძიებლების კარგი გადამზადება განპირობებულია ასევე სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისა და გამომძიების დროს მოზარდის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინების პრინციპებიდან გამომდინარე.

პროკურორის და გამომძიებლის განგრძობადი ტრენინგები და მათთვის განვითარებადი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის ინტენსიური მიწოდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, გარკვეულწილად კავშირშია მოზარდის მიმართ, სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებასთან.⁴⁵⁶ ამაზე მეტყველებს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების და განრიდების/მედიაციის ყოველწლიურად ზრდის მაჩვენებელი.⁴⁵⁷ უფლებამოსილი პირებისთვის ტრენინგების ჩატარება უნდა იყოს

⁴⁵⁵ იხ. იქვე, გვ.291.

⁴⁵⁶ იხ. შევილაძე, ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, 2019, გვ.194.

⁴⁵⁷ იხ. განრიდების სტატისტიკური მონაცემები, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,

<http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report%202020%206%20months>.

ინტენსიური ხასიათის, ვინაიდან მხოლოდ ერთჯერადმა გადამზადებამ შეუძლებელია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მართლმსაჯულების პროცესის ეფექტიან წარმართვაში.⁴⁵⁸ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ სასურველი იქნებოდა თუ პოლიცია აღმზრდელობითი ხასიათის საუბრებს განახორციელებდა მეორე დონის პრევენციის ფარგლებში, ანუ დანაშაულზე, სავარაუდო სამართლებრივ შედეგზე გაესაუბრებოდა იმ მოზარდებს, რომლებიც მაღალი რისკის ქვეშ დგანან, რომ დანაშაული ჩაიდინონ.⁴⁵⁹

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია არა მხოლოდ იმ პირების გადამზადება, ვისაც უშუალო კავშირი აქვს არასრულწლოვანთან, ეს იქნება პირველი კონტაქტი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების, თუ ადმინისტრაციული საქმის წარმოების ეტაპზე, არამედ ამ ჭრილში ხელმძღვანელი თანამდებობის პირების გადამზადებაც.

4.2.2. განრიდების გადაწყვეტილების მიმღები ორგანო და მისი უფლებამოსილება

არასრულწლოვნობის ასაკის დინამიკიდან გამომდინარე, სამომავლოდ დანაშაულის გარეშე ცხოვრება მეტად რთული დასაჯერებელია, თუმცა აქ უკვე ყურადღება მოზარდის მოტივაციას, სოციალურ გარემოს და ქვეყანაში არსებულ სარეაბილიტაციო პროგრამებს ექცევა.⁴⁶⁰ ამ ჭრილში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში განრიდების გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს უფლებამოსილებას.⁴⁶¹ აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგაც შესაძლებელია, არასრულწლოვნის განრიდების პროგრამაში ჩართვა. ასევე სასამართლოს აქვს უფლებამოსილება არასრულწლოვნის განრიდების პროგრამაში ჩართვის მიზნით, თავისი ინიციატივით ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, მიიღოს გადაწყვეტილება წინასასამართლო ან პირველი ინსტანციის სასამართლოში, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე. რის შედეგადაც, მოსამართლე არასრულწლოვან ბრალდებულთან განრიდების შესთავაზების მიზნით საქმეს დაუბრუნებს პროკურორს,

⁴⁵⁸ იხ. შეყილაძე, ხ., პრობაციის სამსახურის როლი პირობით ვადამდე გათავისუფლებულ განსაკუთრებული კატეგორიის მსჯავრდებულთა მიმართ, კრიმინოლოგიის ჟურნალი, N1, 2016, გვ.170.

⁴⁵⁹ იხ. Meier, B-D.Rössner, D.Schöch, H., Jugendstrafrecht.München, 2013, გვ.150.

⁴⁶⁰ იხ. Diemer, H., Schatz, H.Sonnen, B-R., Jugendgerichtsgesetz Kommentar. München, 2011, გვ.166.

⁴⁶¹ იხ. იქვე, გვ.167.

რომელიც არასრულწლოვნის თანხმობის შემთხვევაში, განრიდების პროგრამაში ჩართვის შესახებ, მიიღებს გადაწყვეტილებას.

შესაბამისად, მოსამართლე, მეორე მხარის პოზიციასაც ისმენს, ამ გადაწყვეტილების მიღებამდე. როგორც ვხედავთ, კანონმდებელმა განრიდების თაობაზე გადაწყვეტილების უფლებამოსილება პროკურატურასთან ერთად სასამართლოსაც მიანიჭა და ამით გააფართოვა გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოთა სამართლებრივი მექანიზმი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, განრიდება, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, გახდა პრიორიტეტული და შესაბამისი კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში, პროკურორს აქვს ვალდებულება, განიხილოს პირველ რიგში, განრიდების შესაძლებლობა და ამის შემდეგ დაიწყოს ფიქრი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ან შეწყვეტაზე.

მ.შალიკაშვილი აღნიშნავს, რომ მოსამართლის ჩართვა განრიდების პროცესში მისასაღმებელია. ვინაიდან, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს კანონმდებელი აძლევს იმის შანსს, რომ სისხლის სამართლის საქმის განრიდებაზე თუ პროკურორმა უარი თქვა, ამის შემდეგ, შესაძლებელია არასრულწლოვნის განრიდების პროგრამაში ჩართვა მოხდეს მოსამართლის მიერ, თუმცა პროკურორის მეშვეობით.⁴⁶² ამასთანავე, აღნიშნულმა გარემოებამ შესაძლებელია განრიდების საქმეების ზრდა გამოიწვიოს, რადგან პროკურორი განრიდების პირობების არსებობის შემთხვევაში, აღარ დაიწყებს ისეთ საქმეზე სისხლისსამართლებრივ დევნას, რომელზეც ეჭვი ექნება, რომ შესაძლებელია მოსამართლის მიერ განრიდების მოთხოვნით უკან დაუბრუნდეს. ხსენებული მოსაზრების გამოხმაურებაა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 07 დეკემბრის განჩინება,⁴⁶³ არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების მიზნით საქმის პროკურატურისთვის დაბრუნების შესახებ. ხსენებულ საქმეში სასამართლო განმარტავს, რომ არასრულწლოვან ბრალდებულს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა ედება ბრალად, რისთვისაც ნასამართლობის არ ქონის და ბრალდებულის ასაკის გამო, სასჯელის სახედ და ზომად განსაზღვრულია, მხოლოდ შინაპატიმრობა 6 თვიდან 1 წლამდე ვადით. სასამართლომ მოცემულ საქმეში, დანაშაულის ხასიათის, ბრალის აღიარების და

⁴⁶² იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება(სახელმძღვანელო), 2016, გვ.95.

⁴⁶³ იხ. განჩინება, თბილისის საქალაქო სასამართლო, <https://tcc.court.ge/ka/Decision/arasulwlovnis-sisxlissamarTlebrivi-pasuxismgeblobisgan-ganridebis-mizniT-saqme-prokurors-daubruna>.

არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მხედველობაში მიღების შედეგად, მიზანშეწონილად მიიჩნია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისთვის აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების განსაზღვა. ი.აქუბარდია იურიდიულ ლიტერატურაში განმარტავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ხაზგასმულია სასამართლოს უფლებამოსილებაზე და არა ვალდებულებაზე, მხარეთა შუამდგომლობის შემთხვევაში დაუბრუნოს საქმე პროკურორს, თუმცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში არ არის აღნიშნული, თუ რა საფუძველით შეიძლება სასამართლომ უარი თქვას საქმის პროკურორისათვის დაბრუნებაზე,⁴⁶⁴ ვეთანხმებით, ამ მოსაზრებას, რომ აღნიშნული, საკანონმდებლო ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.

ბრალდებულის მხარემ ყველა შესაძლო საშუალება უნდა გამოიყენოს იმისთვის, რომ არასრულწლოვნის მიმართ სანამ დაიწყებს განრიდების მექანიზმის განხორციელებას, ჯერ დეტალურად შეისწავლოს და გაანალიზოს ე.წ. წინასაგანრიდებო მოსამზადებელი ეტაპი, რაშიც ასევე იგულისხმება კითხვაზე პასუხი, გარდა სასამართლობის არ ქონისა, ხომ არ მონაწილეობს კონკრეტული არასრულწლოვანი სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეებში და მისი სტატუსიდან გამომდინარე, საქმის ირგვლივ რა მოლოდინები შეიძლება არსებობდეს.⁴⁶⁵

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა განვიხილოთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 04 მაისის გადაწყვეტილება, საიდანაც ირკვევა, რომ 2017 წლის 12 აპრილს, თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში, მარნეულის რაიონული პროკურატურიდან განსახილველად შევიდა სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის 187-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. აღნიშნულ საქმეზე პროკურორმა 2017 წლის 28 თებერვალს გამოიტანა ე.წ.-ს ბრალდების შესახებ დადგენილება. ამავე წლის 01 მარტს ბრალდებულს შეეფარდა გირაო 1000 ლარის ოდენობით. 2017 წლის 13 მარტს ბრალდებულმა ე.წ.-მ მიმართა პროკურორს და ითხოვა განრიდების პროგრამაში ჩართვა. პროკურატურამ 24 მარტს მიიღო გადაწყვეტილება ბრალდებულ ე.წ.-ს მიმართ განრიდების პროგრამაში ჩართვის შესახებ. განრიდების პირობებიდან გამომდინარე, ბრალდებულ ე.წ.-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, უნდა გადაეხადა ათასი ლარი, რომლის ვადად განესაზღვრა 26 მარტი. ამის შემდეგ, ბრალდებულმა 24 მარტს შეასრულა

⁴⁶⁴ იხ. აქუბარდია, ი., განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ, პროფ.გ.ნაჭყებიას საიუბილეო კრებული, 2016, გვ.69.

⁴⁶⁵ იხ. იქვე, გვ.70.

განრიდების პირობა. ხოლო, პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესის არსებობიდან გამომდინარე, 28 მარტს გამოიტანა დადგენილება, რითაც შეწყვიტა განრიდების პროცესი. ამავე საქმეში პროკურორი განმარტავს, რომ ხელმძღვანელობს ბრალდებულის პიროვნებით და აზუსტებს, რომ მის მიერ ჩადენილი განზრახი დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით. შესაბამისად პროკურორომა უარი თქვა განრიდებაზე და საქმე წარმართა სასამართლოში. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ საქმეში დევს იმ გამომძიებლის, რომელიც უშუალოდ მიმდინარე საქმეზე აწარმოებდა გამოძიებას, წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის სხვა საქმის მასალები.⁴⁶⁶

სასამართლომ ნათლად განმარტა, რომ ამკ-ით განსაზღვრული განრიდების შეთავაზება ნიშნავს, იმას პროკურორის უკვე ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება არასრულწლოვნის მიმართ, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების თაობაზე. ასევე მოსამართლე გადაწყვეტილებაში მსჯელობს, რომ სასამართლოსთვის აშკარად გაუგებარია, პროკურორის მიერ არასრულწლოვნისთვის განრიდებაზე უარის თქმის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში კანონმდებელი, ნათლად ადგენს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან განახლების თაობაზე პროკურორის, როგორც განრიდების სუბიექტის უფლებამოსილება, შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განრიდების დადგენილ პირობებს არ შეასრულებს პირი, ანუ, ეს ის შემთხვევაა, თუ გარკვეული მიზეზების გამო არ განხორციელდება განრიდება.⁴⁶⁷

დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეების წარმოების პროგრამის საშუალებით ბრალდების მხარეს აქვს საშუალება, მაქსიმალურად მოკლე დროში დეტალურად გაარკვიოს დაწყებულია, თუ არა იმავე პიროვნების მიმართ სხვა ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება, თუმცა სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეში მოწმის სტატუსის მქონე არასრულწლოვანის მიმართ გარკვეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდგომ, შესაძლებელია გამოიკვეთოს ბრალის სტანდარტი, აქედან გამომდინარე, ბრალდების მხარეს მაქსიმალური წინდახედულობა მართებს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს არასრულწლოვნის მიმართ უკვე შეთავაზებულ განრიდებაზე შემდგომში უარის მაჩვენებელი. საინტერესოა, თუ როგორ გამოიყურება სასამართლოდან

⁴⁶⁶ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმე №1გ/622-17, 2017 წლის 04 მაისის განჩინება.

⁴⁶⁷ იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), 2016, გვ. 173.

არასრულწლოვანთა საქმეების განრიდების მიზნით პროკურორთან დაბრუნების სტატისტიკური მონაცემები, საქართველოს გენერალური პროკურატურის განრიდების და მედიაციის პროგრამის ანალიზზე დაყრდნობით,⁴⁶⁸ 2019 წლის მონაცემებიდან გამომდინარე, განრიდებულ არასრულწლოვანთა 797 საქმიდან, გამოძიებაში განრიდების მიზნით სასამართლომ დააბრუნა მხოლოდ 51 საქმე. 2020 წლის მონაცემებით კი, განრიდებულ არასრულწლოვანთა 298 საქმიდან, განრიდების მიზნით პროკურორს, სასამართლომ დაუბრუნა მხოლოდ 27 საქმე. აღნიშნულიდან მხოლოდ ერთი საქმე დაბრუნდა სასამართლოს ინიციატივით, ხოლო დარჩენილ 26 შემთხვევაში, ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე, დაუბრუნდა პროკურორს. უმრავლეს შემთხვევაში, ადვოკატია, სასამართლოდან საქმის განრიდების მიზნით უკან დაბრუნების ინიციატორი. აღსანიშნავია, რომ მოსამართლე განრიდებაზე საქმის უკან დაბრუნებით, გარკვეულწილად ავალდებულებს პროკურორს, რათა არასრულწლოვანი ჩართოს განრიდების პროგრამაში.

არასრულწლოვნისთვის განრიდებაზე უარის თქმით, შესაძლებელია მისი ცხოვრება სრულიად შეიცვალოს, ვინაიდან მას ერთმევა შანსი, რომ დაუბრუნდეს კანონმორჩილ საქმიანობას, უარი თქვას მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე და ახალი ფურცლიდან დაიწყოს ცხოვრებისეული ნაბიჯების გადადგმა. აქედან გამომდინარე განრიდებაზე, უარის თქმის გასაუბრების ოქმი, მაქსიმალურად დასაბუთებული უნდა იყოს. არასრულწლოვნის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ვალდებულება არ ეკისრება მხოლოდ სასამართლოს, არამედ ვრცელდება მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელ ყველა იმ პირზე, რომლებიც კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთან მიმართებით არსებითი მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებებს ღებულობენ.⁴⁶⁹ თუმცა კანონმდებელი განსხვავებით სხვა სიტუაციებისგან, პროკურორს არ ავალდებულებს ამის თაობაზე და ამკ-ს 39-ე მუხლის მეოთხე ნაწილში განმარტავს, რომ განრიდებაზე არასრულწლოვნისთვის უარის თქმის დროს, დგება შესაბამისი ოქმი, რომელშიც განრიდებაზე უარის თქმის მიზეზი უნდა აღინიშნოს. ამ შემთხვევაში კანონმდებელი პროკურორს აძლევს საშუალებას, რომ

⁴⁶⁸ იხ. განრიდების პროგრამის ანალიზი, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/uploads/429f65a7-ganrideba-2012-weli-converted>.

⁴⁶⁹ იხ. შეილაძე, ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, გვ. 2019, გვ. 196.

განრიდებაზე უარის თქმის გასაუბრების ოქმი დაასაბუთოს, ან მხოლოდ ფაქტების ზედაპირულად დაფიქსირებით შემოიფარგლოს. ვფიქრობთ, რომ ამკ-ის 39-ე მუხლის მეოთხე ნაწილის პირველ წინადადებას უნდა დაემატოს მიზეზის წინ შემდეგი ტერმინი „დასაბუთებული.“ ამ შემთხვევაში პროკურორი, უკვე საკანონმდებლო დონეზე იქნება ვალდებული, რომ განრიდებაზე უარის თქმის მიზეზი, დეტალურად დაასაბუთოს და ყოველგვარი მოსალოდნელი შედეგი, რამაც შესაძლებელია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას საფრთხე შეუქმნას, თავიდან იქნება აცილებული. მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილების მოტივაცია ცხადად ასახავდეს არასრულწლოვანთან დაკავშირებულ ყველა ფაქტობრივ გარემოებას, საუკეთესო ინტერესების შეფასებისას გამოვლენილ რელევანტურ ელემენტებს, მათ შინაარსს და მნიშვნელობას საუკეთესო ინტერესის განსასაზღვრად.⁴⁷⁰ ამასთანავე, ამკ-ს 39-ე მუხლის მე-5 ნაწილში გაწერილია, რომ არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს ან ადვოკატს, უფლება აქვთ, პროკურორის მიერ განრიდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ზემდგომ პროკურორს მიმართონ განრიდების მოთხოვნით. შესაბამისად, განრიდებაზე უარის თქმის პროკურორის გასაუბრების ოქმს, აქვს გასაჩივრების ფუნქცია, რაც ცალკეულ სამართლებრივ სტანდარტს გვთავაზობს.⁴⁷¹ თუ ამ საკითხს არ შევხედავთ ფართო სამართლებრივ ჭრილში, გამოდის, რომ პროკურატურის სისტემის თანამდებობრივი ვერტიკალიდან გამომდინარე, ეს უფლება ფორმალურ ხასიათს ატარებს. ამ შემთხვევაში თუ განრიდებაზე პროკურორის უარის თქმის გასაუბრების ოქმი (დადგენილება) იქნება დეტალურად დასაბუთებული ბუნებრივია, რომ არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს ან ადვოკატს აღარ მოუწევთ ზედმეტი ხარჯის გაღება, დროის რესურსის კარგვა, მხოლოდ ფორმალური ხასიათის გასაჩივრების უფლების განსახორციელებლად.

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში კანონმდებელი ბრალდების მხარეს არ აძლევს იმის უფლებას, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გამოყენებისთვის საქმის უკან დაბრუნების თაობაზე, გაასაჩივროს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. აღნიშნულ კოდექსში ასევე არ მოიძებნება დათქმა იმასთან დაკავშირებით, თუ რა კონკრეტული წინაპირობებით ხელმძღვანელობს ამ დროს მოსამართლე. ვფიქრობთ, ეს საკითხი გარკვეულ ხარვეზს

⁴⁷⁰ იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), 2016, გვ. 173.

⁴⁷¹ იხ. ქუთათელაძე, მ., განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, 2017, გვ.126.

წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში და დეტალურად მას ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის გაანალიზებისას განვიხილავთ.

4.2.3. ყაჩაღობის საქმე⁴⁷²

2021 წლის 07 სექტემბერს კახეთის ერთ-ერთ რაიონში 16 წლის გ.ბ. ხმოვანი (სასიგნალო) იარაღის გამოყენებით თავს დაესხა სუპერმარკეტის მოლარეს და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის მუქარით, გაიტაცა 800 ლარამდე სხვადასხვა პროდუქტი. საქმეზე ჩატარებული მთელი რიგი საგამომიებო და საპროცესო მოქმედებების შედეგად გ.ბ. 07 სექტემბერს საღამოს საათებში შსს. ორგანოების მიერ ბრალდებულის სახით იქნა დაკავებული. გ.ბ-ს წარედგინა ბრალი და მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

აღნიშნულ საქმეზე წინასასამართლო სხდომის ოქმში ვკითხულობთ, რომ მოსამართლემ ღია წინასასამართლო სხდომაზე⁴⁷³ განიხილა სისხლის სამართლის საქმე და იხელმძღვანელა ამკ-ს მე-3 მუხლის მე-7 ნაწილით, მე-8 მუხლით, 27-ე მუხლით, 38-ე და 39-ე მუხლებით და ადგილზე თათბირით გ.ბ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 179-ე მუხლით, განრიდების საკითხის გადაწყვეტის მიზნით დაუბრუნა პროკურორს.

წინასასამართლო სხდომის ოქმიდან ნათლად ჩანს, რომ გ.ბ-ს ბრალი ედებოდა ისეთი მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში, როგრიცაა ყაჩაღობა. იურიდიულ ლიტერატურაში სსკ-ის 179-ე მუხლის დეფინიცია განმარტებულია, როგორც სხვისი ქონების დასაუფლებლად დაზარალებულზე არამართო სიცოცხლის, ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით თავდასხმა, არამედ, ასეთი აშკარა ძალადობის გამოყენების მუქარით.⁴⁷⁴ ყაჩაღობის საზოგადოებრივი საშიშროება მეტად მაღალია.⁴⁷⁵ ფაქტია, რომ ყაჩაღობა, როგორც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება საზოგადოებრივი მართლწესრიგის დარღვევის კუთხით დიდი საფრთხის მატარებელია.

⁴⁷² იხ. შსს. ტერიტორიული ორგანოების 2021 წლის საგამომიებო პრაქტიკიდან.

⁴⁷³ იხ. თელავის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 25 სექტემბრის წინასასამართლო სხდომის ოქმი.

⁴⁷⁴ იხ. სულაქველიძე, დ., არანამდვილი (უვარგისი) იარაღით განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ძალადობის საკითხის გარკვევისათვის სისხლის სამართალში, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, N2, 2016, გვ.16.

⁴⁷⁵ იხ. ლეკვიშვილი, მ., თოდუა, ნ., მამულაშვილი, გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი პირველი) ავტორთა კოლექტივი, 2011, გვ.377.

ამ შემთხვევაში, ხსენებულ საქმეზე, შედეგიდან გამომდინარე, არ შევჩერდებით კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო და საჯარო ინტერესთა დაცვის ბალანსთან დაკავშირებით მსჯელობაზე.⁴⁷⁶

თუმცა ყურადღებას გავამახვილებთ, იმ გარემოებაზე, რომ ბრალდებული გ.ბ. წინასასამართლო სხდომამდე იმყოფებოდა პატიმრობაში, მას, მართალია, ბრალად ედებოდა მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, მარგამ მოსამართლეს ჰქონდა უფლება, რომ პატიმრობაზე უფრო მსუბუქი სხვა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით ბრალდებული პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა არ ნიშნავს იმას, რომ განრიდების გადაწყვეტილების მიმღებმა უფლებამოსილმა პირმა საქმის განხილვისას გვერდი აუაროს ამკ-ს 38-ე მუხლის დათქმას, რომელიც ავალდებულებს ასეთ პირს განრიდების გამოყენებისას გაითვალისწინოს: ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმე და ხასიათი, არასრულწლოვნის ასაკი და ბრალეულობის ხარისხი, მოსალოდნელი სასჯელი და არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანი, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა და დანაშაულის შემდგომი ქცევა, არასრულწლოვნის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაული და ამკ-ის 27-ე მუხლის შესაბამისად მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიში.

კანონმდებელი, ამკ-ს მოთხოვნებიდან გამომდინარე, არასრულწლოვნის განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვის პროცესში, გარკვეულწილად ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს სუბიექტივიზმის ელემენტები. საკითხი ეხება განრიდების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა გარკვეულწილად ერთპიროვნულ გადანაწილებას. რა შემთხვევაშიც არ არის გამორიცხული, რომ სუბიექტივიზმის ნიშნებმა გარკვეული ზეგავლენა იქონიოს უფლებამოსილი პირის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მართალია მოსამართლე, ამ კონკრეტულ საქმეზე, ხელმძღვანელობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ზოგადი მუხლებით და გადაწყვეტილებას იღებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების ზოგად ფარგლებში. თუმცა განრიდების პროგრამაში ჩართვის პროცესში, მაშინ როცა, უფლებამოსილი პირი დაკავებიდან/პატიმრობიდან გაათავისუფლებს ბრალდებულს და სრულად განარიდებს მართლმსაჯულების პროცესს, ხსენებული ელემენტების არსებობა, არ არის გამორიცხული

⁴⁷⁶ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო და საჯარო ინტერესთა ბალანსზე მსჯელობა მოცეულია ნაშრომის მე-3 თავში.

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის ფართო დიაპაზონის ქრილში აიხსნას. აღსანიშნავია, რომ საუკეთესო ინტერესების დაცვის ზოგადი ბუნებიდან გამომდინარე,⁴⁷⁷ გადაწყვეტილების მიმღებ პირს შეუძლია ამტკიცოს, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად იმოქმედა, თუმცა, რეალურად მხოლოდ საკუთარ ღირებულებებს დაეყრდნოს.⁴⁷⁸ იურიდიულ ლიტერატურაში მოცემულია, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სუბიექტივიზმი შეიძლება იყოს, როგორც კოლექტიური, ისე პერსონალური.⁴⁷⁹ კოლექტიური სუბიექტივიზმი უკავშირდება დროის კონკრეტულ პერიოდში, კონკრეტული საზოგადოების მიერ საუკეთესო ინტერესების აღქმას, ხოლო პერსონალური, ანუ ინდივიდუალური სუბიექტივიზმი, თავის მხრივ, მოიცავს სამ განზომილებას: არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელთა სუბიექტურობა, თავად არასრულწლოვნის სუბიექტურობა და, ბოლოს, გადაწყვეტილების მიმღები პირის, მოსამართლის სუბიექტურობა.⁴⁸⁰

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებდეს განრიდების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოთა გარკვეული უფლებამოსილების გადანაწილების ბალანსს. შესაბამისად, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა სასამართლომ და პროკურატურამ მინიჭებულ უფლებამოსილებათა მკაცრად განსაზღვრული ბალანსის დაცვის შედეგად უნდა განახორციელოს.

ვფიქრობთ, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში კანონმდებელი უნდა აკონკრეტებდეს გარკვეულ დათქმებს, რაზე დაყრდობითაც მოსამართლე მიიღებდა გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლის საქმის პროკურორისთვის განრიდების მიზნით უკან დაბრუნების თაობაზე. სასამართლო და პროკურატურის ორგანოების პრაქტიკაში ამ საკითხის წამოჭრით არ ვფიქრობთ, იმას რომ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის ფარგლებში მოსამართლის როლი ან პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება გარკვეულწილად შეიზღუდება. პირიქით, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, იმ შემთხვევაში უფრო კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, როცა მოსამართლის მიერ განრიდების მიზნით საქმის

⁴⁷⁷ ob. Eekelaar, J., Beyond the Welfare Principle, Child and Family Law Quarterly, 2002 გვ.237.

⁴⁷⁸ ob. Howe, R.B., Covell, K., Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap, 2013, გვ.29.

⁴⁷⁹ ob. იქვე, გვ.29.

⁴⁸⁰ ob. Zermatten, J., The Best Interests of the Child Principle: Literal Analysis and Function, International Journal of Children's Rights, 2010, გვ. 494.

დაბრუნების შემდეგ, მას არასრულწლოვნის განრიდების პროგრამაში ჩართვის გარდა, სხვა არჩევანის საშუალება არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, ბრალდების მხარისთვის მოსამართლის მიერ განრიდების მიზნით საქმის უკან დაბრუნების გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მინიჭებით, ჩაერთვება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კონტროლი, რაც უფრო გამჭვირვალეს და ობიექტურს გახდის ხსენებულ პროცესს. ვფიქრობთ, რომ გასაჩივრების მექანიზმი უნდა განხორციელდეს მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში, რათა ეს პროცესი არ გასცდეს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესის დაცვის ფარგლებს.

4.3. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის არსი და მისი მნიშვნელობა განრიდების ღონისძიების ფარგლებში

ინდივიდუალური შეფასების ანგარიში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში. ამ ინსტიტუტის განვითარება და პრაქტიკაში გამოყენება კი, სახელმწიფო ყველა შესაბამისი უწყების ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა. იურიდიულ ლიტერატურაში ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის აზრი და იდეა შემდეგნაირად არის მოცემული, ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, მისი ფარგლებიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებების, სოციალური გარემოს და სხვა ისეთი გარემოებების შესწავლა-გაანალიზებას, რომლებიც გარკვეულწილად ხელს შეუწყობს უფლებამოსილ პირს, მოზარდის საუკეთესო ინტერესების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღებისას.⁴⁸¹ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში უნდა აისახოს მოზარდის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაულებრივი ქმედების ან სამართალდარღვევის ჩადენის რისკი.⁴⁸²

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშები აღწერს, რა კანონთან კონფლიქტში მყოფი პირისათვის დამახასიათებელ ყველა გარემოებას, ამავდროულად, უზრუნველყოფს არასრულწლოვნის საჭიროებების, რისკფაქტორებისა და პოზიტიური ფაქტორების გამოკვეთას, რაც დასკვნის სახით, აღინიშნება ანგარიშში და რომლის გაანალიზების საფუძველზე გადაწყვეტილების მიმღები პირი განსაზღვრავს საუკეთესო ინტერესების

⁴⁸¹ იხ. მახარობლიძე, თ., ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, 2017, გვ. 86.

⁴⁸² იხ. იქვე, გვ. 87.

შეფასებისა და განსაზღვრისას მხედველობაში მისაღებ ელემენტებს და ღებულობს შესაბამის გადაწყვეტილებას.⁴⁸³

ამკ-ის 27-ე მუხლი ითვალისწინებს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის⁴⁸⁴ ფაქტობრივ გარემოებებს და ფარგლებს, რომლის თანახმადაც ინდივიდუალური შეფასების პროცესში, უფლებამოსილი ორგანო, შეისწავლის არასრულწლოვნის განვითარების დონეს, ერთის მხრივ ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობებს და მეორეს მხრივ, განათლებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ოჯახურ ვითარებას და სხვა გარემოებებს.

მიუხედავად კოდექსში არსებული განმარტებისა, რომელიც მხოლოდ საჭიროებებზე და რისკებზე აკეთებს ძირითად აქცენტს, მნიშვნელოვანია, ინდივიდუალური მახასიათებლების შეფასება იმგვარად იყოს დაბალანსებული, რომ მოახდინოს, როგორც პრობლემატური ქცევისა და რისკების, ისე პოზიტიური ფაქტორებისა და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება.⁴⁸⁵ გამომდინარე აქედან, ინდივიდუალური შეფასების ანგარიში შესაძლებელია პოზიტიურად გაცდეს კანონის ჩარჩოებს და მის ფარგლებში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების ყველა ცალკეული ელემენტი, რაც უშუალოდ კანონში არ არის ასახული.⁴⁸⁶

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონკრეტული არასრულწლოვნისათვის რისკ ფაქტორების ინდივიდუალიზებული შეფასება. მაგ:ორ არასრულწლოვანს შეიძლება ახასიათებდეს კრიმინოგენული საჭიროება (დინამიკური რისკფაქტორი), რაც გამოიხატება

⁴⁸³ იხ. შეყილაძე, ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, 2019, გვ.147.

⁴⁸⁴ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობასთან და ფორმის შინაარსთან დაკავშირებით საინტერესოა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 აგვისტოს განაჩენი. სადაც განმარტებულია შემდეგი: სასამართლო განაჩენის დადგენისას და სასჯელის დანიშვნისას ითვალისწინებს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ს.მ. მიმართ და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე: ბრალდებულის განმარტებით, იმისთვის რომ სამომავლოდ მსგავსი ქმედება არ განახორციელოს მნიშვნელოვანია წინასწარ გააცნობიეროს თავისი ქმედების სავარაუდო შედეგები, ასევე დაკავდეს სასარგებლო აქტივობებით, გააგრძელოს სწავლა პროფესიულ კოლეჯში, კულინარიის ფაკულტეტზე და ჩამოშორდეს ანტისოციალური ქცევის მქონე სამეგობრო წრეს, რომლებთანაც ბოლო პერიოდის განმავლობაში დიდ დროს ატარებდა. არ არის აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული. არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაული ძალადობრივია, თუმცა, არასრულწლოვნის დედა ვერ იხსენებს სხვა შემთხვევას, სადაც მოზარდმა აგრესია გამოხატა სხვათა მიმართ. ბრალდებულს სასწავლო პერიოდში არ ჰქონდა ურთიერთობასთან დაკავშირებული სირთულეები სკოლის მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. პედაგოგის განმარტებით, მოზარდს აქვს არაჩვეულებრივი მახსოვრობის უნარი, კარგი წერითი უნარები. ბრალდებულს არ აღენიშნება ფიზიკურ განვითარებასთან და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეები, არ საჭიროებს მედიკამენტოზურ ჩარევას. არასრულწლოვანი არ მოიხმარს მავნე ნივთიერებებს, ახლო წარსულში არ მიუღია ძლიერი სტრესი. მოზარდს არასდროს მიუღია თვითდაზიანება. ბრალდებული არ ერთვება სახიფათო, არალეგიტიმურ აქტივობებში, ოგი თანატოლების მხრიდან არ გამხდარა ჩაგვრის ობიექტი.

⁴⁸⁵ იხ. Dugmore, P., Assessing Young People, in: Youth Justice and Social Work, Dugmore P., Pickford J., Jonathan Parker, Greta Bradley (Eds.), Learning Matters Ltd, Glasgow, 2006, გვ.107.

⁴⁸⁶ იხ. იქვე, გვ. 107.

მავნე ნივთიერებების მოხმარებაში, მაგრამ აღნიშნული გარემოება ერთი მათგანის შემთხვევაში შეიძლება დაკავშირებული იყოს მის მიერ დანაშაულის ჩადენასთან, ხოლო მეორეს შემთხვევაში, საერთოდ არ იწვევდეს დანაშაულებრივ ქცევას.⁴⁸⁷ შესაბამისად, მხოლოდ საჭიროებების გამოკვეთა ვერ მოგვცემს სრულ სურათს რისკფაქტორების იდენტიფიცირების გარეშე, მით უფრო, იმ პირობებში, რომ ზოგიერთი საჭიროება შეიძლება არა კრიმინოგენული იყოს, რაც გავლენას არ ახდენს მართლსაწინააღმდეგო ქცევაზე.⁴⁸⁸

რაც შეეხება ამკ-ის მე-14 მუხლის შინაარსს, მისი პირველი ნაწილი შემდეგნაირად გამოიყურება, არასრულწლოვნის მიმართ ნესბიმიერი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მისი ინდივიდუალური მახასიათებლები, რომლებიც არასრულწლოვნის, როგორც ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების, ისე მისი საჭიროებების ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედეგის მიზანია არასრულწლოვანის სოციალური გარემო-პირობების, უნარების, საჭიროებებისა და სხვა გარემოებების შესწავლა.⁴⁸⁹ ამ შემთხვევაში, რომ არ გავცდეთ საკვლევი თემის ფარგლებს, განვიხილავთ მხოლოდ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიას და წესს, განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას.

4.3.1. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების სტანდარტი განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების წესი, მეთოდოლოგია და სტანდარტი განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის N132/N95/N23

⁴⁸⁷ იხ. Vincent, G. M., Guy, L. S., Grisso, Th., Risk Assessment in Juvenile Justice: A Guidebook for Implementation, MacArthur Foundation, 2012, გვ.33.

⁴⁸⁸ იხ. Cervera, V. G., Loria, C. G., Hernández, C. A. M., Solís, L. M. C., Treatment of Adolescents in Conflict with the Law: Towards the Reduction of Recidivism, 2017, გვ. 681.

⁴⁸⁹ იხ. შევილაძე, ბ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, 2019, გვ. 144.

ერთობლივი ბრძანებით. ამავე ბრძანების N1 დანართი,⁴⁹⁰ ეხება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიას, წესსა და სტანდარტს, განრიდების ღონისძიების განსაზღვრის შემთხვევაში. აღნიშნული დანართის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ანგარიშს ამზადებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სსიპ. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს სოციალური მუშაკი, ხოლო, იმ სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც არ ხორციელდება სოციალური მუშაკის მომსახურება, პროკურორის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს სპეციალიზებული ოფიცერი.

აღნიშნული დანართის მე-2 მუხლში გაიწერა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისას სახელმძღვანელო პრინციპები: ობიექტურობა, კონფიდენციალურობა, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინება.

სავალდებულოა, რომ ინდივიდუალური შეფასების ნებისმიერი ანგარიშში ეყრდნობოდეს აღნიშნულ პრინციპებს, რათა ანგარიშის არსი და მიზანი წინააღმდეგობაში არ მოვიდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან. აღსანიშნავია, რომ ანგარიშის მომზადების შემთხვევაში აუცილებელია დაცული იყოს როგორც პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, ისე კანონის წინაშე თანასწორობის, ობიექტურობისა და სოციალური მუშაკის დამოუკიდებლობის მთელი რიგი პრინციპები.⁴⁹¹

ხსენებული დანართი არეგულირებს ასევე პროკურორის და სოციალური მუშაკის ურთიერთობას, რაშიც პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი ძირითად როლს თამაშობს.⁴⁹² საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ, სოციალური მუშაკი ხვდება შესაბამის პროკურორს, ხოლო ამის შემდეგ, არასრულწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრას აორგანიზებს სამი სამუშაო დღის ვადაში. საქმის წარმოებაში მიღებიდან, ათი სამუშაო დღის ვადაში, სოციალური მუშაკი აწვდის პროკურორს არასრულწლოვნის ინდივიდუალურ შეფასებას, ასევე მის საფუძველზე ჩამოყალიბებულ შესაბამის დასკვნასა და ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობებს. ამ

⁴⁹⁰ იხ. საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის N132/N95/N23 ერთობლივი ბრძანების განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი.

⁴⁹¹ იხ. განჩინება, თბილისის საქალაქო სასამართლო, <https://tcc.court.ge/ka/Decision/arasrulwlovnis-sisxlissamarTlebrivi-pasuxismgeblobisgan-ganridebis-mizniT-saqme-prokurors>.

⁴⁹² იხ. არსოშვილი, გ., მიქანაძე, გ., შალიკაშვილი, მ., პრობაციის სამართალი, 2015, გვ. 173.

ვადასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავებული აზრია გამოთქმული, ასეთი მცირე ხნის განმავლობაში, პრაქტიკაში რთულია, სოციალურმა მუშაკმა ჯეროვნად მოიძიოს, გააანალიზოს და დაამუშაოს ყველა ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც აუცილებელია ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის სრულყოფილად ჩამოყალიბებისთვის.⁴⁹³

გასათვალისწინებელია, რომ დროის სიმცირის გამო, შესაძლებელია, ვერ მოხერხდეს ინდივიდუალური შეფასების დოკუმენტების სრულად მომზადება.⁴⁹⁴ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება სოციალურ მუშაკთა დიდი რესურსის ხარჯვას მოითხოვს. მაგრამ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურებით, საფრთხე არ უნდა შეექმნას.

აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შექმნის პრაქტიკიდან გამომდინარე, ხშირია შემთხვევები, როცა სოციალური მუშაკი სხვადასხვა კომუნიკაციის საშუალებებს იყენებს,⁴⁹⁵ რაც ერთგვარად პირდაპირ მიმართებაშია დროის და ადამიანური რესურსის ხარჯვასთან.

სოციალური მუშაკისთვის გათვალისწინებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების ვადა ვფიქრობთ, რომ დაზუსტებას საჭიროებს. ვინაიდან სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში,⁴⁹⁶ ხშირია შემთხვევა, როცა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის მიმართ მისი განვლილი ცხოვრებიდან გამომდინარე, ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, დასკვნის მომზადება დიდ ძალისხმევას საჭიროებს. მაგ: მოზარდი დღე-ღამის უმრავლეს დროს ქუჩაში ატარებს და მიმართულია სხვადასხვა ადმინისტრაციული დარღვევების ჩადენისკენ, ასევე არც თუ ისე

⁴⁹³ იხ. მახარობლიძე, თ., ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, სისხლისსამართლის აქტუალური საკითხები, N1, 2017, გვ. 79.

⁴⁹⁴ იხ. შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, გერმანულ ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, N2, 2016, გვ. 27.

⁴⁹⁵ უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 03 დეკემბრის განაჩენი №638აპ-20, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისას სატელეფონო ინტერვიუ შედგა საჯარო სკოლის დირექტორთან. სკოლის დირექტორის გადმოცემით, არასრულწლოვანს ჰქონდა ხშირი გაცდენები, დაბალი აკადემიური მოსწრება. მე-8 კლასში დასჭირდა გამოცდების ექსტრენად ჩაბარება, თუმცა მიიღო მინიმალური ქულა ყველა საგანში, რის გამოც ვერ გადავიდა მე-9 კლასში. დირექტორის გადმოცემით, არასრულწლოვანს ჰქონდა სირთულეები, როგორც თანატოლებთან, ასევე უფროსებთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

⁴⁹⁶ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 დეკემბრის განაჩენი; სასამართლო აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის თანახმად, მ.ი.-მ შეცვალა მისი ცხოვრების სტილი, არის დასაქმებული, აღარ მოიხმარს ფსიქოტროპულ ნივთიერებებს, დაინტერესებულია ხელოვნებით, კერძოდ მუსიკით, საკუთარი შემოსავლით შეიძინა საკრავები, აქვს უმაღლესი განათლების მიღების სურვილი, ოჯახთან აქვს სტაბილური ურთიერთობა.

იმვითაა შემთხვევები,⁴⁹⁷როცა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი არის კანონმორჩილი მოქალაქე, ჩართულია სხვადასხვა საზოგადოებრივ აქტივობებში და მისი ცხოვრება მიმართულია სწავლა-განათლების და საზოგადოებაში არსებული, როგორც მორალური ისე სამართლებრივი წესების დაცვისკენ. ბუნებრივია, რომ ორივე მოცემულ შემთხვევაში სოციალურ მუშაკს თანაბარი ძალისხმევა და დრო არ დასჭირდება ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე დასკვნის დასადებად. აქედან გამომდინარე, ორივე მსგავს სიტუაციაში სოციალური მუშაკისთვის განსაზღვრულია ათდღიანი ვადა, რაც ვფიქრობთ, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე უნდა დაზუსტდეს. ვინაიდან ანგარიშის პროკურორისთვის გადაცემის ათდღიან ვადას, თუ შევხედავთ დღეთა დაჯამების კუთხით, დანართის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ემატება კიდევ ორი დღე, პროკურორის წერილობით მიმართვას იღებს შესაბამისი პრობაციის ბიუროს უფროსი, რომელიც მიმართვის მიღებიდან, ორი სამუშაო დღის ვადაში, საქმეს წარმოებაში მისაღებად გადასცემს სოციალურ მუშაკს. ამავე დანართში კანონმდებელი გვთავაზობს ნორმას, რომლის მიხედვითაც, ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ათდღიანი ვადა, პროკურორის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გაგრძელდეს, ხელის შემშლელი ფაქტორების აღმოფხვრამდე. თუმცა, მიზანშეწონილი იქნებოდა, თავიდანვე ამ ნორმაში განისაზღვროს ანგარიშის მომზადების მხოლოდ მინიმუმი დრო. აქედან გამომდინარე მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არასრულწლოვანი ელოდება სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელ გადაწყვეტილებას, რაც ვფიქრობთ, რომ ნაწილობრივ წინააღმდეგობაში მოდის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვასთან. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენას, მის ფარგლებს და სტადიებს, უფლებამოსილი პირი იმდენად დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს, რომ საფრთხის ქვეშ არ დადგეს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის პროცესის

⁴⁹⁷ იხ. უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 09 ივლისის №127აპ-21 განაჩენი, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში ასახულ დადებით და უარყოფით ფაქტორებს, კერძოდ: არასრულწლოვანი ნაწილს ჩადენილ ქმედებას და წუხს მომხდარზე, უხარია, რომ მის დაუფიქრებელ ქმედებას არ მოჰყვა მსხვერპლი და ამჟამად ორივე დაზარალებული თავს ჯანმრთელად გრძნობს. ამასთან, მიიჩნევს, რომ სამომავლოდ გამოიჩენს წინდახედულობას და იფიქრებს მოსალოდნელ შედეგებზე; შეფასებისას გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, არასრულწლოვნის ოჯახურ მდგომარეობასა და საცხოვრებელ პირობებს შეუძლია, უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე, კერძოდ, არასტაბილური ურთიერთობების, მალაღობრივი ქცევის გამოცდილების, მუდმივი სტრესული ფონისა და კონფლიქტური სიტუაციების გამო მოზარდისთვის საცხოვრებელი არ ქმნიდა მშვიდ გარემოს.

სათანადოდ წარმართვისა და საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების საკითხი.

4.4. არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის განხორციელება პანდემიის პირობებში

2020 წელს მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიის გამოცხადებამ, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ეროვნული სისტემები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა.⁴⁹⁸ განუზომელია, აღნიშნული პანდემიით გამოწვეული, ერთის მხრივ ადამიანთა მსხვერპლის და მეორეს ხმრივ, სახელმწიფოთა მატერიალური ზარალი.⁴⁹⁹ პანდემიამ, ისევე როგორც, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებაზე, დიდი ზეგავლენა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებითაც მოახდინა. აღსანიშნავია, რომ პანდემიის შედეგად დამდგარმა ახალმა გამოწვევებმა, საქართველოში გარკვეულწილად შეცვალა მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლები და პროცესი.⁵⁰⁰ პანდემიასთან დაკავშირებული საფრთხიდან გამომდინარე, ჩვენმა ქვეყანამ, სხვა მრავალი სახელმწიფოს მსგავსად, დააწესა ადამიანის უფლებათა მთელი რიგი შეზღუდვები, რაც COVID-19 პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საჭიროებებით იყო გამოწვეული.⁵⁰¹ კოვიდ-19-ის შედეგად წარმოშობილი ერთგვარი კრიზისები მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე აყენებს საერთაშორისო ხელშეკრულებებში და სხვადასხვა აქტებში გათვალისწინებულ ადამიანის უფლებების მთელ სპექტრს.⁵⁰²

პანდემიამ წარმოშვა საგანგებო დროს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული გარკვეული შეზღუდვების არსებითად მავნე ზემოქმედება.⁵⁰³ COVID 19-თან დაკავშირებული მსოფლიოში შექმნილი რთული სიტუაციიდან გამომდინარე, 2020 წლის 10 ივნისს, ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულმა

⁴⁹⁸ იხ. ქვრივიშვილი, თ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, 2022, გვ.147.

⁴⁹⁹ იხ. შენგელია, მ., კოვიდ-19 პანდემიის გამოწვევები და საერთაშორისო სამართალი, მართლმსაჯულება და კანონი, N1, 2022, გვ.31.

⁵⁰⁰ იხ. სვიანაძე, გ., COVID 19-ის გავრცელების პრევენციის პრობლემები საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში მართლმსაჯულება და კანონი, N1, 2021, გვ. 124.

⁵⁰¹ იხ. კორკელია, ვ. ადამიანის უფლებათა შეზღუდვები საქართველოში COVID 19-ის პანდემიის დროს, მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები, 2021, გვ.8.

⁵⁰² იხ. Gaughey, F., Kenny, M., A., Maguire, A., Harris-Rimmer, S., International human rights law lessons in the era of COVID-19, <https://researchrepository.uwa.edu.au/en/publications/international-human-rights-law-lessons-in-the-era-of-covid-19>.

⁵⁰³ იხ. COVID-19 and Human Rights Treaty Bodies, <https://www.ohchr.org/EN/HRBodies/Pages/COVID-19-and-TreatyBodies.aspx>.

კომისიამ შეიმუშავა დეკლარაცია. სადაც განმარტებულია, რომ პანდემიამ წევრ ქვეყნები მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა მართლმსაჯულების განხორციელებას. აქედან გამომდინარე, კომისია აქტიურად მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, რათა ახალ რეალობაში მართლმსაჯულების სისტემების საქმიანობის ადაპტირების მიზნით მიიღონ ყველა საჭირო ზომა.⁵⁰⁴ ამ კუთხით, კომისია ასევე მიუთითებს წევრ სახელმწიფოებს, რომ დაიცვან საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის მართლმსაჯულების სერვისები ალტერნატიული საშუალებებით, მაგ: ინტერნეტ წვდომით, ტელეფონით, და სხვა ტექნიკური საშუალებებით გახადონ ხელმისაწვდომი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის სამართალდამცავი სისტემა და მართლმსაჯულება დიდი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. 2020 წლის 19 მარტს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მიიღო ბრძანება N507,⁵⁰⁵ არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. სადაც გაიწერა, რომ ახალი ვირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვანია, არასრულწლოვანთა განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებულ ღონისძიებათა გამოყენება. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებულ ღონისძიებათა გამოყენების მიზანია, კანონთან კონფლიქტში მყოფი იმ არასრულწლოვნების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა რომელთა მიმართ განრიდების გამოყენების შესაძლებლობა განიხილება.⁵⁰⁶ არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120 ბრძანებას, დაემატა შემდეგი შინაარსის მუხლი დასახელებით: ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, არასრულწლოვანთა განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამებში, განსაკუთრებულ ღონისძიებათა გამოყენება. ქვეყანაში განვითარებული პანდემიის მდგომარეობიდან გამომდინარე, ხსენებული მუხლის მოქმედების პერიოდში შეჩერდა აღნიშნული ბრძანებით

⁵⁰⁴ იხ. The European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), Declaration of Lessons Learned and Challenges Faced by the Judiciary During and After Covid Pandemic <https://rm.coe.int/declaration-en/16809ea1e>.

⁵⁰⁵ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4845480?publication>

⁵⁰⁶ იხ. ახალი კორონა ვირუსის გავრცელების პრევენცია, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/uploads/cc0023c6-2021-wlis-angarishi-arasrulwlovanTa-marTlmsajuleba>.

დამტკიცებული „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესი და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობები,“ შესაბამისად, შეჩერდა განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ყველა ხელშეკრულების მოქმედება.

აღსანიშნავია, რომ ბრძანების მე-3 მუხლი პროკურორს მიიღოს აძლევს უფლებას მიიღოს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება, თუ აღნიშნული მუხლის ამოქმედების დღისთვის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია ოცდაათ დღე ან მასზე ნაკლები. ბრძანების მე-7 მუხლში, იმპერატიულად არის განსაზღვრული არასრულწლოვნის მიმართ ხელშეკრულების გაფორმების დროს, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარკვეული პირობების დისტანციურად შესრულება. ამასთანავე, აკრძალულია, არასრულწლოვანს დაევალოს ისეთი ვალდებულებების შესრულება ან სპეციალურ სერვისებში ჩართვა, რა დროსაც მოუწევს მას, ხალხმრავალ ადგილებში მოხვედრა ან საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ COVID 19-ით გამოწვეულმა კრიზისმა მედიაციის⁵⁰⁷ პროცესზეც იმოქმედა. გარდამავალ პერიოდში, როცა განრიდების პროგრამა დროებით შეჩერდა, შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა დაიწყეს აქტიური მუშაობა დისტანციური მედიაციის დანერგვის მიზნით.

როგორც აღვნიშნეთ, პანდემიის პირობებში, მართლმსაჯულების მიმართულებით ყველა სახელმწიფო უწყება, მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე იყო გადასული. აღსანიშნავია, რომ ამ დროს, სასამართლო სხდომების მნიშვნელოვანი ნაწილის გადადება ხდებოდა, ხოლო ნაწილი გრძელდებოდა პროცესის მონაწილეთა დისტანციური ჩართვის რეჟიმში. ადამიანების გადაადგილება მაქსიმალურად შეიზღუდა სასამართლოს შენობებში. შესაბამისად სასამართლო სხდომების საჯაროობაც გარკვეულწილად შეიზღუდა. დისტანციური სხდომების პირობებში, მართლმსაჯულება განხორციელდა გადაუდებელ საქმეებზე, თუმცა, გამოვლინდა მართლმსაჯულების ხარისხის გაუარესების

⁵⁰⁷ მედიაციის კონფერენცია გულისხმობს რა რამდენიმე ადამიანის შეხვედრას, აუცილებელი გახდა COVID 19 -ის გავრცელების შეჩერების მიზნით აღარ ჩატარებულიყო მედიაციის კონფერენციები. პარალელურად დაიწყო მუშაობა აღნიშნული გამოწვევის დასაძლევად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ მიერ შემუშავდა დისტანციური მედიაციის მექანიზმი შეიქმნა შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციები საქართველოს პროკურატურასთან აქტიური კომუნიკაციით და დღეს უკვე არსებობს შესაძლებლობა, დაუბრკოლებლად მოხდეს მედიაციის პროცესების დისტანციურ რეჟიმში წარმართვა. იხ. მედიაცია, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <http://prevention.gov.ge/news/8985/geo>.

მნიშვნელოვანი საფრთხე.⁵⁰⁸ ამ სიტუაციაში, როცა სასამართლოებში საქმისწარმოების გაჭიანურება არსებით პრობლემას წარმოადგენს, პანდემიის პირობებში სხდომების გარკვეული ვადით გადადება, აღნიშნულ პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს. მოწმეთა დაკითხვის დროს თავი იჩინა სხვადასხვა პრობლემებმა, კერძოდ გამოვლინდა ხშირი შემთხვევები, როდესაც მოწმე დაკითხვის პროცესში არ ჩანდა, ან ბრალდებულს საერთოდ არ ესმოდა მისი ხმა. ასევე პრობლემას წარმოადგენდა, იმის გარკვევა, რომ დაკითხვის პროცესში, იმყოფებოდნენ თუ არა მოწმეები მარტო და სხვისი გავლენისაგან თავისუფლად, იძლეოდნენ თუ არა ჩვენებებს. აღსანიშნავია, რომ იყო შემთხვევები, როცა მოსამართლეს სურდა სპეციალური ვიდეო თვალთ დაეთვალიერებინა ის კონკრეტული სივრცე, საიდანაც მოწმე იყო ჩართული, თუმცა, კამერების ტექნიკური ხარვეზების გამო, ეს ვერ ხერხდებოდა.⁵⁰⁹ განსაკუთრებით რთული და შეფერხებული იყო ეს პროცესი, მაშინ, როცა განიხილებოდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე.

საინტერესოა, დისტანციურ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. საქმეში მარჩელო ვიოლა იტალიის წინააღმდეგ, სასამართლომ განმარტა, რომ ვიდეო კონფერენციის გზით, ბრალდებულის მონაწილეობა საქმის განხილვაში, არ არღვევს კონვენციას, მაგრამ კონკრეტული ღონისძიების გამოყენება ლეგიტიმურ მიზან ისე უნდა ემსახურებოდეს, რომ არ გაცდეს კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებს.⁵¹⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იევდოკიმოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ, ბრალდებულის საპატიმრო დაწესებულებიდან ჩართვის შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ იგი არ აღმოჩნდეს არათანაბარ პირობებში მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებით.⁵¹¹

მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ არა მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და სამართალდამცავი ინსტიტუტები, არამედ, არც მთლიანი სახელმწიფო მექანიზმი და სამოქალაქო სექტორი არ იყო მზად, ქვეყანაში განვითარებული მძიმე პანდემიის პირობებში შეუფერხებლად მუშაობისთვის. ვინაიდან, დღის წესრიგში დადგა პანდემიასთან ბრძოლის ახალი გამოწვევები, შექმნილი

⁵⁰⁸ იხ. სვიანაძე, გ., COVID 19-ის გავრცელების პრევენციის პრობლემები საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში მართლმსაჯულება და კანონი N1, 2021, გვ. 124.

⁵⁰⁹ იხ. იქვე, გვ.124.

⁵¹⁰ იხ. კვაჭაძე, მ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2018-2020 წლებში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და განჩინებების კრებული, 2020, გვ. 27.

⁵¹¹ იხ. სასამართლოს გადაწყვეტილება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, <https://catalog.supremecourt.ge/blog/index.php/201>.

მდგომარეობიდან გამომდინარე, ფორს მაჟორულ სიტუაციაში ხდებოდა სამართლებრივი მექანიზმების შექმნა, რათა ხელი არ შეშლოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მოცემული მდგომარეობიდან გამომდინარე, საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკაში გამოიკვეთა მთელი რიგი ხარვეზები, როგორც ტექნიკური, ისე პროცესუალური ხასიათის, რაც დაკავშირებული იყო არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის მუდმივი პროცესის გარკვეულწილად შეფერხებასთან. ამდენად, პრაქტიკამ აჩვენა, რომ COVID-19 პანდემიის პირობებში, კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, არსებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა საჭიროებს დამატებით გარკვეული ღონისძიების გატარებას. სამომავლოდ, რისკების მინიმუმამდე შემცირების კუთხით, მნიშვნელოვანია განისაზღვროს პანდემიის მსგავს, კრიზისულ სიტუაციებში, ელექტრონულ მართლმსაჯულებაზე გადასვლის ერთგვარი ქმედითი სტრატეგია, რათა სახელმწიფომ შეძლებისდაგვარად მოკლე დროში, უზრუნველყოს ფორს მაჟორულ ვითარებაში, სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტიანი დაცვა.

4.5. შეჯამება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, მართალია გაწერილია განრიდების გამოყენების წინაპირობები, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამკ-ს 40-ე მუხლის მოთხოვნები გარკვეულწილად ვერ პასუხობს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის მაღალ სტანდარტს და ნაწილობრივ დაზუსტებას საჭიროებს. ნაშრომში გავანალიზეთ ამკ-ის 40-ე მუხლის „ბ“ (არასრულწლოვანი არ არის ნასამართლევი) და „გ“ (განრიდება-მედიაციის პროგრამაში არასრულწლოვანი ჩართული არ ყოფილა) ქვეპუნქტები თანაფარდობაში, რის შედეგადაც დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელი არ კრძალავს წარსულში ნასამართლევი (გაქარწყლებული ნასამართლობა) არასრულწლოვანის განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვას. ვინაიდან ამკ-ის მე-12 მუხლის შესაბამისად, არასრულწლოვანს ნასამართლობა სასჯელის მოხდისთანავე გაქარწყლებულად ეთვლება, ხოლო პირობით მსჯავრის შემთხვევაში, გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე. ამავე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული შეღავათი არ იმოქმედებს, თუ არასრულწლოვანი განმეორებით ჩაიდენს დანაშაულებრივ ქმედებას. აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს კანონმდებლის ნება, რომ შესაძლებელია განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩაერთოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი,

რომელმაც პირველად ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რაზეც ნასამართლობა ამკ-ის მოთხოვნებიდან გამომდინარე, არ ექნება და მანვე კიდევ რამდენჯერმე განახორციელა დანაშაულებრივი ქმედება, რაზეც მის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგრამ ნასამართლობის ვადა გასული აქვს. მართალია ამ გარემოებათა ერთობლიობა პროკურორს არ ავალდებულებს არასრულწლოვნის განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვას და გადაწყვეტილება მან უნდა მიიღოს ამკ-ს 40-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად შინაგანი რწმენის და სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესის არ არსებობით. მაგრამ მიუხედავად რამდენიმე დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისა, რაზეც არასრულწლოვანი უკვე გასამართლდა, კანონმდებელი პროკურორს აძლევს უფლებამოსილებას, რომ იგი ჩართოს განრიდება-მედიაციის პროგრამაში. ბუნებრივია ამ კუთხით იარსებებს პროკურორის სუბიექტურობის გარკვეული რისკები.

აღსანიშნავია, რომ ამკ-ს 40-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი „არასრულწლოვანი ნასამართლევი არ არის,” როგორც არასრულწლოვნის განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, გამოირჩევა გარკვეული მოქნილობით, ხოლო კანონმდებელი ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, კატეგორიულად კრძალავს ერთზე მეტად არასრულწლოვნის ხსენებულ პროგრამაში ჩართვას. საკითხის მეტი სიცხადისთვის, ჩნდება რიტორიკული კითხვა: რა დროს უფროა სახეზე საზოგადოებრივი მართლწესრიგის დარღვევის რისკები, მაშინ როცა, საქმე გვაქვს რამდენჯერმე ნასამართლევი არასრულწლოვანთან, რომელიც ამკ-ს 40-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჩაერთოს განრიდება-მედიაციის პროგრამაში, თუ არასრულწლოვანთან, რომელიც არ არის მიცემული სისხლის სამართლის პასუხიგებაში, მაგრამ ერთხელ იყო ჩართული აღნიშნულ პროგრამაში? ამასთანავე, ამკ-ს 40-ე მუხლში არაფერს ამბობს კანონმდებელი დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის ნიშნებზე, შესაბამისად, არასრულწლოვანი დანაშაულებრივ ქმედებას განზრახ ჩაიდენს, თუ გაუფრთხილებლობით, არ აქვს მნიშვნელობა, ერთხელ უკვე ჩართული თუ იყო განრიდება-მედიაციის პროგრამაში, მას მეორე შანსი არ აქვს.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ კანონმდებელი ამკ-ის 40-ე მუხლში განრიდება-მედიაციის გამოყენების წინაპირობად „გ“ ქვეპუნქტს „არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა“ არ უნდა განიხილავდეს. ამკ-ის 40-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტში მოცემული დათქმა არ უნდა იყოს არასრულწლოვნის განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვის ხელისშემშლელი გარემოება. აღნიშნულ მოსაზრებას ვფიქრობთ, რომ რამდენიმე

მნიშვნელოვანი არგუმენტი ამყარებს; როგორც აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168¹-ე მუხლში კანონმდებელი სრულწლოვანს არ უკრძალავს განრიდების პროგრამაში მეორეჯერ ჩართვას. შესაბამისად გამოდის, რომ კანონმდებლის ნებაში არ ვლინდება არასრულწლოვანთან და სრულწლოვანთან მიმართებაში ინტერესთა დაცვის ბალანსი. კანონმდებლის ნება, თუ რატომ ანიჭებს სრულწლოვანს არასრულწლოვანზე მეტ პრივილეგიას ბუნდოვანია და გარკვეულწილად გაუმართლებელიც.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ამ დათქმის (ამკ-ის 40-ე მუხლის „გ“ ქვეპუნტი არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა) არსებობით, კანონმდებელი გარკვეულწილად ვერ განსაზღვრავს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის მაღალ სტანდარტს. ვინაიდან საყოველთაოდ აღიარებულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, კანონმდებლის მოთხოვნა, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მის საუკეთესო ინტერესს.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ამკ-ს 40-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შინაარსი „არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა,“ როგორც არასრულწლოვანის განრიდების პროგრამაში ჩართვის ერთ-ერთი წინაპირობა, უნდა იქნეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან ამოღებული.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სპეციალიზაციას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო დონეზე, დიდი ყურადღება ექცევა. აქედან გამომდინარე, აუცილებელ გარემოებას წარმოადგენს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის საქმეზე პოლიციელი, გამომძიებელი, პროკურორი, ადვოკატი, მოსამართლე და შემხებლობაში მყოფი ყველა უფლებამოსილი პირი იყოს სპეციალიზირებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. ამ კუთხით აუცილებელია, რომ არასრულწლოვანთა შემხებლობაში მყოფ პირველად თანამდებობრივ რგოლთან ერთად, სპეციალიზირებული იყოს ხელმძღვანელ პოზიციაზე მყოფი უფლებამოსილი პირებიც, ვინაიდან სწორედ მათგან ხდება გარკვეულწილად მთელი რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. ასევე სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკაში, ხშირია, როგორც რიგით თანამშრომელთა, ისე ხელმძღვანელ უფლებამოსილ პირთა, სამსახურებრივი როტაცია, თანამდებობრივი დაქვეითება ან დაწინაურება და აღნიშნულმა ხელი არ უნდა შეუშალოს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვას. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ეს საკითხი საკანონმდებლო დონეზე უნდა იქნეს

დარეგულირებული და ამკ-ს მე-18 და მე-19 მუხლებს უნდა დაემატოს შემდეგი დათქმა: „არასრულწლოვანთა საქმეებზე საპროკურორო, საგამომიებო და საპოლიციო ფუნქციების შესრულებისას, მიმართულებების მიხედვით, ხელმძღვანელ პოზიციაზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირი.” ამ შემთხვევაში სავალდებულო გახდება საპოლიციო, საგამომიებო და საპროკურორო ორგანოების ხელმძღვანელ პოზიციაზე მყოფ პირთა სპეციალიზაცია. ამ პოზიციებზე მყოფი პირებისაგან, მაშინ როცა, თითოეული მათგანი სპეციალიზებული იქნება, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ვფიქრობთ, რომ გამჭვირვალობის და კონტროლის სტანდარტი ბევრად მაღალ დონეზე იდგება. დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, არც პროკურატურის და არც პოლიციის ხელმძღვანელ რგოლში არასრულწლოვანთა მიმართულებით სპეციალიზაცია არ არის სავალდებულო და მხოლოდ სასურველ ხასიათს ატარებს, რაც შესაძლებელია არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის მიმართულებით არ იყოს გამართლებული.

კვლევამ აჩვენა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მნიშვნელოვანია დაზუსტდეს, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან მიმართებაში განრიდებაზე უარის თქმის ფარგლები და მისი გასაჩივრების სამართლებრივი მექანიზმები. ვინაიდან განრიდებასთან დაკავშირებით გასაუბრების ოქმის გასაჩივრება, ეს არც სისხლის სამართლის და არც ადმინისტრაციული სამართლის ჩარჩოებში არ ჯდება. ამასთანავე, კანონმდებლობაში არ არის დაკონკრეტებული თუ რა ვადაში საჩივრდება ხსენებული ოქმი და, შესაბამისად, რა ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ზემდგომი პროკურორი. მოცემული ბუნდოვანება, ვფიქრობ, გამოსწორდებოდა, თუ პროკურორი განრიდებაზე უარის თქმის გასაუბრების ოქმის ნაცვლად, სისხლის სამართლის საქმეზე გამოიტანდა დასაბუთებულ დადგენილებას განრიდებაზე უარის თქმის შესახებ, რაზეც ასევე დასაბუთებულობის სტანდარტი მაღალია და პირდაპირ კავშირში იქნებოდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ამკ-ს 39-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარში უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად „არასრულწლოვნისთვის განრიდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, პროკურორს გამოაქვს დადგენილება, რომელშიც დასაბუთებულად აღინიშნება განრიდებაზე უარის თქმის მიზეზი. დადგენილებას პროკურორი გააცნობს არასრულწლოვანს ან/და მისი კანონიერ წარმომადგენელს.”

საკვლევ თემასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის უფლება გაასაჩივროს განრიდებაზე უარი ზემდგომთან, პროკურატურის მუშაობის ფუნდამენტური პრინციპებიდან გამომდინარე, ფორმალური ხასიათის მატარებელია. ვინაიდან რიგითი პროკურორი უფლებამოსილების განხორციელების ეტაპზე იცავს სუბორდინაციას და იერარქიულ ფარგლებს, რის შედეგადაც, ზემდგომ პროკურორთან ათანხმებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას. შესაბამისად, განრიდებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება ფორმალური ხასიათისაა იმდენად, რამდენადაც საჩივრდება იმ პირთან, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსამართლის მიერ არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლის საქმის განრიდების მიზნით დაბრუნება, პროკურორისთვის სავალდებულო ხასიათს ატარებს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, პროკურორს უნდა ჰქონდეს მოსამართლის მიერ განრიდების მიზნით საქმის უკან დაბრუნების ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრების უფლება. შესაბამისად, ამკ-ს 39-ე მუხლს უნდა დაემატოს მე-2 პრიმა ქვეპუნქტი „პროკურორი უფლებამოსილია შესაბამის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს მოსამართლის მიერ განრიდების მიზნით საქმის დაბრუნების თაობაზე გადაწყვეტილება.” ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა ზემდგომი სასამართლო ინსტანციის კონტროლს, ვფიქრობთ სამოსამართლო და საპროკურორო პრაქტიკაში გარკვეულწილად დააბალანსებს არასრულწლოვნის საუკეთესო და საჯარო ინტერესს.

საკვლევი თემის ირგვლივ, არასრულწლოვანთა საქმეებზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის არსის და ფარგლების განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ საკანონმდებლო დონეზე უნდა დარეგულირდეს ე.წ. „ინდივიდუალური შეფასების ანგარიში“-ს გარკვეული ჩარჩოები, ვინაიდან სოციალური მუშაკი პრაქტიკაში არსებული გადატვირთული სამსახურებრივი რეჟიმიდან გამომდინარე, კანონით დადგენილ ვადებში, ვერ ახერხებს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შექმნას ან/და ვადის ამოწურვის ბოლო დღეს აგზავნის პროკურორთან. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიში უნდა დაიყოს ორ კატეგორიად: „შუალედური შეფასების ანგარიში,” მაშინ როცა, ვერ ხერხდება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მისი შექმნა და არასრულწლოვანს აღარ მოუწევს მისთვის გაუგებარი ვადით ელოდოს განრიდების პროგრამაში ჩართვას. მეორე ეს იქნება „დასკვნითი შეფასების ანგარიში,” რაც დაერთვებოდა საქმეზე შემაჯამებელ გადაწყვეტილებას.

აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, რათა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება, არ ატარებდეს ფორმალურ ხასიათს, რაც ვერ უზრუნველყოფს სრულყოფილი ინფორმაციის მოძიებას და შესაბამისად, საუკეთესო ინტერესების შეფასების პროცესის სათანადოდ წარმართვას, აღნიშნულმა, შესაძლოა გამოუსწორებელ შედეგებამდეც მიგვიყვანოს და საფუძვლად დაედოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის მცდარ განსაზღვრებას.

თავი 5. არასრულწლოვანთა მედიაცია და მისი ფარგლები

5.1. მედიაციის არსი და იდეა

მედიაცია სისხლის სამართალში, რომელიც დღეს ძალზე აქტუალურია, როგორც საქართველოში, ისე ევროპის სახელმწიფოებში, სათავეს იღებს დიდ ბრიტანეთში. მედიაციის ინსტიტუტი დაინერგა და მეცნიერულად დამუშავდა ინგლისში, რის შემდეგაც მისი გავრცელება დაიწყო, როგორც ანგლოსაქსური, ასევე კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახის ქვეყნებში.⁵¹²

მედიაციის ინსტიტუტი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში, წარმატებით ფუნქციონირებს.⁵¹³

აღსანიშნავია, რომ მედიაცია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფარგლებში, აღდგენითი მართლმსაჯულების ერთ-ერთი საუკეთესო ინსტიტუტია. აღდგენით მართლმსაჯულებაში განისაზღვრება იმ ადამიანების „საჭიროებები“ და „როლები“, რომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე, დანაშაულებრივმა ქმედებამ იქონია გავლენა.⁵¹⁴

მედიაცია მისი მრავალფეროვანი განზოგადებიდან გამომდინარე, ერთპიროვნულად არ არის განმარტებული იურიდიულ ლიტერატურაში. მედიაციის მიზანია პირდაპირი ან არაპირდაპირი ინტერაქციული ფორმით კონფლიქტის წარმატებით მოგვარება, რომელიც მიმართულია, მხარეთა შორის გარკვეული კონსესუსის მიღწევის გზით, გამოსავლის პოვნისკენ.⁵¹⁵

მედიაცია განიმარტება, როგორც აქტიური პროცესი, რომელიც ხელს უწყობს და ამით გარკვეულწილად ეხმარება, კონფლიქტის მონაწილე მხარეებს, რათა თავად აღმოფხვრან მთელი რიგი სადავო საკითხები.⁵¹⁶

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში, მედიაციის ცნებასთან დაკავშირებით მოცემულია, რომ პირველად ეს ინტიტუტი გამოიყენებოდა სამოქალაქო სამართლის ფარგლებში და გულისხმობდა წყვილის განქორწინების შემთხვევაში, უშუალოდ მესამე

⁵¹² იხ. გვენეტაძე, ნ., კვაჭაძე, მ., წიკლაური-ლამიხი, ქ., გაბუნია, მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, განრიდება და მედიაცია, 2012, გვ. 233.

⁵¹³ იხ. იქვე, გვ. 233.

⁵¹⁴ იხ. ერცენი, ი., ჯავახიშვილი, ჯ., ჯავახიშვილი, ლ., აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, 2020, გვ. 24.

⁵¹⁵ იხ. თუმანიშვილი, გ., სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, აღდგენითი (რესტორაციული) მართლმსაჯულება და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში, 2013, გვ. 257.

⁵¹⁶ იხ. Trossen, A., Mediation (un)gergelt, Win-Management Verlag, 2014, გვ. 37.

პირის ჩართულობით, კონფლიქტის შეთანხმების მიღწევის გზით მოგვარებას.⁵¹⁷ ინგლისელი მეცნიერები კი, მედიაციის არსებობას ბუნებაში შემდეგნაირად აფასებენ: დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, მედიაცია, როგორც ცალკეული ინსტიტუტი, მსოფლიოში წარმოადგენს, დავის გადაწყვეტის, ყველაზე სწრაფად განვითარებად, ალტერნატიულ საშუალებას.⁵¹⁸

სისხლის სამართლის მეცნიერებაში, მედიაცია,⁵¹⁹ სწორედ კერძო სამართლის სისტემიდან აღმოცენდა, შესაბამისად თავისი არსით, იგი გულისხმობს, კონფლიქტის მენეჯმენტს. კრიმინოლოგები კი, მედიაციას განმარტავენ, როგორც იმ სხვადასხვა სახის ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლის მიზანს დანაშაულის შედეგად წარმოშობილი კონფლიქტის მოგვარება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მედიაცია ჩამოყალიბდა გარკვეულწილად ერთგვარ ჰიბრიდად, ვინაიდან, სამეცნიერო სფეროში, როგორც ცალკეული ინსტიტუტი, საბოლოო ჯამში აერთიანებს სამართლის, ფსიქოლოგიის, ფსიქიატრიის, კომუნიკაციის უნარების ცალკეულ ელემენტებს.⁵²⁰

მ.შალიკაშვილი მედიაციასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ დამნაშავის შერიგება დაზარალებულთან, ბევრ ქვეყანაში აპრობირებულ მედიაციის სახეს წარმოადგენს, რომელიც შესაძლებელია მესამე პირის, ანუ მედიატორის, მიერ განხორციელდეს.⁵²¹

მედიაციის განვითარებით ქართული სისხლის სამართლის პროცესი გახდა პირველი სფერო, რომელმაც წარმოადგინა ტრადიციული სასამართლო პროცედურებისაგან დამოუკიდებელი ალტერნატივა ინდივიდუალურად

⁵¹⁷ იხ. Dölling, D., Der Täter-Opfer-Ausgleich in Deutschland, 1998, გვ.396.

⁵¹⁸ იხ. Blake, S., Browne, J., Sime, S., The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press, 2016, გვ. 144.

⁵¹⁹ სიტყვა მედიაცია აქვს ლათინური ძირი (mediation) და მომდინარეობს სიტყვა medius -დან, რაც შუაში ყოფნას ნიშნავს, ბერძნულად mesitäs-დან, ხოლო ტერმინი მედიაციის მნიშვნელობა მომდინარეობს ინგლისური სიტყვა mediation/to mediate, (გერმანულად vermitteln) რაც ნიშნავს შუამავლობას. მედიაციის სახეებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს: საოჯახო მედიაცია (ოჯახური კონფლიქტების ან სამეზობლო დავების დროს), სამსახურებრივი მედიაცია (სამუშაო ადგილას ჩადენილი დევიაციური ქცევის დროს), თვითმმართველობის მედიაცია (სამეზობლო დავების დროს და მაგალითად, ისეთი დანაშაულის ჩადენის დროს, რომელსაც ინდივიდუალური მსხვერპლი არ გააჩნია (სახელმწიფო ქონების ქურდობა), დამნაშავის შერიგება დაზარალებულთან და სხვა). იხ.ყანდაშვილი, ი. საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არა სასამართლო ფორმები, 2018, გვ. 83.

⁵²⁰ იხ. Englert, K., Franke, H., Grieger, W., Streitlösung ohne Gericht Schlichtung, Schiedsgericht und Mediation in Bausachen., 2006, გვ. 244.

⁵²¹ იხ. შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, 2013. გვ. 107.

მოქალაქეებისთვის. მედიაციის მიზანია, ერთის მხრივ სამართლიანობის აღდგენა, ხოლო, მეორეს მხრივ არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება, შესაბამისად დანაშაულით გამოწვეული ემოციური, თუ მატერიალური შედეგების გამოსწორება.⁵²²

გ. თუმანიშვილი მედიაციის ინსტიტუტთან დაკავშირებით გამოყოფს რამდენიმე ძირითად მიმართულებას: 1) მნიშვნელოვან როლს თამაშობს დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის ადამიანური ურთიერთობის აღდგენაში, 2) ხელს უწყობს დაზარალებულს მორალურ, ემოციურ და მატერიალურ რესტიტუციაში, 3) გარკვეულწილად აუმჯობესებს, დაზარალებულის სისხლის სამართლის პროცესში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობებს, 4) ეხმარება სახელმწიფო იუსტიციის აპარატის განტვირთვას და თავის მრივ პროცესს ხდის უფრო ეკონომიკურს, 5) ხდის სისხლის სამართლის პროცესს ლიბერალურსა და ჰუმანურს.⁵²³ მედიაციას ფართო გაგებით თუ გავანალიზებთ, ვნახავთ, რომ იგი ბევრად სცილდება მხოლოდ კონფლიქტის მოგვარების ფარგლებს, მას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გარკვეულწილად აღმზრდელობითი დანიშნულებაც აქვს და სხვა ბევრს სიკეთესთან ერთად, სახელმწიფო რესურსის ეკონომიკურ ჩარჩოებთანაც არის დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ მედიაციის სფეროს განვითარების და ეფექტიანი მენეჯმენტის წარმართვის მიზნით, დანაშაულის პრევენციის ცენტრის ბაზაზე, 2014 წელს მედიაციის სახლი გაიხსნა.⁵²⁴ რომლის მიზანია მედიაციის მეთოდის აქტიური გამოყენებით, დანაშაულის ერთგვარი პრევენცია. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად სპეციალური სახლი, რამდენიმე მიმართულებით მუშაობს. მისი ამოცანებია მთელი ქვეყნის მასშტაბით მედიატორთა საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავება, მართლმსაჯულებაში სისხლის სამართლის მედიაციის ფორმების დახვეწა და პრაქტიკაში გარკვეულწილად დანერგვა, სხვადასხვა მიმართულებით მედიაციის სფეროების განვითარება და ა.შ..

მადღენითი მართლმსაჯულების ფარგლებში, მედიაციის სახლის ფუნქციონირება შესაძლებელია დადებითად შეფასდეს, ვინაიდან, იგი ხელს უწყობს, როგორც კანონთან

⁵²² იხ. გვენეტაძე, ნ., კვაჭაძე, მ., წიკლაური-ლამიხი, ქ., გაბუნია, მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, განრიდება და მედიაცია, 2012, გვ. 170.

⁵²³ იხ. თუმანიშვილი, გ., სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, აღდგენითი (რესტორაციული) მართლმსაჯულება და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში, 2013, გვ. 268.

⁵²⁴ იხ. მედიაცია, დანაშაულის პრევენციის ცენტრი, <http://prevention.gov.ge/page/31/geo>.

კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის, ისე დაზარალებულის, რეაბილიტაცია-რესოციალიზაციას.

5.1.1. მედიაცია, როგორც კონფლიქტის მოგვარების საუკეთესო საშუალება

კონფლიქტი, როგორც ეს იურიდიულ ლიტერატურაშია განმარტებული, ადამიანთა ურთიერთობების განუყრელი ნაწილია, როგორი მოწესრიგებულიც არ უნდა იყოს საზოგადოებრივი ყოფა და როგორ გამართულადაც არ უნდა მუშაობდნენ სახელმწიფო უწყებები, სოციალურ კონფლიქტებს, საზოგადოება თავიდან ვერ აიცილებს, რადგან ის ადამიანთა ურთიერთობის შემადგენელი ნაწილია.⁵²⁵ აქედან გამომდინარე, სოციუმში არსებული კონფლიქტის⁵²⁶ თანმდევია ასევე მისი მოგვარების სხვადასხვა გზები და ეტაპები, რასაც საბოლოოდ მედიაციამდე მივყავართ. საზოგადოებრივი კონფლიქტების მოგვარების ჭრილში, დღეისთვის მედიაცია, ყველაზე სწრაფად განვითარებადი ინსტიტუტია.⁵²⁷

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მედიაციას, როგორც სამართლის ნორმით რეგულირებად ადამიანთა შორის ურთიერთობის ერთ-ერთ ფორმას, აქვს თავისი პირველადი (ძირითადი, Primär) და მეორეული (არაძირითადი, Sekundär) კონფლიქტის მოგვარების საშუალება.⁵²⁸

დამნაშავის დაზარალებულთან შერიგება, კონფლიქტის მოგვარების პირველად საშუალებად მიჩნეულ უნდა იქნეს იმ კუთხით, რომ ხდება ჩადენილი დანაშაულის

⁵²⁵ იხ. წულაძე, ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, 2016, გვ.7.

⁵²⁶ არაიურიდიულ ლიტერატურაში ფსიქოლოგები კონფლიქტის პროგნოზირების და კონტროლის ცალკეულ ტენდენციებს აყალიბებენ მათი დეტალური განხილვა ცდება ნაშრომის ფარგლებს, თუმცა ვფიქრობთ, რომ საინტერესო იქნება მცირე დოზით შევხვით ხსენებულ საკითხს. კონფლიქტის მართვაში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო კონფლიქტის პროფილაქტიკას, შესუსტებასა და გადაწყვეტას, არამედ მის პროგნოზირებასა და კონტროლს. არსებობს კონფლიქტური სიტუაციის მართვის რამდენიმე ეფექტური საშუალება. ისინი იყოფა ორ კატეგორიად: სტრუქტურულ და პიროვნებათაშორის კატეგორიებად. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თეორიულად კონფლიქტური სიტუაციის მართვა ყოველ მის მონაწილეს შეუძლია, მაგრამ პრაქტიკულად ასეთი შესაძლებლობები ყველას როდი გააჩნია. უმეტეს შემთხვევაში, ეს როლი ეკისრებათ საწარმოს უფროსებს, ორგანიზაციის ხელმძღვანელებს ან უბრალოდ ავტორიტეტულ პიროვნებებს. კონფლიქტის მართვა ორიენტირებულია იმაზე, რომ შეზღუდოს ძალადობა და სამომავლოდ მოახდინოს მისი პრევენცია იმით, რომ კონფლიქტში ჩართულ მხარეთა ქმედებებში პოზიტიურ ცვლილებებს შეუწყოს ხელი. პიროვნება, რომელიც იკისრებს კონფლიქტური სიტუაციის მართვას, ვალდებულია მოქმედება დაიწყოს დაპირისპირების ფაქტიური მიზეზების კვლევით, შემდეგ კი მის გადასაწყვეტად შეარჩიოს შესაბამისი მეთოდი. ცნობილია კონფლიქტის მოგვარების ხუთი ძირითადი პიროვნებათაშორისი სტილი, ესენია: თავის არიდება, შერბილება, იძულება, კომპრომისი და პრობლემის გადაწყვეტა. იხ. ბერიძე, რ. კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიები განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებში, 2009, გვ. 36.

⁵²⁷ იხ. Alexander, N., International Mediation, 2009, გვ.64.

⁵²⁸ იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, (სახელმძღვანელო) 2016, გვ.108.

შედეგად დამდგარი უარყოფითი შედეგის სწრაფი, მხარეთათვის (შედარებით) უმტკივნეულო აღმოფხვრა და მოგვარება. მხარეები საკუთარი ინტერესების სრული დაცვით მიდიან გადაწყვეტილების მიღებამდე.⁵²⁹ მაგ: მოზარდის მიერ სასწავლო დაწესებულებაში⁵³⁰ თანაკლასელის მიმართ აგრესიის გამოვლენა და მისი ცემა არის კონფლიქტი თანაკლასელებს შორის, რომლის პირველადი მოგვარება არის მათი შერიგება და დამნაშავეს მიერ თანაკლასელისათვის საჯაროდ ბოდიშის მოხდა. ამ კუთხით აღსანიშნავია, ასევე სასკოლო მედიაციის⁵³¹ განვითარებადი მიმართულება, რომელიც ჯერ კიდევ ახლა იკიდებს ფეხს ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კონფლიქტის მოგვარების მეორეული ასპექტი გულისხმობს სწორედ დამნაშავეს მიერ დანაშაულის ჩადენის მოტივისა და პირის დაზარალებულად გახდომის წინაპირობების გაცნობას, მის ანალიზს და ამ პრობლემების მოგვარებას, რათა დამნაშავემ აღარ ჩაიდინოს

⁵²⁹ იხ. ოსტერმილერი, ს. სვენსონი, დ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, 2014. გვ. 125.

⁵³⁰ სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკიდან გამომდინარე, საკმაოდ მრავლად არის მოზარდებს შორის კონფლიქტი ეს იქნება სკოლაში თუ მის გარეთ. აღნიშნული საკითხი ხსენებული ორგანოების ისე სხვადასხვა სოციალური სამსახურების მხრიდან განსაკუთრებულ სიფრთხილეს და პრევენციულ მიდგომებს საჭიროებს. საგამომიებო დანაყოფის პრაქტიკიდან აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით მახსენდება არაერთი შემთხვევა და შეტყობინება შემოსული სკოლიდან, რომელიც ეხებოდა უმრავლეს შემთხვევაში 15 წლამდე მოზარდებს. ამ შემთხვევებიდან შეიძლება ითქვას, რომ თითოეული მათგანი არის განსაკუთრებული, ვინაიდან ეხება მოზარდს და მის მომავალ ცხოვრებას. განსაკუთრებით მინდა შევეხო 2021 წელს ქ. თბილისში არსებული ერთ-ერთი სკოლიდან საგამომიებო დანაყოფში შემოსულ შეტყობინებას მეხუთე კლასელ ორ ბიჭს შორის ძალადობის თაობაზე. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციას დახვდა 15 წლის ორი მოზარდი, როგორც კონფლიქტის მხარეები, სკოლის მანდატური, კლასის დამრიგებელი და მშობლები. სიტუაციაში გარკვევის შემდგომ დადგინდა რომ მოზარდებს კონფლიქტი მოუვიდათ სკოლის საპირფარეოში შესვლის რიგთან დაკავშირებით, რა დროსაც ერთმა მოზარდმა მეორეს თმაზე ძლიერად მოქაჩა და მოუქნია ხელის გულ-მკერდის არეში. ვინაიდან შემთხვევიდან იკვეთებოდა შესაძლო ძალადობის ნიშნები სკოლის ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ გააკეთა შეტყობინება პოლიციაში მომხდარის თაობაზე. გვსურს, ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ შემთხვევის ადგილზე პოლიციის მისვლამდე სკოლის მანდატურმა და კლასის დამრიგებელმა განახორციელეს ეწ. კონფლიქტის მოგვარების პირველადი ეტაპი. ვინაიდან, მხარეთა შორის კონფლიქტურ სიტუაციაში გარკვევის გარდა, აღნიშნული უფლებამოსილი პირები ძალადობის მომავალში აღკვეთის პრევენციის მიზნით, ცდილობდნენ მხარეთათვის განემარტათ კონფლიქტის არსი, ძალადობის ფარგლები და მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები. აღსანიშნავია, რომ კონფლიქტის მოგვარების პირველადი ეტაპი როგორც გამოიკვეთა მიმდინარეობდა მოზარდთა უფლებების სრული დაცვით, მათი მშობლების მონაწილეობით აღმზრდელობით და საუკეთესო ინტერესების პრინციპების ფარგლებიდან გამომდინარე. მანდატურმა და კლასის დამრიგებელმა კონფლიქტის მონაწილე ორივე მოზარდი შეარიგეს ერთმანეთთან და ღონისძიებაში მშობლებმაც დიდი როლი ითამაშეს. ასევე მშობლების თანდასწრებით და პოლიციის თანამშრომლების ჩართულობით მოზარდებს დეტალურად განემარტათ შესაძლო ძალადობის მოსალოდნელი შედეგები და მათი ასაკიდან გამომდინარე აქცენტი გაკეთდა აღმზრდელობით გარემოებებზე. საქმე შსს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საგამომიებო დანაყოფის 2021 წლის პრაქტიკიდან. მოცემულ შემთხვევაში ვინაიდან კონფლიქტის მოგვარების პირველადი და მეორეული ღონისძიებების განხორციელების შედეგად, მხარეები შერიგდნენ და მათივე საუკეთესო ინტერესების განხორციელების ფარგლებიდან გამომდინარე, არ იქნა საგამომიებო დანაყოფში გამოძიება დაწყებული. ამ შემთხვევაში ვფიქრობთ, რომ ხაზი უნდა გაესვას რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებას: 1) კონფლიქტის მონაწილე ორივე 15 წლის მოზარდი არ იქნა გამოძიებისგან გამოკითხული სისხლის სამართლის საქმეზე. შესაბამისად, გარკვეული სტრესი საგამომიებო დანაყოფში მიყვანის და სისხლის სამართლის საქმის ირგვლივ მოწმედ გამოკითხვის აღარ არსებობს, 2) მოზარდთა მშობლების, მანდატურის, კლასის დამრიგებლის და პოლიციის თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარებული კონფლიქტის მოგვარების პირველადი და მეორეული ასპექტები მიმართული იყო აღმზრდელობითი მექანიზმების განხორციელებისკენ, მომავალში შესაძლო ძალადობის პრევენციისკენ და არა იმის ხაზგასმელად და დასაშინებლად რომ სამართალდამცავი ორგანოები მსგავს შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცემენ. 3) აღნიშნულით დაიზოგა სახელმწიფო როგორც მატერიალური ისე ადამიანური რესურსი, რაც პირდაპირ დაკავშირებულია მედიაციის ეკონომიკურ ხასიათთან.

დანაშაული, ან დაზარალებული ხელმეორედ არ გახდეს ვიქტიმირებული.⁵³² დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული კონფლიქტის გრძელვადიანი პერსპექტივით მოგვარება შესაძლებელია მედიაციის გზით, რის შემდეგაც განმეორებითი დანაშაულის ან რევიქტიმიზაციის საფრთხე მნიშვნელოვნად მცირდება.⁵³³

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ყოველ დემოკრატიულ სახელმწიფოში არსებითი ყურადღება უნდა მიექცეს არასრულწლოვანთა კონფლიქტის მოგვარების გრძელვადიან პერსპექტივებს, სადაც ჩართული იქნება, როგორც სამართალდამცავი, ისე საგანმანათლებლო-სოციალური უწყებები.

5.1.2. არასრულწლოვანთა მედიაციის და სასჯელის მიზნების თანაფარდობა

არასრულწლოვანთა მიმართ განრიდება/მედიაციის პროგრამის სპეციფიკური ხასიათი, ისევე როგორც სასჯელის მიზნები, ყველა ქვეყანაში ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს. გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში განმარტებულია, რომ სასჯელი არასრულწლოვანთან მიმართებაში, პირველ რიგში, უნდა ემსახუროდეს მის აღზრდას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სასჯელი უნდა იყოს მომავალზე ორიენტირებული.⁵³⁴ გერმანიის უზენაესმა სასამართლომ რამდენიმე გადაწყვეტილებაში, პირდაპირ მიუთითა არასრულწლოვანთა აღზრდის გარკვეულ უპირატესობაზე.⁵³⁵

ქართულ სამართლებრივ სივრცეშიც, ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არასრულწლოვანთა, როგორც სასჯელის, ისე განრიდება/მედიაციის მიზნებს. სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასჯელის მიზანს წარმოადგენს პირველ რიგში სამართლიანობის აღდგენა, ასევე ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია. აღსანიშნავია, რომ სასჯელის ზემოაღნიშნული მიზნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებამდე, ვრცელდებოდა, როგორც სრულწლოვნების, ისე არასრულწლოვნების მიმართ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში კანონმდებელმა განსხვავებულად ჩამოაყალიბა არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნები, რომლის მიხედვითაც სასჯელის მიზანია,

⁵³² იხ. Meier, B-D., Rössner, D., Trüg, G., Wulf, R., Jugendgerichtsgesetz. Handkommentar, 2014, გვ.56.

⁵³³ იხ. იქვე, გვ.56.

⁵³⁴ იხ. Zieger, M., Verteidigung in Jugendstrafsachen, 2013, გვ. 44.

⁵³⁵ იხ. Schönke, A., Strafgesetzbuch, Kommentar, Verlag, 2010, გვ. 702.

არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.⁵³⁶ აღსანიშნავია, რომ სასჯელის მიზნებში გამოხატულია სახელმწიფოსა და საზოგადოების სურვილი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, დამნაშავე პირის მიმართ გაატაროს გარკვეული ღონისძიებები. მართალია, დამნაშავეს დაზარალებულთან შერიგება (მედიაცია) სასჯელის სახეს არ წარმოადგენს, მაგრამ მისი, როგორც კონფლიქტური სიტუაციის მოგვარების ერთ-ერთი აქტიური მეთოდის, მნიშვნელობა, პირდაპირ მიმართებაშია დაზარალებულსა და დანაშაულის ჩამდენს შორის გასატარებელ ღონისძიებებთან.⁵³⁷ სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი, კანონმდებელმა ცალკეული სახით ამოიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან. ი.ვარძელაშვილის აზრით, აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ სამართლიანობის აღდგენაში ხშირ შემთხვევებში მოიაზრება სამაგიეროს მიზღვა, ხოლო ეს უკანასკნელი, არ შეიძლება იყოს არასრულწლოვანთან მიმართებაში სასჯელის მიზანი.⁵³⁸

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო, რესოციალიზაციას, როგორც სასჯელის მიზანს, შემდეგნაირად განმარტავს: დამნაშავეს რესოციალიზაციაზე კონსტიტუციური მოთხოვნა შეესაბამება იმ საზოგადოების მართლშეგნებას, რომლის შუაგულშიც ადამიანის ღირსება დგას და რომელსაც სოციალური სახელმწიფოს პრინციპთან დაკავშირებით ვალდებულებები აკისრია. მსჯავრდებულს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ, საზოგადოებას დაუბრუნდეს. სახელმწიფო ვალდებულია, ყველა საკანონმდებლო ზომა მიიღოს, რომელიც ვარგისი და საჭირო იქნება აღნიშნული მიზნის მისაღწევად.⁵³⁹ ამკ-ის 65-ე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვანთან მიმართებაში სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. კანონმდებელი ამკ-ს განმარტებით ბარათში არასრულწლოვანის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის განმარტავს შემდეგნაირად. რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვნისთვის წარმოადგენს პასუხისმგებლობის გრძნობისა და სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის

⁵³⁶ იხ. ივანიძე, მ., სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, 2017, გვ. 7.

⁵³⁷ იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, (სახელმძღვანელო), 2016, გვ. 109.

⁵³⁸ იხ. ვარძელაშვილი, ი., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, 2017, გვ. 76.

⁵³⁹ იხ. Ostendorf, H., Drenkhahn K., Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts (BVerfGE), Jugendstrafrecht, 2017, გვ. 6.

ჩამოყალიბებას. ასევე, იგი ხელს უწყობს არასრულწლოვნს ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, ზნეობრივ და სოციალურ განვითარებაში.⁵⁴⁰ მ.შალიკაშვილის აზრით, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი, მოიცავს სამ კომპონენტს; 1) პოტენციური დამნაშავის ერთგვარი დაშინება; 2) საზოგადოებისაგან დამნაშავის იზოლაცია და 3) დამნაშავის ერთგვარი რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.⁵⁴¹

ვფიქრობთ, დაშინების ფაქტორი, დამოკიდებულია კონკრეტულ ინდივიდზე. შესაძლებელია სასჯელმა ერთ შემთხვევაში არასრულწლოვნისთვის დამაშინებელი ეფექტი იქონიოს, ხოლო მეორე შემთხვევაში კი არა. ამ საკითხთან მიმართებაში საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს მ. ლეკვეიშვილი, იგი მიუთითებს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი, შიშის გამო კი არ ფერხდება დანაშაულის ჩასადენად, პირიქით, საზოგადოება დანაშაულის ჩადენის წინააღმდეგია, თავისი ზნეობრივი მრწამსით და გონიერებით.⁵⁴² აღსანიშნავია, რომ პოტენციური დამნაშავის დაშინება მიეკუთვნება ზოგად (გენერალური) პრევენციას, შესაბამისად, მიუღებელია არასრულწლოვანის მიმართ იქნეს გამოყენებული, ანუ აკრძალულია, არასრულწლოვნის დასჯა იმის, გამო, რომ სხვა ინდივიდმა დანაშაული აღარ ჩაიდინოს.⁵⁴³ საზოგადოებისაგან არასრულწლოვნის იზოლაცია, ითვლება დანაშაულის თავიდან აცილების გარკვეულ მოკლევადიან პერსპექტივად, ხოლო, რაც შეეხება გრძელვადიანს პერსპექტივას, აუცილებელია არასრულწლოვანი დამნაშავის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, რათა მან მომავალში, აღარ ჩაიდინოს დანაშაულებრივი ქმედება.⁵⁴⁴

ი.ვარძელაშვილის განმარტავს, რომ თუ არ განხორციელდება მსჯავრდებულის (ეს იქნება სრულწლოვანი, თუ არასრულწლოვანი) რესოციალიზაცია, სასჯელის სხვა დანარჩენ მიზნებს ეკარგება აზრი. მაგ: თუ ყოფილმა მსჯავრდებულმა კვლავ ჩაიდინა, დანაშაული, ანუ ვერ განხორციელდა მისი ერთგვარი გამოსწორება, აქედან გამომდინარე, ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მნიშვნელოვანი მიზანიც ფაქტიურად მიუღწეველი დარჩება.⁵⁴⁵

⁵⁴⁰ იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილი, 2022 წლის მდგომარეობით.

⁵⁴¹ იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, (სახელმძღვანელო), 2016, გვ.108.

⁵⁴² იხ. ლეკვეიშვილი, მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, 2014, გვ. 22.

⁵⁴³ იხ. Schaffstein, F., Beulke, W., Swaboda, S., Jugendstrafrecht. Eine systematische Darstellung. 2014, გვ.78.

⁵⁴⁴ იხ. იქვე, გვ.78.

⁵⁴⁵ იხ. ვარძელაშვილი, ი., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, 2017, გვ. 72.

სასჯელის მიზნების მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს დამნაშავეს და დაზარალებულს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარება და საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა.

სწორედ დამნაშავეს დაზარალებულთან არსებული კონფლიქტის მოგვარება ემსახურება, როგორც მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას, ასევე ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. იმისათვის, რომ დაზარალებულმა არ დაკარგოს სამართლიანობის განცდა, აუცილებელია მისი დამნაშავესთან არსებული კონფლიქტის მოგვარება.⁵⁴⁶ შესაძლებელია, რომ დაზარალებული იმავე დამნაშავესგან ხელმეორედ გახდეს დანაშაულის მსხვერპლი, ანუ მოხდეს ახალი დანაშაულის ჩადენა. ამიტომ დამნაშავეს დაზარალებულთან არსებული კონფლიქტის მოგვარება, ასევე ხელს შეუწყობს ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას, ხოლო, რაც შეეხება დამნაშავეს რესოციალიზაციას, დამნაშავეს დაზარალებულთან არსებული კონფლიქტის მოგვარება, (შერიგება) დამნაშავეს მიერ ჩადენილი ქმედების მონანიებასა და მის გამოსწორებას იწვევს, ანუ ხდება დანაშაულის ჩამდენი პირის რესოციალიზაცია. დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული კონფლიქტის სისხლის სამართლის მკაცრი პოლიტიკით (სასჯელის გამოყენება) გადაწყვეტის შემთხვევაში ხდება, კონფლიქტის პირველადი და არა გრძელვადიანი მოგვარება.⁵⁴⁷ დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული კონფლიქტის გრძელვადიანი პერსპექტივით მოგვარება შესაძლებელია მედიაციის გზით, რის შემდეგაც განმეორებითი დანაშაულის ან რევიქტიმიზაციის საფრთხე მნიშვნელოვნად მცირდება.⁵⁴⁸ აღსანიშნავია, რომ სასჯელის მიზნებს კანონმდებელი განსაზღვრავს აბსოლუტურ და პრევენციულ თეორიათა სინთეზირების გზით. თუ აბსოლუტური თეორია სასჯელის მიზნად სამართლიანობის აღდგენას მოიაზრებს, პრევენციული თეორია ახალი დანაშაულის აცილებასა და დამნაშავეს რესოციალიზაციაზეა ორიენტირებული.⁵⁴⁹

სასჯელის გენერალური პრევენცია მიმართულია ყველას მიმართ, რათა მათ მომავალში არ ჩაიდინონ დანაშაულებრივი ქმედება, ხოლო, სასჯელის სპეციალური პრევენცია,

⁵⁴⁶ იხ. ლეკვეიშვილი, მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2014, გვ.23.

⁵⁴⁷ იხ. Meier, B., Rössner, D., Trüg, G., Wulf, R., Jugendgerichtsgesetz Handkommentar, 2014, გვ.56.

⁵⁴⁸ იხ. იქვე, გვ.56.

⁵⁴⁹ იხ. ტურავა, მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2010, გვ.287.

მიმართულია კონკრეტული დამნაშავეს მიმართ, რათა მისი მხრიდან მომავალში საერთოდ გამოირიცხოს ახალი დანაშაულის ჩადენა.⁵⁵⁰

პოზიტიური გენერალური პრევენცია,⁵⁵¹ მოქმედებს ყველა არასრულწლოვნის მიმართ, რათა მათ ჩამოუყალიბდეთ კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, ხოლო, რაც შეეხება ნეგატიურ გენერალურ პრევენციას, ის მოქმედებს მხოლოდ დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილ არასრულწლოვანთა მიმართ. თუ სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენციის მიზნის მიღწევა მედიაციის გზით შესაძლებელია, სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენციის მიზნები დანაშაულის შედეგად წარმოშობილი კონფლიქტის კონსესუალური გადაწყვეტით ვერ მიიღწევა. ვინაიდან, ეს უკანასკნელი თეორია, სასჯელს მიზნად საზოგადოების დაშინებას უსახავს.⁵⁵²

გ. თუმანიშვილი განიხილავს სასჯელის ცალკეულ მიზნებს, აბსოლუტურ და პრევენციულ თეორიებს მედიაციასთან ურთიერთკავშირში. იგი აღნიშნავს, რომ აბსოლუტური თეორიის გაზიარების შემთხვევაში, დანაშაულის გამოსყიდვა მედიაციის გზითაც არის შესაძლებელი, ვინაიდან სამართლიანობის აღსადგენად სავალდებულო არ არის ყოველთვის რეპრესიული პოლიტიკის გატარება.⁵⁵³ მედიაცია იძლევა დანაშაულით

⁵⁵⁰ იხ. ვარძელაშვილი, ი., სასჯელის მიზნები, 2016, გვ.197.

⁵⁵¹ სისხლის სამართალში სადაოდ ითვლება საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა გენერალური პრევენცია არასრულწლოვნის თავისუფლების აღკვეთის მიზანი. დოგმატიკოსთა ერთი ნაწილი და გერმანიის ფედერალური სასამართლო პოზიტიურ და ნეგატიურ გენერალურ პრევენციას არასრულწლოვნის თავისუფლების აღკვეთის მიზნად არ მიიჩნევს. დოგმატიკოსთა ნაწილი კი პოზიტიურ გენერალურ პრევენციას არასრულწლოვნის სასჯელის მიზნად აღიარებს და სასჯელის მიზნებიდან მხოლოდ ნეგატიურ გენერალურ პრევენციას (ანუ საზოგადოების დაშინებას არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშნით) გამოირიცხავს. იხ. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღზრდისადმი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 246. საინტერესოა პოზიტიურ გენერალურ პრევენციის განმარტებასთან და მის ფარგლებთან დაკავშირებით, მეცნიერთა მოსაზრებები. გენერალური პრევენციის პოზიტიური ასპექტი მდგომარეობს მართლწესრიგის ძალმოსილებისადმი ნდობის შენარჩუნებასა და გაძლიერებაში. სასჯელის ამოცანაა მართლწესრიგის ურღვევობა გამოხატოს და ამგვარად სამართლისადმი მოსახლეობის ნდობა გააძლიეროს. თანამედროვე პერიოდში აღნიშნულ შეხედულებას მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მხოლოდ დაშინებით სასჯელის ზემოქმედებას. პოზიტიური გენერალური პრევენციის სამ მიზანს გამოყოფენ: 1) სოციალურ- პედაგოგიურად მოტივირებული დასწავლის ეფექტი, სამართლისადმი ერთგულების დასწავლა, რაც მოსახლეობაში გამოწვეული იქნება სისხლის სამართლის იუსტიციის მოქმედებით; 2) ნდობის ეფექტი, რომელიც ჩნდება მაშინ, როცა მოქალაქეები ხედავენ, რომ სამართალი ხორციელდება; 3) დამშვიდების ეფექტი, რომელიც იმით მიიღწევა, რომ სამართალდარღვევაზე სანქციის საფუძველზე საერთო მართლშეგნება სიმშვიდეს იწვევს და დამნაშავესთან კონფლიქტის დასრულება როგორც მიიჩნევა შესაძლებლად. პოზიტიური გენერალური პრევენციული თეორიის წარმომადგენელია გ. იაკობსი, რომელიც თვლის, რომ თანაზომიერებისა და საჭიროების ფარგლებში სპეციალურ პრევენციული სასჯელი არის ბრალის შესაბამი. ქინდჰაუზერი, რომელიც პოზიტიური გენერალური პრევენციის თეორიის წარმომადგენლად მიიჩნევა, აღნიშნავს, რომ სისხლის სამართალში, საპოლიციო სამართლისგან განსხვავებით, საქმე ეხება არა საერთოხისგან თავდაცვას, არამედ ნორმის დაცვის მონაცვლეობითი მოლოდინის გარანტიას. თითოეული მოქალაქე უნდა ამოდიოდეს იქიდან, რომ ყველა დანარჩენი ქმნის ნორმას, რომელიც მათ მოქმედებაზე გადაწყვეტილებას საფუძველად უდევს. იხ. Kindhäuser, U., Strafrecht, 2015, გვ.14.

⁵⁵² იხ. თუმანიშვილი, გ., სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, აღდგენითი (რესტორაციული) მართლმსაჯულება და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში, 2013, გვ. 267.

⁵⁵³ იხ. იქვე, გვ.267.

გამოწვეული შედეგების სამართალდარღვევის ნებაყოფლობითი მოქმედებით გამოსწორებისა და კონფლიქტის კონსესუალური გადაწყვეტით სამართლიანობის აღდგენის შესაძლებლობას. შესაბამისად მედიაციის ფარგლებში კონფლიქტის გადაჭრა არ მოდის წინააღმდეგობაში სასჯელის აბსოლუტურ თეორიასთან.

მედიაციის მეშვეობითაც შესაძლოა მიღწეულ იქნეს ის მიზნები, რომლებიც სასჯელის მეშვეობითაც ხორციელდება.⁵⁵⁴ მედიაციის მიზანია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს მისცეს შესაძლებლობა საკუთარი პოზიტიური საქციელით აქტიურად შეუწყოს ხელი მის მიერვე ჩადენილი ქმედების შედეგების გამოსწორებას.⁵⁵⁵ ამავე მოსაზრებას ადასტურებს პედაგოგიური, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური კვლევების შედეგები, რომელთა თანახმადაც, პოზიტიურ რეაქციითა და ქმედებებით შესაძლებელია უფრო მეტი შედეგის მიღწევა, ვიდრე სადამსჯელო რეპრესიული საშუალებებით.⁵⁵⁶

მ.შალიკაშვილის აზრით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან⁵⁵⁷ გამომდინარე, განრიდებას და სასჯელს აქვს ერთნაირი მიზნები, რაც დაუშვებელია, განრიდებას არ შეიძლება ისეთი მაღალი მიზანი დავუწესოთ, როგორც სასჯელს, ვინაიდან სასჯელის შეფარდების შემთხვევაში, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის ცხოვრებაში ჩარევა უფრო სიღრმისეულია, ვიდრე განრიდებას პროგრამაში ჩართვის დროს.⁵⁵⁸ მოცემულ მოსაზრების საწინააღმდეგო პოზიციას აფიქსირებს თ. ცქიტიშვილი და აღნიშნავს, რომ განრიდება და სასჯელი სხვადასხვა ინტენსივობის ჩარევასთან არის დაკავშირებული და ეს არ ნიშნავს იმას, რომ დასახელებული ღონისძიებები განსხვავებულ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს.⁵⁵⁹ სასჯელთა სახეებიც ადამიანის უფლებების განსხვავებული ინტენსივობით შეზღუდვას უკავშირდება, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ სხვადასხვა მიზნებს ემსახურება. განრიდება და სასჯელი ერთსა და იმავე მიზნებს, რომ შეიძლება ემსახურებოდეს, ამაზე მეტყველებს შემდეგი გარემოება: განრიდება სასჯელის ერთგვარი ალტერნატიული ღონისძიებაა და ისევე, როგორც

⁵⁵⁴ იხ. Zirn, V., Mediation im strafrechtlichen Ermittlungsverfahren, 2007, გვ.76.

⁵⁵⁵ იხ. იქვე, გვ.76.

⁵⁵⁶ იხ. იქვე, გვ.77.

⁵⁵⁷ ამკ-ს 38-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, განრიდებას განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ კუმულაციურად სახეზე იყოს ორი პირობა: ა) დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ჩადინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, ბ) უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება არის ამკ-ს 65-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნები.

⁵⁵⁸ იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, (სახელმძღვანელო), 2016, გვ. 110.

⁵⁵⁹ იხ. ცქიტიშვილი, თ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მატერიალურ სისხლისსამართლებრივი საკითხების რეგულირების ცალკეული ასპექტები, 2019, გვ. 217.

სასჯელი, განრიდების ღონისძიებაც, დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირის მიმართ გამოიყენება.⁵⁶⁰

აქვე აღვნიშნავთ, რომ ორივე მეცნიერს საინტერესოდ აქვს შედარებული სასჯელის და განრიდება/მედიაციის პროგრამის მიზნები, აქედან გამომდინარე, ვეთანხმებით, მ.შალიკაშვილის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, იმასთან დაკავშირებით, რომ სასჯელის შეფარდების დროს, არასრულწლოვანის ცხოვრებაში ჩარევას უფრო მეტად ინტენსიური და მარავლისმომცველი ხასიათი აქვს. თუმცა განრიდება/მედიაციის სამართლებრივი ფარგლებიდან, სოციალური მიზნობრიობიდან და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ შედეგზე ორიენტირებული ბუნებიდან გამომდინარე, ორივეს აქვს ერთიანი საერთო მიზანი, რომელიც შეიძლება ხარისხობრივად და არასრულწლოვანის პიროვნებაში ჩარევის ინტენსიური ხასიათის ჭრილში, შესაძლებელია ცალკეულ კატეგორიებად დავყოთ. ამ შემთხვევაში ერთპიროვნულად ვერ შევადარებთ არასრულწლოვნის სასჯელს ან განრიდება/მედიაციას, ინტერესის სფეროა მხოლოდ და მხოლოდ შედეგზე ორიენტირებული მათი საერთო მიზანი, რაც პირდაპირმიმართებაშია არასრულწლოვნის კანონმორჩილ მოქალაქედ ჩამოყალიბებასთან.

5.2. ნებაყოფლობითობის პრინციპი მედიაციის პროცესში

ნებაყოფლობითობის პრინციპს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მედიაციის პროცესში.⁵⁶¹ დაზარალებულის დამნაშავესთან შერიგების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მხარეების თავისუფალი ნება მონაწილეობა მიიღონ შერიგების პროცესში. მედიაცია თავისი არსით და ბუნებით მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად, შეიძლება მივიჩნიოთ. ნებაყოფლობითობაში მოიაზრება, მხარეების სურვილი, რათა მონაწილეობა მიიღონ მათ შორის დაწყებული კონფლიქტის მოგვარებაში და ჰქონდეთ ნებისმიერ ეტაპზე იმის შესაძლებლობა, რომ უარი თქვან ამ პროცესში მონაწილეობაზე.⁵⁶² არ შეიძლება დამნაშავეს დააძალონ ამ პროცესში მონაწილეობა, ვინაიდან, პროცესი ამით დაკარგავს თავის ძირითად მიზანს, დანაშაულის ჩამდენმა პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე.⁵⁶³ პირველ რიგში დაზარალებული-დამნაშავის

⁵⁶⁰ იხ. იქვე, გვ.217.

⁵⁶¹ იხ. შედარ: წულაძე, ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, 2016, გვ.26.

⁵⁶² იხ. შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური დაფსიქოლოგიური ასპექტები, 2013, გვ.32.

⁵⁶³ იხ. Bemann, G., Opfer-Ausgleich im Strafrecht. In: Juristische Rundschau, 2003, გვ.227.

მედიაში ორივე მხარის მონაწილეობა ყოველთვის ნებაყოფლობითი უნდა იყოს, ვინაიდან დაზარალებული, ისევე, როგორც დამნაშავე, საჭიროებს იმის შეგრძნებას, რომ მათ ყოველთვის აქვთ უფლება უარი თქვან შეხვედრაზე.⁵⁶⁴

აღსანიშნავია, რომ მედიატორი ვალდებულია დაადგინოს, რამდენად შეესაბამება განრიდებისა და/ან მედიაციის პროცესში მხარეების მონაწილეობა მათივე თავისუფალ ნება-სურვილს, ანუ რამდენად ნებაყოფლობითია მათი ქმედებები.⁵⁶⁵ მედიაცია ნებაყოფლობითი ხასიათის გარეშე, პირდაპირ წინააღდეგობაში იქნება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან. დამნაშავეს მედიაციაში იძულებით მონაწილეობა მის პიროვნულ შეცვლაზე საჭირო ეფექტს ვერ მოახდენს. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ დამნაშავე ამ პროცესში მონაწილეობდეს იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილოს სისხლისსამართლებრივი დევნა და სასჯელი. მიუხედავად ამ გარემოებისა, დამნაშავესა და დაზარალებულს უნდა ესმოდეთ, რომ დამნაშავეს შერიგება დაზარალებულთან მათი პრობლემის მოგვარებისა და მომავალი ურთიერთობის საუკეთესო ფორმაა.⁵⁶⁶

ნებაყოფლობითობასთან ერთად, იურიდიულ ლიტერატურაში, ჩამოყალიბებულია ფაქტიური არანებაყოფლობითობის ცნება. ფაქტიური არანებაყოფლობითობა იმ შემთხვევაშია სახეზე, როცა განრიდება-მედიაციის პროცესის მონაწილე ერთი მხარე იმდენად ძლიერია, რომ მას შეუძლია მოლაპარაკების დროს გარკვეული პირობები წაუყენოს მეორე მხარეს.⁵⁶⁷ ფაქტიური არანებაყოფლობითობა, მედიაციის პროცესში სახეზეა, თუ პროკურორი მოზარდს კონრეტული სახის ხელშეკრულებაში მოცემულ, მხოლოდ ერთ სავალდებულო საქმიანობას განუსაზღვრავს და ამ შემთხვევაში არასრულწლოვანს არ ექნება სხვა ალტერნატივა.⁵⁶⁸ აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვა სრულყოფილი მედიაციის ჩატარებისთვის აუცილებელი პირობაა. თავის მხრივ, მისი ასეთი მნიშვნელობა, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობს. სწორედ ნებაყოფლობითობის პრინციპზეა

⁵⁶⁴ იხ. გვენეტაძე, ნ., კვაჭაძე, მ., წიკლაური-ლამიხი, ქ., გაბუნია, მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, განრიდება და მედიაცია, 2012, გვ.218.

⁵⁶⁵ იხ. Haft, F., Gräfin von Schlieffen, K. (Hrsg.) Handbuch Mediation. 2009, გვ.32.

⁵⁶⁶ იხ. Hestermann, Th., Verbrechenopfer Leben nach der Tat. Reinbek bei Hamburg, 1997, გვ.181.

⁵⁶⁷ იხ. იქვე, გვ. 181.

⁵⁶⁸ იხ. შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, 2013. გვ. 33.

დამყარებული მედიაციის სრული პროცესი, რომელიც მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლების შედეგად იწყება.

5.2.1. მედიაციაზე უარი

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის N120 ბრძანებით დამტკიცებული, N1 დანართის მე-4 მუხლის მე-4 ქვეპუნქტის შესაბამისად, განრიდების პროცესის დაწყებაზე ან/და მედიაციაში მონაწილეობაზე, დაზარალებულის უარი, არ აბრკოლებს განრიდების პროცესს. აღნიშნული დანართის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილის ბოლო დათქმით, დაზარალებულს აქვს უფლება, ნებისმიერ დროს შეიცვალოს აზრი და შესაბამისად, ჩაერთოს მედიაციის პროცესში. კანონმდებელი დაზარალებულისთვის აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭებით, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს განერიდება-მედიაციის ფუნდამენტურ ნებაყოფლობითობის პრინციპს.

გენერალური პროკურატურის ოფიციალურ მონაცემებში ვკითხულობთ, რომ პრაქტიკაში საკმაოდ მრავლად არის შემთხვევები, როცა განრიდება-მედიაციის პროცესი დაზარალებულის გარეშე წარმომართება.⁵⁶⁹ უმრავლეს შემთხვევაში თავად დაზარალებულები ამბობენ უარს ამ შესაძლებლობაზე, ამავე დროს, არის მედიატორის მხრიდან მედიაციის ჩაშლის შემთხვევებიც. პრაქტიკაში, ასევე ფიქსირდება მედიაციის პროცესის ჩაშლა პროცედურული დარღვევების გამო.

აღსანიშნავია, რომ ისეთ შემთხვევაში, როცა დაზარალებული უარს აცხადებს მედიაციაზე, მიუხედავად ამისა, იგი თანახმაა ბავშვისა და ახალგაზრდის განრიდებაზე. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა დროის ფაქტორის გამო უარს აცხადებენ მედიაციის პროცესში ჩართვაზე.⁵⁷⁰ პრაქტიკაში შესაძლებელია მედიაციაზე უარის თქმის სხვადასხვა მიზეზი არსებობდეს. არის შემთხვევები, როცა დაზარალებულს საერთოდ არ აინტერესებს მედიაციის პროცესში ჩართვა და უარს ამბობს აღნიშნულზე მოუცლევლობის, დროის სიმცირის და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო გარემოებების გამო. მედიაციის დროს შესაძლებელია ერთ-ერთ მხარეს გარკვეულწილად არარეალური მოთხოვნები ჰქონდეს. ასეთ სიტუაციაში, მედიატორი კონკრეტული კითხვების დასმით, ცდილობს მხარე

⁵⁶⁹ იხ. არასრულწლოვანთა განრიდება, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/uploads/429f65a7-ganrideba-2019-weli-converted>.

⁵⁷⁰ იხ. არასრულწლოვანთა განრიდების პრაქტიკა, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <http://ganrideba.ge/?action=page&pid=52&lang=geo>

ერთგვარ რეალობას დაუბრუნოს.⁵⁷¹ მედიატორის დამოკიდებულებას პრობლემური საკითხისადმი და მიდგომას დაზარალებულის მიმართ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

5.2.2. მოსამზადებელი ეტაპი

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, მედიაციის პროცესი სისხლის სამართალში რამდენიმე ეტაპის მოიცავს: პირველია მოსამზადებელი, შემდეგ წინასაკონფერენციო და მედიაციის კონფერენცის ეტაპები. აღნიშნულ ეტაპებზე, ძირითად როლს მხარეთა მონაწილეობით მედიატორი ასრულებს. რაც შეეხება პირველ ეტაპს, მედიატორი მოსამზადებელ ეტაპზე, სპეციალური უნარ-ჩვევების გამოყენებით პროცესის დაწყებას უწყობს ხელს. იგი პროგრამის შესახებ ინფორმაციას განუმარტავს დაზარალებულს, ასევე აუხსნის პროგრამის არსს, მიზნებს, პრინციპებს და დადებით მხარეებს. ამ ეტაპზე მიეწოდება დაზარალებულს ინფორმაცია ზიანის ანაზღაურების საკითხის თაობაზე. მოსამზადებელი ეტაპი ეს ის სტადიაა, რა დროსაც მხარეებთან შეხვედრის შემდეგ მედიატორმა, პირველი დადებითი შთაბეჭდილება და კეთილგანწყობა უნდა შეუქმნას მათ. ასევე მხარეებს, როგორც წესი, ამ დროს უყალიბდებათ მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის განცდა.⁵⁷² ამ ეტაპზე ყალიბდება მედიატორის მიმართ გარკვეული ნდობა, რაც შემდგომ მთელი პროცესის განმავლობაში აისახება პროცესის მონაწილეთა დამოკიდებულებაზე.⁵⁷³ მნიშვნელოვანია, თუ როგორ დასვავენ-განათავსებენ მედიატორი მხარეებს, რათა ხელი არ შეეშალოს მხარეების ჩართულობას ამ პროცესში. პრაქტიკაში, აპრობირებული მეთოდია, მრგვალი მაგიდის გარშემო მხარეების განთავსება, რა დროსაც მცირდება ე.წ. გაუცხოების შეგრძნება და პროცესი ხდება უფრო ეფექტური.⁵⁷⁴ როგორც აღვნიშნეთ, დაზარალებულს განუმარტავენ, რომ მედიაციაში მონაწილეობაზე მისი უარი, არ დააბრკოლებს განრიდების პროცესს, თუმცა პროცესის მედიაციით წარმართვა, მნიშვნელოვანია, იმდენად, რამდენადაც, აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს თავისი დანაშაულებრივი ქმედების შედეგების განცობიერებაში და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებაში.⁵⁷⁵ მედიატორი,

⁵⁷¹ იხ. შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, 2013, გვ. 62.

⁵⁷² იხ. Chern, C., International Mediation, 2008, გვ. 122.

⁵⁷³ იხ. იქვე, გვ. 122.

⁵⁷⁴ იხ. Moore, C., The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict, 2013, გვ. 67.

⁵⁷⁵ იხ. იქვე, გვ. 68.

მხარეებს ასევე აწვდის ონფრომაციას პროგრამაში მონაწილეობის უპირატესობებთან და გარკვეულ რისკებთან დაკავშირებით. ეს პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაზარალებულთან მიმართებაში, ვინაიდან, ამ დროს დაზარალებული, მონაწილეობს მის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურების გარკვეულწილად განსაზღვრაში.⁵⁷⁶ კონფერენციის მსვლელობისას დაზარალებულს აქვს შესაძლებლობა გაესაუბროს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, ასევე უფლებამოსილია დაუსვას მას კითხვები და გამოხატოს საკუთარი შეხედულება ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების პირობებზე მხარეების ერთგვარი შეთანხმების შემდეგ, პროკურორი, მედიატორი და სოციალური მუშაკი თანხმდებიან კონფერენციის ტექნიკურ კომპონენტზე. თუ მხარეებს სურვილი აქვთ, კონფერენციაზე შეიძლება დამატებით სხვა მონაწილეების მოწვევაც. კონფერენციისათვის აუცილებელი გარემოებების უზრუნველყოფის შემდგომ, მედიატორი განსაზღვრავს წინასაკონფერენციო სპეციალურ ანგარიშს, სადაც დააფიქსირებს კონფერენციამდე ჩატარებულ ყველა მოქმედებას. ამ ეტაპზე თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ ხელშეკრულების პირობებზე, მედიატორი, მათ განუმარტავს სასურველ პირობებზე შეთანხმების შესაძლებლობას და ამის შესახებ, შეატყობინებს პროკურორს და სოციალურ მუშაკს.

5.2.3. წინასაკონფერენციო ეტაპი

მედიატორი, წინასაკონფერენციო ეტაპზე, ინდივიდუალურად ხვდება, როგორც დაზარალებულს, ისე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს. რა დროსაც, მედიატორი უძღვება მედიაციის პროცესს და მხარეებს ამაზედბს საერთო შეხვედრისათვის. ასევე, იგი მხარეთა საჭიროებებს, შეძლებისდაგვარად განიხილავს და აიდენტიფიცირებს, ასევე მის ამოცანას წარმოადგენს, რომ მხარეები, ნებაყოფლობით მიიყვანოს ხელშეკრულების სავარაუდო პირობებთან დაკავშირებულ კონსესუსამდე.⁵⁷⁷

წინასაკონფერენციო ეტაპის მიზანია, მედიატორის მიერ მხარეთა შორის ნდობის მოპოვება და ერთგვარი სამუშაო გარემოს შექმნა. ამ დროს, მხარეებს სრული ინფორმაცია მიეწოდებათ მედიაციის შესახებ. შესაბამისად, მხარეებს აქვთ უფლებამოსილება

⁵⁷⁶ იხ. იქვე, გვ. 69.

⁵⁷⁷ იხ. შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, 2013, გვ. 71.

შეუზღუდავად დასვან კითხვები, მათ შორის მედიატორის პიროვნების და კვალიფიკაციის შესახებ, მათთვის საინტერესო და დასაზუტებელ დეტალებთან დაკავშირებით.⁵⁷⁸ მედიატორისთვის, ფაქტიურად ყველა ეტაპი ძალიან საპასუხისმგებლოა, ვინაიდან მის კეთილსინდისიერებაზე, სამართლიანობაზე და მიმდებლობაზე ეფუძნება, მედიაციის მხარეთა გარკვეული ნდობა.

5.2.4. მედიაციის კონფერენცია

მედიატორი დასკვნით ეტაპზე, აორგანიზებს მედიაციის კონფერენციას, ანუ მედიაციის საერთო შეხვედრას. ამ დროს, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი და დაზარალებული ერთმანეთს პირადად ხვდებიან. მედიაციის კონფერენციაზე განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების მონაწილე მხარეები განიხილავენ ამ ხელშეკრულებას და შეთანხმების შემთხვევაში, ხელს ნებაყოფლობით აწერენ მას. მედიატორი უძღვება აღნიშნულ კონფერენციას და მასში მონაწილეობენ როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი და დაზარალებული, ისე პროკურორი, სოციალური მუშაკი და გამონაკლის შემთხვევაში, შესაძლებელია სხვა პირებიც.⁵⁷⁹

მხარეებს ამ დროს აქვთ უფლება გამოხატონ პირადი აზრი, შეხედულებები და ემოციები, ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისა და დამდგარი შედეგის თაობაზე. ასეთ დროს, მედიატორის ფუნქციას წარმოადგენს კონფერენციის აქტიური წარმართვა.

პრაქტიკაში, მედიატორი ყველაზე აქტიურად იყენებს ე.წ. „სარკე“-ს პრინციპს, რაც გულისხმობს, იმის დეტალურად გარკვევას, თუ მხარეები, რას გულისხმობენ და რას მოიაზრებენ, მათ ნათქვამში.⁵⁸⁰ მედიატორი მხარეს ხშირად ამეორებინებს ნათქვამს, აზუსტებს, თუ რამდენად გაიგო და გაანცობიერა მხარემ კონკრეტული საკითხი, ასევე ახსნევინებს მას, თუ რას გულისხმობს ნებაყოფლობით დაფიქსირებულ პოზიციაში.

⁵⁷⁸ იხ. Trenczek, T.M.A., Berning, D., Lenz C., Will, H.D., *Mediation und Konfliktmanagement*, 2017, გვ. 293.

⁵⁷⁹ იხ. არასრულწლოვანთა განრიდება, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <http://www.ganrideba.ge/?action=page&pid=46&lang=geo>.

⁵⁸⁰ იხ. Wode, M., Rabe, C.S., *Mediation*, Springer, 2014, გვ.64.

მედიატორი კონფერენციის ნებისმიერ ეტაპზე, მონაწილეთა გადაღლის, სიტუაციის დაძაბვით ან სხვა გარემოების საფუძველზე, საკუთარი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნის შესაბამისად, გამოაცხადებს მცირე შესვენებას.⁵⁸¹

აღსანიშნავია, რომ კონფერენციის ჩატარების წინასწარ განსაზღვრულ დღემდე გონივრული ვადით ადრე, მედიატორი უკავშირდება კონფერენციაში მონაწილე ყველა პირს და კიდევ ერთხელ შეახსენებს კონფერენციის თარიღს, დროსა და ადგილს.

მედიატორი წინასწარ, ამზადებს კონფერენციის ოთახს და გადაანაწილებს თითოეული მხარის ადგილს. ამ დროს არასრულწლოვანი და დაზარალებული ერთმანეთის პირისპირ მედიატორის მარჯვენა და მარცხენა მხარეს სხდებიან. პირველ შემთხვევაში სიტყვას წარმოთქვამს, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, ხოლო შემდეგ, სიტყვა დაზარალებულს გადაეცემა.

ხშირია შემთხვევები, დაზარალებულებს აქვს იმ ადამიანის შიში, რომელმაც იგი გარკვეულწილად დააზარალა. ზოგჯერ ვერ აცნობიერებენ იმას, რომ ამ შემთხვევაში მოზარდიც ჩვეულებრივი ადამიანი და მოქალაქეა, რომელმაც დაუშვა შეცდომა და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ ქმედებას. არის შემთხვევები, როცა დაზარალებულებს უამრავი შეკითხვა აქვს, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, პირველი კითხვა შემდეგში მდგომარეობს, რატომ მაინც და მაინც მე?⁵⁸²

აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს დამზარალებელს, გაანალიზოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგი და პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ თავზე.⁵⁸³

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერა, წარმოადგენს წარმატებული მედიაციის დასასრულს. ამ ხელშეკრულებაში განისაზღვრება მხარეთა უფლება-მოვალეობები, ასევე განრიდება-მედიაციის შემთხვევაში, შესაბამისი ღონისძიებები.

მედიატორი, არასრულწლოვანს აძლევს აზრის გამოხატვის საშუალებას, რის შემდეგაც იწყება, განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული თითოეული პირობის დეტალური განხილვა. მედიატორის ნებართვის შემთხვევაში მონაწილეები,

⁵⁸¹ იხ. შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, 2013, გვ. 73.

⁵⁸² იხ. არასრულწლოვანთა განრიდების პროცედურები, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო <http://prevention.gov.ge/page/31/geo>.

⁵⁸³ იხ. ქუთათელაძე, მ., განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, 2017, გვ. 147.

ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით აკეთებენ კომენტარებსა და ახსნა-განმარტებებს. მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულების პირობებს ყველა მონაწილე კარგად აცნობიერებდეს.⁵⁸⁴

მედიაციის კონფერენციის დასრულებისას მედიატორი, განუმარტავს მონაწილეებს, რომ ხელი მოაწერონ სამოქალაქო ხელშეკრულების ბოლო ვარიანტს. ამ ხელშეკრულებაში უნდა იყოს ყველა ის პირობა, რეკვიზიტი, შესრულების პირობები და ვადები, რომლებიც აუცილებელია მედიაციისთვის. მედიატორის მიერ მოწყობილი კონფერენცია, სადაც ხდება სამოქალაქო ხელშეკრულების გაფორმება, ვფიქრობთ, არასრულწლოვნის ფსიქიკაზე უნდა იყოს მორგებული.

იურდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მედიაციის კონფერენციის ხანგრძლივობის უნივერსალური დროის დადგენა შეუძლებელია. ყველაფერი დამოკიდებულია მხარეთა სურვილზე, მიაღწიონ შეთანხმებას, პრობლემური საკითხების ირგვლივ.⁵⁸⁵ თუმცა სასურველია, რომ მხარეებს წინასწარ მიეწოდოთ ინფორმაცია მედიაციის კონფერენციის სავარაუდო ხანგრძლივობაზე. ასეთი ინფორმაციის მიზანია, რომ მხარეებმა მედიაციის პროცესის გამართვის პერიოდში სრული კონცენტრაცია მოახდინონ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით და არ მოუხდეთ პირადი საქმეების გამო კონფერენციის დროებით თუ ხანგრძლივად დატოვება.⁵⁸⁶

აღსანიშნავია, რომ პროკურორი არ არის ვალდებული დაესწროს მედიაციის კონფერენციას. პროკურორი არც განრიდება/მედიაციის ხელშეკრულების მხარეს არ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, მედიატორთან გარკვეული კონსულტაციის შედეგად, მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, პროკურორი შესაძლებელია დაესწროს მედიაციის კონფერენციას. შეიძლება ითქვას, რომ პროკურორს მედიაციის პროცეში გარკვეულწილად პასიური უფლებამოსილება გააჩნია. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულსა და განსარიდებელ სუბიექტს შორის დიალოგის პროცესს სრულად მედიატორი წარმართავს, რომლის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით, ცალკე თავში ვიმსჯელებთ.

⁵⁸⁴ იბ. იქვე, გვ. 148.

⁵⁸⁵ იბ. Haft, F., Grafin von Schlieffen, 2009, გვ. 415.

⁵⁸⁶ იბ. იქვე, გვ. 415.

5.3. მედიატორი არასრულწლოვანთა მედიაციის პროცესში

არასრულწლოვანთა მედიაციის პროცესის მართებულად და მიუკერძოებლად წარმართვა, დამოკიდებულია მედიატორზე, რომელიც სათანადოდ უნდა იყოს მომზადებული. მედიატორი, როგორც ტერმინი, ლათინურად შუაკაცს, შუამავალს ნიშნავს, რომელიც დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთობის გარკვევას და გარკვეულწილად შეთანხმებას ცდილობს.⁵⁸⁷ კითხვაზე, თუ როგორი უნდა იყოს მედიატორი,⁵⁸⁸ იურიდიულ ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით, არაერთი პასუხი არსებობს. მედიაციის მრავალფეროვანი ხასიათის გამო, სირთულეს წარმოადგენს მედიატორის ერთიანი ცნების განსაზღვა. მაგ. მედიატორის ცნების ქვეშ გერმანიაში უფრო მოიაზრება პროფესიონალი კონფლიქტის დამრეგულირებელი პირი, ხოლო საფრანგეთში უფრო ნდობით აღჭურვილი პირი, ომბუდსმენი, წარმომადგენელი, რომელიც ძირითადად კერძო პირსა და სახელმწიფოს შორის არსებული კონფლიქტის მომწესრიგებელია.⁵⁸⁹ კერძო სამართლის მიმართულებით მედიატორის ცნება და როლი უფრო ფართოდ არის განმარტებული მედიაციის პროცესში. მედიატორი არ წარმოადგენს რომელიმე მხარეს, მას კონრეტულ საქმეში ინტერესი არ გააჩნია და მხარეთა კონფლიქტში, მიუკერძოებელი მესამე პირია.⁵⁹⁰ აღსანიშნავია, რომ მედიატორისათვის ერთ-ერთი ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი ამოცანა არის ის, რომ თავად აღიქვას სამყარო მხარის პოზიციიდან და ხელი შეუწყოს მოწინააღმდეგე მხარეებს, კრიტიკულად გაანალიზონ საკუთარი შეხედულებები.⁵⁹¹ მედიატორი უნდა იყოს მედიაციაში მონაწილე მხარეებისათვის (დამნაშავისა და დაზარალებულისათვის) მისაღები და ეთიკური პიროვნება, რომელსაც შესაბამისი ცოდნა და სპეციალური უნარები აქვს, რათა მხარეთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით, მშვიდობიანი გზით მოგვაროს კონფლიქტი.⁵⁹² არისტოტელეს მიხედვით, ადამიანის ეთიკურობა მის ქცევაში, ხასიათსა და აღნაგობაში მდგომარეობს.

⁵⁸⁷ იხ. Gläßer, U., *Mediation und Beziehungsgewalt*, 2008, გვ.59.

⁵⁸⁸ მედიატორის ქმედებაზე მედიაციის პროცესში გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, მათ შორის მისი პიროვნება, პროფესიონალური უნარები, გამოცდილება, განათლება მედიაციის სფეროში, მათი მსოფლმხედველობა, რწმენა, წარმოდგენები და მიდგომები მედიაციის პროცესისადმი, მედიატორის პასუხისმგებლობის გრძნობა, პროფესიული რეგულაციის ნორმები და კანონები რაც „მედიაციის ბაზარზე“ მოქმედებს, განსხვავებენ მედიატორის რამოდენიმე სახეობას, მათ შორის მოხალისე მედიატორებსაც, რომლებიც განსხვავდებიან განათლებით, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსითა და საქმიანობის სფეროთი. იხ. Kimberlee, K., *Mediation Principles and Practice*, 2004, გვ.264.

⁵⁸⁹ იხ. Haft, F., Gräfin, K., *Handbuch Mediation*, 2009, გვ.191.

⁵⁹⁰ იხ. ყანდაშვილი, ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არა სასამართლო

ფორმები, 2018, გვ. 112.

⁵⁹¹ იხ. Brown, J. H., Marriott A., *Principles and Practice*, 2011, გვ. 158.

⁵⁹² იხ. იქვე, გვ.158.

ვინც იცის, ამა თუ იმ სიტუაციაში, როგორ მოიქცეს, არის შინაგანად გაწონასწორებული და იმის გონებრივი შესაძლებლობაც აქვს, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღოს.⁵⁹³ ზოგიერთი მკვლევარი ხაზს უსვამს, რომ მედიატორი მედიაციის განხორციელების პროცესში აუცილებლად უნდა იყოს: ერთის მხრივ ნეიტრალური, მედიაციის პროცესზე პასუხისმგებელი, შემოქმედებითი ხასიათის მქონე, ერთგვარად კომუნიკაბელური და ასევე გარკვეულწილად მომთმენი და გაწონასწორებული.⁵⁹⁴ მნიშვნელოვანია, რომ მედიატორმა მხოლოდ კონფლიქტში მყოფი მხარეებისაგან გაიგოს მომხდარის შესახებ, ვინაიდან, არავინ არ არის ისე კარგად ინფორმირებული კონფლიქტის შესახებ, როგორც თვითონ მხარეები. ვფიქრობთ, რომ მედიატორის ამოცანაა, დაეხმაროს მხარეებს დიალოგის პროცესში და შესაბამისი ეთიკის წესების დაცვით, ხელი შეუწყოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის და დაზარალებულის პირვანდელი ურთიერთობის აღდგენას.

5.4. შეჯამება

თანამედროვე სახელმწიფოებში და მათ შორის საქართველოში, არასრულწლოვანთა მედიაცია, სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, თანდათან უფრო აქტუალური ხდება. როგორც კვლევაში აღინიშნა, მედიაცია აღდგენითი მართლმსაჯულების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რომელიც ხელს უწყობს დაზარალებულსა და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს შორის ადამიანური ურთიერთობის აღდგენას. მედიაციის არსიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, განრიდება-მედიაციის პროგრამის ეფექტიანი წარმართვა, გარკვეულწილად წარმატებული მედიაციის მაჩვენებელია. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა, მედიაციის პროცესის აქტიურად მხარდაჭერისთვის. მნიშვნელოვანია, შენარჩუნდეს მედიაციის ზრდის ტენდენცია რადგან, როგორც, უკვე აღვნიშნეთ, მედიაციის პროცესი განსაკუთრებულ, როლს თამაშობს მხარეთა შორის კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებასა და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების, გაანალიზება-გაცნობიერებაში.

⁵⁹³ იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, (სახელმძღვანელო), 2016, გვ.116.

⁵⁹⁴ იხ. ოსტერმილერი, ს., სვენსონი, დ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, 2014, გვ. 122.

აღსანიშნავია, რომ COVID 19-ით გამოწვეულმა კრიზისმა, დიდი ზეგავლენა მოახდინა მედიაციის პროცესზეც. იმ პერიოდში, როცა განრიდების პროგრამა დროებით შეჩერდა, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს მედიაციის ცენტრმა, ე.წ. დისტანციური მედიაციის დანერგვაზე გამახვილა ყურადღება. განრიდების პროგრამის სრულად აღდგენის შემდეგ, კონფლიქტის მხარეთა შორის დიალოგის პროცესი, სწორედ დისტანციურ რეჟიმში განხორციელდა, შესაბამისად, გართულდა ამ მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება. ამ კუთხით, გარკვეული ტექნიკური და სამართლებრივი ხარვეზები გამოიკვეთა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ხარვეზები დაკავშირებული იყო, ერთის მხრივ, ინვენტარის ტექნიკურ გაუმართაობასთან და, მეორეს მხრივ, მედიაციის დროში გაწევილ პროცესთან, რაც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის პროცესს გარკვეულწილად აფერხებდა.

აუცილებელია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ამ მიმართულებითაც გამოიძებნოს გარკვეული გზები და შემუშავდეს მედიაციის ელექტრონული მოდელის კონცეფცია, რათა მომავალშიც არ დადგეს სახელმწიფო მსგავსი გამოწვევის წინაშე და ამით საფრთხე არ შეექმნას არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვას.

თავი 6. დაზარალებული არასრულწლოვანთა განრიდება/მედიაციის პროგრამის ფარგლებში

6.1. დაზარალებულის სტატუსი

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, უკანასკნელი წლების განმავლობაში, განსაკუთრებული აქტუალურობით გამოირჩევა დაზარალებულის⁵⁹⁵ სისხლის საპროცესო სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისა და მისთვის შესაბამის უფლებამოსილებათა მინიჭების სამართლებრივ-პოლიტიკური საკითხი. ასევე აქტუალურია, დაზარალებულის როლი არასრულწლოვანთა განრიდება/მედიაციის პროგრამის ფარგლებში.⁵⁹⁶

საკითხის დეტალურად გაანალიზებისთვის დაისმის გარკვეული კითხვები, განრიდება/მედიაციის პროგრამის ფარგლებში დაზარალებული რა დოზით არის ჩართული? აქვს თუ არა დაზარალებულს აქტიური სუბიექტის როლი? რამდენად პასუხობს განრიდება/მედიაცია დაზარალებულის ძირითად მოთხოვნებს?

არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობაზე მსჯელობისას და დასმულ კითხვებზე პასუხების გასაანალიზებლად, გარკვეულწილად უნდა შევხვით ამ უკანასკნელის სტატუსს და ადგილს სისხლის საპროცესო სამართალში.

დაზარალებულის სტატუსის აქტუალობასთან დაკავშირებით, გ. თუმანიშვილი განმარტავს, კრიმინოლოგიურმა კვლევებმა, რომლებიც გარკვეულწილად დაზარალებულის დაცვისა და შესაბამისად, მართლმსაჯულების პროცესში მისი

⁵⁹⁵ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, დაზარალებული მრავალი წლის განმავლობაში გვევლინებოდა სისხლის სამართლის პროცესის აქტიურ მხარედ, რომელსაც ფართო საპროცესო უფლებამოსილება ჰქონდა დღეს არსებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, იგი პროცესის აქტიური სუბიექტი აღარ არის. მისი პროცესუალური მდგომარეობა დაყვანილია მოწმის ფუნქციამდე. არაერთმა გამოჩენილმა მეცნიერმა მიუძღვნა თავისი კვლევა დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობას. იურიდიულ ლიტერატურაში მრავალჯერ გამოითქვა მოსაზრება, რომ „დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესში ფართო უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს.“ აღნიშნული საკითხი საერთაშორისო დონეზეც კი, იქნა განხილული „გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის კავშირის საბჭოს მიერ, რომელთაც თავის გადაწყვეტილებებში წევრ ქვეყნებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დაზარალებულის პოზიციების გაუმჯობესებისკენ მოუწოდეს. დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესმა ნაწილმა ზემოაღნიშნული მითითებები გაითვალისწინა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებითი ცვლილებები შეიტანა დაზარალებულის სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობათა გასაუმჯობესებლად. იხ. თუმანიშვილი, გ., დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, სამართლის ჟურნალი, N2, 2009, გვ. 64.

⁵⁹⁶ იხ. თანადილაშვილი, ბ. დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა ინტერნაციონალიზაციის გზაზე მდგარ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, 2021, გვ. 260.

მოთხოვნების გათვალისწინების აუცილებლობაზე მიუთითებენ, განაპირობეს სისხლის სამართლის მეცნიერების ყურადღების ცენტრში დაზარალებულის მოქცევა.⁵⁹⁷

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, მოცემულია რომ დაზარალებულს წარმოადგენს სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც უშუალოდ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, მიადგა მორალური, ფიზიკური, თუ ქონებრივი ზიანი.⁵⁹⁸ რაც შეეხება დანაშაულის მომზადების ან მცდელობის დროს, ამ შემთხვევაში დაზარალებულია სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც შეიძლება მისდგომოდა ზიანი. ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო სამართალში დაზარალებული წარმოდგენილია, როგორც პროცესის პასიური მონაწილე და არა პროცესის აქტიური სუბიექტი.⁵⁹⁹ დაზარალებულის პროცესუალური სტატუსით მონაწილეობის მისაღებად, სისხლის სამართლის პროცესში, სავალდებულოა, როგორც მატერიალური, ისე ფორმალური საფუძვლების არსებობა.⁶⁰⁰ მატერიალური წინაპირობა გულისხმობს, იმას რომ კონკრეტულ პირს, უშუალოდ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შედეგად უნდა მიადგეს მორალური, ფიზიკური, ან ქონებრივი ზიანი. ფორმალურ წინაპირობაში კი მოიაზრება, პროკურორის მიერ დადგენილების გამოტანა,

დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ გამოძიების სტადიაზე ხდება პირის დაზარალებულად ცნობა. პროკურორისთვის თუ გამოძიების დაწყებისთანავე, ცნობილი გახდა დანაშაულებრივი ქმედებით პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, მან სისხლის სამართლის საქმეზე უნდა გამოიტანოს დაზარალებულად ცნობის დადგენილება. მნიშვნელოვანია, რომ პირის დაზარალებულად ცნობა არც ერთ შემთხვევაში არ არის დამოკიდებული არც სხვერპლის ნება-სურვილზე, ასაკზე ან ფიზიკურ მდგომარეობაზე. პროკურორი პირის დაზარალებულად ცნობის, მატერიალურ წინაპირობების გარკვევის შემდეგ, ვლადებულება პირს მიანიჭოს დაზარალებულის პროცესუალური სტატუსი. კანონმდებელი სსსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილში განმარტავს, რომ მოწმის ყველა უფლება და ყველა მოვალეობა გააჩნია დაზარალებულს. კანონმდებელი დაზარალებულს ანიჭებს უფლებამოსილებას,

⁵⁹⁷ იხ. თუმანიშვილი, გ., დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, სამართლის ჟურნალი, N2, 2009, გვ. 65.

⁵⁹⁸ იხ. ფაფიაშვილი, ლ., თუმანიშვილი, გ., კვაჭანტირაძე, დ., ლიპარტელიანი, ლ., დადეშქელიანი, გ., გუნცაძე, შ., მუხრანბერი, ნ., თოლორაია, ლ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2015, გვ.218.

⁵⁹⁹ იხ. თუმანიშვილი, გ., სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, აღდგენითი (რესტორაციული)მართლმსაჯულება და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში, 2011, გვ. 269.

⁶⁰⁰ იხ. ხატიაშვილი, გ., დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში (საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები), 2016, გვ.34.

რომ სისხლის სამართლის პროცესში აქტიურად მიიღოს მონაწილეობა.⁶⁰¹ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გაგზავნამდე, პროკურორი უფლებამოსილია პირი ცნოს დაზარალებულად. თუმცა საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, სასამართლოში პირისთვის დაზარალებულის პროცესუალური სტატუსის განსაზღვა სამართლებრივად შეუძლებელია. პირისთვის დაზარალებულად, ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის საფუძველს შესაძლებელია წარმოადგენდეს, ამის თაობაზე პროკურორისთვის განცხადებით მიმართვა.⁶⁰²

აქედან გამომდინარე, აუციელებელია გაეცეს პასუხი კითხვას, თუ როგორ განიმარტება დაზარალებულად ცნობის საფუძველი? იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულთან დაკავშირებით, ერთიანი მიდგომა არ არსებობს, თუმცა ე.წ. „სათანადო საფუძველი“-ზე მსჯელობისას, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს სსსკ-ის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილში მოცემული დაზარალებულის ცნება,⁶⁰³ რომელსაც ხსენებულ მუხლში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნათლად განმარტავს კანონმდებელი.

სსსკ-ის 56-ე მუხლის შესაბამისად, პროკურორი იმ შემთხვევაში გააცნობს პირს თავის უფლებებს, როცა მას დაზარალებულად ცნობს. პროკურორი, ამ დროს, არ არის კონკრეტული ვადით შეზღუდული. მნიშვნელოვანია, რომ პროკურორი, მხოლოდ იმ შემთხვევაშია ვადებში შეზღუდული, როცა პირისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება ხდება უშალოდ მსხვერპლის ინიციატივით. პროკურორი, ვალდებულია პირის მიერ განცხადების წარდგენიდან 48 საათის ვადაში, მიიღოს დადგენილება დაზარალებულად ცნობის, ან მასზე უარის თქმის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, სხვა დანარჩენ შემთხვევაში, კანონმდებელი კონკრეტული ვადით არ ზღუდავს პროკურორს. პრაქტიკაში აღნიშნული დათქმის, ირგვლივ გარკვეული ორაზროვნება არსებობს. რადგან, აღნიშნული მიმართულებით, არ არსებობს ერთგვაროვანი ტენდენცია, თუ მსხვერპლისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება, როდის უნდა მოხდეს. ერთ შემთხვევაში გამოძიების დაწყებისთანავე ცნობს პროკურორი მსხვერპლს

⁶⁰¹ იხ. გვენეტაძე, ნ., კვაჭაძე, მ., წიკლაური-ლამიხი, ქ., გაბუნია, მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, განრიდება და მედიაცია, 2012, გვ. 152.

⁶⁰² იხ. ფაფიაშვილი, ლ., თუმანიშვილი, გ., კვაჭანტირაძე, დ., ლიპარტელიანი, ლ., დადემუქელიანი, გ., გუნცაძე, შ., მეზვრიშვილი, ნ., თოლორაია, ლ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2015, გვ.219.

⁶⁰³ იხ. თანდილაშვილი, ხ., დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა ინტერნაციონალიზაციის გზაზე მდგარ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, 2022, გვ.110.

დაზარალებულად, მეორე შემთხვევაში კი, პირის სისხლისსამართლებრივ დევნის დაწყების შემდეგ.⁶⁰⁴

იურიდიულ ლიტერატურაში და ასევე პროკურატურის არსებულ პრაქტიკაში, ეს საკითხი გარკვეული მსჯელობის საგანია და მისი ძირეული განხილვა სცდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ვიწრო ფარგლებს. უდავოა, რომ დაზარალებულის სტატუსი პირდაპირ მიმართებაშია მის უფლებრივ მდგომარეობასთან და აქცენტს მხოლოდ არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების ჩარჩოებთან თანაფარდობაში გავაკეთებთ.

6.1.1. დაზარალებულის ჩართულობა არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროცესში

ქართულ კანონმდებლობაში დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა, როგორც უკვე აღინიშნა ყოველთვის ყურადღების ცენტრშია. მათ შორის მნიშვნელოვანია მისი ჩართულობა არასრულწლოვანთა განრიდება/მედიაციის პროცესში.

კანონმდებლის მოთხოვნა, რომ პროკურორმა განრიდების გაფორმებამდე, დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია, იურიდიულ ლიტერატურაში შეფასებულია, როგორც ფორმალური ხასიათის დამაბრკოლებელი გარემოება. დაზარალებულის და პროკურორის საუბარს, არ გააჩნია ე.წ. „მბოჭავი ძალა,“ აქედან გამომდინარე, დასტურდება, რომ დაზარალებულის მოსაზრება გარკვეულწილად ვერ მოახდენს ზემოქმედებას შემაჯამებელ გადაწყვეტილებაზე.⁶⁰⁵ აღსანიშნავია, რომ დაზარალებულის უარი განრიდებაზე, ან მედიაციაში მონაწილეობაზე, არ აბრკოლებს განრიდების პროცესს.⁶⁰⁶ სიტყვა „კონსულტაცია“-დან გამომდინარეობს, რომ თუ პროკურორის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა დაზარალებული, პროკურორს მაინც შეუძლია განრიდების პროცესის დაწყება.

⁶⁰⁴ იხ. თანდილაშვილი, ხ., დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა და ევროპული სტანდარტები, ნაშრომში: თუმანიშვილი, გ., ჯიშკარიანი, ბ., შრამი, ე., ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, 2019, გვ. 324.

⁶⁰⁵ იხ. თანდილაშვილი, ხ., სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით გერმანულ - ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, N2, 2017, გვ. 56.

⁶⁰⁶ იხ. შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, 2013, გვ. 58.

საქართველოში განრიდების პროცესში დაზარალებული ფაქტიურად მიზერულად მონაწილეობს, ისიც არა დამნაშავესთან დიალოგისა და ერთგვარი კომუნიკაციის, არამედ, მხოლოდ და მხოლოდ პროკურორთან ერთგვარი კონსულტაციების გავლის მიზნით.

კანონმდებელი არ აკონკრეტებს პროკურორის დაზარალებულთან კომუნიკაციის ფარგლებს და მისი განხორციელებს ხერხს, ამ დროს ჩნდება კითხვა დაზარალებულთან კონსულტაციას პროკურორი გადის პირადად, უშუალოდ შეხვედრის გზით და კომუნიკაციის სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით ამყარებს? ასეთ შემთხვევაში ხდება პირდაპირი, თუ არაპირდაპირი კომუნიკაცია,⁶⁰⁷ მაგ: წერილობით, აუდიო ჩანაწერით, ტელეფონით, ან სხვა ტექნიკური საშუალებებით? აღნიშნულთან დაკავშირებით, არც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშია ალტერნატიული მოსაზრება ნახსენები და, ვფიქრობთ, რომ საკითხის გაანალიზებისთვის საინტერესოა გადავხედოთ პროკურატურის და საგამომიებო ორგანოების პრაქტიკას.

აღსანიშნავია, რომ 2021-22 წლების საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პროკურატურის და საგამომიებო ორგანოების პრაქტიკის⁶⁰⁸ მიხედვით, უმრავლეს შემთხვევაში პროკურორის მიერ განრიდების გაფორმებამდე, დაზარალებულთან კონსულტაციის გავლა ხდება, სატელეფონო ტექნიკური საშუალების მეშვეობით. მეტი სიცხადისთვის, პროკურორი სატელეფონო კომუნიკაციის გზით გადის კონსულტაციას დაზარალებულთან, კერძოდ, აწვდის მას სისხლის სამართლის საქმის შესახებ ინფორმაციას, უნმარტავს დაზარალებულს, რომ განსარიდებელი პირის მიერ ჩადენილი ქმედება, როგორც ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის დანაშაული არ ქმნის მაღალ საზოგადოებრივ საშიშროებას და სისხლის სამართლის ჰუმანური პოლიტიკის ფარგლებიდან გამომდინარე, დასაშვებია სასჯელის მიზნების ალტერნატიული გზებით მიღწევაც. ასევე აწვდის ინფორმაციას განრიდების ღონისძიებების სახის და ფარგლების გამოყენების თაობაზე.

პროკურორის და დაზარალებულის სატელეფონო საუბარი, რომელიც ეხება პირველ რიგში დაზარალებულის ფსიქო-სოციალურ მდგომარეობას, სისხლის სამართლის საქმეზე არსებით ინფორმაციას, განსარიდებელი პირის მომავალ ბედს და სისხლის სამართლის

⁶⁰⁷ იხ. Lauwaert, K., European Criminal Justice Policies on Victims and Restorative Justice Vanfraechem, 2015, გვ. 256.

⁶⁰⁸ დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში, შევისწავლეთ და დავამუშავეთ 2021-22 წლების საანგარიშო პერიოდში პროკურატურის და შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საგამომიებო დანაყოფების ქვემდებარებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეები, საიდანაც დასტურდება, რომ 50 საქმიდან, ბრალდების მხარე, 85 პროცენტზე განრიდების გაფორმებამდე დაზარალებულთან სატელეფონო ტექნიკური საშუალებით გადის კონსულტაციას.

პოლიტიკის მიზნებს, ვფიქრობთ, რომ კანონმდებლის მიერ ზოგადი ხასიათის ჩანაწერი, დაზარალებულთან კონსულტაციის თაობაზე, პრაქტიკაში ნაწილობრივ დამახინჯებული ფორმით იქნა ჩამოყალიბებული.⁶⁰⁹

დაზარალებულთან კომუნიკაციას, პროკურორი დიდი სიფრთხილით უნდა მიუდგეს, რადგან იგი არ გააღიზიანოს და გარკვეულწილად უკმაყოფილო არ დატოვოს. პროკურორმა უნდა განუმარტოს დაზარალებულს იმის შესახებ, თუ განრიდების პროცესში მონაწილეობა, რატომ არის მისთვის სასარგებლო, ასევე ისიც, რომ კონკრეტულად რა დადებითი მხარეები ექნება მისთვის მედიაციის პროცესში ჩართვას.⁶¹⁰

მედიაციის პროცესში დანაშაულის მსხვერპლისთვის გასაგები ხდება დანაშაულის ჩადენის მოტივი. კერძოდ, მისთვის ნათელი ხდება, თუ რატომ ჩაიდინა დამნაშავემ ეს ქმედება, რისი მსხვერპლიც თვითონ გახდა, რა მოტივი ამომრავებდა დამნაშავეს და რა მიზანს ემსახურებოდა დანაშაულებრივი ქმედება.⁶¹¹ ზემოაღნიშნულის ცოდნა დაზარალებულს ეხმარება დამნაშავის მიმართ არსებული შიშის დაძლევაში, რაც დანაშაულის მსხვერპლის რეინტეგრაციისთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ დაზარალებული, მოქმედი კანონმდებლობით, არ არის პროცესიდან გათიშული და მასთან ერთგვარი კონსულტაციის შემდეგ, ხდება განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, თუმცა, პროკურორი არ არის ვალდებული, გაითვალისწინოს დაზარალებულის უარი.შესაბამისად, უდავოა, რომ ხელშეკრულების მხარეს არ წარმოადგენს დაზარალებული. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ერთგვარად არსებობს იმის საფრთხე, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში გარკვეულწილად ზიანი მიადგეს დაზარალებულის ინტერესებს.

6.1.2. დაზარალებულის საჭიროებები აღდგენით მართლმსაჯულებაში

იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია, რომ დაზარალებულს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად უჩნდება მთელი რიგი საჭიროებები, რომლებიც სისხლის სამართლის

⁶⁰⁹ გასათვალისწინებელია ქვეყანაში განვითარებული პანდემიის მდგომარეობაც, როცა სასამართლო და სამართალდამცავი სტრუქტურა ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმზე იყო გადასული. ვინაიდან „არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის განხორციელება პანდემიის პირობებში,“ ცალკე თავად დავამუშავეთ, ამ შემთხვევაში ხსენებულ საკითხზე აღარ შევჩერდებით.

⁶¹⁰ იხ. შალიკაშვილი, მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, 2013, გვ. 57.

⁶¹¹ იხ. შალიკაშვილი, მ., ვიქტიმოლოგია-მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, 2011, გვ.132.

მართლმსაჯულების განხორციელების დროს უნდა დაკმაყოფილდეს.⁶¹² ხ.თანდილაშვილის აზრით, აღნიშნული საჭიროებები შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს: პატივისცემით მოპყრობა, სისხლის სამართლის საქმეზე ინფორმაციის მიღება, მართლმსაჯულებაში მონაწილეობა, დანაშაულის ჩამდენისთვის პროპორციული სასჯელის შეფარდება, ასევე, მხარდაჭერა, დაცვა და კომპენსაცია.⁶¹³

ამ მიმართულებით მრავალი კვლევით დასტურდება, რომ დაზარალებულის კმაყოფილებისთვის მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში უფლებამოსილი პირები მას ეპყრობოდნენ პატივისცემით, თანაგრძნობით და გამგებიანად. ასევე, მსხვერპლებისთვის პატივისცემით მოპყრობა, ამ პროცესის შედეგებზე უფრო მნიშვნელოვანია.⁶¹⁴ დაზარალებულისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან ეს იქნება პროკურატურა, საგამომძიებო ორგანო, თუ პოლიცია მხრიდან პირველი კონტაქტი, პირველი შთაბეჭდილება, რაც ფაქტიურად სისხლის სამართლის საქმის სხვადასხვა ეტაპზე ყოველთვის რჩება მის მეხსიერებაში.⁶¹⁵

აღსანიშნავია, რომ დაზარალებულის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინებით გარკვეულ შემთხვევებში, როცა ეს შეტყობინება შესაძლო დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, სისხლის სამართლის პროცესი იწყება და სწორედ ამ დროს იკვეთება სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი, კრიმინალთან ბრძოლასა საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. აქედან გამომდინარე, დაზარალებული, როგორც დანაშაულის მსხვერპლი, თუ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემით არ იქნება კმაყოფილი, ბუნებრივია, რომ იგი სახელმწიფოსთან არ ითანაშრომლებს.⁶¹⁶ დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაზარალებულის კმაყოფილებას და უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან პატივისცემით მოპყრობას.⁶¹⁷ სწორედ ღირსებით მოპყრობის და პატივისცემის გამოვლინებაა, როდესაც დაზარალებულს სრულად მიაწვდიან ინფორმაციას, ერთგვარად უზრუნველყოფენ მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და როცა მასთან

⁶¹² იხ. Tampe, E., Verbrechenopfer, 1992, გვ.95.

⁶¹³ იხ. თანდილაშვილი, ხ., დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა ინტერნაციონალიზაციის გზაზე მდგარ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, 2022, გვ.55.

⁶¹⁴ იხ. Antonsdóttir, H.F., 'A Witness in My own Case': Victim-survivors' Views on the Criminal Justice Process in Iceland, 2018, გვ. 308.

⁶¹⁵ იხ. იქვე, გვ.308.

⁶¹⁶ იხ. Weisser, R.S., Belastungen von Opfern in Ermittlungsverfahren, Forschungsbericht, 2017, გვ.12.

⁶¹⁷ იხ. იქვე, გვ.12.

კონსულტაციას გადიან და ასევე ითვალისწინებენ მის მრავალ ინტერესს.⁶¹⁸ უდავოა, რომ აღდგენითი მართლმსაჯულებაში, მისი სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, ხდება დაზარალებულის საჭიროებების ერთგვარი დაკმაყოფილება. დანაშაულის ირგვლივ, ბუნებრივია, რომ დაზარალებულს უჩნდება გარკვეული კითხვები, რაზეც აუცილებლად უნდა მიეწოდოს სრულყოფილი ინფრომაცია.⁶¹⁹ არის შემთხვევები, როცა დაზარალებულისთვის მნიშვნელოვანია, თავისი ისტორია დამნაშავეს ნაწილობრივ მოუყვეს და შეძლებისდაგვარად გააგებინოს, თუ რა ზიანი მიადგა, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგად.⁶²⁰ დაზარალებულები ხშირად გამოხატავენ წუხილს, იმასთან დაკავშირებით, რომ დანაშაულის შედეგად გარკვეულწილად დაკარგეს საკუთარ ცხოვრებასა და ემოციებზე კონტროლი.⁶²¹ სისხლის სამართლის საქმის ვითარებიდან გამომდინარე, ხშირად დაზარალებული თვითონ განსაზღვრავს მის წინაშე არსებულ საჭიროებებს და ამ ყველაფერს აფიქსირებს უფლებამოსილ პირებთან. აღსანიშნავია, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში, დაზარალებულს შეძლებისდაგვარად უბრუნდება საკუთარ თავზე კონტროლის განცდა.⁶²² აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და მიზანი გარკვეულწილად მიმართულია დაზარალებულის საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ, როგორც წესი, ამ შემთხვევაში დაზარალებულს მასში ჩართვის როგორც ინტერესი, ისე სურვილი აქვს.⁶²³ იურიდიულ ლიტერატურაში ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ დაზარალებულს უფრო მეტად ამოდრავებთ აღდგენით მართლმსაჯულებაში მონაწილეობის, ვიდრე შურისძიებისა და მკაცრი სასჯელის შეფარდების სურვილი.⁶²⁴ ვინაიდან აღდგენით მართლმსაჯულებაში მონაწილეობით, უადვილდება მას, დანაშაულის შედეგად მიყენებული ტრამვების დაძლევა. აქედან გამომდინარე, დაზარალებულის საჭიროებების დაკმაყოფილების პროცესში, დიდ როლს თამაშობს მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორი, რომელსაც მომდევნო საკითხად განვიხილავთ.

⁶¹⁸ იხ. Wemmers, J.A., Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, გვ.89.

⁶¹⁹ იხ. თანდილაშვილი, ხ., დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა ინტერნაციონალიზაციის გზაზე მდგარ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, 2022, გვ.64.

⁶²⁰ იხ. იქვე, გვ.64.

⁶²¹ იხ. Miers, D., An International Review of Restorative Justice, Home Office, Crime Reduction Research Series, 2001, გვ.

⁶²² იხ. Wemmers, J.A., Justice Réparatrice telle que Conçue par les Victimes et les Adolescents Contrevenants, 2009, გვ. 135.

⁶²³ იხ. იქვე, გვ.135.

⁶²⁴ იხ. Roberts, E., Paradigms and Paradoxes of Victimology, 1996, გვ.22.

6.2. მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორი არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში

დანაშაულის შედეგად გამოწვეული დაბნეულობა, შიში და სტრესი გარკვეულწილად ართულებს სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას განსაკუთრებით დაზარალებულთან და მოწმესთან კომუნიკაციას. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დანაშაულის ფაქტზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით, გადადგმული ნაბიჯები და სისხლის სამართლის პროცესის ფორმალური მხარის დაცვა, ხშირად დაზარალებულისთვის/მოწმისთვის დამატებითი დისკომფორტია და გაუაზრებლად იწვევს დანაშაულის მსხვერპლთა მეორეულ ვიქტიმიზაციას.⁶²⁵ ამ და სხვა პრობლემების გადაჭრის მიზნით შესწავლილ იქნა აშშ-ის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და სხვა წამყვანი ქვეყნების მაგალითები, სადაც დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური.⁶²⁶

აშშ-ში თუ პირი დაზარალებული ან მოწმეა, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის პროგრამაში, მას სთავაზობენ გარკვეულ სერვისს, როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის ეტაპზე. დაზარალებული პირი შეიძლება განიცდიდეს გაურკვევლობას, იმედგაცრუებას და შიშს. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი ეხმარება პირს ამ განცდების დაძლევაში.⁶²⁷

2011 წლის აგვისტოდან, საქართველოს პროკურატურაში, სხვა დემოკრატიული ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების მსგავსად, ამოქმედდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური.⁶²⁸ აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, რა დატვირთვა აქვს მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორს აღდგენით მართლმსაჯულებაში და რატომ

⁶²⁵ იხ. მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორი, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/news/mowmisa-da-dazaralebulis-koordinators-samsaxuri>.

⁶²⁶ იხ. თანდილაშვილი, ხ. სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, N2, 2017, გვ.55.

⁶²⁷ იხ. Williams, E., What Are the Qualifi for Becoming a Vic m/Witness Coordinator? 2016, გვ.14.

⁶²⁸ ამ სამსახურის შექმნის წინაპირობა იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებები, რომლის მიხედვითაც დაზარალებული აღარ წარმოადგენს პროცესის მხარეს და მისი უფლებრივი მდგომარეობა შეიცვალა პროცესის მონაწილის სტატუსით. ამ ცვლილებამ აუცილებელი გახადა ისეთი სერვისის შექმნა, რომელიც სისხლის სამართლის საქმის მსვლელობისას, უზრუნველყოფდა მოწმისა და დაზარალებულისთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივებას, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირებას, ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებასა და გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2018 წელს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილებების შეტანა განპირობებული იყო იმით, რომ კოორდინატორმა სამართალწარმოების პროცესში სრულყოფილად უზრუნველყოს მისი ფუნქცია-მოვალეობების განხორციელება იხ. მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორი, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/news/mowmisa-da-dazaralebulis-koordinators-samsaxuri>.

დადგა აღნიშნული სამსახურის შექმნის საჭიროება? დავიწყით იმით, ამ სამსახურის მიზანია დაზარალებულს, მართლმსაჯულების პროცეში გაუადვილოს სხვადასხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთგვარი კომუნიკაცია და მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება. ასევე კოორდინატორთა მუშაობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ის, რომ სამართალდამცავ ორგანოებთან დაზარალებულის ურთიერთობა მის ინტერესებზე ორიენტირებული.⁶²⁹

შედარებით მოგვიანებით, 2019 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს „სისტემური განახლების,” საგამოძიებო მიმართულების რეფორმის ფარგლებში, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურმა დაიწყო ფუნქციონირება. ვინაიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია დანაშაულის მსხვერპლისა და მოწმის მხარდაჭერა, მათი დაცვა, რათა ხელახალი, ან განმეორებითი ვიქტიმიზაცია არ მოხდეს.⁶³⁰

2018 წელს, სსკ-ში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ფარგლებში, კანონმდებელმა აღნიშნული სამსახური ინსტიტუციურად კიდევ უფრო გააძლიერა. ამ ცვლილების მიხედვით, კოორდინატორი წარმოადგენს უკვე სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე სუბიექტს და იგი აღჭურვილია, არაერთი მნიშვნელოვანი ფუნქციით. კოორდინატორის ფუნქცია-მოვალეობებს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, კანონმდებლის მიერ მეშვიდე პრიმა თავი მიეძღვნა.

აღსანიშნავია, რომ კოორდინატორი, როგორც პროცესის მონაწილე სუბიექტი ესწრება დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებს და ასევე დახურულ სასამართლო პროცესებს. დაზარალებულს იგი მარტივი და მისთვის გასაგები ენით, აწვდის ინფორმაციას სისხლის სამართლის პროცესის გარკვეული ეტაპების შესახებ. კოორდინატორი, ასევე ხელს უწყობს დაზარალებულს, არსებული სახელმწიფო სერვისებით სარგებლობაში.⁶³¹

სსსკ-ს 581-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, პროკურორი სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერ ეტაპზე განიხილავს, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის

⁶²⁹ იხ. კავთუაშვილი, ე., მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი სისხლის სამართლის პროცესში, სამართალი და მსოფლიო, N10, 2018, გვ.72.

⁶³⁰ იხ. მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministroshi-motsmisa-da-dazaralebulis-koordinatoris-samsakhuri-amogmedda/12442>.

⁶³¹ იხ. მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორი, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/news/mowmisa-da-dazaralebulis-koordinatoris-samsaxuri>.

მიზანშეწონილობის საკითხს, ხოლო გამომძიებელს, კანონმდებელი ამ უფლებამოსილებას, მხოლოდ საქმის სასამართლოში წარმართვამდე ანიჭებს.⁶³² აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში პროკურორი რთავს საქართველოს პროკურატურის კოორდინატორს, ხოლო გამომძიებელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს კოორდინატორს. რომელთა განმასხვავებელი მაჩვენებელი, მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის ეტაპია.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის შემდეგ, იგი უკავშირდება მოწმეს/დაზარალებულს და გააცნობს მის ფუნქცია-მოვალეობებს. მნიშვნელოვანია, რომ ეს კომუნიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც სატელეფონო ზარის გამოყენებით, ისე პირისპირ შეხვედრის ფარგლებში.

პროკურორთან შეთანხმებით კოორდინატორს უფლება აქვს დაზარალებულს მიაწოდოს ინფორმაცია: როგორც გამოძიების დაწყების ან განახლების, საქმის ქვემდებარეობით გადაგზავნის, დაზარალებულად ცნობის და ზიანის ანაზღაურების, ისე დისკრეციის, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შესახებ.

აშშ-ში სამართალდამცავი უწყება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურში აყვანისას, დიდ ყურადღებას აქცევენ მის სამუშაო პრაქტიკას, რომელიც პირდაპირ მიმართებაში უნდა იყოს მსხვერპლთან დაკავშირებულ საქმიანობასთან.⁶³³ ამ პოზიციაზე ბუნებრივია, არ შეიძლება განხილულ იქნეს ნასამართლევი პირი. მინესოტის შტატში, მაგ: ავტომობილის მართვისას ბოლო სამი წლის განმავლობაში წესების სერიოზული დარღვევაც არ უნდა ჰქონდეს კანდიდატს.⁶³⁴ ხოლო, რაც შეეხება თვისობრივ მახასიათებლებს, აუცილებელია, რომ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი იყოს

⁶³² როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს ყავს კოორდინატორის უფლებამოსილებით აღჭურვილი სხვადასხვა პირი. დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, ერთ სისხლის სამართლის საქმეზე შესაძლებელია ჩართოს ორი მნიშვნელოვანი სახელმწიფო უწყების სხვადასხვა კოორდინატორი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები ერთმანეთის იდენტურია. საკითხის მეტი სიგნალისთვის პროკურორი რთავს კოორდინატორს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, ხოლო, გამომძიებელი საქმის სასამართლოში წარმართვამდე. ვფიქრობთ, რომ კოორდინატორის სამსახურის მეტი დამოუკიდებლობისთვის, მისი ფუნქცია-მოვალეობის და სისხლის სამართლის საქმეებზე ჩართვის ეფექტურობისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს პროკურატურის კოორდინატორთა სამსახურის ბაზაზე, შეიქმნას ახალი სახელმწიფო დამოუკიდებელი უწყება „კოორდინატორის სამსახურის“ სახით, რომელიც მიიღებს და მოამზადებს კვალიფიციურ კადრებს. ვფიქრობთ, რომ სახელმწიფო ეკონომიკური თვალსაზრისით, აღნიშნული სამსახურის შექმნა მისი მომავალი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე გამართლებული იქნება.

⁶³³ იხ. Williams, E., What Are the Qualifications for Becoming a Victim/Witness Coordinator? 2016, გვ.16

⁶³⁴ იხ. იქვე, გვ.16.

მომთმენი და შემწყნარებელი, ვინაიდან, მას აქვს შეხება აგრესიულ, შეშინებულ და დაუცველ ადამიანებთან.⁶³⁵

საქართველოს გენერალური პროკურატურის 2017-2018 წლების სტატისტიკური მონაცემებით⁶³⁶ დასტურდება, რომ 2017 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით ისარგებლა 9913 მოქალაქემ. მათ შორის: დაზარალებული 3986, მოწმე 1825, ბრალდებული (მისი ოჯახის წევრი/ნათესავი ან ადვოკატი) 598, განმცხადებელი 2668, სხვა პირი 836. ხოლო 2018 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით სულ ისარგებლა 9292 მოქალაქემ. მათ შორის: დაზარალებული 3891, მოწმე 2341, არასრულწლოვანი დაზარალებული 67, არასრულწლოვანი მოწმე 61, ბრალდებული (მისი ოჯახის წევრი/ნათესავი ან ადვოკატი) 507, განმცხადებელი 1810, სხვა პირი 615.

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ უნდა გაიზარდოს მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორის სისხლის სამართლის საქმეებში ჩართვის მაჩვენებელი, რადგან პრაქტიკა აჩვენებს, რომ კოორდინატორის აქტიური ჩართულობა, მოწმისა და დაზარალებულის ურთიერთობას სამართალდამცავ სისტემასთან უფრო ეფექტურს გახდის. ვფიქრობთ, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის უფლებრივ და პრაქტიკულ საქმიანობაში, მისი როლის გაძლიერება, იქნება წინგადადგმული ნაბიჯი, მოწმის და დაზარალებულის ინტერესების დაცვის, მისი მხარდაჭერის, ასევე ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის გარკვეულწილად თავიდან აცილების მიზნით.

6.3. დაზარალებულის საერთაშორისო სტანდარტები არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების კრილში

საერთაშორისო თვალსაზრისით, დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების დაცვას, სისხლის სამართლის პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.⁶³⁷ 2001 წელს, ევროპის კავშირმა, მიიღო ჩარჩო გადაწყვეტილება სისხლის სამართლის პროცესში დანაშაულის

⁶³⁵ იხ. იქვე, გვ.17.

⁶³⁶ იხ. მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის სტატისტიკური მონაცემები, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/interesting-info/coordinator-of-the-witness-and-victim>.

⁶³⁷ იხ. თანდლიაშვილი, ხ., სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით გერმანულ - ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, N2, 2017, გვ. 51.

მსხვერპლის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, რომლითაც სისხლის სამართლის პროცესში განისაზღვრა დანაშაულის მსხვერპლის უფლებები და ერთგვარი საჭიროებები.

აღსანიშნავია, რომ ევროპულმა საბჭომ ევროპულ კომისიასა და ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებს, დანაშაულის მსხვერპლის სათანადო დაცვისა და მისი უფლებების პრაქტიკაში უზრუნველსაყოფად დაავალა, რომ აღნიშნულ ფარგლებში კოორდინირებული მიდგომის შედეგად, შეეფასებინათ დანაშაულის მსხვერპლის კომპენსაციის შესახებ ევროპის საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის დირექტივა,⁶³⁸ ასევე მისცა რეკომენდაცია, რომ გადაესინჯათ, შეიძლებოდა თუ არა ორივე დოკუმენტის, ერთ სამართლებრივ ინსტრუმენტში გაერთიანების შესაძლებლობა. დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, დაზარალებულის ინტერესების დაკმაყოფილების კუთხით, აღდგენითი მართლმსაჯულება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია.⁶³⁹ ტრადიციულ სისხლის სამართლის პროცესში, თუ დაზარალებული გარკვეულწილად გარიყულია და შესაბამისად, თავს ვერ გრძნობს აბსოლუტური ფრომით აღიარებულად.⁶⁴⁰ აღსანიშნავია, რომ ევროკავშირმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღება გაამახვილა ერთის მხრივ 2001 წლის ჩარჩო გადაწყვეტილებასა და მეორეს ხმრივ, 2012წლისდირექტივაში.⁶⁴¹

მნიშველოვანია რომ 2012 წლის 25 ოქტომბერს მიღებულ იქნა დანაშაულის მსხვერპლის უფლებების, მათი მხარდაჭერისა და დაცვის მინიმალური სტანდარტების, ამასთანავე, ჩარჩო გადაწყვეტილების ჩანაცვლების შესახებ დირექტივა, რომელშიც აშკარად გაფართოვდა ხსენებული ჩარჩო გადაწყვეტილებით განსაზღვრული ძირითადი უფლებები. იგი აღიარებს დანაშაულის მსხვერპლისთვის აღდგენითი მართლმსაჯულების სარგებლიანობას და შესაბამისად, აღდგენითი მართლმსაჯულება გარკვეულწილად გახდა დანაშაულის მსხვერპლისთვის სასარგებლო მექანიზმი.⁶⁴²

საქართველოში, 2004-2005 წლებში, გარკვეული რეფორმების განხორციელების მიზნით, შემუშავდა ოფიციალური სტრატეგია,⁶⁴³ რომლის მიზანი იყო ქართული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მორგება და გათანაბრება საერთაშორისო და ევროპულ

⁶³⁸ იხ. იქვე. გვ. 51.

⁶³⁹ იხ. იქვე. გვ. 52.

⁶⁴⁰ იხ. Herman, S., Parallel Justice for Victims of Crime, 2010, გვ. 40.

⁶⁴¹ იხ. თანდილაშვილი, ხ., დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა ინტერნაციონალიზაციის გზაზე მდგარ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, 2022, გვ. 247.

⁶⁴² იხ. Kilchling, M., Opferrechte und Restorative Justice, Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, 2017, გვ. 67.

⁶⁴³ იხ. ადამიანის უფლებები, ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო, <http://myrights.gov.ge/ka/documents/documents/strategy>.

სტანდარტებთან. სისხლის სამართლის პროცესის სფეროში რეფორმები მიმართული იყო შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცებისა და მართლმსაჯულების სფეროში ადამიანის უფლებების გაძლიერებისაკენ.

გარდა ამისა, 2014 წელს ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 217-ე მუხლის შესაბამისად, სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის, გაფორმდა ასოცირების შესახებ შეთანხმება,⁶⁴⁴ რომელმაც მხარეებს შორის დაამკვიდრა „განსაკუთრებული და პრივილეგირებული ურთიერთობა“ და ასოცირებული სახელმწიფო ორგანიზაციის წევრობის გარეშე დაუახლოვდა ევროპის კავშირის სისტემას.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ აიღო ვალდებულება, სხვადასხვა ფარგლებში ითანამშრომლოს ევროპის კავშირთან და ასევე წევრ სახელმწიფოებთან, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გარკვეულწილად დახვეწის მიმართულებით. შესაბამისად, საქართველოს აქვს ვალდებულება განახორციელოს აღნიშნული დირექტივის აღსრულება.

დირექტივაში დანაშაულის მსხვერპლთა წრე გაფართოებული სახით არის წარმოდგენილი. ცნება „დანაშაულის მსხვერპლი,“ მოიცავს, როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მსხვერპლს, რომელმაც დანაშაულის შედეგად უშუალოდ განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სულიერი ტკვილი ან მატერიალური ზიანი.

მნიშვნელოვანია, რომ დირექტივამ დანაშაულის მსხვერპლს, სისხლის სამართლის პროცესის აქტიურ სუბიექტად წარმოჩინებისა და მისთვის მთავარი როლის მინიჭების ფარგლებში, არაერთი მნიშვნელოვანი საპროცესო უფლება მიაკუთვნა.⁶⁴⁵

აღსანიშნავია, რომ დირექტივის მე-12 მუხლი იწყება პირდაპირ დაცვის ღონისძიებებზე აქცენტის დასმით, რითაც იქმნება იმის შთაბეჭდილება, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებისგან დაზარალებული, გარკვეულწილად დასაცავია.

აღსანიშნავია, რომ დირექტივის პრეამბულის 46-ე პუნქტიც აღდგენით მართლმსაჯულებაში, პირდაპირ დაცვის ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე მიუთითებს.⁶⁴⁶

⁶⁴⁴ იხ. ასოცირების შეთანხმება, საქართველო და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი, <https://old.infocenter.gov.ge/euinfo-the-association-agreement>.

⁶⁴⁵ იხ. თანდილაშვილი, ხ., სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით გერმანულ - ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, N2, 2017, გვ. 51.

⁶⁴⁶ იხ. Brunilda, P., European Forum for Restorative Justice, Briefing Paper about the Regulation of Restorative Justice in the Directive, 2016, გვ.13.

დირექტივის მიზანია, რომ აღდგენით მართლმსაჯულებაში, დანაშაულის მსხვერპლის მონაწილეობა იყოს აუცილებლად ნებაყოფლობითი და მნიშვნელოვანია, რომ მას სისხლის სამართლის პროცესის შედეგებთან დაკავშირებით მიეწოდოს მიუკერძოებელი ინფორმაცია.⁶⁴⁷ დირექტივის დებულებებიდან გამომდინარეობს, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი პრინციპებია, როგორც ნებაყოფლობითობა, ისე პროცესში მონაწილეობა.⁶⁴⁸ შესაბამისად, აუცილებელია, აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამაში საკუთარი არჩევანის საფუძველზე მონაწილეობდნენ დანაშაულის მსხვერპლი და დამნაშავე.

და ბოლოს, თუ ჩვენს ქვეყანაში მოქმედ აღდგენით მართლმსაჯულებას, აღნიშნული დირექტივის ძირითად დებულებებს შევადარებთ და ამ ჭრილში გავანალიზებთ, დავინახავთ, რომ საქართველო შეძლებისდაგვარად ცდილობს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლას და ამ მიმართულებით საკანონმდებლო სივრცეში გარკვეული აქცენტების გაკეთებას.

დასკვნა

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმებს, როგორც გამოიკვეთა, თეორიულთან ერთად, ასევე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართულებით ყოველთვის უნდა პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს. დისერტაციაში აღნიშნული კუთხით განხილულია მნიშვნელოვანი საკითხები, რაც დამახასიათებელია არასრულწლოვანთა განრიდება/მედიაციის ინსტიტუტისთვის. დისერტაციაში წარმოდგენილია ნოვატორული იდეები და საკანონმდებლო სიახლეები, რაც პირდაპირ მიმართებაშია, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების სახელმწიფოს მხრიდან აქტიურ ხელშეწყობასთან.

⁶⁴⁷ იხ. Lauwaert, K., European Criminal Justice Policies on Victims and Restorative Justice, 2015, გვ. 257.

⁶⁴⁸ იხ. შეყილაძე, ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, 2019, გვ. 69.

ნაშრომის პირველ თავში გადმოცემულია: აღდგენითი მართლმსაჯულების ისტორიული ასპექტები, მისი არსი, ამოცანები და მიზნები, ასევე მისი განვითარების და ხელშეწყობის პერსპექტივები. ისტორიულ ჭრილში შესწავლილი და გაანალიზებულია აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტები ძველ ქართულ ჩვეულებით სამართალში. ხაზია გასმული, არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების ფართო და მრავლისმომცველ კონცეფციაზე. ტრადიციული და აღდგენითი მართლმსაჯულების ურთიერთგამიჯვნაზე მსჯელობით, წარმოჩინებულია აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტების მნიშვნელობა და როლი თანამედროვე ქვეყნის სამართლებრივ სივრცეში.

აქედან გამომდინარე, საქართველოს შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების პოლიტიკის განსაზღვრის მიმართულებით. ვინაიდან, დიდი დრო არ არის გასული, ავ-ბედითი ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის განხორციელების შემდეგ და სამართალდამცავი ინსტიტუტებისთვის მნიშვნელოვანი ამოცანა უნდა იყოს, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა. ნაშრომში ხაზია გასმული აღდგენითი მართლმსაჯულების ეკონომიკურ ხასიათზე, რაც პირდაპირ მიმართებაშია სახელმწიფო-ადამიანური რესურსის და მატერიალური ხარჯის შემცირებასთან.

აღდგენითი მართლმსაჯულების პოპულარიზაციის მიმართულებით, აღსანიშნავია, რომ საზოგადოების მხოლოდ ნაწილს აქვს გარკვეული ცოდნა, არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების დადებითი თვისებების შესახებ, აქედან გამომდინარე, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების ჩართულობის და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესზე მორგებული პროგრამების განხორციელების თაობაზე, საზოგადოებას მეტი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს.

ნაშრომის მე-2 თავში გაანალიზებულია არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები ანგლოსაქსური და რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნებში, გერმანიის, ინგლისის, აშშ-ის და ბელგიის მაგალითებზე. ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა, რომ თითოეული ქვეყნის კანონმდებლობა არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართულებით, თავისი სპეციფიკური ხასიათით გამოირჩევა. ანგლოსაქსური სამართლის ოჯახის ქვეყნებში, განსხვავებით რომანულ-გერმანული ოჯახისგან, უფრო დიდი დოზით გამოვლინდა არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტები. თუმცა, განხილული სამართლებრივი

სისტემებიდან, არც ერთი ქვეყნის კანონდებლობა, ყურადღების მიღმა არ ტოვებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესს. თითოეული თანამედროვე ქვეყნის კანონმდებელი, ცდილობს გარკვეულწილად დაიცვას ბალანსი, არასრულწლოვანთა საუკეთესო და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის. სამეცნიერო კვლევის შედეგად, ნათლად გამოვლინდა, რომ დღესდღეობით ნაშრომში განხილული ქვეყნების, ისევე როგორც საქართველოს, კანონმდებლობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით, რადიკალურ ცვლილებებს განიცდის და ხდება გარკვეულწილად ჰუმანური.

ნაშრომის მე-3 თავში მოცემულია არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის ჩამოყალიბების ეტაპები საქართველოში, ხაზია გასმული იმ გარემოებაზე, რომ საქართველოში არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების ჩამოყალიბებას, ისტორიულად საკმაოდ მკაცრი ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა უძღვოდა წინ. აღნიშნული პოლიტიკის გატარება, როგორც სამეცნიერო, ისე სამოქალაქო საზოგადოების, ფართო წრეებში უარყოფითად შეფასდა, ვინაიდან სწორედ მის ფარგლებში ხდებოდა, როგორც სრულწლოვანთა, ისე არასრულწლოვანთა უფლებების და თავისუფლებების, არსებითი ხასიათის დარღვევები და საქართველოს საერთაშორისო იმიჯის გაუარესება. ასევე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საქმეების რაოდენობის გაზრდა. სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კუთხით, საკანონმდებლო დონეზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა განრიდება/მედიაციის პროგრამის დანერგვით. ამავე თავში, ყურადღებაა გამახვილებული არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის მიზანსა და მნიშვნელობაზე. თვალნათლივ განმარტებულია, რომ განრიდების და მედიაციის პროგრამამ შეცვალა ერთგვარი სამართლებრივი დამოკიდებულება, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან მიმართებაში და მართლმსაჯულება წარმართა ამ უკანასკნელის საუკეთესო ინტერესების მიმართულებით. კვლევაში გამოიკვეთა, რომ 2015 წლის 12 ივნისს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებით, ჩვენი ქვეყანა, უფრო დაუახლოვდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგს.

კვლევაში, არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამის დადებითი მხარის და მნიშვნელობის ნათელსაყოფად, განვიხილეთ არასრულწლოვანის ბიო-ფსიქოლოგიური

მდგომარეობა, სისხლისსამართლებრივი დევნის გავლენა და მისი უარყოფითი შედეგები, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ.

კვლევაში გამოიკვეთა, რომ თავისუფლების აღკვეთას, როგორც სასჯელის ყველაზე მკაცრ სახეს, განსაკუთრებულად უარყოფითი ზეგავლენა აქვს არასრულწლოვანთა მიმართ. ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა, პირდაპირ ზღუდავს პატიმრობაში მყოფი პირის კონტაქტს გარე სამყაროსთან. ამ კუთხით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ერთმანეთის საპირწონედ დგას არასრულწლოვნის საუკეთესო და სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესები, რომელთა შორის ბალანსის დაცვა თანამედროვე სახელმწიფოსთვის გარკვეულ ვალდებულებას წარმოადგენს. კვლევაში, ინტერესთა ბალანსზე მსჯელობისას, განვიხილეთ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე, საგამომიებო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკიდან, რის შედეგადაც, გამოიკვეთა, რომ თითოეულ სისხლის სამართლის საქმეში უფლებამოსილმა სახელმწიფო უწყებებმა, ობიექტურად უნდა განსაზღვრონ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესი და ყოველივე ეს არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს.

კვლევაში, განრიდების ღონისძიებების განხილვისას აჩვენა, რომ დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, ამკ-ის 43-ე მუხლი, რაც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ ითვალისწინებს წერილობითი გაფრთხილებას, როგორც განრიდების ღონისძიება, წარმოადგენს „გაყინული ნორმა“-ს. ვინაიდან წერილობითი გაფრთხილება საქართველოში განრიდება-მედიაციის პროგრამის ამოქმედებიდან დღემდე, საგამომიებო და პროკურატურის ორგანოების პრაქტიკაში არ გამოყენებულა.

ვფიქრობთ, ამ საკითხს, ყველა შესაბამისმა სახელმწიფო უწყებამ, ყურადღება უნდა მიაქციოს და ის დანაკლისი, რაც წერილობითი გაფრთხილების გამოუყენებლობით შეინიშნება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფარგლებში დროულად უნდა შეივსოს, რათა სისხლის სამართლის მართლმსაჯულება პასუხობდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის მაღალ სტანდარტს.

ნაშრომის მე-4 თავში კვლევაში ცხადყო, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 40-ე მუხლში განსაზღვრული განრიდების წინაპირობები, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეულწილად დაზუსტებას საჭიროებს. ვინაიდან, კანონმდებელი განრიდების პროგრამაში ჩართვის დროს, სრულწლოვანს უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს, ვიდრე არასრულწლოვანს. სრულწლოვანთან

მიმართებაში სსსკ-ს 168¹-ე მუხლი არ ითვალისწინებს დათქმას, რითაც ნასამართლობის არ ქონა განრიდების პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში სავალდებულო მოთხოვნა იქნება. მაშინ როცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 40-ე მუხლში, კანონმდებელი ხაზს უსვამს ნასამართლობას, როგორც განრიდების პროგრამაში ჩართვის დამაბრკოლებელ გარემოებას. დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, მაშინ როცა, არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვა, ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთ ძირითად პირორიტეტად განიხილება, სრულწლოვნისთვის იმაზე მეტრი პრივილეგიის მინიჭება, ვიდრე არასრულწლოვნისთვის, გარკვეულწილად, ვერ პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გამოწვევებს.

კვლევაში გაანალიზდა ამკ-ს 40-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შეინაარსი, „არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა,” რაც გულისხმობს იმას, რომ თუ ერთხელ არასრულწლოვანი განზრახი თუ გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენის მიუხედავად, ჩაერთვება განრიდების პროგრამაში, მას მეორეჯერ ამ პროგრამაში ჩართვის შანსი აღარ აქვს და უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. კვლევაში გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ამ დათქმის არსებობით, კანონმდებელი გარკვეულწილად ვერ განსაზღვრავს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის მაღალ სტანდარტს. ვინაიდან, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში კანონმდებლის ნება, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მის საუკეთესო ინტერესს. ამასთანავე, კანონმდებელი სრულწლოვანს არასრულწლოვანთან შედარებით, ისევ პრივილეგირებულ პირობებში ამყოფებს, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168¹-ე მუხლში, სადაც ჩამოყალიბებულია განრიდების წინაპირობები, არაფერია ნათქვამი, სრულწლოვნის განრიდების პროგრამაში მეორეჯერ ჩართვის აკრძალვაზე.

აქედან გამომდინარე რეკომენდირებულია: ამკ-ს 40-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შინაარსი „არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა,” როგორც არასრულწლოვნის განრიდების პროგრამაში ჩართვის ერთ-ერთი წინაპირობა, უნდა იქნეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან ამოღებული. ყოველივე ეს არ უნდა გავიგოთ, ისე რომ, იქნება დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისკენ წამახალისებელი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ, პირიქით, ეს პრივილეგია, უნდა აიხსნას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების ფართო სპექტრიდან გამომდინარე. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით, პროკურატურის და

სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში, ხაზი გაესმევა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის კიდევ უფრო მაღალ სტანდარტს, რაც გარკვეულწილად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ძირითადი იდეაა.

კვლევამ ცხადყო, რომ სპეციალიზაციას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო დონეზე, დიდი ყურადღება ექცევა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აუცილებელ გარემოებას წარმოადგენს, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმეზე პოლიციელი, გამომძიებელი, პროკურორი, ადვოკატი, მოსამართლე და შემხებლობაში მყოფი ყველა უფლებამოსილი პირი, იყოს სპეციალიზირებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. ამ კუთხით კანონმდებელი არაფერს ამბობს, პოლიციის და პროკურატურის ორგანოების ხელმძღვანელ პოზიციაზე მყოფ პირთა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციასთან დაკავშირებით.

კვლევაში გამოიკვეთა, რომ აუცილებელია არასრულწლოვანთა შემხებლობაში მყოფ პირველად თანამდებობრივ რგოლთან ერთად, სპეციალიზირებული იყოს ხელმძღვანელ პოზიციაზე მყოფი უფლებამოსილი პირებიც, ვინაიდან, სწორედ მათგან ხდება გარკვეულწილად მთელი რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შესაძლებელია, რომ ეს პირი, არ იყოს სპეციალიზირებული. ასევე სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკაში, ხშირია, როგორც რიგით თანამშრომელთა, ისე ხელმძღვანელ უფლებამოსილ პირთა, სამსახურებრივი როტაცია, თანამდებობრივი დაქვეითება ან დაწინაურება და აღნიშნულმა, ხელი არ უნდა შეუშალოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

აქედან გამომდინარე, რეკომენდირებულია: ეს საკითხი საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს და ამკ-ს მე-18 და მე-19 მუხლებს დაემატოს დათქმა, „არასრულწლოვანთა საქმეებზე საპროკურორო, საგამომძიებო და საპოლიციო ფუნქციები შესრულებისას მიმართულებების მიხედვით, ხელმძღვანელ პოზიციაზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზირებული პირი.“ ამ შემთხვევაში სავალდებულო გახდება საპოლიციო, საგამომძიებო და საპროკურორო ორგანოების ხელმძღვანელ პოზიციაზე მყოფ იმ პირთა სპეციალიზაცია, რომლებიც უშუალოდ ჩართულნი არიან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში.

კვლევამ ცხადყო, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან მიმართებაში განრიდებაზე უარის თქმის ფარგლები და მისი გასაჩივრების სამართლებრივი მექანიზმები.

კვლევამ აჩვენა, რომ განრიდებასთან დაკავშირებით, გასაუბრების ოქმის გასაჩივრება, არც სისხლის სამართლის და არც ადმინისტრაციული სამართლის ჩარჩოებში არ ჯდება. ამასთანავე, კანონმდებლობაში არ არის დაკონკრეტებული, თუ რა ვადაში საჩივრდება ხსენებული ოქმი და, შესაბამისად, რა ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ზემდგომი პროკურორი. მოცემული ბუნდოვანება, ვფიქრობთ, გამოსწორდება თუ პროკურორი განრიდებაზე უარის თქმის გასაუბრების ოქმის ნაცვლად, სისხლის სამართლის საქმეზე გამოიტანს დასაბუთებულ დადგენილებას, განრიდებაზე უარის თქმის შესახებ, რაზეც ასევე დასაბუთებულობის სტანდარტი მაღალია და პირდაპირ კავშირში იქნება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან.

აქედან გამომდინარე, რეკომენდირებულია: არასრულწლოვნისთვის განრიდებაზე უარის სამართლებრივი ფარგლები პასუხობდეს უფრო მაღალ სტანდარტს და ამკ-ს 39-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „არასრულწლოვნისთვის განრიდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, პროკურორს გამოაქვს დადგენილება, რომელშიც დასაბუთებულად აღინიშნება განრიდებაზე უარის თქმის მიზეზი. დადგენილებას პროკურორი გააცნობს არასრულწლოვანს ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელს.“

კვლევამ ცხადყო, რომ მოსამართლის მიერ არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლის საქმის განრიდების მიზნით დაბრუნება, პროკურორისთვის სავალდებულო ხასიათს ატარებს. დანაშაულის კატეგორიის მიუხედავად, პროკურორს არ აქვს უფლება, ასეთ შემთხვევაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გაასაჩივროს მოსამართლის მიერ განრიდების მიზნით საქმის უკან დაბრუნება.

ამ კუთხით, ვფიქრობთ, რომ საკითხი ეხება განრიდების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა გარკვეულწილად ერთპიროვნულ გადანაწილებას. არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა, პრაქტიკაში სასამართლომ და პროკურატურამ, მინიჭებულ უფლებამოსილებათა მკაცრად განსაზღვრული ბალანსის დაცვის შედეგად უნდა განახორციელოს. აქედან გამომდინარე, პროკურორს უნდა ჰქონდეს მოსამართლის მიერ განრიდების მიზნით საქმის უკან

დაბრუნების ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასჩივრების უფლება. რეკომენდირებულია: ამკ-ს 39-ე მუხლს დაემატოს მე-2 პრიმა ქვეპუნქტი: „პროკურორი უფლებამოსილია შესაბამის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს მოსამართლის მიერ განრიდების მიზნით საქმის დაბრუნების თაობაზე გადაწყვეტილება.” ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა ზემდგომი სასამართლო ინსტანციის კონტროლს, რაც ვფიქრობთ, სამოსამართლო და საპროკურორო პრაქტიკაში, გარკვეულწილად დააბალანსებს არასრულწლოვნის საუკეთესო და საჯარო ინტერესს.

კვლევამ აჩვენა, რომ საკანონმდებლო დონეზე უნდა დარეგულირდეს ე.წ. „ინდივიდუალური შეფასების ანგარიში“-ს გარკვეული სამართლებრივი ჩარჩო, ვინაიდან არსებული რელობიდან და გადატვირთული სამსახურებრივი რეჟიმიდან გამომდინარე, სოციალური მუშაკი, კანონით დადგენილ ვადებში ვერ ახერხებს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ძირეულად შექმნას ან/და ვადის ამოწურვის ბოლო დღეს, აგზავნის პროკურორთან. ყოველივე ეს, აღინიშნება ზემდგომ უკვე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენის ხარისხზე და მის ზედაპირულობაზე.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიში უნდა დაიყოს ორ კატეგორიად: „შუალედური შეფასების ანგარიში,” მაშინ როცა, ვერ ხერხდება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მისი შექმნა და არასრულწლოვანს აღარ მოუწევს მისთვის გაუგებარი ვადით ელოდოს განრიდების პროგრამაში ჩართვას. ასევე იქნება, „დასკვნითი შეფასების ანგარიში,” რაც დაერთვებოდა საქმეზე შემაჯამებელ გადაწყვეტილებას. რეკომენდირებულია: საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ერთობლივი №132/№95/№23 ბრძანების N1 დანართის (სახელწოდებით განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი) მე-3 მუხლს დაემატოს დათქმა: „თუ სოციალური მუშაკი კანონით დადგენილ ვადაში მოცულობიდან და საქმის სირთულიდან გამომდინარე, ვერ ახერხებს არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესწავლა-დამუშავებას, პრობაციის ბიუროს უფროსის წერილობითი თანხობით, მას შეუძლია შეადგინოს შუალედური შეფასების ანგარიში.” აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება ხელს შეუწყობს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების სრულყოფილ განსაზღვრებას და სოცალურ მუშაკს მისცემს საშუალებას, რომ ძირეულად დაამუშაოს არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლები.

ნაშრომის მე-5 თავში გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვანია მედიაციის რიცხვობრივი მაჩვენებლის ზრდის ტენდენციის შენარჩუნება და პანდემიით წარმოქმნილ ერთგვარ პრობლემებთან ეფექტიანი გამკლავება, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მედიაციის პროცესი, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებულ როლს თამაშობს, მხარეებს შორის შემდგომი კონფლიქტის აცილებისა და არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გარკვეულწილად გაცნობიერებაში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა მედიაციის პროცესის აქტიურად მხარდაჭერისთვის.

ნაშრომის მე-6 თავში გამოიკვეთა, რომ თანამედროვე სამართლებრივ სახელმწიფოს, არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში აქვს ვალდებულება განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს დაზარალებულს და მისთვის უზრუნველყოს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, კონსტიტუციით დაცული ფუნდამენტური უფლებების პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა. სახელმწიფო, თუ აღნიშნულ ვალდებულებას არ შეასრულებს, ბუნებრივია, რომ მართლმსაჯულებისა და მართლწესრიგის მიმართ მოსახლეობა დაკარგვას ნდობას.

კვლევაში გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვანთა განრიდება/მედიაციის პროგრამის ფარგლებში დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა, საკანონმდებლო დონეზე გადახედვას საჭიროებს. პროკურორის და დაზარალებულის კონსულტაცია, ეს არ უნდა განხორციელდეს ზოგადი და ფორმალური ხასიათის სამართლებრივ ჩარჩოებში და მისი ფარგლები, დაზარალებულის ინტერესებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ უნდა დაზუსტდეს. ვინაიდან, სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკაში, პროკურორის დაზარალებულთან კონსულტაცია, ფორმალურად, მხოლოდ ფურცელზე აისახება და მას არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნია.

ყველა ზემოთ განხილული საკითხის კვლევის, ძირითადი თეზისების შეჯერების საფუძველზე, უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების საკითხი, მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა სისხლის სამართლის მეცნიერებასა და დღევანდელ სასამართლო პრაქტიკაში. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ზედმიწევნით იქნეს გათვალისწინებული და დაცული ის ძირითადი წინაპირობები, რომლებიც აუცილებელია არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამის სრულყოფისთვის. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში პრაქტიკამ უნდა

უზრუნველყოს მეცნიერებაში არსებული პრინციპული მოსაზრებების და შეხედულების დაცვა, რათა ეს პროცესი, არ გაცდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის ფარგლებს.

გამოყენებული ლიტერატურა

ადლერი, ფ., მიულერი, გ.ო., ლაუფერი, ვ.ს., (2012) *შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში*;

აქუბარდია, ი. (2016) *განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ, პროფ: გურამ ნაჭყებია 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული*, თბილისი;

აქუბარდია, ი. (2021) *პოლიციის პრევენციული და რეპრესიული ღონისძიებების გამიჯვნის პრობლემები, ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხის საიუბილეო კრებული*, თბილისი;

არსოშვილი, გ; მიქანაძე, გ; შალიკაშვილი, მ; (2015) *პრობაციის სამართალი*, თბილისი;

ბოხაშვილი, ი. ბენიძე, მ.(2009) *სამართლის ჟურნალი N2, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები*, თბილისი;

ბობოხიძე, მ. (2020) *ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სამართლებრივი გარანტიები*, თბილისი;

ბერიძე, რ. (2009) *კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიები განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებში*, თბილისი;

ბენაშვილი, დ., (1989) *ვაჟა-ფშაველა შემოქმედი და მოაზროვნე*, თბილისი;

ბიჭიაშვილი, (2010) *ხადაზმულობა სისხლის სამართალში*, თბილისი;

ბიორგო, ტ., (2016) *დანაშაულის პრევენცია, ყოვლისმომცველი მიდგომა, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია*, თბილისი;

გუცენკო, კ.ფ. გოლოვკო ლ.ვ.. ფილიმონოვი ბ. ა., (2007) *დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლი სამართლის პროცესი*, თბილისი;

გოგოჭური, ბ. (2012) *ხევსურული რჯულ-სამართალი*, თბილისი;

გაბისონია ი., (2002) *სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში*, თბილისი;

- გასვიანი, გ. (1973) *დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან*, თბილისი;
- გორგოძე, მ. (2017) *სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, იუვენალური იუსტიციის ორგანიზაციულ სამართლებრივი მოდულები და ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი პრობლემატური ამ მოდელთა ჭრილში*, თბილისი;
- გიორგაძე, ა. (2011) *არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები*, თბილისი;
- გოგნიაშვილი, ნ. (2017) *არასრულწლოვნის დაკითხვის თავისებურება, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1*, თბილისი;
- გაბუნია, მ. ებრალიძე, თ. (2013) *მედიაციის კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N1* თბილისი;
- გაბლიანი, ე. (1927) *თავისუფალი სვანეთი*, თბილისი;
- გოცირიძე ე., (2013) *საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის კომენტარი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის უფლებანი და ძირითადი თავისუფლებანი*; თბილისი;
- გულიაშვილი, ს., (2021) *პრინციპი, როგორც საკანონმდებლო ხარვეზის დადგენის საშუალება (იუვენალური იუსტიციის მაგალითზე) ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, N19*. თბილისი;
- დვალიძე, ი. (2013) *სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები*, თბილისი;
- დავითაშვილი, გ. (2017) *დანაშაულის სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში*, თბილისი;
- დავითაშვილი, გ. (2010) *დანაშაულის სუბიექტი ქართულ ჩვეულებით სამართალში, სამართლის ჟურნალი, N1*, თბილისი;
- დავითაშვილი გ. (1991) *მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული*, თბილისი;

დავითაშვილი, გ. (2021) შურისძიება და შერიგება ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისი;

დავითაშვილი, გ. (2002) სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბილისი;

დავითაშვილი, გ. (2016) ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში, თბილისი;

ერცენი, ი. ჯავახიშვილი, ჯ. ჯავახიშვილი, ლ. (2020) აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, თბილისი;

ვარძელაშვილი, ი. (2017) სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, NI, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, თბილისი;

ვარძელაშვილი, ი. (2016) სასჯელის მიზნები; თბილისი;

ვინტერი, რ. (2015) სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი;

ვაჩეიშვილი, ა. (1997) მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე, თბილისი;

ვაჟა-ფშაველა, (1964) თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, თბილისი;

ზეჰრი, ჰ. (2013) აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი;

თუმანიშვილი, გ. (2014) სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი;

თუმანიშვილი, გ. (2013) სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, აღდგენითი (რესტორაციული) მართლმსაჯულება და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში, თბილისი;

თუმანიშვილი, გ. (2009) დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, სამართლის ჟურნალი N2, თბილისი;

თოდუა ნ., (2016) არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, თბილისი;

თანდილაშვილი, ხ. (2019) აღდგენითი მართლმსაჯულების მოწესრიგება ევროკავშირში და მისი მნიშვნელობა საქართველოში დანაშაულის მსხვერპლის სამართლებრივი მდგომარეობის გაძლიერებისთვის, სამართლის ჟურნალი NI თბილისი;

თანდილაშვილი, ხ. (2017) სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით გერმანულ - ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, თბილისი;

თანდილაშვილი, ხ. (2022) დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა ინტერნაციონალიზაციის გზაზე მდგარ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი;

ივანიძე, მ. თოდუა, ნ. ვარძელაშვილის, ი. მახარობლიძე, თ. (2017) არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი;

ივანიძე, მ. (2017) სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, თბილისი;

იმერლიშვილი, ი. (2020) ადამიანის უფლებათა დაცვისა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოში და საერთაშორისო სტანდარტები, თბილისი;

იზორია, ლ. (2013) საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბილისი;

კნაუერი, ფ. (2019) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, წიგნში ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო სამართალზე, თბილისი;

კნაუერი, ფ. (2019) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, თბილისი;

კობახიძე, ი., (2013) სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, სამართლის ჟურნალი, NI; თბილისი;

კორკელია, ვ. (2002) ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, თბილისი;

კორკელია, ვ. (2021) ადამიანის უფლებათა შეზღუდვები საქართველოში COVID 19-ის პანდემიის დროს, მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები;

კედელიძე, მ.(1951) ლეჩხუმის მასალა, პირადი არქივი, თბილისი;

კეკელია, მ.(1969) მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული N6, თბილისი;

კეკელია, მ.(1968) მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული N2, თბილისი;

კეკელია, მ.(1967) მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული N1, თბილისი;

კეკელია, მ. (1977) მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული N3, თბილისი;

კავთუაშვილი, ე. (2018) მოქმის და დაზარალებულის კოორდინატორი სისხლის სამართლის პროცესში სამართალი და მსოფლიო; თბილისი;

კავთუაშვილი, ე. (2016) სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, სამართალი და მსოფლიო, N5, თბილისი;

კავთუაშვილი, ე. (2020) ბავშვის უფლება იყოს მოსმენილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, ჟურნალი სამართლის მაცნე N2, თბილისი;

ლალიაშვილი, თ., (2021) არასრულწლოვანი მოქმის დაკითხვის პრობლემატური საკითხები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კონფერენციის შრომები, თბილისი;

ლეკვიშვილი, მ. (2014) სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, სამეცნიერო ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N4, თბილისი;

ლეკვიშვილი, მ. თოდუა, ნ. მამულაშვილი, გ. (2011) სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი პირველი) ავტორთა კოლექტივი, თბილისი,

მაკბრაიდი, ჯ. (2013) ადამიანის უფლებები და სისხლის სამართალი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი;

მახაროზლიძე, თ. (2017) ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, NI, თბილისი;

მახაროზლიძე, თ. (2021) არასრულწლოვანთა სასჯელების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები; თბილისი;

მუთჰორსტი, ო. (2011) სამართალმცოდნეობის საფუძვლები, მიუნხენი;

მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ.(2016)საკატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები, თბილისი;

მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ. (2011) სანქციები არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით, სტატიათა კრებული, თბილისი;

მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ. (2015) ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე, თბილისი;

მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ. (2017) შინაკატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშნის თავისებურება, თბილისი;

მჭედლიძე, ნ., (2017) საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი;

მინაშვილი, ი. (2017) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის კომენტარები, თბილისი;

მსხილაძე, ლ.(2017) შედეგზე ორიენტირებული მართლმსაჯულება, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, NI, თბილისი;

მეურმიშვილი, ბ. (2015) სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, მართლმსაჯულება და კანონი NI, თბილისი;

მერაბიშვილი, ჯ.(1989) მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, თბილისი;

- მეტრეველი, ვ.(2009) *ქართული სამართლის ისტორია*, თბილისი;
- მუთჰორსტი, ო.(2011) *სამართალმცოდნეობის საფუძვლები*, მიუნხენი;
- მეფარიშვილი, გ. ჩხეიძე ი.(2010) *სამეცნიერო შრომების კრებული, დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში*, თბილისი;
- ნოზაძე, ლ. (2017) *იუვენალური იუსტიციის განვითარების ისტორიულ სამართლებრივი ასპექტები*, თბილისი;
- ნადარეიშვილი, გ.(2002) *ქართული სახელმწიფოს და სამართლის ისტორია*, თბილისი;
- ოსტერმილერი, ს. სვენსონი, დ., (2014) *დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში*, თბილისი;
- ჟორდანიას, გ.(1908) *სისხლის სამართალი ქართლის სოფლებში*, თბილისი;
- სვიანაძე, გ. (2020) *COVID 19-ის გავრცელების პრევენციის პრობლემები საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში, მართლმსაჯულება და კანონი NI*, თბილისი;
- სულაქველიძე, დ. (2016) *არანამდვილი (უვარგისი) იარაღით განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ძალადობის საკითხის გარკვევისათვის სისხლის სამართალში*, თბილისი;
- ტურავა, მ. (2010) *სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2010*, თბილისი;
- ტურავა პ., (2014) *საქართველოს პოლიციის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში*, თბილისი;
- ტრექელი, შ. (2009) *ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში*, თბილისი
- უზნაძე, დ.(2006) *ზოგადი ფსიქოლოგია*, თბილისი;
- ფაფიაშვილი, ლ. თუმანიშვილი, გ. კვაჭანტირაძე, დ. ლიპარტელიანი, ლ. დადემქელიანი, გ. გუნცაძე, შ. მეზვრიშვილი, ნ. თოლორაია, ლ. (2015) *სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები*, თბილისი;
- ფაფიაშვილი, ლ. (2008) *საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, NI, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი*, თბილისი;

ქარიმ, ი. (2022) *ნულოვანი ტოლერანტობის კულტურული და სიმბოლური რეზონანსი თანამედროვე სისხლის სამართლის სისტემაში, დანაშაულის და სასჯელის თეორიები; თბილისი;*

ქუქიშვილი, ხ. (2022) *სისხლის სამართლის პოლიტიკის გავლენა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო; თბილისი;*

ქვრივიშვილი, თ. (2017) *არასრულწლოვნის პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, თბილისი;*

ქვრივიშვილი, თ. (2022) *კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, თბილისი;*

ქუთათელაძე, მ. (2017) *განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, თბილისი;*

ღლონტი, გ. (2008) *კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა, თბილისი;*

ყანდაშვილი, ი. (2018) *საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არა სასამართლო ფორმები, თბილისი;*

ყურაშვილი, კ. (2018) *პოლიციის პრევენციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამიჯვნა, თბილისი,*

შაპოვიჩი, ნ. დოევი, ი. ცერმატენი, ჟ. (2012) *ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში;*

შალიკაშვილი მ. მიქანაძე, გ. (2016) *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, (სახელმძღვანელო), თბილისი;*

შალიკაშვილი, მ, მიქანაძე, გ. (2013) *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი, თბილისი;*

შალიკაშვილი მ., (2016) *არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, გერმანულ- ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, თბილისი;*

შალიკაშვილი, მ. (2013) არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი;

შალიკაშვილი, მ. (2011) ვიქტიმოლოგია მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი;

შალიკაშვილი, მ. მიქანაძე, გ. ხასია, მ. (2014) სასჯელაღსრულებითი სამართალი, თბილისი;

შალიკაშვილი, მ. (2011) არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ღონისძიებები, თბილისი;

შეყილაძე, ხ. (2019) კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, თბილისი;

შვაბე, ი. (2011) გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი;

შენგელია, მ. (2022) კოვიდ-19 პანდემიის გამოწვევები და საერთაშორისო სამართალი, მართლმსაჯულება და კანონი N1, თბილისი;

ჩხეიძე, ი. (2015) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მიღწევები და გამოწვევები, თბილისი;

ჩხეიძე, ი., (2018) სპეციალიზაციის სტანდარტი არასრულწლოვანთა ქართულ მართლმსაჯულებაში, მართლმსაჯულება და კანონი N3, თბილისი;

ჩხეიძე, ი., (2021) არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებები მართლმსაჯულების პროცესში, სამართლის ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N3, თბილისი;

ცქიტიშვილი, თ. (2019) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მატერიალურ სისხლისსამართლებრივი საკითხების რეგულირების ცალკეული ასპექტები; თბილისი;

ცნობილაძე, ნ. (2018) ფშავ-ხევსურეთში ძველად გავრცელებული სისხლისსამართლებრივი ურთიერთობები, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, თბილისი;

წულაძე, ა. (2016) სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო- ამერიკულ პრიზმაში, თბილისი;

ჭანტურია, ლ. (2017), *ოჯახის ფაქტორი არასრულწლოვნის სამართლებრივი აღზრდისა და მართლშეგნების ამაღლებისათვის, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1*, თბილისი;

ჭანტურია, ლ.,(2016) *არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის ზოგადი პრობლემები, პროფ.გ.ნაჭყებიას - 75 საიუბილეო კრებული*, თბილისი;

ხაინდრავა ნ., ბოხაშვილი, ბ., ხიდაშელი, თ., (2010) *წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სასამართლოს ანალიზი*, თბილისი;

ხერხეულიძე, ი.(2012) *სამართლის ჟურნალი, არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი იუვენალური იუსტიციის სისტემაში*, თბილისი;

ხერხეულიძე, ი. (2011) *არასრულწლოვანთა სასჯელის გამოყენების შედარებითი ანალიზი აშშ-სა და საქართველოში*, თბილისი;

ხერხეულიძე, ი. (2011) *საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N2*, თბილისი;

ხუბუა, გ.(2004) *სამართლის თეორია*, თბილისი;

ხუციშვილი, ი., (2022) *განრიდების განმეორებით გამოყენების სამართლებრივი მექანიზმი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი*; თბილისი;

ხატიაშვილი, გ. (2016) *დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში (საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები)*, თბილისი;

ჯავახიშვილი, ი. (1979) *თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი N8*, თბილისი;

ჯალაბაძე, დ.(1988) *მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული*, თბილისი;

ჰამილტონი, ქ. (2011) *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო*, თბილისი;

უცხოენოვანი ლიტერატურა:

Albrecht, H.J., (2004) *Youth Justice in Germany, Crime and Justice*;

Antonsdóttir, H.F.A (2018) *Witness in My own Case': Victim-survivors' Views on the Criminal Justice Process in Iceland*;

Alexander, N.,(2009) *International Mediation*;

Archard, D.,(2007) *Children's Rights and Juvenile Justice*;

Bazemore, G., Umbreit, M., (1995) *Rethinking the Sanctioning Function in Juvenile Court: Retributive or Restorative Responses to Youth Crime, Journal of Crime and Delinquency*;

Blake, S., Browne J.,Sime S., (2016) *The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press*;

Brown, J. H., Marriott A., (2011) *Principles and Practice*;

Belair, R. (1982) *Criminal justice information Policy:Privacy and juvenline Records*;

Bram, V. D.,(2010) *Victim Offender Mediation in Severe Crimes in Belgium*;

Brunk, C, (2001) *Restorative Justice and the Philosophical Theories of Criminal Punishment" in The Spiritual Roots of Restorative Justice*;

Bradley, R.J, Kolodney, S.E., (1982) *Criminal Justice information Policy, Privacy and Juvenile Justice Records*;

Blum, A.R.(1996) *Disclosing the identities of juvenline Felons:introducing Accountability to Juvenile justice*;

Bentham, J. (1994) *The Principles of Morals and Legislation*;

Braithwaite, J. (2003) *Principles of restorative justice*;

Brunilda, P., (2016) *European Forum for Restorative Justice, Briefing Paper about the Regulation of Restorative Justice in the Directive*;

Breidenbach, S., (1995) *Mediation – Struktur, Chancen und Risiken von Vermittlung im Konflikt*,

Béal, C., (2018) *Justice Restaurative et Justice Pénale*;

Bolívar, D., Aersten, I.(2017) ,*Victims and Restorative Justice*, Abingdon;

- Bemmann, G. (2003) *Opfer-Ausgleich im Strafrecht. In: Juristische Rundschau;*
- Cipriani, D., (2009) *Children's Rights and the Minimum Age of Criminal Responsibility A Global Perspective;*
- Cervera, V. G., Loria, C. G., Hernández, C. A. M., Solís, L. M. C.,(2017) *Treatment of Adolescents in Conflict with the Law: Towards the Reduction of Recidivism;*
- Clinard, B. Marshall, R. Quinney, J. Wildeman; (2014) *Criminal behavior system;*
- Cole, F. F., Smith Ch. E.,(2014) *Criminal Justice in America;*
- Chern, C. (2008) *International Mediation;*
- Чарыхов, Х.М. (1956) Отношение действующего уголовно процесс;
- Davis, S. M., (2011) *Children's Rights Under and the Law*, Oxford University Press, England;
- Dawson, R. O., (1999) *The Future of Juvenile Justice: Is It Time to Abolish the System*, Journal of Criminal Law and Criminology;
- Dunkel, F., Heinz W., (2017) *Germany, International Handbook of Juvenile Justice;*
- Dunkel, F.,(2015) *Youth Justice in Germany;*
- Dawson, R. O., (1999) *The Future of Juvenile Justice: Is It Time to Abolish the System*, Journal of Criminal Law and Criminology;
- Dumortier, E., Christiaens J., Nuytiens A.,(2017) *Belgium, in: International Handbook of Juvenile Justice;*
- Dugmore, P., (2006) *Assessing Young People, in: Youth Justice and Social Work;*
- Diemer, H, Schatz, H. Sonnen, B-R., (2011) *Jugendgerichtsgesetz Kommentar;*
- Diemer, H.Schoreit, A. Sonnen, B-R.,(2008) *Jugendgerichtsgesetz Kommentar;*
- Dölling, D. u.a., (1998) *Der Täter-Opfer-Ausgleich in Deutschland;*
- Doob, A.N., Tonry, M, (2004) *Varieties of Youth Justice, Youth Crime and Youth Justice: Comparative and Gross-National perspectives;*
- Eisenberg, U., (2010) *Jugendgerichtsgesetz kommentar;*

- Eekelaar, J.,(2002) *Beyond the Welfare Principle,Child and Family Law Quarterly;*
- Elliston, S.,(2007) *The Best Interests of the Child in Healthcare, Sheila M.A. Mclean (Ed.),
Routledge Cavendish Publishing;*
- Englert, K., Franke H., Grieger W., (2006) *Streitlosung ohne Gericht Schlichtung,Schiedsgericht
und Mediation in Bausachen;*
- Eidenmüller, H., (2004) *Verhandlungsmamagement durch Mediation, Mediation in der
Anwaltspraxis;*
- Frehsee, D., (1987) *Schadenswiedergutmachung als Instrument strafrechtlicher Sozialkontrolle;*
- Finkelhor, D., Korbin J., (1988) *Child Abuse as an International Issue, Child Abuse and Neglect;*
- Gabriele, M. Alison. M. , (1995) *Family, victims end culture;*
- Gläßer, U., (2008) *Mediation und Beziehungsgewalt;*
- Hammarberg, T., (2013) *Report on the Human Rights Dimension: Background, Steps Taken and
Remaining Challenges;*
- Hartinger-Saunders R.,(2008) *The History of Defining Youth: Current Implications for Identifying
and Treating Delinquent Youth;*
- Hazel N.,(2008) *Cross-National Comparison of Youth Justice, Report for the Youth Justice Board of
Englandand Wales;*
- Haft, F. Gräfin, K. (2009) *Handbuch Mediation;*
- Haft, F. (2000) *Verhandlung und Mediation;*
- Hatt, A.C., Melo E., Ngugi L., Suvilaakso T., Totland Th., (2008)*Protecting the Rights of Children
in Conflict with the Law, Research on Alternatives to the Deprivation of Liberty in Eight Countries;*
- Hazel, N., (2008) *Cross-National Comparison of Youth Justice, Report for the Youth Justice Board
of Englandand Wales;*
- Heinz, W., (2008) *Das Deutsche Jugendstrafrecht Ziel, Handhabung, Wirkungen, Vortrag;*
- Heidelberg, K. H. (2006) *Fragen una antworten zum jugendstafrecht;*

- Hestermann, Th.(1997) *Verbrechensopfer Leben nach der Tat. Reinbek bei Hamburg;*
- Herring, J.F.,(2005) *Journal of Social Welfare and Family Law;*
- Huchel, U.,(2002) *Mediation im strafrechtlichen Ermittlungsverfahren.*
- Hungerford-Welch, P., (2000) *Criminal litigation and sentencing;*
- Hooijdonk, E., (2016) *Children's Best Interests: A Discussion of Commonly Encountered Tensions, in:The Best Interests of the Child;*
- Howe, R.B., Covell, K., (2013) *Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights Perspective on Closing the Achievement Gap;*
- Herman S. (2010) *Parallel Justice for Victims of Crime;*
- Johnstone, B. (2008) *Discourse analysis;*
- Jens, M. (2014) *Mediation in England and Wales;*
- Johnstone, B.(2008) *Discourse analysis;*
- Kasper, J., Schlickum G., Weiler E., (2014) *Der Täter-Opfer-Ausgleich, München;*
- Kaspar, J., (2004) *Wiedergutmachung und Mediation im Strafrecht. Rechtliche Grundlagen und Ergebnisse eines Modellprojekts zur anwaltlichen Schlichtung;*
- Kaiser, G. (1994) *The juvenile justice system :The case of Germany;*
- Kilchling, M., (2017) *Opferrechte und Restorative Justice, Opferrechte in europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive;*
- Kilchling, M. (2002) *Opferschutz und der Strafanspruch des Staates, Fragen und Antworten Zum Jugendstrafrecht;*
- Kimberlee, K. (2004) *Mediation Principles and Practice;*
- Keidelberg, K.H., (2006) *Fragen und Antworten Zum Jugendstrafrecht Laubenthal;*
- Kindhäuser, U., (2015) *Strafrecht;*
- Kratcoski, P. C.,(2012) *Juvenile Justice Administration;*
- Kindhäuser, U., (2015) *Strafrecht;*

Kosher, H., (2016) *Children's Rights and Social Work*, Springer Briefs in Rights Based Approaches to Social Work;

Laubenthal, K.(2015) *Jugendschtraftrecht*;

Lauwaert K., (2015) *European Criminal Justice Policies on Victims and Restorative Justice, Victims and Restorative Justice*;

Lorens, J. C., (2016) *Presentation of General Comment No.14: Strengthens and Limitations, Points of Consensus and Dissent Emerging in its Drafting*, in: *The Best Interests of the Child – A Dialogue Between Theory and Practice*, Milka Sormunen (Ed.), Council of Europe;

Liebmann, M. (2007) *Restorative Justike*;

Liebmann, M., (2003) *Community and neighbor mediation*;

Levitt, S. D. (1998) *Juvenile Crime and Punishment*, *Journal Political Economy*;

Лубенский, А.И. (1977) *Предварительное расследование по законодательству капиталистических государств*;

Martins C., (2016) *How Can We Ensure that the Best Interests of the Child Are a Primary Consideration in Social Work?*, in: *The Best Interests of the Child Dialogue Between Theory and Practice*;

Manco, E. (2016) *Protecting the Child's Right to Participate in Criminal Justice Proceedings*;

Meier, B-D. Rössner, D. Schöch, H., (2013) *Jugendstrafrecht*;

Meier, B-D, Rössner, D.Trüg, G.Wulf, R. (2014) *Jugendgerichtsgesetz. Handkommentar*;

Moore, C., (2013) *The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict*;

Meier, B.-D., (2001) *Strafrechtliche Sanktionen*;

Mühlfeld, S.,(2002) *Mediation im Strafrecht - Unter besonderer Berücksichtigung von Gewalt in Schule und Strafvollzug*;

Miers, D.,(2001) *An International Review of Restorative Justice*, Home, Office, Crime Reduction Research Series;

Muncie, J., Goldson, B., (2006) *Comparative Youth Justice*;

Nehf, J. (2017) *The impact of mandatory arbitration on the common law regulation of standard terms in consumer contracts*;

Ostendorf, H., (2000) *Wieviel Strafe braucht die Gesellschaft*;

Ostendorf, H.,(2013) *Jugendstrafrecht*;

Ostendorf, H., Drenkhahn K., (2017) *Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts (BVerfGE), Jugendstrafrecht*;

Pickford, J., Jonathan Parker, Greta Bradley (Eds.), *Learning Matters Ltd, Glasgow*;

Pradel, J., (1998) *Procédure pénale comparée dans les systèmes modernes*;

Rap, S. (2013) *The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court A Comparative Study of Juvenile justice Procedures in Europe*;

Roxin, C., (2001) *Wandlungen der Strafzwecklehre. Grundlagen staatlichen Strafens – Festschrift für Müller-Dietz*;

Rössner, D., (1989) *Wiedergutmachung statt Übelvergeltten. Täter-Opfer-Ausgleich. Vom zwischenmenschlichen Weg zur Wiederherstellung des Rechtsfriedens*;

Roberts, E. (1996) *Paradigms and Paradoxes of Victimology*;

Slobogin C., Fondacar M. R., (2014) *Juveniles at risk, A Plea for Preventive justice, Oxford University press*;

Sobie, M. (1981) *The Juvenile Offender act: Effectiveness and impact on the New York Juvenile justice system*;

Sommerfeld, S. (2009) *Schriftenreihe der deutschen vereinigung für jugendgerichte und jugendgerichtshilfen*;

Sund, L.G., Vackermo, M., (2015) *The Interest Theory, Children's Rights and Social Authorities, The International Journal of Children's Rights*;

Schönke, A. (2010) *Strafgesetzbuch, Kommentar*;

Schabas, W., Sax, H., A, (2006) *Commentary on the United Nations Convention on the*

Rights of the Child, Prohibition of Torture, Death Penalty, Life Imprisonment and Deprivation of Liberty;

Schaffstein, F. Beulke, W., Swaboda, S., (2014) *Jugendstrafrecht. Eine systematische Darstellung;*

Shaffstein, F. Beulke, W. (2012) *Jugendschtrafreht;*

Schüler-Springorum, H., (1988) *Die Resozialisierung des normalen erwachsenen Straftäters.*

Festschrift für Maihofer;

Schmidt-Hieber, W., (1986) *Verständigung im Strafverfahren – Möglichkeiten und Grenzen für die Beteiligten in den Verfahrensabschnitten;*

Tampe, E. (1992) *Verbrechensopfer;*

Trenczek, T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D., (2017) *Mediation und Konfliktmanagement,*

Tränkle, S., (2007) *Im Schatten des Strafrechts. Eine Untersuchung der Mediation in Strafsachen am Beispiel des deutschen Täter-Opfer-Ausgleichs und der französischen médiation pénale auf der Grundlage von Interaktions- und Kontextanalysen;*

Trossen, A., (2014) *Mediation (un)geregelt, Win-Management;*

Trenczek, T.M.A. (2017) *Berning D., Lenz C., Will H.D., Mediation und Konfliktmanagement;*

Vincent, G. M., Guy L. S., Grisso Th. (2012) *Risk Assessment in Juvenile Justice: A Guidebook for Implementation, MacArthur Foundation;*

Vandenhoe, W., (2015) *Belgium, The Convention on the Rights of the Child in Belgian Case Law, in: Litigating the Rights of the Child;*

Weisser, R.S., (2017) *Belastungen von Opfern in Ermittlungsverfahren, Forschungsbericht;*

Wemmers, J.A., (2003) *Introduction à la Victimologie, Montréal;*

Wemmers, J.A. (2009) *La Justice Réparatrice telle que Conçue par les Victimes et les Adolescents Contrevenants;*

Williams, E., (2016) *What Are the Qualifi for Becoming a Vic m/Witness Coordinator;*

Williams, J., (2017) *England and Wales, in: Litigating the Rights of the Child;*

- Winterdyk, J.A.(2015) *Juvenile Justice: International Perspectives, Models and Trends*;
- Wright, M. (2005) *Victims, mediation and criminal justice*;
- Woods, Ph., Ashley M. (2005) *Findings from the survey and case studies*;
- Wode, M., Rabe C.S., (2014) *Mediation, Springer*;
- Weitekamp, E. G. (2001) *Mediation in Europe: Paradoxes and Promises. Restorative Justice For Juveniles: Conferencing, Mediation, and Circles*;
- Yeckel, J.F., (1997) *Violent Juvenile Offenders: Rethinking Federal Intervention in Juvenile Justice*;
- Zehr, H., (2015) *The Little Book of Restorative Justice*;
- Zermatten, J.,(2010) *The Best Interests of the Child Principle: Literal Analysis and Function*;
- Zermatten, J.,(2015) *Best Interests of the Child, in: Child-Friendly Justice: A Quarter of a Century of the UN Convention on the Rights of the Child, Said Madmoudi, Pernila Leviner, Anna Kaldal, Katrin Lainpelto (Eds.), Brill Nijhoff, Leiden, Boston*;
- Zieger, M. (2013) *Verteidigung in Jugendstrafsachen*;
- Zirn, V. (2007) *Mediation im strafrechtlichen Ermittlungsverfahren*;

ინტერნეტ საიტები:

განრიდება-მედიაციის პროგრამა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,

<http://www.ganrideba.ge/?action=page&pid=52&lang=geo>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განმარტებითი ბარათი, საქართველოს პარლამენტი, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/245462>.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, საქართველოს უზენაესი სასამართლო, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl3>.

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ ბრძანება, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4499245?publication>.

განრიდება-მედიაციის პროგრამა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,
[http://ganrideba.ge/res/files/52/Final%20Report 2017 %2012%20month Diversi%20and%20Mediation](http://ganrideba.ge/res/files/52/Final%20Report%202017%20%20month%20Diversi%20and%20Mediation).

ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა, სოციალური სამართლიანობის ცენტრი,
<https://socialjustice.org.ge/ka/products/nulovani-tolerantobis-kulturuli-da-simboluri-rezonansi-tanamedrove-siskhlis-samartlis-sistemashi>.

განრიდების ხელშეკრულება, საქართველოს გენერალური პროკურატურა,
<http://pog.gov.ge/geo/projects/curr> .

სახელმძღვანელო მითითებები მედიატორისთვის, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1129448?publication>.

მედიატორთა საქმიანობის წესი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,
<http://prevention.gov.ge/uploads/files/aqtebi/debuleba29072019>.

განრიდების პროგრამა, საქართველოს გენერალური პროკურატურა,
<https://pog.gov.ge/uploads/42f3329b>.

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, გაეროს ბავშვთა ფონდი,
<https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO>

განრიდების პროგრამის ანგარიში, საქართველოს გენერალური პროკურატურა,
<https://pog.gov.ge/uploads/f67fa1c7-angarishi>.

განრიდების პროგრამის სტატისტიკა, საქართველოს გენერალური პროკურატურა,
<https://pog.gov.ge/uploads/429f65a7-ganrideba-2020-weli-converted>.

განრიდების პროგრამის სტატისტიკა, საქართველოს გენერალური პროკურატურა,
<https://pog.gov.ge/uploads/c6b2843d-braldebuli-arasrulwlovnebi-2019-converted>.

იხ. აღკვეთის ღონისძიების სტატისტიკა, თბილისის საქალაქო სასამართლო,
<https://tcc.court.ge/ka/Statistics> .

გ. უგულავა საქართველოს პარლამეტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=2059>.

განრიდების პროგრამის შესახებ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, http://ganrideba.ge/?action=page&p_id=1061&lang=geohttpfiles/upload-file/pdf/arasrw.

განრიდების ხელშეკრულება, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <http://prevention.gov.ge/page/28/geo>

არასრულწლოვანთა განრიდება, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/page/default/arasrulwlovanTa-marTlmsajuleba>.

არასრულწლოვანთა განრიდების ხარვეზები, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/page/default/arasrulwlovanTa-2020.marTlmsajuleba>.

არასრულწლოვანთა განრიდების ხელშეკრულება, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/uploads/379733ef-2020-wlis-6-Tve-arasrulwlovanTa-marTlmsajuleba>.

არასრულწლოვანთა განრიდების სტატისტიკური მონაცემები, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/uploads/379733ef-2021-wlis-6-Tve-arasrulwlovanTa-marTlmsajuleba>.

არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამის შესახებ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <http://prevention.gov.ge/page/28/geo>.

პეკინის წესები, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, <https://idsdge.files.wordpress.com/2017/06/e1839ee18394e18399e18398e1839c>.

პეკინის წესები, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, <https://idsdge.files.wordpress.com/2017/06/e1839ee18394e18399e18398e1839c>.

საგანგებო მდგომარეობის შესახებ ვენეციის კომისიის მოსაზრებები, ევროკავშირი, <https://rm.coe.int/compilation-venice-commission-covid19-geo-2/16809e6513>

განჩინება, ბათუმის საქალაქო სასამართლო, <https://www.court.ge/courts/baTumis saqalaqo sasamarTlo/?page=25&id=2765>.

სპეციალიზაციის სტანდარტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3143176?publication>.

მოსამართლეთა სპეციალიზაცია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო,
<http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/56>.

პოლიციის ფუნქციები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,
<https://police.ge/files/pdf/etikis%20kodeqsi/Georgian%20Police%20Code%20of%20Ethics%20Georgian%20fin>.

განრიდების სტატისტიკური მონაცემები, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,
<http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report%202020%206%20months>.

განჩინება, თბილისის საქალაქო სასამართლო, <https://tcc.court.ge/ka/Decision/arasrulwlovnis-sisxlissamarTlebrivi-pasuxismgeblobisgan-ganridebis-mizniT-saqme-prokurors-daubrunda>.

განრიდების პროგრამის ანალიზი, საქართველოს გენერალური პროკურატურა,
<https://pog.gov.ge/uploads/429f65a7-ganrideba-2012-weli-converted>.

განჩინება, თბილისის საქალაქო სასამართლო, <https://tcc.court.ge/ka/Decision/arasrulwlovnis-sisxlissamarTlebrivi-pasuxismgeblobisgan-ganridebis-mizniT-saqme-prokurors>.

Gaughey, F., Kenny, M.A., Maguire, A., Harris-Rimmer, S., International human rights law lessons in the era of COVID-19,

<https://researchrepository.uwa.edu.au/en/publications/international-human-rights-law-lessons-in-the-era-of-covid-19>.

COVID-19 and Human Rights Treaty Bodies, <https://www.ohchr.org/EN/HRBodies/Pages/COVID-19-and-TreatyBodies.aspx>.

The European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), Declaration of Lessons Learned and Challenges Faced by the Judiciary During and After Covid Pandemic
<https://rm.coe.int/declaration-en/16809ea1e>.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4845480?publication>

ახალი კორონა ვირუსის გავრცელების პრევენცია, საქართველოს გენერალური პროკურატურა,

<https://pog.gov.ge/uploads/cc0023c6-2021-wlis-angarishi-arasrulwlovanTa-marTlmsajuleba>.

მედიაცია, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <http://prevention.gov.ge/news/8985/geo>.

სასამართლოს გადაწყვეტილება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, <https://catalog.supremecourt.ge/blog/index.php/201>.

მედიაცია, დანაშაულის პრევენციის ცენტრი, <http://prevention.gov.ge/page/31/geo>.

არასრულწლოვანთა განრიდება, საქართველოს გენერალური პროკურატურა,

<https://pog.gov.ge/uploads/429f65a7-ganrideba-2019-weli-converted>.

არასრულწლოვანთა განრიდების პრაქტიკა, საქართველოს გენერალური პროკურატურა,

<http://ganrideba.ge/?action=page&pid=52&lang=geo>

არასრულწლოვანთა განრიდება, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,

<http://www.ganrideba.ge/?action=page&pid=46&lang=geo>.

არასრულწლოვანთა განრიდების პროცედურები, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

<http://prevention.gov.ge/page/31/geo>.

მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორი, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/news/mowmisa-da-dazaralebulis-koordinatoris-samsaxuri>.

მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministroshi-motsmisa-da-dazaralebulis-koordinatoris-samsakhuri-amogmedda/12442>.

მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორი, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/news/mowmisa-da-dazaralebulis-koordinatoris-samsaxuri>.

მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის სტატისტიკური მონაცემები, საქართველოს გენერალური პროკურატურა, <https://pog.gov.ge/interesting-info/coordinator-of-the-witness-and-victim>.

ადამიანის უფლებები, ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო, <http://myrights.gov.ge/ka/documents/documents/strategy>.

ასოცირების შეთანხმება, საქართველო და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი, <https://old.infocenter.gov.ge/euinfo-the-association-agreement>.

მ.ნათაძე და სხვები, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლო, <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=301>.

საერთაშორისო აქტები, დეკლარაციები და ხელშეკრულებები:

United Nation, Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, 1985;

ECOSOC Resolution Basic Principles on the Use of Restorative Justice Programms in Criminal Matters, 2012;

EGMR, Korneykova./Ukraine, Urteil vom 19. Januar 2012, N39884/05;

The European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), Declaration of Lessons Learned and Challenges Faced by the Judiciary During and After Covid Pandemic; <https://rm.coe.int/declaration-en/16809ea1e2>

In Re Gault, Supreme Court of the United States, 1967, N116;

Directive (EU) 2016/800 of the European Parliament and of the Council, on Procedural Safeguards;

for Children Who are Suspects or Accused Persons in Criminal Proceedings, 11 May, 2016;

ეკონომიკური და სოციალური საბჭო, რეზოლუცია 2002/12: სისხლის სამართლის საქმეებზე აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების გამოყენების ძირითადი პრინციპები, 24 ივლისი, 2002, 2002/12, პუნქტი 2.2

United Nation, Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, 1985;

ECOSOC Resolution Basic Principles on the Use of Restorative Justice Programms in Criminal Matters, 2012;

General Comment No. On the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (Art. 3, para.1)”, UN Committee on the Rights of the Child, Sixty-second Session (14 January - 1 February 2013), CRC/C/GC/14, 29 May, 2013;

General Comment No. Children’s Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child, Forty-fourth Session (15 January-2 February), CRC/C/C/GC/10, Geneva, 2007;

Summary of Contextual Overviews on Children’s Involvement in Criminal Judicial Proceedings in the 28 Member States of the European Union, European Union, European Commission – Directorate-General for Justice;

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ, 2007, პუნქტი 28;

ეკონომიკური და სოციალური საბჭო, რეზოლუცია 2002/12: სისხლის სამართლის საქმეებზე აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების გამოყენების ძირითადი პრინციპები, 24 ივლისი, 2002, 2002/12;

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ, 2007, პ;

განაჩენები და განჩინებები:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 16 მარტის N27751/95 გადაწყვეტილება; სტრასბურგი;

გიორგი ნიკოლაიშვილი, საქართველოს წინააღმდეგ, 2009 წლის 13 იანვრის საჩივარი N37048/04, სტრასბურგი;

იევდოკიმოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ განაცხადები N 27236/05, ადამიანის უფლებათა;

ევროპული სასამართლოს 2016 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 47;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის №1/3/1312 გადაწყვეტილება;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 12 ივნისის N1/2/458, გადაწყვეტილება;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/646, გადაწყვეტილება;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2/389 გადაწყვეტილება;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N N1/8/594 გადაწყვეტილება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის განაჩენი, საქმე N172აგ 16;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის განაჩენი, საქმე #172აგ-16;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 03 დეკემბრის განაჩენი №638აპ-20;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 09 ივლისის №127აპ-21, განაჩენი;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 18 თებერვლის განაჩენი, №1ა/გ-143- 16, განაჩენი;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 23 თებერვლის №1/ბ-118-17 განჩინება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 10 მარტის N1გ/346-17 განჩინება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2016 წლის 25 ოქტომბრის N1გ/1635-16, განჩინება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2015 წლის 25 თებერვლის N1გ/178-15, განჩინება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 04 მაისის N1გ/622-17, განჩინება;

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 3 აგვისტოს N1გ/543-12, განჩინება;

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის N10ა/2356 განჩინება;

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 08 ივნისის N10ა/2583, განაჩენი;

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 აგვისტოს N10ა/2256, განაჩენი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 დეკემბრის N10ა/2376 განაჩენი;

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 იანვრის N1-179/21 განჩინება;

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 24 აპრილის N1-173/19 განაჩენი;

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 მარტის N1-23/19 განაჩენი;

თელავის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 25 სექტემბრის წინასასამართლო სხდომის N 1/204-21 ოქმი;

სხვა წყაროები:

Handbook for Professionals and Policymakers on Justice in Matters Involving Child Victims and Witnesses of Crime, United Nations Office on Drugs and Crime, New-York, 2009;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2022 წლის 12 აპრილის N103863/01 წერილი;

არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, 2011, თბილისი;

არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია- რესოციალიზაციის პროცესი საქართველოს პრობაციის და პენიტენციურ სისტემებში, 2020, თბილისი;

წულოვანი ტოლერანტობიდან ლიბერალიზაციისაკენ, ციხის საერთაშორისო რეფორმა, 2011, თბილისი;

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საგამომიებო ორგანოების 2021 წლის პრაქტიკა;

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საგამომიებო ორგანოების 2022 წლის პრაქტიკა;

შსს ტერიტორიული ორგანოების 2021 წლის საგამომიებო პრაქტიკა;

საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის N132/N95/N23 ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას ინდივიდუალური შეფასებს ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი;